აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნინო ნიჟარაძე

# საკომუნიკაციო კომპეტენცია და სინტაქსური სინონიმია, როგორც ფსიქოლინგვისტური პრობლემა

10.02.04 – გერმანიკული ენები

დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**მადონა მეგრელიშვილი**

ქუთაისი

2010

# შ ი ნ ა ა რ ს ი


შესავალი ---------- 4

## თავი I - საკომუნიკაციო კომპეტენცია და სტრატეგიული კომპეტენციის რაობა

1.1 წარმატებული კომუნიკაცია და საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება------- 14

*1.1.1. ენობრივი კომუნიკაციის მოდელები* ---------- 14

*1.1.2. საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება* ---------- 18

1.1.2.1. ლინგვისტური კომპეტენცია ———————————— 18

1.1.2.2. საკომუნიკაციო კომპეტენცია ჰაიმსის მიხედვით ———————— 20

1.1.2.3. საკომუნიკაციო კომპეტენციის ინტერპრეტაციები ——————— 22

1.2. საკომუნიკაციო კომპეტენციის კომპონენტები ———————————— 28

1.3. სტრატეგიული კომპეტენცია და საკომუნიკაციო სტრატეგიების კლასიფიკაცია ——————————————————————— 34

*1.3.1. სტრატეგიული კომპეტენციის ცნება* ——————————— 34

*1.3.2. საკომუნიკაციო სტრატეგიების რაობა* ——————————— 36

*1.3.3. საკომუნიკაციო სტრატეგიების იდენტიფიკაცია* ——————— 41

*1.3.4. საკომუნიკაციო სტრატეგიების კლასიფიკაცია* ——————— 44

## თავი II - სინტაქსური სინონიმიის პრობლემა ენათმეცნიერებაში და სინონიმური სინტაქსური კონსტრუქციები

2.1. სინონიმიის პრობლემა ენათმეცნიერებაში ——————————— 56

*2.1.1. სინონიმიის ცნება ენათმეცნიერებაში* ——————————— 56

*2.1.2. მნიშვნელობის ცნება და სინონიმია* ——————————— 59

*2.1.3. სინონიმიის ტიპები და ფუნქციები* ——————————— 61

2.2. სინტაქსური სინონიმიის პრობლემა ენათმეცნიერებაში ——————— 70

*2.2.1. სინტაქსური სინონიმიის ცნების ევოლუცია* ——————— 70

*2.2.2. სინტაქსური სინონონიმიის კვლევის მიმართულებები* ——————— 76

2.3. სინტაქსური კონსტრუქციების სინონიმურობის კრიტერიუმები ——————— 83

*2.3.1. სინტაქსური სინონიმები მნიშვნელობის მიხედვით* ——————— 83

2.3.1.1. გრამატიკული მნიშვნელობა ——————————— 83

2.3.1.2. სინტაქსური სინონიმიის სემანტიკური ასპექტები ——————— 87

*2.3.2. სინონიმურ კონსტრუქციათა სტრუქტურული მახასიათებლები* —— 94

*2.3.3. სინონიმურ კონსტრუქციათა ურთიერთჩანაცვლების უნარი* ——— 98

## თავი III - სინტაქსური სინონიმია, როგორც საკომუნიკაციო სტრატეგიის გამოვლინება ტექსტში

3.1. სინონიმურ სინტაქსურ კონსტრუქციათა განზომილებები ——————101

*3.1.1. სემანტიკური როლები* ——————————101

*3.1..2. სინტაქსურ სინონიმთა კლასიფიკაცია* ——————— 108

3.2. სინტაქსურ სინონიმთა გამოყენების ლინგვოპრაგმატიკული მოტივაცია 132

*3.2.1. გრამატიკული მოტივაცია* ——————— 132

*.3.2.2 სტილისტური მოტივაცია* ——————— 134

*3.3.3. ფუნქციური მოტივაცია* ——————— 136

3.3. კომუნიკანტთა არჩევანის ფსიქოლინგვისტური მოტივაცია ——————— 144

დასკვნა ——————————————— 160

გამოყენებული ლიტერატურა ——————————— 164

# შესავალი

## 1. სადისერტაციო ნაშრომის თემა და პრობლემატიკა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება, ერთის მხრივ, საკომუნიკაციო კომპეტენციის ძირითადი ასპექტების, კერძოდ კი სტრატეგიული კომპეტენციის კვლევასა და, მეორეს მხრივ, სინტაქსური სინონიმიის არსის შესწავლას. მიუხედავად იმისა, რომ საკომუნიკაციო კომპეტენციის კვლევის თვალსაზრისით მუშაობა უკვე 40 წლის მანძილზე მიმდინარეობს და სინტაქსური სინონიმიის მიმართულებითაც უაღრესად საინტერესო გამოკვლევები არსებობს, ამ ორ ლინგვისტურ ფენომენს შორის მიმართება დღემდე არ არის შესწავლილი. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საკომუნიკაციო სტრატეგიების ცნების შემდგომი დაზუსტება და გაფართოება, მათ რიცხვში სინტაქსურ სინონიმთა ჩართვის საფუძველზე. ამასთან, ამ უკანასკნელთა ანალიზი, ყველა დღემდე არსებული გამოკვლევისგან განსხვავებით, ხორციელდება ფსიქოლინგვისტური პერსპექტივიდან, რაც იძლევა მეტყველი სუბიექტის არჩევანის სიღრმისეული მოტივაციის შესწავლის საშუალებას. თემა მრავლისმომცველია, რადგან ტრადიციული ლინგვისტიკის დარგების, სინტაქსისა და სემანტიკის, პარალელურად იგი ეყრდნობა ისეთ უმნიშვნელოვანეს დისციპლინებს, როგორიცაა პრაგმატიკა, დისკურსის ანალიზი, გამოყენებითი ლინგვისტიკა და ფსიქოლინგვისტიკა.

ლინგვისტური აზროვნების განვითარების თანამედროვე დონეზე მეცნიერთა ყურადღება კონცენტრირებულია ენის კომუნიკაციური ასპექტის კვლევაზე. ენისა და კომუნიკაციის ურთიერთმიმართების კვლევის პროცესში რამდენიმე განსხვავებული მოდელი შეიქმნა. თითოეულ მათგანში კომუნიკაციის ძირთადი მიზანი განსხვავებულადაა დანახული, და აქედან გამომდინარე, განსხვავებულია წარმატებული კომუნიკაციის გაგება და მისი განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების ჩამონათვალიც. კომუნიკაციის ინტერაქტიული მოდელის მიხედვით, კომუნიკაციის წარმატებისთვის არასაკმარისია კომუნიკანტებს ჰქონდეთ საერთო ენობრივი კოდი. აქ მიზნის მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ცოდნისა და უნარ-ჩვევების ის

ერთობლიობა, რომელიც მოიცავს კოდის ფლობას, როგორც ერთერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით. ამ ერთობლიობას შეიძლება ვუწოდოთ საკომუნიკაციო კომპეტენცია, რომლის ზოგიერთი ასპექტის კვლევასაც ემსახურება ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი.

საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება ენათმეცნიერებაში დელ ჰაისმა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში შემოიტანა ნაომ ჩომსკის მიერ დამკვიდრებული ტერმინის – „ლინგვისტური კომპეტენცია“ - ანალოგიით და მასთან შინაარსობრივი კონტრასტის ხაზგასმის მიზნით. ამ ცნებაში ჰაისმა გააერთიანა ყველაფერი ის, რაც მოუბარმა უნდა იცოდეს კულტურულად ღირებულ ვითარებაში წარმატებული კომუნიკაციის განსახორციელებლად (Hymes 1972: 103). ლინგვისტური კომპეტენციისგან განსხვავებით აქ ყურადღების ცენტრში ექცევა ენის გამოყენების სოციალური ასპექტები. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება მრავალი ენათმეცნიერის კვლევის საგნად იქცა. ბუნებრივია, რომ ამ ცნების დაზუსტებისა და სიღრმისეული ანალიზის მცდელობამ გამოიწვია გარკვეულწილად განსხვავებული, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი თეორიების ჩამოყალიბება. ამ ხნის განმავლობაში საკომუნიკაციო კომპეტენციის გაგებამ არა ერთი მოდიფიკაცია განიცადა, შეიქმნა ბევრი უაღრესად საინტერესო მოდელი როგორც გამოყენებითი ლინგვისტიკის, ისე ზოგადი ლინგვისტიკის წიაღში. მკვლევართა განსხვავებული პერსპექტივისა და ინტერესებიდან გამომდინარე ამ მოდელებში წინა პლანზე წამოიწია იმ ასპექტებმა, რომლებიც ფაქტობრივად უგულვებელყოფილია ჰაიმსისეულ ინტერპრეტაციაში.

საკომუნიკაციო კომპეტენციის მოდელებს შორის განსაკუთრებული გავლენა შემდგომი პერიოდის გამოკვლევებზე კანალის და სუეინის (Canale and Swain 1980) მიერ შექმნილმა, რომელიც მოგვიანებით კანალის მიერვე იქნა მოდიფიცირებული. მასში გამოიყოფა ოთხი ძირითადი კომპონენტი: გრამატიკული, სოციოლინგვისტური, დისკურსის და სტრატეგიული კომპეტენცია. ამათგან სტრატეგიული კომპეტენცია შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი და უაღრესად საინტერესო ფენომენს წარმოადგენს, რამდენადაც ეს არის ენობრივი სუბიექტის უნარი, თავისი რეპერტუარიდან შეარჩიოს ის საშუალებები, რომლებიც ოპტიმალურად შეასრულებს მისი კომუნიკაციური ინტენციის განხორციელების ფუნქციას.

საკომუნიკაციო სტრატეგიის ცნებამ ბოლო ათწლეულების მანძილზე სერიოზული ევოლუცია განიცადა. თუ თავდაპირველად მიიჩნეოდა, რომ მათი გააქტიურება მხოლოდ არასაკმარისი კომპეტენციის ან გარკვეული პერფორმაციული ფაქტორების გამო კომუნიკაციის ჩაშლის საფრთხის საკომპენსაციოდ ხდება, დღეს მათი ფუნქციის გაცილებით უფრო ფართო ინტერპრეტაციაა მიღებული. პრობლემატურობის კრიტერიუმი, რომელსაც ეფუძნებოდა საკომუნიკაციო სტრატეგიების პირველი დეფინიციები, სადავოდ იქნა მიჩნეული. ზოგადად, ენის აქტუალიზაციის პროცესი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კომუნიკაციური პრობლემის დაძლევის მცდელობა, რაც თავის მხრივ ეჭვქვეშ აყენებს ენის სტრატეგიულ და არასტრატეგიულ გამოყენებას შორის ზღვრის გავლების საჭიროებას. მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიის გამოყენების მიზანია, საშუალება მისცეს ენობრივ სუბიექტს გამონათქვამის ორგანიზება მოახდინოს იმგვარად, რომ შეტყობინება მაქსიმალურად ეფექტურად მიეწოდოს კონკრეტულ მსმენელს.

სტრატეგიული კომპეტენციის კვლევის პროცესში რამდენიმე უაღრესად საინტერესო ტაქსონომია შეიქმნა, მაგრამ ყველა მათგანი კონცენტრირებულია ე.წ. ლექსიკურ სტრატეგიებზე ანუ სტრატეგიებზე, რომლებიც ასოცირდება კონკრეტული ლექსიკური ერთეულის მიუწვდომლობით გამოწვეული პრობლემების დაძლევის გზებთან. შეიძლება ითქვას, რომ კვლევის ვიწრო სფეროზე ყურადღების ასეთ ფოკუსირებას ერთგვარი გამართლებაც ჰქონდა, რამდენადაც ამის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ამ მოვლენის სიღრმისეული ანალიზი, სტრატეგიათა საკმაოდ დიდი რაოდენობის იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია, და ამასთანავე ემპირიულ მონაცემთა ინტერპრეტაციისთვის ალტერნატიული თეორიული მოდელების შექმნა.

შემდგომ ეტაპზე ყურადღებამ ლექსიკურიდან ე. წ. „რეფერენტულ“ სტრატეგიებზე გადაინაცვლა. ეს ტერმინოლოგიური ცვლილება ამასთანავე სემანტიკურიდან პრაგმატიკულ მიდგომაზე გადასვლას გულისხმობს, რადგანაც ყურადღების ცენტრში ექცევა არა ენობრივი (კერძოდ ლექსიკური) პრობლემების დაძლევის ლინგვისტური საშუალებები, არამედ კოგნიტური სტრატეგიები, რომლებიც საფუძვლად უდევს კონკრეტულ გამონათქვამს, ენობრივი სუბიექტის მიერ საკომუნიკაციო სიტუაციის შეფასებას და ამით განპირობებულ ცვლილებებს მის სტრატეგიულ ქცევაში.

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ლექსიკა არ არის ერთადერთი სფერო, სადაც აუცილებელია არჩევანის გაკეთება საკომუნიკაციო ინტენციის ოპტიმალური განხორციელების მიზნით. კომუნიკაციის პროცესში ხდება მთელი ფრაზების, წინადადებების დაგეგმვა, მათი მორგება კონკრეტული მსმენელისა და საკომუნიკაციო სიტუაციის საჭიროებებზე, არჩევანი ხორციელდება სხვადასხვა სახის სინტაქსურ კონსტრუქციას შორის. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ სტრატეგიული კომპეტენციის კვლევის თანამედროვე ეტაპზე ჩნდება კვლევის სფეროს გავრცობის აუცილებლობა. მხოლოდ ლექსიკური და თუნდაც „რეფერენტული“ სტრატეგიების ანალიზი ვერ მოგვცემს ენობრივი სუბიექტის საკომუნიკაციო კომპეტენციის სტრატეგიული კომპონენტის სრულ სურათს. არსებითად მიგვაჩნია, რომ კვლევამ სინტაქსურ დონეზე გადაინაცვლოს. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე წარმოდგენილ ნაშრომში სინტაქსური სინონიმია განხილულია, როგორც სტრატეგიული კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.

ნაშრომის ერთერთ ძირითად საკვლევ პრობლემას წარმოადგენს სინტაქსური სინონიმია, რაც ენათმეცნიერების შედარებით ნაკლებად შესწავლილი სფეროა. გამოკვლევათა დიდი ნაწილი ლექსიკურ ერთეულთა სინონიმიაზეა კონცენტრირებული და სხვა ტიპის სინონიმიის კვლევები მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა იმ ცნებათა სისტემას და ამოსავალ კატეგორიებს, რომლებიც ლექსიკური სინონიმების შესწავლის შედეგად ჩამოყალიბდა. ეს ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ ზოგ შემთხვევაში ტერმინი „სინონიმია“ მხოლოდ ლექსიკური სინონიმიის მნიშვნელობით იხმარება. სინონიმიის პრობლემა, პირველ ყოვლისა, ენობრივი ნიშნის ფორმისა და მნიშვნელობის ურთიერთობის პრობლემაა. სინონიმიის კვლევისადმი რამდენიმე განსხვავებულ მიდგომას გამოყოფენ. ერთი მათგანი ეყრდნობა შინაარსობრივ იგივეობას ან მსგავსებას; მეორე – ძირითადად აგებულია ლოგიკურ ექვივალენტურობაზე – ტექსტში სინონიმთა სრულ ან ნაწილობრივ ურთიერთჩანაცვლებადობაზე; მესამე მიდგომა მათ შეფასებით სტილისტურ მახასიათებლებზეა ორიენტირებული. არსებობს მეოთხე ინტერპრეტაციაც, რომელიც დენოტაციური მნიშვნელობის იგივეობას ეყრდნობა.

ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე აშკარაა, რომ ამ ფენომენის კვლევა გაცილებით უფრო ფართო მიდგომას მოითხოვს. სინტაქსური სინონიმია გაცილებით ნაკლებ სიღრმისეულადაა შესწავლილი

ენათმეცნიერებაში, ვიდრე ლექსიკური სინონიმია, თუცა მე-20 საუკუნეში ამ მის კვლევას საკმაოდ ბევრი სერიოზული გამოკვლევა მიეძღვნა. პრაქტიკულად ყველა ლინგვისტურ თეორიასა და მიმართულებაში ამ ენობრივი მოვლენის კვლევას გარკვეული ყურადღება დაეთმო და შესაბამისად თავად ცნებამ სერიოზული ევოლუცია განიცადა. ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზეც სინტაქსური სინონიმიის კვლევა სხვადასხვა ჭრილში და სხვადასხვა მიზნით მიმდინარეობს. მიუხედავად ამგვარი ინტერესისა, კვლავ სადავო რჩება ყველაზე არსებითი, კერძოდ, სინტაქსური სინონიმიის რაობის განსაზღვრისა და აქედან გამომდინარე, სინონიმურობის კრიტერიუმების დადგენის საკითხი.

ისე, როგორც ლექსიკური სინონიმების, სინტაქსური სინონიმების იდენტიფიკაციაც ჩვეულებრივ სამ ძირითად კრიტერიუმს ეფუძნება:

1. მნიშვნელობის იგივეობა ან მსგავსება
2. ფორმალური ნიშნები/მახასიათებლები
3. სინონიმურ კონსტრუქციათა ფუნქცია ანუ ურთიერთჩანაცვლების უნარი

ლინგვისტთა მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა განსაზღვრების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველა მათგანშია მოხსენიებული შესადარებელ კონსტრუქციებს შორის მნიშვნელობის იგივეობა. თუმცა, თავად „მნიშვნელობის“ ცნება აქ დაზუსტებას მოითხოვს, რადგან მკვლევარები სინტაქსური სინონიმიის განსაზღვრისას ხან გრამატიკული მნიშვნელობის სიახლოვეს და მსგავს სინტაქსურ მიმართებებს ემყარებიან, ხანაც ერთიდაიგივე შინაარსისა და ზოგადაზრობრივი მნიშვნელობის იგივეობას. მიუხედავად უაღრესად განსხვავებული მიდგომებისა, თანამედროვე ლინგვისტიკაში ის აზრი დომინირებს, რომ სინონიმური კონსტრუქციების საერთო მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობის იგივეობით. თუმცა ყველა აღიარებს, რომ გრამატიკული ფორმის საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა უნდა ენიჭება.

სინტაქსური სინონიმია უშუალო კავშირშია დაფუძნებულია ტრანსფორმაციის ცნებასთან. მიუხედავად იმისა, რომ აქ ლაპარაკი არ არის წინადადების სემანტიკურ (ე.ი. შინაარსობრივ) ასპექტზე, ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენებით პრაქტიკულად შესაძლებელი ხდება წინადადების შინაარსობრივი ასპექტის წინა პლანზე წამოწევა, რადგანაც ტრანსფორმები

ფაქტიურად ერთი და იგივე დენოტაციური მნიშვნელობის მქონე სინტაქსურ ვარიანტებად განიხილება.

სადავოა ის საკითხი, თუ რამდენად შეიძლება სინტაქსურ კონსტრუქციათა სინონიმურობის კრიტერიუმად მივიჩნიოთ დენოტაციური მნიშვნელობის იგივეობა. წინადადების რეფერენტად გვევლინება რეალური სიტუაცია, რომელსაც ეს წინადადება აღნიშნავს. ენათმეცნიერები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია ერთიდაიმავე სიტუაციის მრავალჯერადად ასახვა, მისი აღწერა სხვადასხვა საშუალებით. აქედან გამომდინარე, სინონიმურობის კრიტერიუმები საერთო რეფერენტის გარდა უნდა მოიცავდეს აღწერილ მოვლენათა შორის გამოხატულ მიმართებათა იგივეობას. სინტაქსური სინონიმიის გამოვლენისათვის არსებითი კრიტერიუმია კონცეპტუალური იგივეობა წინადადებებს ან მათ შემადგენელ ნაწილებს შორის. ის რთული მიმართებები, რაც ექსტრალინგვისტურ ფენომენთა შორის არსებობს, აისახება რთულ სიგნიფიკატში და შემდეგ, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სინტაქსურ კონსტრუქციაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიგნიფიკატი უფრო კონცეპტუალური კატეგორიაა და არა ლინგვისტური. ამდენად, ჩნდება სინტაქსური კონსტრუქციების საერთო მნიშვნელობის იდენტიფიკაციის ფორმალური კრიტერიუმების განსაზღვრის საჭიროება.

ნაშრომი წარმოადგენს სინტაქსური სინონიმიის ცნების იმგვარი განსაზღვრის მცდელობას, რაც საშუალებას იძლევა, წარმოჩენილ იქნეს მისი, როგორც სამეტყველო-ენობრივი მოვლენის, ნიშნობრივი არსი და ფუნქციონირების განპირობებულობა პრაგმატიკულ და ფსიქოლინგვისტურ ფაქტორთა ერთობლიობით. კვლევის ობიექტად აღებულია მხატვრულ ტექსტის პერსონაჟთა დისკურსი მასში სინტაქსური სინონიმიის გამოყენების თვალსაზრისით. სინტაქსურ სინონიმურ კონსტრუქციათა შორის არჩევანის ლინგვო-პრაგმატიკული და ფსიქოლინგვისტური მოტივების კვლევა იძლევა საინტერესო კანონზომიერებების გამოვლენის საშუალებას.

## 2. პრობლემის აქტუალურობა

სადისერტაციო ნაშრომის პრობლემატიკა აქტუალურად უნდა ჩაითვალოს შემდეგი მოსაზრებებიდან გამომდინარე:

1. საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებაში დომინანტური, კომუნიკაციური პარადიგმის პროდუქტია. ამ

პარადიგმის მიხედვით, სამეტყველო კომუნიკაციის პროცესი წარმოადგენს ზოგადად ადამიანის აქტივობის ერთ-ერთ გამოვლინებას. კომუნიკაციის ინტერაქტიული მოდელი წინა პლანზე სწევს ურთიერთქმედებას, რომელიც მოქცეულია სიტუაციის სოციო-კულტურულ კონტექსტში. შესაბამისად, ყურადღება ფოკუსირებულია სამეტყველო ქმედების სხვადასხვა ასპექტზე. კომუნიკაცია აღიქმება როგორც ორი სუბიექტის თანამონაწილეობა ტექსტისქმნადობასა და აღქმაში, როგორც მნიშვნელობათა დემონსტრი-რებისა და მათი ინტერპრეტაციის ერთობლივ პროცესში.

2. საკომუნიკაციო კომპეტენცია მოიცავს სუბიექტის იმ ცოდნასა და უნარს, რომელიც მას საშუალებას აძლევს, გამოიყენოს მისთვის, როგორც სოციო-კულტურული კოლექტივის წევრისათვის, ხელმისაწვდომი ყველა სემიოტიკური სისტემა. ასეთი ცოდნა უდავოდ ეხება დისკურსის დონეს, სადაც ენა მოქმედებს ღია სისტემის სახით და გამუდმებით ურთიერთქმედებს თავის გარემოცვასთან. ასე რომ, ის წარმოადგენს პრაგმატიკული ცოდნის მაგალითს და მოიცავს სინტაქსურ და სემანტიკურ ცოდნას, როგორც მის ნაწილებს.

3. სინტაქსისა და სემანტიკის ის ცნებითი კატეგორიები და კონკრეტული დებულებები, რომლებსაც მნიშვნელოვანწილად ეფუძნება წარმოდგენილი დისერტაცია, ინარჩუნებს აქტუალურობას, მიუხედავად ამ საკითხების კვლევის ხანგრძლივი ისტორიისა. ისეთი პრობლემები, როგორიცაა, ერთის მხრივ, სინტაქსურ კონსტრუქციათა და, კონკრეტულად, წინადადების სტრუქტურის ანალიზი, ხოლო მეორეს მხრივ – სინონიმია, როგორც მიმართება ენობრივი ნიშნის გამოხატულებისა და შინაარსის პლანს შორის, კვლავაც რჩება ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში. ამასთან ერთად, ხდება ენობრივი მოვლენების გადააზრება ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ჭრილში კომუნიკანტთა საკომუნიკაციო კომპეტენციის და ინტენციების გათვალისწინებით.

4. და ბოლოს, წარმოდგენილ დისერტაციას განსაკუთრებულ აქტუალურობას სძენს ის ფაქტი, რომ მასში ენობრივი ფორმის გამოყენება განხილულია როგორც კომუნიკანტთა ინტერაქტიულობის გამოვლინება. შესაბამისად, სინტაქსური სინონიმია წარმოგვიდგება როგორც ენობრივ-პრაგმატიკული და ფსიქოლინგვისტური ფაქტორებით განპირობებული მეტყველი სუბიექტის არჩევანი, რომელიც ოპტიმალურად უზრუნველყოფს მისი კომუნიკაციური ინტენციის წარმატებით განხორციელებას.

## 3. კვლევის მეთოდოლოგია და გამოყენებულ მეთოდთა სისტემა

სინტაქსური სინონიმიის განხილვა მეტყველი სუბიექტის საკომუნიკაციო კომპეტენციასთან მიმართებში განხორციელებულია კვლევის ლინგვოსემიო-ტიკური მეთოდოლოგიით ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ჭრილში, რაც თავის მხრივ განაპირობებს ინტერდისციპლინურ მიდგომას პრობლემისადმი. ნაშრომში გამოყენებულია ზოგადი და კერძო (ინგლისური) ენათმეცნიერების, კომუნიკაციური ლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, ლინგვისტური პრაგმატიკის, დისკურსის და სამეტყველო აქტების თეორიების ფარგლებში შემუშავებული მიდგომები, რაც იძლევა შესაძლებლობას, წარმოჩინდეს ჩვენთვის საინტერესო ლინგვისტური ფენომენის მრავალგანზომილებიანი ბუნება როგორც პარადიგმატულ, ისე სინტაგმატურ ჭრილში. აღნიშნული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ემპირიული მასალის კვლევა წარმოებს სისტემურ-სტრუქტურული, კონტექსტურ-სემანტიკური, ტრანსფორმაციული, სოციო-კულტურული და სტილისტური ანალიზის კონკრეტული მეთოდების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების საიმედოობას.

## 4. ნაშრომის სიახლე

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს, როგორც სტრატეგიული კომპეტენციის სრულიად ახალი, სინტაქსური ასპექტის წარმოჩენასა და კვლევაში, ასევე სინტაქსური სინონიმიის, ტრადიციულისგან განსხვავებულ, კომუნიკაციურ-ფუნქციურ ხედვაში. უფრო კონკრეტულად, სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ:

1. ნაშრომში საკომუნიკაციო სტრატეგიების კვლევა სინტაქსური კონსტრუქციების მაგალითზე ხორციელდება რთული ანუ პროპოზიციული ნომინაციის დონეზე, მაშინ როდესაც ამ ფენომენის შესწავლისას დღემდე მკვლევართა ყურადღება ფოკუსირებული იყო ლექსიკურ ერთეულთა მარტივ ნომინაციაზე.
2. ნაშრომში შემუშავებულია სინტაქსური სინონიმიის ახლებური დეფინიცია იმ ძირითადი სინტაქსურ-სემანტიკური და კომუნიკაციურ-პრაგმატიკული პარამეტრების მითითებით, რომელთა ერთობლიობაც მის სპეციფიურ ნიშნობრივ არსს წარმოაჩენს და სინტაქსურ

კონსტრუქციათა სინონიმურობის კრიტერიუმად გვევლინება. ამ ფენომენის დღემდე არსებული გამოკვლევები კი ვერ გვათავაზობს თავად ცნების დამაკმაყოფილებელ განსაზღვრებას ან კრიტერიუმებს, რომლებიც სინონიმთა იდენტიფიკაციას და გამოყენებას უზრუნველყოფდა კომუნიკაციის პროცესში.

3. ნაშრომი გვთავაზობს სინტაქსური სინონიმიის კომუნიკაციურ-ფუნქციურ გაგებას. შესაბამისად, ისინი განიხილება როგორც მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ინტენციის ხორცშესხმის საშუალება, რომელსაც ის იყენებს კომუნიკაციის წარმატებით განსახორციელებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყურადღება კონცენტრირებულია იმ ლინგვოპრაგმატიკული და ფსიქოლინგვისტური ფაქტორების გამოვლენასა და განზოგადებაზე, რომლებიც განაპირობებს მეტყველი სუბიექტის მიერ სინონიმურ კონსტრუქციათა შორის არჩევანის გაკეთებას.
4. ნაშრომში კომუნიკანტთა საკომუნიკაციო კომპეტენციასა და სინტაქსურ სინონიმიას შორის არსებულ მიმართებას განვიხილავთ როგორც კომუნიკანტთა ენობრივი შემოქმედების მაგალითს. მიგვაჩნია, რომ კომუნიკაციის პროცესში ენობრივი სუბიექტი აკეთებს არჩევანს მის ხელთ არსებულ საკომუნიკაციო სტრატეგიებს შორის, ხოლო არჩევანი კი, თუნდაც მინიმალური, შემოქმედებითი აქტია.

**ნაშრომის თეორიული ღირებულება ნაშრომის თეორიული ღირებულება** განისაზღვრება მასში შემუშავებული კონცეფციით, რომელშიც დადგენილია სინტაქსური სინონიმიის ფენომენის ლინგვოსემიოტიკური არსი მისი სტრუქტურულ-სემანტიკური, ფუნქციური, პრაგმატიკული და ფსიქოლინგვისტური თავისებურებების წარმოჩენით, რის შესაბამისადაც იგი განიხილება როგორც მეტყველი სუბიექტის საკომუნიკაციო სტრატეგია, წარმატებული კომუნიკაციის მიღწევის ოპტიმალური საშუალება. ამით, ჩვენი ნაშრომი მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ენის ზოგადი თეორიის სრულყოფაში.

**ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება** იმაში მდგომარეობს, რომ მისი შედეგები ადასტურებს სინტაქსური სინონიმიის სწავლების აუცილებლობას, განსაკუთრებით – ენის სწავლების უმაღლეს საფეხურზე, რადგან იგი წარმოადგენს წარმატებული კომუნიკაციის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას.

ნაშრომში მოცემული მასალა და კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინგლისური ენის სინტაქსის, სემანტიკის, კომუნიკაციური ლინგვისტიკის, ლინგვოპრაგმატიკისა და ფსიქოლინგვისტიკის სალექციო კურსებზე, სპეცკურსებსა და სემინარებზე. ემპირიული მასალის ჩვენს მიერ განხორციელებული სისტემურ-სტრუქტურული, კონტექსტურ-სემანტიკური და კომუნიკაციურ-პრაგმატიკული ანალიზი მეტყველი სუბიექტის სტრატეგიული კომპეტენციის წარმოჩენის მიზნით საინტერესო იქნება ასევე გამოყენებითი ენათმეცნიერების მკვლევართა, ენის სწავლებითა და შესწავლით დაინტერესებული პირებისათვის.

# თავი I

# საკომუნიკაციო კომპეტენცია და სტრატეგიული კომპეტენციის რაობა

## 1.1 წარმატებული კომუნიკაცია და საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება

### *1.1.1 ენობრივი კომუნიკაციის მოდელები*

საენათმეცნიერო კვლევის დიდი ნაწილი წარმოადგენს მცდელობას, შესწავლილ იქნეს ადამიანთა კომუნიკაციის რთული მოვლენა ენის მეშვეობით (Savignon 1983). უდავოა, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაშიც, რომელსაც შეიძლება კომუნიკაციური ლინგვისტიკაც ვუწოდოთ (ლებანიძე 2004), კომუნიკაციის არსის კვლევას, მისი ერთიანი მოდელების შექმნასა და ინტერპრეტაციას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

ენისა და კომუნიკაციის ურთიერთმიმართების კვლევის პროცესში კომუნიკაციის რამდენიმე განსხვავებული მოდელი შეიქმნა. კონკრეტულად რომელ მოდელს ეყრდნობა ესა თუ ის ენათმეცნიერი, მთლიანად განსაზღვრავს მის ამოსავალ დებულებებსა და კატეგორიებს და შესაბამისად, თეორიული განსჯის მიმართულებასაც. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ მოდელების დაწვრილებითი ანალიზი. გვსურს მხოლოდ ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ თითოეულ მოდელში განსხვავებულადაა განსაზღვრული სტატუსი ისეთი კატეგორიებისა, როგორიცაა *ინფორმაცია* და *კომუნიკაცია*. შესაბამისად, კომუნიკაციის ძირთადი მიზანიც მათში განსხვავებულადაა დანახული და აქედან გამომდინარე განსხვავებულია წარმატებული კომუნიკაციის გაგება და მისი განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების ჩამონათვალიც. ამ მიზნით ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ კომუნიკაციის სამ მოდელს, რომელთაც უდავოდ დიდი როლი შეასრულეს ამ საკითხის კვლევის პროცესში.

ა) <u>ინფორმაციულ-კოდური მოდელი</u>

ინფორმაციულ-კოდური მოდელი ამყარებს კავშირს „გამგზავნს“, „მიმღებს“, „შეტყობინებასა“ და „კოდს“ შორის. იგი ემყარება შენონისა და უივერის კიბერნეტიკულ სქემას (Shannon, Weaver 1949) და რომელმაც ძალიან ფართო გავრცელება ჰპოვა. ეს მოდელი ასე გამოიყურება:

ინფორმაციულ-კოდური მოდელი

სქემა 1.




მაშასადამე, ენა აქ განხილულია როგორც კოდი, ხოლო აზრსა და აკუსტიკურ სიგნალს (ზეპირი მეტყველების შემთხვევაში) შორის მიმართება მყარდება კოდირების და დეკოდირების პროცესების მეშვეობით. იდეალურ შემთხვევაში კოდირებული და დეკოდირების შედეგად მიღებული შეტყობინებები იდენტური უნდა იყოს, თუმცა ეს პრაქტიკულად არასოდეს ხდება. უდავოა, რომ სიგნალის გადაცემის პროცესში არის დანაკარგი, რისი კომპენსაციაც თავად სიგნალის ერთგვარი სიჭარბით ხდება (Cruse 2000: 6). აქ იგულისხმება ის, რომ ინფორმაცია სიგნალში არაერთგზისაა გადმოცემული ან მისი გამოცნობა შესაძლებელია სიგნალის სხვადასხვა ნაწილის საფუძველზე. მაშასადამე, ძირითადი ინფორმაციის რეკონსტრუქცია შესაძლებელია მაშინაც კი, თუ ადგილი აქვს მნიშვნელოვან დანაკარგს სიგნალის გადაცემისას.

ინფორმაციულ-კოდური მოდელის შემთხვევაში კომუნიკაციის მიზანია საერთო შეტყობინება ან სხვაგვარად, შეტყობინების ურთიერთგაზიარება [shared message], ხოლო ამ მიზნის მიღწევის პროცესი ემყარება საერთო კოდის არსებობას. ამდენად, ამ მოდელის მიხედვით კომუნიკაციის წარმატება პირდაპირაა დამოკიდებული კომუნიკანტთა ენობრივი ცოდნის იდენტურობაზე.

ენობრივი კომუნიკაციის ინფორმაციულ-კოდური მოდელის მთავარ ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ იგი შეტყობინებად განიხილავს მხოლოდ იმ აზრებს, რომლებსაც მოსაუბრე წინასწარგანზრახვით გადასცემს, მაგრამ გარდა იმ ინფორმაციისა, რისი გადაცემაც ავტორის ინტენციის შესაბამისად ხდება, არის ისიც, რაც შეიძლება მსმენელმა აღიქვას მიუხედავად იმისა, სურდა ეს მოსაუბრეს თუ არა (Schiffrin 1994: 391). აქედან გამომდინარე, უდავოა, რომ კომუნიკაციის პროცესში გამონათქვამის გაგება გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე სიგნალის დეკოდირება ანუ აკუსტიკური სიგნალის ენობრივ ხატად ქცევა (Макаров 2003: 35). ესე იგი კომუნიკაციის წარმატებისათვის საერთო კოდი ანუ ენობრივი ცოდნის იგივეობა არასაკმარისი პირობაა, რამეთუ რომელიმე კონკრეტული ენის ფონეტიკურ რეპრეზენტაციებსა და სემანტიკურ რეპრეზენტაციებს შორის ურთიერთშესაბამისობის ცოდნა ვერ უზრუნველყოფს კომუნიკანტთა მიერ შეტყობინების ადექვატურ ინტერპრეტაციას.

ბ) <u>ინფერენციული მოდელი</u>

ინფორმაციულ-კოდური მოდელის ზოგიერთი პრობლემის გადაჭრის მცდელობაა კომუნიკაციის ინფერენციული მოდელი, რომელსაც საფუძველი გრაისის იდეებმა ჩაუყარა. თუ კოდურ მოდელში მოუბარი გააზრებულად, წინასწარი განზრახვით გადასცემს რაღაც აზრს მსმენელს, ინფერენციულ მოდელში იგი (S) გარკვეულ, მისივე მიერ ნაგულისხმევ აზრს (გრაისი (Grice 1971: 77) ამას nonnatural meaning-ს უწოდებს) დებს X გამონათქვამში და სამჯერ ახდენს თავისი ინტენციის (ი) დემონსტრირებას:

($ი_1$) მას განზრახული აქვს X-ის წარმოთქმით გამოიწვიოს r რეაქცია A აუდიტორიაში

($ი_2$) მას სურს, A-მ ამოიცნოს მისი განზრახვა, ინტენცია ($ი_1$)

($ი_3$) მას ასევე სურს, რომ A აუდიტორიის მიერ ($ი_1$)-ის ამოცნობა გახდეს საფუძველი r-რექციისა (Strawson 1991: 293-294)

სამივე ამ ინტენციის განხორციელება აუცილებელია კომუნიკაციის წარმატებისათვის. მაშასადამე, ამ მოდელის მიხედვით კომუნიკაციის დაწყებას განაპირობებს არა ინფორმაციის ან შეტყობინების გადაცემის სურვილი, არამედ მეტყველი სუბიექტის სწრაფვა იმისკენ, რომ საკუთარი ინტენციები გასაგები გახადოს სხვებისთვის. აქედან გამომდინარე იცვლება ინტერსუბიექტურობის

ცნების გაგება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, უაღრესად მნიშვნელოვანია კომუნიკანტთა მიერ საერთო კოდის ფლობა. ამ შემთხვევაში კოდი მოიაზრება, როგორც მოსაუბრეთა და მსმენელთათვის საერთო პირობითობების ერთგვარი კრებული. კომუნიკანტებს ამ ვერსიით შეტყობინება გამოჰყავთ კონვენციების, სიგნალისა და კონტექსტის ცოდნის საფუძველზე (Sperber, Wilson 1995: 28). მათი „საერთო ცოდნის“ მნიშვნელოვან ასპექტად აქ ინფერენციული წესები (მაგალითად, გრაისის მაქსიმები) მიიჩნევა, რა თქმა უნდა ენობრივი კოდის წესების პარალელურად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმატებული კომუნიკაციის აუცილებელ პირობად მიჩნეული ცოდნა თავისი შინაარსით სცდება ენობრივი კოდის ფარგლებს და გარკვეული ექსტრალინგვისტურ კონვენციებსაც მოიცავს.

გ) <u>კომუნიკაციის ინტერაქტიული მოდელი</u>

კომუნიკაციის ინტერაქტიული მოდელი თვისობრივად განსხვავებულია ზემოგანხილული ორი მოდელისაგან, რამდენადაც იგი თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებაში დომინანტური კომუნიკაციური პარადიგმის პროდუქტია. ამ პარადიგმის მიხედვით კომუნიკაციის პროცესი წარმოადგენს ზოგადად ადამიანის აქტივობის ერთერთ გამოვლინებას და ამდენად „თავის შინაარსეულ სტრუქტურას იგი იღებს გარედან –თუ შეიძლება ასე ითქვას უფრო ფართო ადამიანური კონტექსტიდან“ (ლებანიძე 1997: 12). აქედან გამომდინარე, ინტერაქტიული მოდელი წინა პლანზე წამოსწევს ურთიერთქმედებას, რომელიც მოქცეულია სიტუაციის სოციალურ-კულტურულ პირობებში. აქ ყურადღება ფოკუსირებულია კომუნიკაციის, როგორც ქცევის, სხვადასხვა ასპექტზე. კომუნიკაცია აღიქმება, როგორც ორი სუბიექტის თანამონაწილეობა მნიშვნელობათა დემონსტრაციისა და მათი ინტერპრეტაციის ერთობლივ პროცესში (Макаров 2003: 39). იგი შეიძლება შედგეს მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა “მეტყველ სუბიექტს” ამის განზრახვა და მიუხედავად იმისა, არის თუ არა კონკრეტული გამონათქვამი გათვლილი იმაზე, რომ “მსმენელმა” აღიქვას. ჰოფმანი (იხ. Schiffrin 1994: 398) განასხვავებდა წინასწარგანზრახვით მიწოდებულ [information given] და უნებლიეთ მიწოდებულ ინფორმაციას [information given-off]. პირველი ტიპი მოიცავს იმ მნიშვნელობებს, რასაც მოუბარი გამოყოფს და აყალიბებს საკუთარი საკომუნიკაციო მიზნის შესაბამისად. მეორე ტიპის ინფორმაცია კი შეტყობინებამ შესაძლებელია მოუბარის მიზნისგან დამოუკიდებელად, ან სულაც მის საწინააღმდეგოდ გადასცეს მსმენელს.

ამიტომაც წინასწარგანზრახვით მიწოდებული ინფორმაციის წილი კომუნიკაციის პროცესში ძირითადად დამოკიდებულია მოუბარსა და მის ინტენციებზე; უნებლიეთ მიწოდებული ინფორმაციის წილი კი უფრო რეციპიენტზე, მის დაკვირვებულობაზე, აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარზეა დამოკიდებული. ეს ინტერპრეტაცია კი მუდმივი „მოლაპარაკებების“ პროცესში მიმდინარეობს, რაც სოციალური სინამდვილის კოლექტიური გააზრების გზით ინტერსუბიექტურობის მიღწევას გულისხმობს (Макаров 2003: 39).

ინტერაქტიული მოდელი მნიშვნელოვანწილად სიტუაციურადაა განპირობებული. ეს შეიძლება გამოიხატოს კომუნიკაციისა და ზოგადად მოქმედების არავერბალური ასპექტების გათვალისწინებაში, ფართო სოციალურ-კულტურული კონტექსტის გამოყენებაში. ამდენად, უდავოა, რომ ინტერაქტიული მოდელის მიხედვით, კომუნიკაციის წარმატებისთვის არასაკმარისია კომუნიკანტებს ჰქონდეთ საერთო ენობრივი კოდი. აქ მიზნის მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ცოდნისა და უნარ-ჩვევების ის ერთობლიობა, რომელიც მოიცავს კოდის ფლობას, როგორც ერთერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით. ის ცნება, რომელიც ალბათ ყველაზე უკეთ ასახავს ამ ერთობლიობას, არის *საკომუნიკაციო კომპეტენცია.*

### *1.1.2. საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება*

ტერმინი „საკომუნიკაციო კომპეტენცია“ ლინგვისტიკაში ჰაიმსმა შემოიტანა და იგი ჩომსკის მიერ დამკვიდრებული „ლინგვისტური კომპეტენციის“ ანალოგიით და მასთან შინაარსობრივი კონტრასტის ხაზგასმის მიზნით შეიქმნა. ამ ორ ცნებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რაც ზოგადად ენის ბუნებისა და ლინგვისტიკის ამოცანის ახლებური ხედვიდან გამომდინარეობს.

#### *1.1.2.1. ლინგვისტური კომპეტენცია*

ზოგადად კომპეტენცია ნიშნავს ამა თუ იმ დარგისათვის აუცილებელ საფუძვლიან ცოდნას. ენათმეცნიერებაში ამ ტერმინის შემოტანა დაკავშირებულია ამერიკელი ლინგვისტის ნ. ჩომსკის სახელთან. იგი ამტკიცებს, რომ „ენათმეცნიერების თეორიას პირველ რიგში აინტერესებს სრულიად ჰომოგენურ სამეტყველო კოლექტივში მყოფი იდეალური მოლაპარაკე

და მსმენელი, რომლებმაც თავიანთი ენა იციან სრულყოფილად და რომლებზეც ისეთი არარელევანტური ფაქტორები, როგორებიცაა მეხსიერების შეზღუდვა, დაბნეულობა, ყურადღებისა და ინტერესის გადატანა, შეცდომები (იქნება ეს შემთხვევითი თუ ჩვეულებითი), გავლენას არ ახდენს მათ მიერ ამ ენის ცოდნის რეალურ მოხმარებაში ჩართვის დროს (Chomsky 1965: 3). ცხადია, რომ აქ ავტორისათვის ამოსავალია იდეალიზაციის პრინციპი და, შესაბამისად, იგი საფუძველშივე მიჯნავს ერთმანეთისაგან კომპეტენციას [competence] (მოუბარისა და მსმენელის მიერ ენის ცოდნას) და შესრულებას [performance], ენის რეალურ გამოყენებას კონკრეტულ სიტუაციებში (ibid: 4). ჩომსკის ეს გამიჯვნა ფ. დე სოსიურისეულ დიქოტომიას მოგვაგონებს ენა [langue] – გრამატიკული სისტემა, და მეტყველება [parole] – ენის საზოგადოებრივი გამოყენება (de Saussure 1986). ამ ორი დიქოტომიის მსგავსება-განსხვავებების განხილვა არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თავად ჩომსკი აკავშირებს მათ ერთმანეთთან. იგი მიიჩნევს, რომ განსხვავებით სოსიურის ენისაგან, რომელიც პრინციპში ერთეულთა სისტემატიზირებულ ჩამონათვალს [systematic inventory of items] წარმოადგენს, კომპეტენცია აღნიშნავს წარმომშობი პროცესების სისტემას, რომელიც გარკვეულ წესებს ექვემდებარება [rule-governed system of generative processes] (Chomsky 1965: 4).

მაშასადამე, ენობრივი კომპეტენცია უნდა გავიგოთ, როგორც იდეალური მოუბრის ან მსმენელის ცოდნა, რომელიც საშუალებას აძლევს მას შექმნას და გაიგოს გრამატიკულად გამართული წინადადებები თავის ენაზე. ეს გაგება, ენაზე როგორც დახშულ სისტემაზე წარმოდგენასთან შესაბამისობაში, ეხება კოდის ცოდნას, რაც გულისხმობს იდეალური მოუბარი-მსმენელის უნარს, განსაჯოს წინადადების გრამატიკულობა-არაგრამატიკულობა კონტექსტის გარეშე. კომპეტენციის ჩომსკისეული განმარტება წარმოაჩენს უკიდურეს „გრამატიზმს“; იქ გათვალისწინებულია მხოლოდ ლინგვისტური მხარე და სრულიადაა უგულებელყოფილი ნებისმიერი სოციალური, სიტუაციური თუ პრაგმატული ფაქტორი. სემიოტიკის თვალსაზრისით, კომპეტენცია გულისხმობს სინტაქსის ცოდნას და სწორედ ამ მკვეთრად განსაზღვრულ ფარგლებში დიდი წარმატებები იქნა მიღწეული 60-70-იანი წლების ლინგვისტიკაში. ჩომსკი თავადვე აცხადებს, რომ რეალური ლინგვისტური შესრულების შესწავლისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მრავალი სხვადასხვა ფაქტორი და მოუბარი–

მსმენელის კომპეტენცია მხოლოდ ერთერთია ამ ფაქტორთაგან (ibid: 4). თუმცა შემდგომში მისი მსჯელობა ქმნის საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ყველაფერს, რაც კომპეტენციაში არ იგულისხმება სისტემური სოციო-ლინგვისტური და სტილისტური ვარიატულობის ჩათვლით, იგი შესრულების სფეროს განაკუთვნებს (Lyons 1996: 17). მაშასადამე, ჩომსკის თვალსაზრისით, ბუნებრივი ენის, როგორც წესებით რეგულირებადი სისტემის, ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი თვისებების შესწავლა შესაძლებელია სოციალური და სიტუაციური ფაქტორებით განპირობებული ვარიატულობის გათვალისწინების გარეშე. სწორედ ამას მიიჩნევს იგი ენის თეორიის მთავარ ამოცანად.

ჩომსკის შემდეგ ტერმინი კომპეტენცია ძალზე ფართოდ გამოიყენებოდა და გამოიყენება ენათმეცნიერებაში, თუმცა სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა მნიშვნელობით. ლინგვისტები მოიხსენიებენ 'სასაუბრო კომპეტენციას' (Ochs Keenan 1974), 'სოციალურ კომპეტენციას' (Edmondson 1981), 'სოციოლინგვისტურ კომპეტენციას' (Ervin Tripp 1972), 'რეცეპტიულ/პროდუქტიულ (არა)კომპეტენციას' (Troike 1969).

*1.1.2.2. საკომუნიკაციო კომპეტენცია ჰაიმსის მიხედვით*

ლინგვისტური თეორიის ჩომსკისეულ ხედვას ჰაიმსი შეზღუდულად და არასრულად მიიჩნევს. იგი თვლის, რომ ლინგვისტური კომპეტენციის გაიგივება ენობრივი სტრუქტურის ცოდნასთან და ენობრივი სუბიექტის წარმოდგენა ყოველგვარი სოციოკულტურული მახასიათებლებისგან განყენებულად არ არის გამართლებული. გრამატიკულ ცოდნაზე არა ნაკლებ მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს ცოდნა იმისა, როდის ვილაპარაკოთ და როდის არა, რაზე ვისაუბროთ ვისთან, როდის, სად და როგორ (Hymes 1971: 277). ამდენად, აუცილებლადაა მიჩნეული ლინგვისტური კომპეტენციის ნაცვლად განვიხილოთ საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება, რაც აერთიანებს ყველაფერს, რაც უნდა იცოდეს მოუბარმა კულტურულად ღირებულ ვითარებაში წარმატებული კომუნიკაციის განსახორციელებლად (ibid: 103).

საკომუნიკაციო კომპეტენცია, რომელიც ენობრივი კომპეტენციის გაგებაზეა აგებული, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინტუიციური ცოდნა, რომელიც საშუალებას აძლევს ენობრივ სუბიექტს შექმნას და გაიგოს გამონათქვამები კონტექსტში. ლაიონზისეული ინტერპრეტაციით, ჰაიმსმა საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება შემოიტანა სუბიექტის იმ ცოდნისა და

უნარის აღსანიშნავად, რომელიც მას საშუალებას აძლევს გამოიყენოს ყველა ის სემიოტიკური სისტემა, რაც ხელმისაწვდომია მისთვის, როგორც მოცემული სოციო-კულტურული კოლექტივის წევრისათვის (Lyons 1977). ასეთი ცოდნა უდავოდ ეხება დისკურსის დონეს, სადაც ენა მოქმედებს ღია სისტემის სახით და გამუდმებით ურთიერთქმედებს თავის გარემოცვასთან. ასე რომ, ის წარმოადგენს პრაგმატული ცოდნის მაგალითს, რომლის ნაწილებია სინტაქსური და სემანტიკური ცოდნა.

ჰაიმსის აზრით, ენის გამოყენების ადეკვატური თეორია უნდა ითვალისწინებდეს შეფასების ოთხ განსხვავებულ სახეს, რომელთაგან მხოლოდ ერთია გრამატიკული იმ გაგებით, როგორც ეს ჩომსკის ესმოდა. იგი სვამს ოთხ შეკითხვას, რომლებიც მისი აზრით არსებითია არა მარტო ენის, არამედ კომუნიკაციის სხვა ფორმების შესასწავლადაც:

1. არის თუ არა რაიმე ფორმალურად შესაძლებელი [formally possible] (და თუ არის რა დონემდე)? ლინგვისტურ ტერმინოლოგიაში "ფორმალურად შესაძლებელი" უდაოდ გრამატიკულს ნიშნავს, მაგრამ ამასთანავე იგი შეიძლება გამოვიყენოთ სოციოკულტურული თვალსაზრისით (იხ. Savignon, 1983). ასე, რომ შეიძლება დავსვათ საკითხი არის თუ არა კონკრეტული აქტი ფორმალურად შესაძლებელი კონკრეტული კულტურის ნორმების ფარგლებში.
2. არის თუ არა რაიმე განხორციელებადი [feasible] არსებული საშუალებების გათვალისწინებით (და თუ არის რა დონემდე)? გამონათქვამს შეიძლება ახასიათებდეს ისეთი ნიშნები, როგორიცაა მრავალრიცხოვანი განშტოებები, ჩანართები, რაც ასეთ წინადადებებს უჩვეულოდ აქცევს. ამ შემთხვევაში ამოქმედდება მეხსიერების ან აღქმის შეზღუდულობასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ფაქტორები და შეუძლებელი ხდება გამონათქვამის მომენტალური გაგება ჩაწერისა და შემდგომი დეტალური ანალიზის გარეშე.
3. არის თუ არა რაიმე მისაღები იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც იგი გამოიყენება ან აღიქმება, ანუ არის თუ არა ეს ფორმა სათანადო [appropriate] (და თუ არის, რა დონემდე)? აქ საუბარია, ენობრივი სუბიექტის უნარზე მოახდინოს გამონათქვამის სწორი კონტექსტუალიზაცია, რაც კონტექსტის კონკრეტულ მახასიათებლებსა და ენობრივ ფორმებს შორის კავშირების ადექვატურ ცოდნას გულისხმობს. აქ შეიძლება

გაერთიანდეს უნივერსალური ლოგიკური პრინციპები და მისაღებობის ზოგადი პირობები, რასაც გრაისი სასუბრო იმპლიკაციას უწოდებს. აქვე უნდა გავაერთიანოთ ენის სისტემაში არსებული კონკრეტული ფონოლოგიური, გრამატიკული და ლექსიკური ვარიანტების ფლობა, რაც განაპირობებს ენით სარგებლობის კონკრეტულ კონტექსტში განხორციელებული არჩევანის სისწორეს.

4. არის თუ არა რაიმე რეალური ანუ მართლაც ხორციელდება თუ არა იგი (და თუ არის, რა დონემდე)? ტრანსფორმაციულ-გენერაციულ თეორიაში ეს ასპექტი აბსოლუტურად იგნორირებულია, რადგან გამოყენების სიხშირე არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს გრამატიკოსისთვის, რომელიც ძირითადად დაკავებულია საკითხით რამდენად შესაძლებელია ესა თუ ის ენობრივი მოვლენა. ამ ელემენტის უგულებელყოფა დაუშვებელია, რადგან რაიმეს რეალიზაციის ხარისხი აუცილებლად წარმოადგენს მისი შესაძლებლობის, განხორციელებადობის და დასაშვებობის შემადგენელ ნაწილს. ამ ასპექტის სერიოზული შესწავლა მხოლოდ კომპიუტერული ლინგვისტიკის და ენობრივ მონაცემთა ბაზების, ენობრივი თეზაურუსების შექმნის შემდეგ გახდა შესაძლებელი (Hymes 1971: 284-287)

*1.1.2.3. საკომუნიკაციო კომპეტენციის ინტერპრეტაციები*

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება მრავალი ენათმეცნიერის კვლევის საგნად იქცა. ბუნებრივია, რომ ამ ცნების დაზუსტებისა და სიღრმისეული ანალიზის მცდელობამ გამოიწვია გარკვეულწილად განსხვავებული, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი თეორიების ჩამოყალიბება. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს თავად ტერმინის და მისი დეფინიციის საკითხში. მაგალითად, ერვინ-ტრიპი საუბრობს „სოციოლინგვისტურ კომპეტენციაზე“ (Ervin Tripp 1972), სტერნი „საკომუნიკაციო კომპეტენციას“ აიგივებს „კომუნიკაციის უნართან“ [communicaitve abilities, communicative capacity] (Stern 1983), სავინიონი მის სინონიმურად იყენებს ტერმინს „ენობრივი ოსტატობა“ [language proficiency] (Savignon 1972), ბახმანი გვთავაზობს ტერმინს „ენობრივი კომუნიკაციის უნარი“ [communicative language ability] (Bachman 1990).

ჰაბერმასი საკომუნიკაციო კომპეტენციაზე საუბრობს, მაგრამ მისი დეფინიცია უფრო ჩომსკისეულ ხედვასთანაა ახლოს, ვიდრე ჰაიმსის ინტერპრეტაციასთან. იგი მიიჩნევს, რომ საკომუნიკაციო კომპეტენცია უნდა

დავუკავშიროთ იმ წესთა სისტემას, რომლებიც წარმოქმნის იდეალურ სამეტყველო სიტუაციას, და არა ენობრივ კოდებს, რომლებიც ენასა და უნივერსალურ პრაგმატიკას უკავშირებს რეალობაში არსებულ როლებრივ სისტემებს (Habermas 1970: 147). მისი განმარტებით საკომუნიკაციო კომპეტენცია იდეალური სამეტყველო სიტუაციის ხერხების სრულყოფილი ფლობაა. აქ აშკარაა მსგავსება ენობრივი კომპეტენციის ზემოგანხილულ ცნებასთან, რამდენადაც ჰაბერმასი საკომუნიკაციო კომპეტენციას აკავშირებს წესების სისტემასთან, რომელიც წარმოშობს იდეალურ საკომუნიკაციო სიტუაციას.

საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნების განსაზღვრის პროცესში სერიოზული ყურადღება დაეთმო კომპეტენციისა და შესრულების [competence vs. performance] ტრადიციული დიქოტომიის გააზრებას ამ ახალ, უკვე კომუნიკაციურ დონეზე. თავად ჰაიმსი ამტკიცებს, რომ საკომუნიკაციო კომპეტენციის გაგება დამოკიდებულია იმ ორი ასპექტის აღიარებაზე, რომლებიც ადრე მკვეთრად იყო გამიჯნული: ეს არის ინტუიტიური ცოდნა და გამოყენების უნარი. ეს გულისხმობს საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნებაში იმის ნაწილობრივ ჩართვას, რასაც ადრე შესრულება ერქვა, რამდენადაც ჩომსკის წარმოდგენით შესრულება იყო არა მარტო გამოყენების უნარი, არამედ რეალურად გამოყენება.

ფაქტობრივად ამ თვალსაზრისის გაშლას გვთავაზობენ კანალი და სუეინი (Canale and Swain 1980). კანალი ერიდება ტერმინი „შესრულების“ გამოყენებას მისი შესაძლო ინტერპრეტაციების მრავალფეროვნების გამო. იგი საუბრობს ფაქტობრივ კომუნიკაციაზე [actual communication] და განმარტავს მას, როგორც საკომუნიკაციო კომპეტენციის, ანუ კომუნიკაციისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევათა ერთობლიობის (მაგალითად, ლექსიკის, სოციოლინგვისტური პირობითობების ცოდნა და ა.შ.) რეალიზაციას გარკვეული კონტექსტუალური და ფსიქოლოგიური შეზღუდვების პირობებში. ამ შეზღუდვებში იგულისხმება მეხსიერებისა და აღქმის პრობლემები, დაღლილობა, მღელვარება და ა.შ (Canale 1983: 5). კანალი (ისევე, როგორც მანამდე კანალი და სუეინი) საკომუნიკაციო კომპეტენციას მიიჩნევს ფაქტობრივი კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს ნაწილად, მაგრამ თვლის, რომ იგი მხოლოდ არაპირდაპირ და არასრულად ვლინდება. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ საკომუნიკაციო კომპეტენცია მოიცავს არა მარტო ცოდნას, არამედ უნარ-ჩვევებსაც, რაც ტრადიციულად შესრულების სფეროს განეკუთვნებოდა.

განსხვავებულია უიდოუსონის (Widdowson 1983) ხედვა. იგი ერთმანეთისგან მიჯნავს საკომუნიკაციო კომპეტენციას და კომუნიკაციის ანუ პროცედურულ უნარს [communicative or procedural capacity]. პროცედურული უნარის განსაზღვრისას იგი ეყრდნობა დისკურსის ანალიზისა და პრაგმატიკის დებულებებს. საკომუნიკაციო კომპეტენციას უიდოუსონი განმარტავს, როგორც ლინგვისტურ და სოციოლინგვისტურ პირობითობათა ცოდნას, ხოლო პროცედურულ უნარში გულისხმობს ცოდნის ენობრივი მნიშვნელობის შესაქმნელად გამოყენების შესაძლებლობას. მისი აზრით ეს უნარი არ წარმოადგენს კომპეტენციის ნაწილს, არ გარდაიქმნება კომპეტენციად და რჩება მუდმივი შემოქმედებითობის მამოძრავებელ ძალად (ibid: 27). სწორედ ამ ინტერპრეტაციებიდან გამომდინარე უიდოუსონი მიიჩნევა პირველ ენათმეცნიერად, რომელმაც კომპეტენცია/შესრულების დიქოტომიის კვლევის პროცესში, შესრულებას ანუ ენის რეალურ გამოყენებას მეტი ყურადღება დაუთმო, ვიდრე კომპეტენციას (Bagaric, Djigunovic 2007: 95).

საინტერესოა აგრეთვე სავინიონის მიერ შემოთავაზებული დეფინიცია. იგი ამტკიცებს, რომ საკომუნიკაციო კომპეტენცია ეს არის ჭეშმარიტად კომუნიკაციურ გარემოში ფუნქციობის უნარი – ანუ გარემოში, სადაც ხორციელდება დინამიური ურთიერთქმედება, რომლის დროსაც ლინგვისტური კომპეტენცია უნდა მოერგოს ერთი ან მეტი თანამოსაუბრის მიერ მოწოდებულ როგორც ლინგვისტურ, ისე პარალინგვისტურ ინფორმაციას (Savignon 1972: 8). ამ განსაზღვრებაში აქცენტირებულია კომპეტენციის, როგორც უნარის (და არა ცოდნის) დინამიკური ინტერპერსონალური ბუნება და მისი დამოკიდებულება კონტექსტზე. სავინიონის თვალსაზრისით კომპეტენციაზე დაკვირვება, მისი შესწავლა, შეფასება და განვითარება მხოლოდ შესრულების მეშვეობით შეიძლება, რადგან ეს უკანასკნელი კომპეტენციის აშკარა გამოვლინებას წარმოადგენს.

ბელი საკომუნიკაციო კომპეტენციას უწოდებს ერთგვარ მიქსერს, რომელიც აბალანსებს არსებულ ენობრივ ფორმებს, შერჩეულს მოსაუბრის ენობრივ კომპეტენციაზე დაყრდნობით არსებული სოციალური ფუნქციების ფონზე, რომლებიც თავის მხრივ სოციალურ კომპეტენციაში შედის (Белл 1980: 282). ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით იგი გვთავაზობს საკომუნიკაციო კომპეტენციის შემდეგნაირ სქემას:

საკომუნიკაციო კომპეტენციის მოდელი სქემა №2




(ibid: 282)

ეს მოდელი გულისხმობს, რომ შეტყობინება სამჯერ უნდა გადამუშავდეს მისი შესაძლებლობის, დასაშვებობის თვალსაზრისით და, რომ ეს სამმაგი გადამუშავება შესაბამისობაშია სამ ურთიერთდამოკიდებულ კომპეტენციასთან. ამასთან, შესაძლოა საჭირო აღმოჩნდეს ერთი შეტყობინებისათვის ერთიდაიმავე შეკითხვის არაერთხელ დასმა. შეტყობინება შესაძლებელი უნდა იყოს არა მარტო ფორმის, არამედ მისი შინაარსის და გამართლებულობის თვალსაზრისით. ანალოგიურად, რამდენად დასაშვებია იგი, დამოკიდებულია მასზე მოქმედ სოციალურ ფაქტორებზე, მისი განხორციელებადობა კი იმ ფორმალურ საზღვრებზე, რომლებშიც მოსაუბრეს შეუძლია თავისი

შეტყობინების აგება. მაშასადმე, ბელი განიხილავს ენობრივი სუბიექტის საკომუნიკაციო კომპეტენციას, როგორც მის უნარს, აწონ-დაწონოს ფაქტების ჯგუფი ერთმანეთთან მიმართებაში, რათა ჩამოაყალიბოს შეტყობინება, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ სამ კრიტერიუმს და ამდენად, შეუძლია შეასრულოს მისაღები სამეტყველო აქტის ფუნქცია. ავტორი თავისი მოდელის მნიშვნელოვან ღირსებად მიიჩნევს მასში ფსიქოფიზიკური კომპეტენციის ჩართვას, რადგან იგი ესახება შესრულების, როგორც აღწერის დამოუკიდებელი ობიექტის, პრობლემის მოგვარებად. ამასთან, ბელი თვითონვე აღიარებს, რომ მოდელი წარმოდგენილი სახით რეალობის საკმაოდ უხეში ასახვაა (ibid: 280). იგი მიიჩნევს, რომ კომუნიკაციური კომპეტენციის შემდგომი შესწავლის პროცესში საჭირო იქნება საკომუნიკაციო სიტუაციის კომპონენტების ჩართვა ამ მოდელში. ამ მიზნისთვის ადექვატურად იგი ჰაიმსის SPEAKING-ის პარამეტრებს მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მოდელში განხილული სიტუაციური ელემენტების მოკლე მომოხილვა.

ჰაიმსმა ენობრივი კომუნიკაციის კომპონენტების იდენტიფიკაციისათვის შეიმუშავა 16 ელემენტისგან შედგენილი მოდელი, რომელიც სრულიად სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში და სხვადასხვა ტიპის დისკურსის ანალიზისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. საბოლოოდ მან შექმნა აკრონიმი **SPEAKING**, რომლის ქვეშ გააერთიანა 8 ჯგუფად შეერთებული ეს 16 ელემენტი (Hymes 1974: 55)

**S-** Setting and scene ანუ გარემო და სცენა. აქ გარემო აღნიშნავს ფიზიკურ ვითარებას (ადგილს, დროს), რომელშიც კომუნიკაციის აქტი ხორციელდება. სცენა უფრო ფსიქოლოგიური გარემოა, ანუ „კულტურული განსაზღვრება“ სცენისა (ibid: 55). იმავე ფიზიკურ გარემოში შესაძლებელია სხვადასხვა ფსიქოლოგიური ატმოსფერო შეიქმნას, მაგალითად სერიოზული ან სახუმარო, რაც განსაზღვრავს სიტუაციისათვის შესაფერისი ენობრივი ფორმების გამოყენებას.

**P** – Participants ანუ მონაწილენი, ადრესანტი და აუდიტორია. აქ შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს არა მხოლოდ მონაწილეთა საერთო რაოდენობა, არამედ აუდიტორიის დაყოფაც ადრესატად/ადრესატებად და დანარჩენ მსმენელებად.

**E** – Ends, რაც მოიცავს მიზნებსა და შედეგებს. ერთიდაიმავე გარემოში და იმავე აუდიტორიასთან შეიძლება ვისაუბროთ სხვადასხვა მიზნით, მაგალითად, აუდიტორიის გასახალისებლად, მათთვის საინტერესო ინფორმაციის მისაწოდებლად, ჭკუის დასარიგებლად და ა. შ. ამასთან შეიძლება მოუბარი და მსმენელი/მსმენელები სრულიად განსხვავებული მიზნებით ჩაერთონ კომუნიკაციის პროცესში. მეორეს მხრივ, შედეგიც შეიძლება დაიყოს სავარაუდო და გაუთვალისწინებელ შედეგად.

**A** – Act sequence ანუ მოქმედების. ეს კომპონენტი გულისხმობს სამეტყველო აქტის ფორმას და სტრუქტურულ ორგანიზაციას. იგი მოიცავს ფორმას, მაგალითად, 20 წუთიანი მოხსენება, და შინაარსს, მაგალითად, ამ მოხსენების თემატიკას. ამასთან მოქმედების თანამიმდევრობას განეკუთვნება ისეთი დეტალები, თუ რა ეტაპზეა ნებადართული შეკითხვების დასმა ან მოსმენილის კომენტირება და ა.შ.

**K**- Key წარმოადგენს მანერას, რომლითაც ხორციელდება სამეტყველო აქტი. მაგალითისთვის: ერთიდაიგივე ლექცია შეიძლება წაკითხულ იქნეს მათემატიკური სიზუსტითაც და სახალისოდ, მსუბუქადაც.

**I** -Instrumentalities ანუ ინსტრუმენტები, რაც გულისხმობს არხებს და მეტყველების ფორმებს. იგი მოიცავს სალიტერატურო თუ დიალექტური ფორმების ან სხვადასხვა სამეტყველო სტილის გამოყენებას.

**N** - Norms ანუ ნორმები. ეს ეხება იმ სოციალურ პირობითობებს, რომლებიც დომინირებს მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში და მასში მონაწილეთა ქმედებებსა და რეაქციებს განსაზღვრავს. სწორედ ნორმების გათვალისწინებით ყალიბდება მსმენელთა მოლოდინი კონკრეტული სამეტყველო აქტის მიმართ.

**G** – Ganre ანუ ჟანრი. აქ განიხილება სამეტყველო აქტის ტიპი, სახე. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ლინგვისტური მიმდინარეობა სამეტყველო აქტების კლასიფიკაციისთვის განსხვავებულ ტერმინებს გვთავაზობს, თუმცა ამ ტაქსონომიების განხილვა ჩვენი მიზანი არ არის.

ჰაიმსის ამ უაღრესად საინტერესო მოდელის მოკლე მიმოხილვა ნათელყოფს, რამდენი ფაქტორი ურთიერთქმედებს ნებისმიერ საკომუნიკაციო სიტუაციაში. რასაკვირველია, კომუნიკაციის წარმატებისათვის ყველა მათგანის გათვალისწინებაა აუცილებელი. მაშასადამე, საკომუნიკაციო კომპეტენციის ადექვატური მოდელი უნდა ითვალისწინებდეს ყველა ზემოთ აღწერილ

კომპონენტს. ამიტომ აღნიშნავს ბელი, რომ საჭიროა SPEAKING-ის პარამეტრები მიეწეროს შესაბამის კომპეტენციას, განისაზღვროს კავშირები მათ შორის და შეძლებისდაგვარად დადგინდეს არის თუ არა მათ შორის იერარქიული კავშირები, ე.ი. არის თუ არა ზოგიერთი ამ პარამეტრთაგანი უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე დანარჩენები (Белл 1980: 280).

### 1.2. საკომუნიკაციო კომპეტენციის კომპონენტები

საკომუნიკაციო კომპეტენციის არსის კვლევამ განაპირობა მრავალი განსხვავებული მოდელის წარმოშობა. ამ მოდელთა ნაწილი გამოყენებითი ლინგვისტიკის წიაღში წარმოიშვა და მათში საკომუნიკაციო კომპეტენცია განიხილება, როგორც ენის სწავლების ან ტესტირების მიზანი. შესაბამისად ამ მოდელებში წინა პლანზე წამოიწია იმ ასპექტებმა, რომლებიც ფაქტობრივად უგულვებელყოფილია ჰაიმსისეულ ინტერპრეტაციაში (ამ საკითხებს ჩვენ კვლავ შევეხებით სტრატეგიულ კომპეტენციაზე საუბრისას). ყველა ამ მოდელის დეტალური ანალიზი სცდება ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებს, მაგრამ ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ წარმოგვედგინა ზოგიერთი მათგანის ძირითადი სტრუქტურა:

საკომუნიკაციო კომპეტენციის მოდელები

სქემა №3

| **მოდელის ავტორი** | **საკომუნიკაციო კომპეტენციის მოდელის კომპონენტები** | | | |
|---|---|---|---|---|
| კანალი და სუეინი (Canale and Swain 1980) | გრამატიკული კომპეტენცია | | სოციოლინგვისტური კომპეტენცია | სტრატეგიული კომპეტენცია |
| კანალი (Canale 1983) | გრამატიკული კომპეტენცია | დისკურსის კომპეტენცია | სოციოლინგვისტური კომპეტენცია | სტრატეგიული კომპეტენცია |

<table>
<tr><td>მანბი (Munby 1978)</td><td>ლინგვისტური კოდირება</td><td>ოპერირების დისკურსის დონე</td><td>სოციო-კულტურული ორიენტაცია</td><td>ენობრივი ცოდნის სოციო-სემანტიკური ბაზა</td><td></td></tr>
<tr><td>სტერნი (Stern 1983)</td><td>ენის ფორმების ინტუიციური ფლობა</td><td>ლინგვისტურ, კოგნიტურ, აფექტურ და სოციო-კულტურული მნიშვნელობების ინტუიციური ფლობა</td><td colspan="2">კომუნიკაციის პროცესში მონაწილეობის უნარი</td><td>ენის გამოყენების შემოქმედებითი უნარი</td></tr>
<tr><td rowspan="3">ბახმანი (Bachman 1990)</td><td colspan="4">ენობრივი კომპეტენცია</td><td rowspan="3">ფსიქო-ფიზიოლოგიური მექანიზმები</td><td rowspan="3">სტრატეგიული კომპეტენცია</td></tr>
<tr><td colspan="2">ორგანიზაციული კომპ.</td><td colspan="2">პრაგმატიკული კომპეტენცია</td></tr>
<tr><td>გრამატიკული ცოდნა</td><td>ტექსტუალური ცოდნა</td><td>ფუნქციური ცოდნა</td><td>სოციოლინგვ. ცოდნა</td></tr>
</table>

ამ მოდელთაგან განსაკუთრებული ზეგავლენა გამოყენებით ლინგვისტიკაში შემდგომ წარმართულ კვლევებზე კანალისა და სუეინის (Canale and Swain 1980) მიერ შექმნილმა, მოგვიანებით კი კანალის მიერვე მოდიფიცირებულმა მოდელმა მოახდინა. სწორედ ამ მიზეზით ჩვენც შევეცადეთ უფრო დაწვრილებით განვიხილოთ იგი. თუმცა არა ნაკლებ საინტერესოდ გვეჩვენება ბახმანის მიერ შემოთავაზებული მოდელიც, განსაკუთრებით სტრატეგიული კომპეტენციის მისეული ინტერპრეტაცია, ამიტომ შემდგომში მას კვლავ შევეხებით (Bachman 1990).

კანალისა და სუეინის მიერ შემოთავაზებული მოდელი საბოლოო სახით ცოდნისა და უნარის მინიმუმ ოთხ სფეროს მოიცავს: გრამატიკულ კომპეტენციას, სოციოლინგვისტურ კომპეტენციას, დისკურსის კომპეტენციას და

სტრატეგიულ კომპეტენციას. კომპეტენციის ამ ოთხი სფეროს არსისა და საზღვრების დადგენა უაღრესად საინტერესო საკითხია.

<u>ა) გრამატიკული კომპეტენცია</u>

კომპეტენციის ეს ტიპი შემოიფარგლება ენობრივი (ვერბალური და არავერბალური) კოდის ფლობით. ასე რომ, აქ იგულისხმება ენის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ლექსიკური მარაგი, სიტყვათწარმოება, წინადადებათა ფორმირება, წარმოთქმა, მართლწერა და ლინგვისტური სემანტიკა. ეს კომპეტენცია კონცენტრირებულია იმ ცოდნასა და უნარზე, რომელიც საჭიროა გამონათქვამის პირდაპირი მნიშვნელობის გადმოსაცემად და გასაგებად. აქ იგულისხმება ენობრივი სიზუსტე, რაც უცხო ენის შესწავლის მთავარი მიმართულება იყო საუკუნეების მანძილზე. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ გრამატიკული კომპეტენცია არის ენის ლექსიკური, მორფოლოგიური და ფონოლოგიური ნიშნების აღქმისა და მათი წინადადებების ასაწყობად გამოყენების უნარი. გრამატიკული კომპეტენცია არ არის ერთ კონკრეტულ გრამატიკულ თეორიასთან დაკავშირებული. ამდენად, გრამატიკული კომპეტენციის კანალის და სუეინისეული განმარტება ძალიან ახლოსაა იმასთან, რასაც ჩომსკი „ლინგვისტურ კომპეტენციას“ უწოდებს. ამიტომაც ზოგი მკვლევარი, მაგ. სავინიონი (Savignon 1983), სწორედ ამ ტერმინს იყენებს გრამატიკული კომპეტენციის სანაცვლოდ.

<u>ბ) სოციოლინგვისტური კომპეტენცია</u> განსაზღვრავს იმას, რამდენად მისაღებადაა ჩამოყალიბებული და გაგებული ესა თუ ის გამონათქვამი. აქ იგულისხმება შესაბამისობა სოციოლინგვისტურ კონტექსტთან ე. ი. ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა მონაწილეთა სტატუსი, ინტერაქციის ნორმები და პირობითობანი. იმავდროულად, გასათვალისწინებელია გამონათქვამის შინაარსიც და ფორმაც. თუ კონკრეტული კომუნიკაციური ფუნქცია (მაგ., ბრძანება, საყვედური, მიწვევა და ა.შ), დამოკიდებულება (თავაზიანობისა და ფორმალობის ჩათვლით) მოცემული სიტუაციისათვის მისაღებად ჩაითვლება, მაშინ გამონათქვამი შინაარსობრივად გამართლებულია; მაგალითად, გაუმართლებელია, თუ მიმტანი უბრძანებს კლიენტს რესტორანში, რა კერძი შეუკვეთოს მენიუდან, როგორც არ უნდა გამოხატოს მან ეს საკომუნიკაციო ფუნქცია (ბრძანება). გამონათქვამის ფორმა კი გამართლებულია მაშინ, როცა

მოცემული მნიშვნელობა გამოხატულია ვერბალური ან არავერბალური ფორმით, რომელიც შეესაბამება მოცემულ სოციოლინგვისტურ კონტექსტს. მაგალითად, თუ მდიდრული რესტორნის მიმტანი იღებს შეკვეთას, არაოფიციალური რეგისტრის, სლენგის გამოყენება ყოვლად გაუმართლებელია. კანალი და სუეინი სოციოლინგვისტური კომპეტენციის ჭრილში განიხილავენ ისეთ შემთხვევებს, როცა კომუნიკაციის წარმატებისათვის სასურველია კომუნიკანტმა გამოამჟღავნოს არაკომპეტენტურობა ან მაგალითად, გაჩუმდეს (Canale and Swain 1980). ბევრ კულტურაში, მაგალითად, მისაღებად ითვლება ყოყმანით საუბარი უფრო მაღალი რანგის პირებთან ურთიერთობისას. საინტერესოა, რომ მაგალითად, მ. სევილ-ტროიკი (Saville-Troike 1977) ამტკიცებს, რომ ზოგ შემთხვევაში უმჯობესია, თუ უცხოურ ენაზე მოსაუბრე არ შეეცდება მეტყველებით აბსოლუტურად დაემსგავსოს ინგლისურენოვან მოსაუბრეს. ხშირად სასურველია მათ გამოიყენონ უფრო ფორმალური რეგისტრი ან მეტყველების აკადემიური სტილი იმ სიტუაციებში, როცა არაფორმალური რეგისტრი უფრო მისაღებია დედა ენაზე მეტყველებისას. ეს იმიტომ, რომ მათი მეტყველება უნდა შეესაბამებოდეს დედა ენაზე მოსაუბრის წარმოდგენას უცხოელზე, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციის წარმატებას. ასე რომ, სოციოლინგვისტური კომპეტენციისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც საჭირო დისტანციის დაცვა, ისე ამ დისტანციის მიმანიშნებელი სიგნალების სწორად აღქმა.

ავტორების აზრით, სოციოლინგვისტური კომპეტენციის მნიშვნელობა კომუნიკაციის წარმატებისათვის განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. ჯერ ერთი, კომუნიკაციისას გამონათქვამის გრამატიკულ სისწორეზე არანაკლებ (ხშირად, მეტად) მნიშვნელოვანია რამდენად გამართლებული და მისაღებია იგი მოცემულ სიტუაციაში. ამას ენით სარგებლობის შესახებ არსებული ემპირიული მონაცემები ადასტურებს. მეორე ფაქტორია ის, რომ ხშირად პირდაპირი მნიშვნელობა და არავერბალური მინიშნებები (სოციოკულტურული კონტექსტი და ჟესტები) ვერ იძლევა საკმარის მასალას გამონათქვამის სოციალური მნიშვნელობის გასაგებად.

<u>გ) დისკურსის კომპეტენცია</u> ესაა უნარი, წარმატებულად განხორციელდეს გრამატიკულ ფორმათა და მნიშვნელობათა შერწყმა სხვადასხვა ჟანრის ზეპირი თუ წერილობითი ტექსტის მისაღებად. ტექსტის ერთიანობა მიიღწევა კოჰეზიითა

და კოჰერენტულობით. კოჰეზიაში ანუ ფორმის შეკრულობაში კანალი გულისხმობს იმას, თუ როგორაა დაკავშირებული გამონათქვამები სტრუქტურულად და რამდენად უწყობს ეს ხელს მთლიანად ტექსტის გაგებას (Canale 1983). ასე, მაგალითად, ისეთი საშუალებები, როგორიცაა ნაცვალსახელები, სინონიმები, ელიფსი, კავშირები და პარალელური სტრუქტურები კავშირს ამყარებს ცალკეულ გამონათქვამებს შორის და მიგვანიშნებს, როგორ უნდა იქნას აღქმული გამონათქვამთა ესა თუ ის ჯგუფი (ლოგიკურად თუ ქრონოლოგიურად) როგორც ერთიანი ტექსტი.

კოჰერენტულობა ანუ მნიშვნელობის ურთიერთშესაბამისობა ტექსტში გადმოცემულ სხვადასხვა მნიშვნელობას შორის ურთიერთობას ეხება. აქ შეიძლება ვიგულისხმოთ როგორც პირდაპირი მნიშვნელობები, ისე კომუნიკანტთა ინტენციები. ეს ინტერპრეტაცია ახლოსაა ამ ტერმინების მაკაროვისეულ დეფინიციებთან, სადაც კოჰეზია აღნიშნავს „დისკურსის ფორმალურ-გრამატიკულ შეკრულობას“, ხოლო კოჰერენტულობა ამასთან ერთად „დისკურსის აზრობრივი და ინტერაქტიული შეკრულობის სემანტიკურ და პრაგმატიკულ ასპექტებსაც“ მოიცავს (Макаров 2003: 195).

დისკურსის წესების ცოდნა და მისი წარმართვის უნარი საკმაოდ ადვილად გაემიჯნება გრამატიკულ კომპეტენციასა და სოციოლინგვისტურ კომპეტენციას. საილუსტრაციოდ განვიხილოთ ვიდოუსონის (Widdowson 1978) მაგალითი:

Speaker A: What did the rain do?

Speaker B: The crops were destroyed by the rain.

პასუხი აქ გრამატიკულადაც და სოციოლინგვისტურადაც გამართლებულია, მაგრამ არ ერგება კითხვას. აქ დარღვევა დისკურსის დონეზე ხდება, რადგან არაა გათვალისწინებული, რომ ინგლისური წინადადების სწორად ორგანიზებისას თემა (ძველი ინფორმაცია) წინ უნდა უსწრებდეს კომენტარს (ახალ ინფორმაციას).

ამდენად, დიკურსის კომპეტენციის მიხედვით უნდა მოხდეს გრამატიკულად და სოციოლინგვისტურად დასაშვები ფრაზების გადასინჯვა და გამოხშირვა.

<u>დ) სტრატეგიული კომპეტენცია</u> კანალისა და სუეინისეულ მოდელში მოიცავს ვერბალურ და არავერბალურ საკომუნიკაციო სტრატეგიებს, რომელთა

ამოქმედებაც ხდება არასაკმარისი კომპეტენციის ან გარკვეული პერფორმაციული ფაქტორების გამო კომუნიკაციის ჩაშლის საფრთხის საკომპენსაციოდ (Canale and Swain 1980: 30). თავის შემდგომ ნაშრომში კანალმა დამატებითი განზომილება შეიტანა ამ განსაზღვრებაში და დააზუსტა, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიები გამოიყენება აგრეთვე „კომუნიკაციის ეფექტურობის გაზრდისათვის“ (Canale 1983). მაშასადამე, იგი მიიჩნევს, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიები უნდა ამოქმედდეს ორ შემთხვევაში:

ა) თუ სრულფასოვან კომუნიკაციას აბრკოლებს კონკრეტული აქტისას წარმოქმნილი ხელისშემშლელი პირობები (მაგ. თუ მოსაუბრე ვერ იხსენებს საჭირო აზრს ან გრამატიკულ ფორმას) ან საკომუნიკაციო კომპეტენციის ერთ ან რამდენიმე ასპექტში არასაკმარისი კომპეტენტურობა;

ბ) თუ გვსურს უფრო ეფექტური გავხადოთ კომუნიკაცია (მაგ., მეტყველების განგებ შენელება ან შერბილება რაიმე რიტორიკული ეფექტის მისაღწევად).

მაგალითად, თუ ვინმეს არ ახსოვს რაიმე გრამატიკული ფორმა, ერთერთი საკომპენსაციო სტრატეგიაა პერეფრაზირება. თუ, დავუშვათ, ვინმეს არ ახსოვს რკინიგზის სადგურის აღმნიშვნელი სიტყვა ინგლისურად, მას შეუძლია გამოიყენოს პერეფრაზი “the place where trains go” ან “the place for trains”. ამ სტრატეგიების გამოყენება შეიძლება არა მარტო გრამატიკული პრობლემების გადასაჭრელად. ფაქტობრივი კომუნიკაცია მოითხოვს მოსაუბრისაგან თავი გაართვას სოციოლინგვისტური ხასიათის საკითხებს (მაგ., როგორ მივმართოთ ადამიანს, რომლის სოციალური სტატუსი ჩვენთვის უცნობია) ან დისკურსთან დაკავშირებულ პრობლემებს (მაგ., როგორ ააგოს აზრობრივად მთლიანი ტექსტი თუ არ იცის მისი შეკვრის წესები). საკომუნიკაციო სტრატეგიებში პერეფრაზის გარდა შედის გამეორება, ყოყმანი, გამოცნობა, მრავალსიტყვაობა ისე, როგორც რეგისტრისა და სტილის ცვლილებები.

სტრატეგიული კომპეტენციის ამ ინტერპრეტაციას სადავოდ მიიჩნევს ზოგიერთი სხვა ლინგვისტი. შემდეგი პარაგრაფი საკომუნიკაციო კომპეტენციის ამ კომპონენტის შემდგომ შესწავლასა და ცნების დაზუსტებას ეძღვნება.

## 1.3. სტრატეგიული კომპეტენცია და საკომუნიკაციო სტრატეგიების კლასიფიკაცია

### *1.3.1. სტრატეგიული კომპეტენციის ცნება*

სტრატეგიული კომპეტენცია, როგორც საკომუნიკაციო კომპეტენციის ერთერთი კომპონენტი, გამოყენებითი ენათმეცნიერების წიაღში გამოიყო. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი გაგება კომუნიკაციის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, სტერნი ეთანხმება კანალისა და სუეინის დეფინიციას და მიიჩნევს, რომ ენის შემსწავლელის საკომუნიკაციო კომპეტენცია დედაენაზე მეტყველის კომპეტენციისგან განსხვავებულად უნდა მოვიაზროთ (Stern 1983: 229). რადგან ენის შემსწავლელის დანარჩენი კომპეტენციები შეზღუდულია, ამიტომ ჩნდება დამატებითი უნარის ანუ სტრატეგიული კომპეტენციის განვითარების აუცილებლობა. ავტორის აზრით, რაც უფრო ვითარდება შემსწავლელის საკომუნიკაციო კომპეტენციის სხვა ასპექტები, მით უფრო მცირდება ამ დამატებითი ასპექტის მნიშვნელობა.

მოგვიანებით ამ ინტერპრეტაციებით დაუკმაყოფილებლობამ გამოიწვია სტრატეგიული კომპეტენციის ცნების გაფართოება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავად კანალმა შეიტანა მის დეფინიციაში კომუნიკაციის ეფექტურობის გაძლიერების დამატებითი ასპექტი.

სტრატეგიული კომპეტენციის ტაროუნისა და იულისეული განმარტებაც უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე კანალისა და სუეინის მიერ შემოთავაზებული. გარდა იმ სტრატეგიებისა, რომლებიც გამოიყენება კომუნიკაციის პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადასალახად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კიდევ ერთ ასპექტზე. ეს არის ზოგადი უნარი, წარმატებით გადასცეს ინფორმაცია მსმენელს ან მოახდინოს გადაცემული ინფორმაციის ინტერპრეტაცია (Tarone and Yule 1989: 103). ავტორების აღიარებით, ეს სფერო ძალიან მცირედაა შესწავლილი. საინტერესოა, რომ ისინი ყურადღებას ამახვილებენ როგორც ინფორმაციის გადაცემაზე, ისე მიღებულის ინტერპრეტაციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიების კვლევის თანამედროვე ეტაპზეც ყურადღება ძირითადად პროდუქტიულ

სტრატეგიებზეა გამახვილებული და რეცეპტული სტრატეგიები მნიშვნელოვანწილად უგულვებელყოფილია.

სტრატეგიული კომპეტენციის ბახმანისა და პალმერის განმარტება ბევრი თვალსაზრისით ახლოსაა ტაროუნისა და იულისეულთან, თუმცა აქ უკვე საუბარია ენობრივი კომპეტენციის გამოვლენისა და განხორციელების უნარზე კონტექსტუალიზებულ კომუნიკაციაში (Bachman and Palmer 1996). მათი განმარტებიდან ნათელი ხდება, რომ სტრატეგიული კომპეტენცია შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც უნარი, სწორად შევაფასოთ კონტექსტი და განვსაზღვროთ, თუ ენობრივი კომპეტენციის რომელი კომპონენტების გამოყენება იქნებოდა ყველაზე მიზანშეწონილი და ეფექტური ამ სიტუაციაში. მაშასადამე, ავტორები სტრატეგიულ კომპეტენციას აღიქვამენ, როგორც მეტაკოგნიტური კომპონენტების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას აძლევს ენობრივ სუბიექტს დაისახოს მიზანი, შეაფასოს საკომუნიკაციო წყაროები და დაგეგმოს კომუნიკაცია. მიზანი აქ გულისხმობს შესაძლო ქმედებების, ამოცანების ერთობლიობას, მათ შორის არჩევანის გაკეთებას და გადაწყვეტილებას, ვცადოთ თუ არა რომელიმე მათგანის განხორციელება. შემდეგი ეტაპია შეფასება, როცა ხდება ენის გამოყენების კონტექსტის დაკავშირება საკომუნიკაციო კომპეტენციის სხვა ასპექტებთან, მაგალითად თემატურ ცოდნასა და აფექტურ (ემოციურ) სქემებთან. დაგეგმვის ეტაპზე ენობრივი სუბიექტი გადაწყვეტს, როგორ განახორციელოს შერჩეული მიზანი ენობრივი ცოდნის და ენის გამოყენების პროცესის სხვა კომპონენტების მეშვეობით. ამ მოკლე მიმოხილვის საფუძველზეც კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ბახმანისა და პალმერის ინტერპრეტაცია სტრატეგიული კომპეტენციისა უფრო ღრმა და დეტალურად დამუშავებულია, ვიდრე ჩვენს მიერ მანამდე განხილული მოდელები.

ზოგადად სტრატეგიული კომპეტენციის ცნების გაგებასთან დაკავშირებული საკითხები უაღრესად მრავალფეროვანია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი მოიაზრება როგორც საკომუნიკაციო სტრატეგიათა ერთგვარი კონგლომერატი, უდავოა, რომ პირველ ყოვლისა პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას: რა არის საკომუნიკაციო სტრატეგია? ამ საკითხების კვლევაში, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, უდიდესი ყურადღება ეთმობოდა საკომუნიკაციო სტრატეგიების დეფინიციის, იდენტიფიკაციისა და კლასიფიკაციის პრობლემებს. თუმცა სამივე ეს საკითხი მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, ჩვენ შევეცდებით ისინი ცალ-ცალკე განვიხილოთ.

### *1.3.2. საკომუნიკაციო სტრატეგიების რაობა*

სტრატეგიული კომპეტენციის საკითხებთან დაკავშირებული ტრადიციული კვლევების დიდი ნაწილი საკომუნიკაციო სტრატეგიების არსებობას უკავშირებს სამ ძირითად ფაქტორს, რომლებიც ფაქტობრივად ყველა დეფინიციაში ფიგურირებს: მნიშვნელობის გადაცემისას არსებულ პრობლემას, მოსაუბრის მიერ სტრატეგიის გააზრებულად გამოყენებას და მის მიერვე ამ სტრატეგიების კონტროლს ე.ი. პრობლემატურობას, გააზრებულობას და წინასწარგანზრახვა/ კონტროლს. შევეცდებით უფრო დაწვრილებით განვიხილოთ თითოეული ეს ფაქტორი.

სტრატეგიული კომპეტენციის კვლევის ადრეულ ეტაპებზე ითვლებოდა, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიები იყო მიზნებსა და საშუალებებს შორის არსებული კონფლიქტის შედეგი (Corder 1983: 17) ე.ი. მათ განმარტავდნენ როგორც ენის შემსწავლელის სისტემატურ მცდელობას გადასცეს და მიიღოს მნიშვნელობა მეორე ენაზე ისეთ სიტუაციაში, სადაც შესაბამისი წესების სისტემა ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა (Tarone, Cohen and Dumas 1983: 5). ამ პერიოდში მკვლევარები საკომუნიკაციო სტრატეგიებს სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ, თუმცა ყველა მათგანში პრობლემატურობა რჩება ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად (იხ. Corder 1983, Faerch and Kasper 1983, Tarone 1983, Paribakht 1985). ამ მეცნიერთაგან ტაროუნის მიერ შემოთავაზებული განსაზღვრება უფრო ფართოა, ვიდრე დანარჩენები. ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ტაროუნის ინტერპრეტაცია ინტერაქტიულია, ანუ ეხება მოსაუბრეთა ორმხრივ მცდელობას შეთანხმდნენ მნიშვნელობაზე (Tarone 1983: 65). მიუხედავად ამისა ამ განსაზღვრებაშიც საუბარია სიტუაციებზე, როცა „საჭირო სტრუქტურები არ არის საერთო" ანუ პრობლემატურობა როგორც გადამწყვეტი ფაქტორი კვლავ წინა პლანზეა წამოწეული.

პრობლემატურობის ფაქტორზე ყურადღების ასეთი ფოკუსირება განპირობებული უნდა იყოს იმ ფაქტით, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიები ძირითადად შეისწავლებოდა, როგორც ენის შემსწავლელთა ენის ერთ-ერთი მახასიათებელი. უდავოა, რომ ენობრივი კომპეტენცია არც დედა ენაზეა სრულყოფილი. ამასთან ფერჩი და კასპერი საუბრობენ ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე, როგორიცაა მღელვარება ან დაღლილობა, რომლებსაც ასევე

შეუძლიათ დააბრკოლონ კომუნიკაცია კონკრეტულ სიტუაციაში (Faerch, Kasper 1983a). ყოველივე ამის მიუხედავად ნათელია, რომ უცხოურ ენაზე საუბრისას ადამიანი მაინც უფრო მეტ პრობლემას ხვდება, რადგან მისი კომპეტენცია ამ ენაში კიდევ უფრო შეზღუდულია, ვიდრე მშობლიურში. აქედან გამომდინარე, საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენების უფრო მეტი შემთხვევა ფიქსირდება, რომელთა შესწავლა და კლასიფიკაციაც ხდება.

თუნდაც დავეთანხმოთ განსაზღვრებას, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიები გამოიყენება, როცა კომუნიკაციაში პრობლემები წარმოიქმნება, ჩნდება ბუნებრივი შეკითხვა: რას ვუწოდებთ პრობლემას? პრობლემის განსაზღვრება, რომელიც ნაგულისხმევია ზემოთ მოყვანილ ნაშრომთა უმრავლესობაში, ჩამოყალიბებული სახით კლაუსსა და ბურთან გვხვდება. მათი ინტერპრეტაციით პრობლემა არის ინდივიდის მიერ იმის აღიარება, რომ მისი არსებული ცოდნა არასაკმრისია მიზნის მისაღწევად და აქედან გამომდინარე საჭირო ხდება ამ ცოდნის გავრცობა-გაღრმავება (Klaus and Buhr 1976). თუმცა აქვე საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ენის გამოყენების ვიდოუსონისეული განმარტება, რომ ეს არის „პრობლემების წყება, რომლებიც უნდა გადაწყდეს ადგილზევე ენობრივი სისტემების ცოდნისა და კომუნიკაციური სქემების გამოყენებით“ (Widdowson 1984: 234). მაშასადამე, შესაძლებელია ზოგადად ენის გამოყენების, მისი აქტუალიზაციის ყველა შემთხვევა „პრობლემურად“ მივიჩნიოთ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს პრობლემის ცნების გაცილებით უფრო ფართო ინტერპრეტაციასთან, რის გამოც საჭირო ხდება საკომუნიკაციო სტრატეგიების სხვა ჭრილში განხილვა.

ბევრი მეცნიერი ეთანხმება იმ თვალსაზრისს, რომ საჭიროა კომუნიკაციაში პრობლემატურობის ცნების მნიშვნელობის გაფართოება. ტაროუნი და იული გვთავაზობენ საკომუნიკაციო სტრატეგიების დეფინიციას, რომელიც არაა დაფუძნებული პრობლემატურობის ცნებაზე. მათთვის საკომუნიკაციო სტრატეგია არის იარაღი, რომელიც საშუალებას აძლევს კომუნიკანტს მოახდინოს გამონათქვამების ორგანიზება რაც შეიძლება ეფექტურად, რათა ინფორმაცია გადასცეს კონკრეტულ მსმენელს (Tarone and Yule 1989: 19). ბიალისტოკი შეუძლებლად მიიჩნევს ენის სტრატეგიული და არასტრატეგიული გამოყენების გამიჯვნას (Bialystok 1990). მისი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიები გვხვდება როგორც კომუნიკაციაში პრობლემებისას, ისევე მათ გარეშეც. აქ გამოხატული თვალსაზრისი მთლიანად ცვლის კვლევის მიმართულებას და ენის

შემსწავლელის ნაცვლად ყურადღების ცენტრში დედა ენაზე კომუნიკაციის ზოგიერთი ასპექტი აღმოჩნდება.

მეორე ფაქტორი, რომელიც ასოცირდება საკომუნიკაციო სტრატეგიებთან და ხშირად მოიხსენიება ტრადიციულ განსაზღვრებებში, არის გააზრებულობა [consciousness]. ფერჩი და კასპერი საუბრობენ ორი ტიპის ინტერენაზე (შუალედურ ენაზე): პრობლემურსა და არაპრობლემურზე (Faerch and Kasper 1983a). საინტერესოა, რომ პრობლემურობა აღიქმება ენის შემსწავლელის პოზიციიდან. ესე იგი, თუ ენის შემსწავლელი ვერ გრძნობს, რომ არსებობს შეუსაბამობა მის მიზნებსა და შესაძლებლობებს შორის, ავტორები ამ სიტუაციას განიხილავენ როგორც არაპრობლემურს, თუნდაც გამოყენებული ფორმა მცდარი იყოს. აქ ადგილი აქვს პრობლემატურობისა და გააზრებულობის ფაქტორების თანხვედრას. ნათელია, რომ მკვლევარები მხოლოდ იმ შემთხვევაში ადასტურებენ საკომუნიკაციო სტრატეგიების არსებობას, როცა ენის შემსწავლელს გააზრებული აქვს პრობლემის არსებობა და გაცნობიერებულ ნაბიჯებს დგამს ამ პრობლემის გადასალახად.

საკომუნიკაციო სტრატეგიების იდენტიფიცირებისათვის გააზრებულობის კრიტერიუმის გამოყენების იდეა ბევრის მიერ სადავოდაა მიჩნეული. ტაროუნი თვლის, რომ ქმედება შეიძლება გააზრებული იყოს მეტი ან ნაკლები ხარისხით და ეს არ არის აბსოლუტური კატეგორია (Tarone 1983). ფერჩი და კასპერი, რომლებიც უფრო დეტალურად შეისწავლიან გააზრებულობის საკითხს, ეთანხმებიან ტაროუნს და დამატებით იმასაც აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი ენობრივი დონის ელემენტები (მაგ. ლექსიკა) უფრო გააზრებულად შეირჩევა, ვიდრე სხვა დონეებზე (მაგ. არტკულაციის დონეზე) (Faerch and Kasper 1983b). ისინი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გააზრებულობის ხარისხი შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ინდივიდთან, ის შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს კიდეც, როცა ხდება გააზრებული სტრატეგიის ავტომატიზაცია. ყოველივე ამის გათვალისწინებით ფერჩი და კასპერი საკომუნიკაციო სტრატეგიებს აიგივებენ „პოტენციურად გააზრებულ გეგმებთან“, ე.ი. იმ გეგმებთან, რომლებიც ყოველთვის ან ზოგჯერ მაინც (ზოგიერთი მოსაუბრისთვის ან ზოგიერთ შემთხვევაში) გააზრებულია. როგორც ბიალისტოკი სამართლიანად აღნიშნავს, ეს დეფინიცია არ იძლევა საშუალებას, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ პოტენციურად გააზრებული გეგმები და ყველა დანარჩენი გეგმა და ამდენად, ძალიან ბევრი შეკითხვა რჩება უპასუხოდ

(Bialystok 1990). თავად ბიალისტოკს მოჰყავს კიდევ ერთი არგუმენტი გააზრებულობის, როგორც საკომუნიკაციო სტრატეგიების არსებობის განმსაზღვრელი ფაქტორის, გამოყენების წინააღმდეგ. მისი აზრით ბავშვები უდავოდ იყენებენ საკომუნიკაციო სტრატეგიებს, მაგრამ საზოგადოდ ითვლება, რომ ბავშვებს არ ძალუძთ ცნობიერ დონეზე აკონტროლონ თავიანთი კოგნიტური პროცესები.

იმ თვალსაზრისს, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიები ყოველთვის როდია გააზრებული, მხარს უჭერს აბდესლემიც (Abdesslem 1996). იგი არ სთხოვს ექსპერიმენტის მონაწილეებს, იმსჯელონ იმაზე, რატომ აირჩიეს ესა თუ ის სტრატეგია, რადგან მიიჩნევს, რომ ეს არჩევანი უმეტეს შემთხვევაში გაუცნობიერებლად ხდება. ამასთანავე ავტორი აცხადებს, რომ რთულია ესა თუ ის სტრატეგია მიაკუთვნო რომელიმე კონკრეტულ გამონათქვამს, რადგან ზოგიერთი ფრაზა ერთზე მეტ სტრატეგიას შეიცავს და მათგან ბევრი გაუაზრებელია (ibid: 51).

მესამე კრიტერიუმი, რომელიც ჩადებულია საკომუნიკაციო სტრატეგიების დეფინიციების უმრავლესობაში, არის წინასწარგანზრახულობა [intentionality] ანუ რწმენა, რომ მოსაუბრე აკონტროლებს სტრატეგიის არჩევის პროცესს და არჩევანი პირდაპირაა დამოკიდებული პრობლემის აღქმასთან (Bialystok, 1990: 5). ეს ფაქტორი უდავოდ ეფუძნება გააზრებულობის კრიტერიუმს, რადგან ითვლება, რომ მოსაუბრე არ შეიძლება აკონტროლებდეს სტრატეგიის არჩევას და გამოყენებას ისე, რომ არ ჰქონდეს ეს გააზრებული (თუმცა აქ კვლავ შეიძლება დავუბრუნდეთ მეტ-ნაკლები გააზრებულობისა და საწყის ეტაპზე გააზრებული სტრატეგიის თანდათანობითი ავტომატიზაციის საკითხებს). ამდენად, ზემომოყვანილი არგუმენტები აქაც ძალაში რჩება. წინასწარგანზრახულობის კრიტერიუმიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიების შერჩევა ხდება საკომუნიკაციო სიტუაციის კონკრეტული მახასიათებლების შესაბამისად. ასეთი მახასიათებლების რიცხვში ბიალისტოკი მოიხსენიებს ენის შემსწავლელის ენობრივ დონეს, ცნებას, რომლის გადაცემაც ხდება და სხვ. ამ საკითხებმა დიდი ინტერესი გამოიწვია საკომუნიკაციო სტრატეგიების შემსწავლელ მეცნიერთა შორის. პარიბახტი იკვლევს დამოკიდებულებას ენობრივ დონესა და საკომუნიკაციო სტრატეგიების არჩევანსა და სიხშირეს შორის. ამ გამოკვლევის შედეგებმა მას საშუალება მისცა, განეცხადებინა, რომ სხვადასხვა ენობრივი დონის მქონე კომუნიკანტები

ეყრდნობიან ცოდნის ერთსადაიმავე წყაროებს, მაგრამ სხვადასხვა პროპორციით იყენებენ მათ (Paribakht 1985: 141). იმავე გამოკვლევაში ნაჩვენებია, რომ ზოგიერთი საკომუნიკაციო სტრატეგია გამოიყენება მხოლოდ კონკრეტულ ცნებებთან მიმართებაში, ხოლო ზოგი – მხოლოდ აბსტრაქტულთან.

ბიალისტოკს მოაქვს მონაცემები თავისივე გამოკვლევიდან, რომელიც შეისწავლიდა არაფრანგულენოვანი სტუდენტების მიერ ფრანგულად საუბრისას გამოყენებულ სტრატეგიებს (Bialystok 1990). ავტორის დასკვნით, არის საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ენობრივი დონე გავლენას ახდენს საკომუნიკაციო სტრატეგიის არჩევანზე. მაღალი ენობრივი დონის სუბიექტები არჩევანს შეაჩერებენ უცხოურ ენაზე და არა მშობლიურზე დაფუძნებულ სტრატეგიებზე. თუმცა მეტი არგუმენტი იქნებოდა საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიების არჩევანი განპირობებულია საკომუნიკაციო სიტუაციის რაიმე მახასიათებლით. მაშასადამე, წინასწარგანზრახულობა, როგორც საკომუნიკაციო სტრატეგიების განმსაზღვრელი ფაქტორი, სადავოა.

საკომუნიკაციო სტრატეგიების ტრადიციულ განსაზღვრებებში მოხსენიებული ან ნაგულისხმევი სამი ძირითადი ფაქტორის მიმოხილვამ ნათელი გახადა, რომ ყველა მათგანი წინააღმდეგობრივია და არცერთ მათგანზე დაყრდნობით არ შეიძლება საკომუნიკაციო სტრატეგიების იდენტიფიკაცია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ისინი 'ჩვეულებრივი' ენობრივი პროცესების გაგრძელებას წარმოადგენს და მათი გამიჯვნა ფაქტობრივად შეუძლებელია.

ამავე თვალსაზრისს ადასტურებს მაკაროვი, როცა აცხადებს რომ ყველა მეტ-ნაკლებად სერიოზული გამოკვლევა კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში უკავშირდება საკომუნიკაციო სტრატეგიის ცნებას (Макаров 2003: 193). იგი მიიჩნევს, რომ, თუ ფორმალური ლინგვისტიკა ეყრდნობა წესებს, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, და განსაკუთრებით, პრაგმატიკა სტრატეგიებს ეფუძნება. შესაძლებელია სტრატეგიები განვიხილოთ, როგორც მოუბრის გადაწყვეტილებათა ერთგვარი ჯაჭვი, რომელიც აერთიანებს კომუნიკაციურ არჩევანს სხვადასხვა სამეტყველო ქმედებებსა და ენობრივ საშუალებებს შორის. ამავე დროს, ზოგჯერ საკომუნიკაციო სტრატეგიას აკავშირებენ მიზანთა გარკვეული ჯგუფის რეალიზაციასთან კომუნიკაციის სტრუქტურაში. უნდა დავეთანხმოთ მაკაროვს, რომ ეს ორი თვალსაზრისი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. უფრო მეტიც, ისინი ავსებს ერთმანეთს და ერთობლიობაში

უფრო ნათლად წარმოაჩენს ენობრივი ურთიერთობის მრავალდონიან და მრავალფუნქციურ ბუნებას. თითოეული გამონათქვამი, ისე, როგორც მათი მიმდევრობა დისკურსში, გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს, ბევრ სხვადასხვა მიზანს ემსახურება. კომუნიკაციის პროცესში ენობრივი სუბიექტი აკეთებს არჩევანს იმ საშუალებების სასარგებლოდ, რომლებიც მის მიზნებს მეტად შეესაბამება. მაშინ საკომუნიკაციო სტარტეგია გვევლინება, როგორც კოგნიტური პროცესი, რომელშიც ხდება კომუნიკაციური მიზნისა და კონკრეტული ენობრივი გამონათქვამის შეთავსებადობის დადგენა.

აგრეთვე უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება ჰ. სტერნის ინტერპრეტაცია, რომელშიც სტრატეგიული კომპეტენცია გაიგივებულია შემოქმედებით უნართან, რაც გულისხმობს როგორც წესთა არსებული სისტემის ნაყოფიერად გამოყენებას, ისე ახალი წესების შექმნას (Stren 1983: 344-349).

ტრადიციული გამოკვლევები უმრავლეს შემთხვევაში საკომუნიკაციო სტრატეგიების ამგვარ ფართო ინტერპრეტაციას არ ითვალისწინებს. ამდენად, მათი იდენტიფიკაციისა და კლასიფიკაციის საკითხების განხილვისას ჩვენ ხშირად მოგვიხდება საუბარი სტრატეგიებზე ვიწრო, ზემოგანხილულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული მნიშვნელობით.

### *1.3.3. საკომუნიკაციო სტრატეგიების იდენტიფიკაცია*

სანამ საკომუნიკაციო სტრატეგიების კლასიფიცირების მცდელობას შევუდგებით, აუცილებელია ისინი გამოეყოს ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებულ სხვა მონაცემებს ანუ მოხდეს მათი იდენტიფიკაცია. როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ჯერჯერობით არ არსებობს განსაზღვრება, რომელიც მათი ზუსტი იდენტიფიკაციის საშუალებას მოგვცემდა. ეს პრობლემა მრავალ გამოკვლევაშია წამოწეული წინა პლანზე. ტაროუნი და იული ამ სირთულის საფუძველს იმაში ხედავენ, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია დადგინდეს ესა თუ ის ფორმა ენობრივი სუბიექტისთვის სასურველი ფორმაა თუ მისი შემცვლელი (Tarone and Yule 1989). ამის შედეგად ჩვენ კვლავ საკომუნიკაციო სტრატეგიების განსაზღვრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვუბრუნდებით.

საკომუნიკაციო სტრატეგიების იდენტიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია გავიაზროთ განსხვავება ინტერპერსონალურ და ინტრაპერსონალურ თეორიებს შორის. კასპერისა და კელერმანის მიხედვით, საკომუნიკაციო სტრატეგიების

ინტრაპერსონალური (ანუ ფსიქოლინგვისტური) ინტერპრეტაცია გულისხმობს იმას, რომ პრობლემები და სტრატეგიის გამოყენების საჭიროება ვლინდება კოგნიტურ დონეზე. აქედან გამომდინარე, ხაზგასმითაა აღნიშნული ფარული, სიღრმისეული სტრატეგიების შესწავლის აუცილებლობა (Kasper and Kellerman 1999). რაც შეეხება ინტერპერსონალურ მიდგომას, იგი შეისწავლის საკომუნიკაციო სტრატეგიებს სოციალურ კონტექსტში და ამდენად, თავისთავადვე ნათელია, რომ ის ფოკუსირებულია სტრატეგიების გამოყენების აშკარად გამოვლენილ შემთხვევებზე. უაღრესად საინტერესოა ამ თვალსაზრისით ვაგნერისა და ფერსის გამოკვლევა. ისინი საკომუნიკაციო სტრატეგიებს განიხილავენ, როგორც კომუნიკაციაში მნიშვნელობის შექმნის უწყვეტი და დაუგეგმავი პროცესის ელემენტებს (Wagner and Firth 1999: 325). ამდენად, ისინი არ შეიძლება იყოს ფარული. მათ მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში საკომუნიკაციო სტრატეგიების იდენტიფიკაცია საკმაოდ ადვილია, რადგან მოსაუბრე მიანიშნებს არსებულ პრობლემაზე მკვლევრებსაც და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თანამოსაუბრესაც. აქ ხაზგასმულია აშკარა, ხილული ინდიკატორების აუცილებლობა, რომლებიც მოსალოდნელ სტრატეგიებზე მიანიშნებს, მაგალითად: “I don’t know how to say this” ან ყოყმანის, პაუზის ხანგრძლივობის ზრდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები ნაშრომის დიდ ნაწილს უთმობენ იმ შემთხვევების განხილვას, რომლებსაც ისინი „მიუნიშნებელ“ საკომუნიკაციო სტრატეგიებს უწოდებენ. აქედან გამომდინარე, ისინი აკეთებენ მეტად საინტერესო დასკვნას, რომ „მინიშნება“ კომუნიკაციაში არის ინდიკატორი მოსალოდნელი პრობლემის, ან მოსაუბრის ცნობიერებაში მიმდინარე დაგეგმვის პროცესის, ან კიდევ იმ ფაქტისა, რომ მინიშნებული ფრაზა რაიმე ნიშნით მარკირებულია. ალბათ შეიძლება ითქვას, რომ ამით ჩვენ ვუბრუნდებით საკომუნიკაციო სტრატეგიების განსაზღვრების გადაუწყვეტელ პრობლემას.

საკომუნიკაციო სტრატეგიების იდენტიფიკაციის პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება დავინახოთ აშკარა და ფარული ელემენტების კომბინაციაში (იხ. მაგ., Khanji 1996). აქ იდენტიფიკაცია ხდება ხუთ კრიტერიუმზე დაყრდნობით, რომლებიც ბასკარანის მიერაა შემოთავაზებული (Bhaskaran 1988). ეს კრიტერიუმებია:

1. შუალედური ენის სინტაქსში, ლექსიკურ არჩევანსა თუ დისკურსის აგებაში გამოვლენილი თვალშისაცემი გადახვევა სამიზნე ენის ნორმებიდან;
2. მოუბრის აშკარად გამხატული სურვილი, რომ მნიშვნელობა გადასცეს მსმენელებს, რაც ვლინდება დისკურსში გამოყენებულ ღია თუ ფარულ სიგნალებში;
3. აშკარა და ხშირად განმეორებადი მცდელობები შეტყობინების გადაცემის, გაზიარების ალტერნატიული გზების (შესწორებები, დახმარების თხოვნა და ა.შ.) ძიებისა;
4. მოუბრის კომუნიკაციურ ქცევაში გამოვლენილი პაუზები, ყოყმანი და სხვა ტემპორალური ნიშნები;
5. პარალინგვისტური და კინესთეტიკური ფაქტორების გამოყენება ენობრივი დანაკლისის შევსებისათვის.

როგორც ვხედავთ აქ გაერთიანებულია ნიშნები, რომლებიც მოსაუბრის მიერ შეიძლება არც იყოს „მინიშნებული“.

ნათელია, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიების შესწავლისადმი კოგნიტური მიდგომა შეიძლება სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს, რადგან ის წარმოადგენს გონებრივი პროცესების შესწავლის მცდელობას, ეს პროცესები კი არაა მკვლევრისათვის უშუალოდ ხელმისაწვდომი. ბიალისტოკის მიხედვით, თეორია, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ მეტ-ნაკლებად ზუსტად მოხდეს საკომუნიკაციო სტრატეგიების იდენტიფიკაცია, შემოთავაზებულია ფერჩისა და კასპერის მიერ (Faerch and Kasper 1983b). ტემპორალური ნიშნები, თვით-შესწორებები და წამოცდენილი ფრაზები - ესაა ის სამი მახასიათებელი, რომლებიც ენის სტრატეგიულ გამოყენებაზე მიანიშნებს. იგივე ბიალისტოკი მიიჩნევს, რომ ეს ყოველთვის ასე როდია და ყველა ამ ნიშნის არსებობა შეიძლება განპირობებული იყოს კოგნიტური მოვლენებით, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს საკომუნიკაციო სტრატეგიებთან (Bialystok 1990).

ტაროუნი და იულის მიერ შემოთავაზებული გამოსავალი რეტროსპექტულ კომენტარში მდგომარეობს. ისინი მიიჩნევენ, რომ კომუნიკანტებთან გასაუბრება მოგვცემს საჭირო ინფორმაციას გამოყენებული სტრატეგიების შესახებ (Tarone and Yule 1989). ეს ხერხი ეფუძნება იმავე დაშვებას, რომელიც ზემოთ უკვე იყო გაკრიტიკებული, კერძოდ კი იმას, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენება გააზრებულად ხდება. რა თქმა უნდა, არსებობს იდენტიფიკაციის ამ

მეთოდის სხვა უარყოფითი მხარეებიც. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ საყოველთაოდ ცნობილია ცდისპირთა post hoc მოგონებების ნაკლები საიმედოობა. ალბათ ამიტომაც გვთავაზობენ კასპერი და კელერმანი, მოვახდინოთ კვლევის ერთი მეთოდით მიღებული შედეგების გადამოწმება სხვა მეთოდების საშუალებით (Kasper and Kellerman 1999: 12).

მაშასადამე, თუ კვლევა არ ეფუძნება ხელოვნურად შექმნილი აშკარა ენობრივი პრობლემების (ჩვეულებრივ ლექსიკური პრობლემების) შემთხვევაში გამოყენებულ საშუალებებს, რჩება საკომუნიკაციო სტრატეგიების იდენტიფიკაციის ორი საშუალება. ერთის მხრივ ეს არის ინდიკატორები თავად კომუნიკანტის მეტყველებაში, მეორეს მხრივ კი – რეტროსპექტული კომენტარი. ორივე ამ საშუალების გამოყენებას თავისი შეზღუდვები აქვს, რომლებსაც ჩვენ უკვე შევეხეთ.

როგორც ეს მოკლე მიმოხილვა ცხადყოფს, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა როგორც საკომუნიკაციო სტრატეგიების განსაზღვრებასთან, ისე მათ იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. თამამად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ საკითხებისადმი სხვადასხვა სახის მიდგომა განსხვავებული ტაქსონომიების ჩამოყალიბებას გამოიწვევს.

### *1.3.4. საკომუნიკაციო სტრატეგიების კლასიფიკაცია*

ერთერთი დიქოტომია, რომელიც აზრთა გარკვეულ სხვადასხვაობას იწვევს, არის საკომუნიკაციო სტრატეგიები და სასწავლო სტრატეგიები. საკომუნიკაციო სტრატეგიების განსაზღვრებაზე ზემოთ ვისაუბრეთ. რაც შეეხება სასწავლო სტრატეგიებს, ამ ტერმინის ქვეშ აერთიანებენ იმ ხერხებს, რომელთაც ენის შემსწავლელი იყენებს სამიზნე ენის ფორმების დასამახსოვრებლად და ორგანიზებისათვის (Hawkins 1998). განსხვავება ამ ორ ცნებას შორის, ერთი შეხედვით, აბსოლუტურად ნათელი ჩანს, მაგრამ ფერჩი და კასპერი საუბრობენ მიღწევის სტრატეგიების პოტენციურ „სასწავლო ეფექტზე“ (Faerch and Kasper 1983b: 82). ქორდერი ხაზს უსვამს, რომ რთულია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ენობრივი გადატანის (language transfer) სასწავლო სტრატეგია და სესხების საკომუნიკაციო სტრატეგია, რადგან მათ შორის განსხვავება მხოლოდ გამოყენების სიხშირეში მდგომარეობს (Corder 1983). კიდევ უფრო რთული გასავლებია მიჯნა, თუ გავითვალისწინებთ, რომ, როცა ნასესხობა ეფექტიანი, წარმატებული აღმოჩნდება, იგი ადვილად შეიძლება

დამკვიდრდეს მოსაუბრის ენაში, ე.ი. ხდება ამ ფორმის სწავლა. რ. ჰოკინსი განიხილავს შემთხვევას, როცა ენის შემსწავლელი მისთვის უცნობი სიტყვის გაგონებისას თანამოსაუბრეს თხოვს მის ახსნას (Hawkins 1998). როგორ უნდა განვიხილოთ ეს სტრატეგია, როგორც კომუნიკაციის წარმატებისკენ მიმართული (ანუ საკომუნიკაციო) თუ სიტყვის დამახსოვრებითვის გამიზნული (ანუ სასწავლო)?

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება, არის განსხვავება პროდუქტიულ და რეცეპტიულ სტრატეგიებს შორის. ამ უკანასკნელს ძალიან მცირე ყურადღება დაეთმო დღემდე არსებულ გამოკვლევებში, თუმცა ქორდერი აღნიშნავს, რომ რადგან კომუნიკაცია თანამშრომლობაზე დაფუძნებული საქმიანობაა, სავარაუდოა, რომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც პროდუქციული, ასევე რეცეფციული სტრატეგიები (Corder 1983: 15). ასე კი იშვიათად ხდება. ტაროუნი და სხვანი ცდილობენ თავიანთ განსაზღვრებაში გააერთიანონ რეცეპტიული სტრატეგიები და საკუნიკაციო სტრატეგიების კვლევისას საუბრობენ მნიშვნელობის გამოხატვის და დეკოდირების მცდელობებზე, თუმცა ამ ასპექტის დეტალურ ანალიზს ისინი სხვა მკვლევრებს მიანდობენ (Tarone, Cohen and Dumas 1983). მათი ნაშრომი, ისე, როგორც ყველა დანარჩენი ზემოგანხილულთაგან, კონცენტრირებულია პროდუქტიულ სტრატეგიებზე და თანაც, მხოლოდ საუბრისას გამოყენებულ სტრატეგიებზე. ამდენად, არცაა გასაკვირი, რომ ვანდერგრიფტი რეცეპციულ სტრატეგიებს „საკომუნიკაციო სტრატეგიების კონკიას“ უწოდებს (Vandergrift 1997). ეს შრომა ერთ-ერთია გამოკვლევათა იმ ძალიან მცირერიცხოვანი ჯგუფიდან, რომლებიც ინტერაქტიული მოსმენის პროცესში მსმენელთა მიერ გამოყენებულ სტრატეგიებს განიხილავს. ავტორი იმავდროულად ენობრივ დონესა და რეცეპტიული სტრატეგიების გამოყენებას შორის კორელაციასაც შეისწავლის.

არის კიდევ ერთი ასპექტი, რომელზეც უდავოდ უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ეს გახლავთ განსხვავება დედა ენაზე და უცხოურ ენაზე საუბრისას გამოყენებულ საკომუნიკაციო სტრატეგიებს შორის. ზემოთ ხშირად იყო საუბარი ენის შემსწავლელებზე და მათი ენის თავისებურებებზე. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ადრეულ ეტაპზე საკომუნიკაციო სტრატეგიების კვლევა ეყრდნობოდა ენის შემსწავლელთა ენობრივი მახასიათებლების გამოკვლევებს. ქორდერის განმარტებით, ენით სარგებლობისას ყველა იყენებს

სტრატეგიებს აზრის გადმოსაცემად, მაგრამ ამ სტრატეგიების აღქმას ჩვენ მეტ-ნაკლებად ვახერხებთ, როცა მოსაუბრე თავისთვის უცხო ენაზე მეტყველებს (Corder 1983: 15).

ტაროუნი ერთმანეთს ადარებს ინგლისურენოვანი და არაინგლისურენოვანი მოსაუბრეებისაგან შეკრებილ მასალაში გამოყენებულ საკომუნიკაციო სტრატეგიებს და ასკვნის, რომ გამონათქვამთა ზოგიერთი მახასიათებელი (მაგ. დეტალურობა) საერთოა მხოლოდ ინგლისურენოვანი მოსაუბრეებისთვის. მეორე მნიშვნელოვანი დასკვნა ამ გამოკვლევისა ისაა, რომ თუმცა ორივე ჯგუფი პრაქტიკულად ერთიდაიმავე სტრატეგიებს იყენებს, ისინი უპირატესობას სხვადასხვა ტიპს ანიჭებენ. მაგალითად, ინგლისურენოვანი მოსაუბრეები უფრო ხშირად იყენებენ პერეფრაზის სტრატეგიას, ვიდრე მეორე ჯგუფი (Tarone 1983). აქვე უნდა აღინიშნოს ბონგარტსის და პულისის უაღრესად საინტერესო სტატია, რომელიც იკვლევს რეფერენტულ კომუნიკაციას მშობლიურ და უცხოურ ენებში (Bongaerts and Poulisse 1989). ავტორები ასაბუთებენ, რომ აუცილებელია გავცდეთ სტრატეგიების ზედაპირული მახასიათებლების ანალიზის დონეს და დავაკვირდეთ იმ პროცესებს, რომლებიც მათ გამოყენებას უდევს საფუძვლად. მათი ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ, როცა კვლევის მეთოდი ერთიდაიმავე პრობლემის წინაშე აყენებს მშობლიურ და უცხო ენაზე მოსაუბრეებს, ისინი თავიანთ რეფერენტულ პრობლემებს პრაქტიკულად ერთნაირად აგვარებენ (ibid: 265). ამდენად, საკომუნიკაციო სტრატეგიების თეორია უნდა მოიცავდეს ორივე შემთხვევაში გამოყენებული სტრატეგიების ანალიზს. კანჯი (Khanji 1996), მოგვიწოდებს საკომუნიკაციო სტრატეგიების კლასიფიკაციისას ვიგოტსკისეული მოდელის გამოყენებისაკენ. იგი ამ მოდელის უპირატესობას იმით ასაბუთებს, რომ იგი თანაბრად ერგება მშობლიურ და უცხოურ ენაზე გამოყენებული სტრატეგიების აღწერას.

საკომუნიკაციო სტრატეგიების კლასიფიკაციისთვის აუცილებელია გამოიყოს კრიტერიუმები, რომელთაც დაეყრდნობა კლასიფიკაციის პროცესი. აქაც შეიძლება რამდენიმე განსხვავებულ კრიტერიუმზე ვისაუბროთ. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განხილული კრიტერიუმია ის, თუ რამდენად დიდია რისკი ამა თუ იმ სტრატეგიის განხორციელებისას. ამის მიხედვით ქორდერი (Corder 1983) გამოყოფს „რისკის აცილების“ [risk avoidance] და „რისკზე წასვლის“ [risk-running] სტრატეგიებს. ეს უკანასკნელი გულისხმობს შეტყობინების [message] გარდაქმნას, შეცვლას, მაგალითად ენობრივ გადართვას, როგორც ნასესხობის

ერთერთ სახეობას, პარაფრაზს, გავრცობას, პარალინგვისტურ ხერხებს და ა.შ. რაც შეეხება „რისკის აცილების“ სტრატეგიებს, ეს ცნება მოიცავს თემის გვერდის ავლას, შეტყობინების მიტოვებას ან შეკვეცას.

შეიძლება ითქვას, რომ რისკის ფაქტორი მოქმედებს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ფერჩისა და კასპერის კლასიფიკაციაშიც. შედეგად მიღებული ტაქსონომია მართალია, ჰგავს ზემოგანხილულს, მაგრამ უფრო დეტალურია და სახეზეა მცდელობა, რომ აქ გაერთიანდეს მოსაუბრის ცნობიერებაში უფრო ღრმა წვდომის შედეგად მიღებული ინფორმაციაც (Faerch and Kasper 1983b). ავტორების აზრით, კომუნიკაციაში მონაწილე მხარეებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ საკუთარი მიზნები, ამ მიზნიდან გამომდინარე უნდა შეაფასონ სიტუაცია და გააკეთონ არჩევანი მათთვის ხელმისაწვდომი ლინგვისტური საშუალებებიდან. ამ „დაგეგმვის ფაზის“ შედეგია უკვე თავად „გეგმა“, რომლის განხორციელებაც ხდება „შესრულების ფაზაში“. როცა მოსაუბრე გრძნობს მოსალოდნელ პრობლემას „დაგეგმვის ფაზაში“, მას ორი არჩევანი აქვს: თავის არიდება და მიზნის მიღწევისაკენ სწრაფვა. ამათგან პირველი მიზნად ისახავს, თავიდან აირიდოს იმ მარცხის რისკი, რაც შეიძლება მოუბარმა განიცადოს, თუ იქნება კომუნიკაციის მცდელობა. მეორე არჩევანი რისკზე წასვლის სხვადასხვა გზას აერთიანებს. მაშასადამე, საკომუნიკაციო სტრატეგიები გაყოფილია რედუქციულ და მიღწევის სტრატეგიებად. რედუქციული სტრატეგიები თავის მხრივ შეიძლება დავყოთ ფორმალურ და ფუნქციურ რედუქციულ სტრატეგიებად. სწორედ ამ უკანასკნელში აერთიანებენ ავტორები თემის გვერდის ავლას, შეტყობინების მიტოვებას ან შეკვეცას, ე.ი. სტრატეგიებს, რომლებსაც ქორდერის კლასიფიკაციაშიც ვხვდებით. ორივე ნაშრომში არის საუბარი იმ ფაქტზე, რომ ზღვარი სხვადასხვა სტრატეგიას შორის ყოველთვის როდია აშკარა და გამოკვეთილი. ქორდერი საუბრობს შეტყობინების მიტოვების მეტ-ნაკლებად ექსტრემალურ ფორმებზე (Corder 1983), ფერჩი და კასპერი კი თვლიან, რომ ეს უნდა განვიხილოთ როგორც კონტინიუმი. აქ შკალის ერთ ბოლოში გვაქვს შემთხვევები, როცა მოსაუბრე თითქმის ახერხებს იმის თქმას, რაც სურდა (მნიშვნელობის ჩანაცვლება), ხოლო მეორეში კი შემთხვევები, როცა ის პრაქტიკულად არაფერს ამბობს ამის შესახებ (თემის გვერდის ავლა) (Faerch and Kasper 1983b: 44). უნდა ითქვას, რომ მიჯნათა ასეთი ბუნდოვანება სხვა ქვეჯგუფებისთვისაცაა დამახასიათებელი. მაგალითად, ბიალისტოკი აკრიტიკებს საკომუნიკაციო სტრატეგიების ფორმალურ და

ფუნქციონალურ რედუქციულ სტრატეგიებად დაყოფის მცდელობას და აცხადებს, რომ ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავება ყოველთვის როდია ნათელი (Bialystok 1990).

მიღწევის სტრატეგიებში ფერჩი და კასპერი გამოყოფენ ორ ქვეჯგუფს: საკომპენსაციო და მოძიების სტრატეგიებს. ამასთან, ეს უკანასკნელი გამოიყენება, როცა პრობლემები ჩნდება უკანასკნელ, შესრულების ფაზაში (Faerch and Kasper 1983b). ალბათ გამართლებული იქნება მეტი ყურადღება დავუთმოთ საკომპენსაციო სტრატეგიებს, რადგან ისინი უფრო დეტალურადაა შესწავლილი ვიდრე სხვა კატეგორიები და ამასთან, განსაკუთრებით საინტერესოა ენის შესწავლის თვალსაზრისით. ქვემოთ მოყვანილია საკომპენსაციო სტრატეგიების ორი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ტაქსონომია:

საკომპენსაციო სტრატეგიები:

1) კოდური გადართვა ანუ პრობლემური ენობრივი ერთეულის მშობლიური (ან სხვა უცხოური ენის) ფორმით ჩანაცვლება;
2) ენათაშორისი გადატანა –დედა ენის (ან სხვა უცხოური ენის) ერთეულის გამოყენება, მაგრამ შესასწავლი ენისთვის დამახასიათებელი ჟღერადობით, ან მორფოლოგიური ნიშნების და ა. შ. დართვით.
3) ენისშიდა გადატანა - უცხოურ ენაში არსებული შემსწავლელისათვის უკვე ნაცნობი წესების და ერთეულების გამოყენება უცნობი ელემენტების ნაცვლად.
4) შუალედურ ენაზე აგებული სტრატეგიები
    ა. განზოგადება – უცნობი ერთეულის უფრო ზოგადი ნაცნობი მაგრამ უფრო ზოგადი მნიშვნელობის ერთეულით ჩანაცვლება, მაგალითად clothes ნაცვლად სიტყვისა shirt.
    ბ. პარაფრაზი – საჭირო ერთეულის ნაცვლად მისი განმარტების, აღწერის გამოყენება
    გ. სიტყვათწარმოქმნა – ერთგვარი შემოქმედებითი პროცესია, როცა შემსწავლელი საჭიროებისამებრ ქმნის არარსებულ ენობრივ ერთეულს, მაგალითად disposure ნაცვლად სიტყვისა disposal.
    დ. რესტრუქტურიზაცია – პრობლემის შემჩნევისას (დაგეგმვის ეტაპზე მოხდება ეს თუ განხორციელების) შემსწავლელი ხელახლა აყალიბებს შეტყობინებას.

5) თანამშრომლობითი სტრატეგიები –მოუბარი დახმარებისთვის მიმართავს თანამოსაუბრეებს.

6) არალინგვისტური სტრატეგიები – მოიცავს სხვადასხვა სახის პარალინგვისტურ საშუალებებს, მაგალითად საგანზე მითითება, როცა მისი სახელი მოცემული მომენტისთვის მიუწვდომელია (Faerch and Kasper 1983b).

ასევე საინტერესოა საკომუნიკაციო სტრატეგიების მეორე ჩამონათვალი:

| | |
|---|---|
| თავის არიდება: | თემის არიდება |
| | მესიჯის მიტოვება |
| | |
| პარაფრაზი: | მიახლოება |
| | სიტყვათწარმოქმნა |
| | გავრცობა |
| | |
| სესხება: | სიტყვასიტყვითი თარგმანი |
| | ენობრივი გადართვა |
| დახმარების თხოვნა | |
| მიმიკა (Tarone 1983) | |

როგორც ვხედავთ, ყველა სტრატეგია, გარდა ტაროუნის პირველი ორი კატეგორიისა, შეიძლება გავაერთიანოთ საკომპენსაციო სტრატეგიების კატეგორიაში. მსგავსებანი ამ ტაქსონომიებში თვალშისაცემია (ამიტომაც მეორე შემთხვევაში საჭიროდ აღარ მივიჩნიეთ სტრატეგიების განმარტება), თუმცა ტერმინები ზოგჯერ ერთმანეთისაგან განსხვავდება.

რა თქმა უნდა, ყველა ტაქსონომია როდი ეფუძნება მიღწევისა და თავის არიდების სტრატეგიებს შორის კონტრასტს ან რისკის ფაქტორს, როგორც მთავარ კრიტერიუმს. მაგალითად, ბიალისტოკის კლასიფიკაცია ეფუძნება საკომუნიკაციო სტრატეგიებისათვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროს ანუ ის საუბრობს მშობლიურენოვან და უცხოურენოვან სტრატეგიებზე.

| | |
|---|---|
| მშობლიურენოვანი სტრატეგიები: | ენობრივი გადართვა |
| | ფორინიზაცია/გაუცხოება |
| | ტრანსლიტერაცია |

| | |
|---|---|
| უცხოურენოვანი სტრატეგიები: | სემანტიკური სიახლოვე |
| | აღწერა |
| | სიტყვათწარმოქმნა (Bialystok, 1990) |

თავად ბიალისტოკი ადარებს მის მიერ შემუშავებულ კატეგორიებს ტაროუნისეულს და აღნიშნავს, რომ ისინი ბევრი თვალსაზრისით მსგავსია. ერთადერთი ქვეჯგუფი, რომელიც არ აქვს გამოყოფილი ტაროუნს, არის ფორინიზაცია ანუ გაუცხოება. აქ იგულისხმება მშობლიური ენის რაიმე კომპონენტის მოდიფიკაცია უცხოური ენის წესების მიხედვით.

საინტერესოა, რომ აქ განხილული ყველა ტაქსონომია ლექსიკურ პრობლემებთან დაკავშირებულ სტრატეგიებზეა ორიენტირებული. ლექსიკაზე ფოკუსირება განპირობებულია სწორედ პრობლემურობისა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული გააზრებულობის კრიტერიუმებით, რასაც ჩვენ უკვე შევეხეთ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გლანის გამოკვლევა, რომელიც რეტროსპექტული კომენტარის მეთოდს იყენებს (Glahn 1980). ამ ექსპერიმენტში ცდისპირები აღწერენ სურათს მათთვის უცხო ენაზე (ფრანგულად). შემდეგ ისინი ესაუბრებიან მკვლევარს აღწერისას მათ მიერ გამოყენებულ ლექსიკურ არჩევანსა და ზედსართავების მორფოლოგიურ მახასიათებლებზე. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ცდისპირები ძალიან დეტალურ კომენტარს აკეთებენ ლექსიკური ცოდნის პრობლემებთან დაკავშირებით, მაგრამ ვერ ახერხებენ მორფოლოგიურ არჩევანზე კომენტირებას მაშინაც კი, როცა ექსპერიმენტის მეორე ნაწილში მათ სთხოვეს სწორედ ზედსართავების მორფოლოგიაზე ყურადღების გამახვილება. ამ თხოვნამ ფაქტობრივად ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა ცდისპირთა ყურადღების კონცენტრაციაზე. აშკარაა, რომ დავალების შესრულებისას ცდისპირებს დასჭირდათ მთელი ყურადღების ფოკუსირება იმ ენობრივ მასალაზე, რომელიც ყველაზე დიდი ინფორმაციული დატვირთვის მატარებელია. შედეგად, იმ ყურადღების მოცულობა, რომლის გამოთავისუფლებაც მათ მორფოლოგიური მარკერების გაცნობიერებულად შერჩევისთვის შეძლეს, ძალიან მცირეა. მაშასადამე უნდა დავეთანხმოთ კასპერისა და კელერმანის დასკვნას, რომ თუ ენის შემსწავლელის ლექსიკური ცოდნა არაა მეტ-ნაკლებად დავალების ადექვატური, ხოლო კოგნიტური პროცესების კონტროლი საკმაოდ განვითარებული, მისი ყურადღების გამოთავისუფლება და გადანაწილება არ ხერხდება (Kasper and Kellerman 1999: 7). რა თქმა უნდა, ენის შემსწავლელები

მიმართავენ მორფოლოგიური და სინტაქსური პრობლემების მოგვარების სხვადასხვა ხერხს, მაგრამ ამ სტრატეგიების შესწავლა ტრადიციული მეთოდიკით არ ხერხდება. გაცილებით უფრო ადვილია ლექსიკური სტრატეგიების იდენტიფიკაცია. ბუნებრივია, რომ სტრატეგიული კომპეტენციის ეს ასპექტი საკმაოდ დეტალურადაა დამუშავებული, რასაც ზემოთ მოყვანილი ტაქსონომიების მრავალფეროვნებაც ადასტურებს.

ლექსიკური სტრატეგიების კვლევები შემდგომ ეტაპზე ლოგიკურად დაუკავშირდა, შეიძლება ითქვას, გადაიზარდა ე. წ. რეფერენტული სტრატეგიების კვლევაში. ეს ორი ტერმინი არ შეიძლება სინონიმურად ჩავთვალოთ, რადგან „ლექსიკური“ პრობლემის სემანტიკურ ხედვას გულისხმობს, ხოლო „რეფერენტული“ კი - პრაგმატიკულ ხედვას. პირველი მათგანი მიზნად ისახავს იმ ლექსიკური საშუალებების კვლევას, რომელთა გააქტიურებაც ლინგვისტური ცოდნის (ამ შემთხვევაში სიტყვათა მარაგის) უკმარისობის შემთხვევაში ხდება. მეორეს მხრივ, რეფერენტული კომუნიკაციის მკვლევართა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ის კოგნიტური სტრატეგიები, რომლებიც საფუძვლად უდევს მოუბარის გამონათქვამებს, მის მიერ სამეტყველო სიტუაციის მოთხოვნების შეფასებას და შესაბამის ცვლილებებს მიზნობრივ სტრატეგიულ ქცევაში. აქ ნაკლები ყურადღება ეთმობა იმ რეალურ ენობრივ რესურსებს, რომელთა საშუალებითაც ამ კოგნიტური სტრატეგიების განხორციელება ხდება.

სწორედ ამ ფსიქოლინგვისტური თვალსაზრისის გამოხატულებაა ბონგერტსისა და პულისის მიერ შემუშავებული ტაქსონომია, რომელიც მხოლოდ ორი სტრატეგიისგან შედგება. ესენია კონცეპტუალური (რომელიც მოიცავს ჰოლისტიკურ და ანალიტიკურ საკომუნიკაციო სტრატეგიებს) და ლინგვისტური (რომელიც შედგება მორფოლოგიური გარდაქმნისა და ტრანსფერის/გადატანის სტრატეგიებისგან) სტრატეგიები (Bongaerts and Poulisse 1989). კონცეპტუალური საკომუნიკაციო სტრატეგიები არის მცდელობა ცნების იმგვარი მანიპულაციისა, რომ მისი გადმოცემა შესაძლებელი გახდეს მოსაუბრის ხელთ არსებული ლინგვისტური საშუალებებით. ლინგვისტური საკომუნიკაციო სტრატეგიები ძირითადად დაკავშირებულია მოსაუბრის მიერ მშობლიური ან უცხო ენის წესებით მანიპულირებასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად ავტორების აზრით, ამ კლასიფიკაციის უპირატესობა სხვა მოდელებთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ იგი „ასახავს რეფერენტული კომუნიკაციის პროცესში

არსებულ განსხვავებებს“ და ფოკუსირებას უფრო ზედაპირულ ნიშნებზე არ ახდენს (ibid 1989: 255).

რასაკვირველია, შეიძლება ვისაუბროთ სხვა მოდელებზეც. ფროლი და ლანტოლფი ახდენენ საკომუნიკაციო სტრატეგიების რეორგანიზაციას ვიგოტსკისეული ფსიქოლინგვისტიკის საფუძველზე კონტროლის ცნებაზე დაყრდნობით (Frawley and Lantolf 1985). კონტროლში აქ იგულისხმება, თუ რა დამოკიდებულებაშია ინდივიდის სამეტყველო ქმედება მის უნართან, შეინარჩუნოს ამ სამეტყველო ამოცანებზე კონტროლი (Khanji 1996: 151). ავტორები ეთანხმებიან თვალსაზრისს, რომ კომუნიკაცია ნიშნავს სამეტყველო სიტუაციაში კონტროლის მოპოვებას. ამგვარად, ადამიანი თავდაპირველად მოიპოვებს კონტროლს ბუნებაზე ისეთი აშკარა, ხილული ქმედებებით, როგორიცაა მაგალითად ენის გამოყენება. ამ გზით იგი თანდათანობით ახერხებს საკუთარ თავზე კონტროლის მოპოვებას  და ენის გათავისებას. ამ თეორიის მიხედვით ინდივიდუალური ცნობიერების განვითარება დიდადაა დამოკიდებული გარემოს კონტროლირების სწავლაზე, ეს კი ენის გამოყენებით მიიღწევა. აქედან გამომდინარე საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენება სრულიად სხვა ჭრილში შეიძლება იქნეს აღქმული. ლიტერატურაში აღწერილ ყველა საკომუნიკაციო სტრატეგიას ავტორები სამ დიდ ჯგუფად აერთიანებენ:

- <u>საგნის რეგულაციის სტრატეგიები</u> გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მოუბრის ენობრივი ცოდნა არასაკმარისია და აქედან გამომდინარე, მის ენობრივ აქტივობას აკონტროლობს შუალედური ენა, როგორც საგანი.
- <u>სხვათა რეგულაციის სტრატეგიები</u> გამოიყენება, როცა უცხო ენაზე მეტყველ სუბიექტს კომუნიკაციის პროცესში აკონტროლებს მისი თანამოსაუბრე.
- <u>თვით-რეგულაციის სტრატეგიები</u> გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მოუბარი იყენებს ენობრივ ფორმებს, რათა ცნობიერად აკონტროლოს თავისი, როგორც სამეტყველო აქტის მონაწილის როლი, განსაზღვროს საკუთარი პოზიცია და აირიდოს თავიდან პასიური რესპონდენტის როლი თანამოსაუბრესთან ან შუალედურ ენასთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემული სამეტყველო სიტუაციიდან გამომდინარე ნებისმიერი ენობრივი სუბიექტის მეტყველებაში (მშობლიურ თუ უცხო ენაზე) შესაძლებელია სამივე ამ ტიპის სტრატეგიის შემცველი მონაკვეთების იდენტიფიკაცია. ეს ნიშნავს აგრეთვე, რომ თვით-რეგულაცია არ

არის ენობრივი კონტროლის მოპოვების საბოლოო საფეხური (Frawley and Lantolf 1985: 22).

სწორედ ფროლისა და ლანტოლფის ამ ტიპოლოგიას ეყრდნობა კანჯი (Kanji 1996), როდესაც სხვადასხვა მკვლევარის მიერ შემოთავაზებული ტაქსონომიების ანალიზს ფსიქოლინგვისტური პერსპექტივიდან ახდენს. ავტორი შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს:

საკომუნიკაციო სტრატეგიების ფსიქოლინგვისტური მოდელი

სქემა №4




როგორც ვხედავთ, საკომუნიკაციო სტრატეგიების კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ხდებოდა. ბუნებრივია, რომ შედეგად მრავალი მკვეთრად განსხვავებული ტაქსონომია შეიქმნა. ზოგადად შესაძლებელია, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ტაქსონომიები, რომლებიც მოიცავს ვარიანტებს ენობრივი შესრულების დონეზე და ისეთები, რომლებიც ფოკუსს

გამოყოფილი კატეგორიების განზოგადებულობასა და ფსიქოლოგიურ მიზანშეწონილობაზე/გამართლებულობაზე აკეთებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიების განხილვა ბევრ პრობლემასა და წინააღმდეგობასთანაა დაკავშირებული. პირველ ყოვლისა ეს თავად საკომუნიკაციო სტრატეგიების დეფინიციის საკითხს შეეხება. ერთის მხრივ, დღესდღეობით საყოველთაოდ აღიარებულია თვალსაზრისი, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენება არ შემოიფარგლება მხოლოდ ენობრივი ცოდნის ან არასაკმარისი კომპეტენციის შედეგად კომუნიკაციაში შექმნილი პრობლემებით. მეორეს მხრივ კი, ამ სფეროში არსებული გამოკვლევების მიმოხილვა ადასტურებს, რომ მათი უმრავლესობა, მაინც სწორედ საკომუნიკაციო პრობლემების დაძლევის ანუ საკომპენსაციო სტრატეგიებზეა ფოკუსირებული.

გარკვეული სირთულეებია დაკავშირებული საკომუნიკაციო სტრატეგიების იდენტიფიკაციასთანაც. დღემდე ამ მიზნით ჩვეულებრივ გამოიყენება კომუნიკაციის პროცესში ხელოვნურად შექმნილი პრობლემები, როცა სტარტეგიების საჭიროება უზრუნველყოფილია თავად ექსპერიმენტის პირობებიდან გამომდინარე. გარდა ამისა იდენტიფიკაციისთვის იყენებენ ინდიკატორებს კომუნიკანტთა მეტყველებაში და რეტროსპექტულ კომენტარს. ყველა ამ ხერხის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები ჩვენ ზემოთ მოკლედ მიმოვიხილეთ და ვაჩვენეთ, რომ არც ერთი მათგანის გამოყენება არ უზრუნველყოფს საკომუნიკაციო სტრატეგიების ზუსტ იდენტიფიკაციას.

რაც შეეხება საკომუნიკაციო სტრატეგიების კლასიფიკაციას, ამის მცდელობა ჩვეულებრივ უაღრესად განსხვავებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე ხორციელდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს იწვევს განსხვავებული და ზოგჯერ წინააღმდეგობრივი ტაქსონომიების წარმოშობას.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც ზემოთ მსჯელობა არ ყოფილა, და ეს ეხება საკომუნიკაციო სტრატეგიების სწავლების საკითხს. უნდა ისწავლებოდეს თუ არა ისინი, განსაკუთრებით უცხოური ენის სწავლებისას და თუ საჭიროა მათი სწავლება, როგორ უნდა მოხდეს ეს? ერთის მხრივ, უნდა დავეთანხმოთ უიდოუსონს, რომელიც თვლის, რომ მთავარი ამოცანაა სწავლისთვის საჭირო პირობების შექმნა, სტუდენტების მომზადება იმ სირთულეებთან გასამკლავებლად, რომელთა წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია (Widdowson 1984: 24). საკომუნიკაციო სტრატეგიების ამოქმედება

კი საჭირო სწორედ პრობლემების გადაწყვეტისას ხდება. მაშასადამე ლოგიკური იქნებოდა, რომ ისინი ენის შესასწავლ პროგრამებში იყოს გათვალისწინებული. მეორეს მხრივ, არსებობს მონაცემები, რომელთა თანახმად სტრატეგიული კომპეტენციის ზრდა ნეგატიურ გავლენას ახდენს ზოგადი ენობრივი დონის განვითარებაზე. ამდენად საკომუნიკაციო სტრატეგიების შესწავლა და ანალიზი უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია როგორც გამოყენებითი ენათმეცნიერების, ისე ენის სწავლების მეთოდიკის თვალსაზრისით. ამასთან უდავოა, რომ სტრატეგიული კომპეტენციის კვლევის თანამედროვე ეტაპზე ჩნდება კვლევის სფეროს გავრცობის აუცილებლობა. მხოლოდ ლექსიკური და თუნდაც რეფერენტული სტრატეგიების ანალიზი სრულ სურათს ენობრივი სუბიექტის საკომუნიკაციო კომპეტენციის სტრატეგიული კომპონენტის შესახებ ვერ მოგვცემს. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ კვლევამ შემდგომ, სინტაქსურ დონეზე გადაინაცვლოს.

# თავი II
# სინტაქსური სინონიმიის პრობლემა ენათმეცნიერებაში და სინონიმური სინტაქსური კონსტრუქციები

## 2.1. სინონიმიის პრობლემა ენათმეცნიერებაში

### *2.1.1. სინონიმიის ცნება ენათმეცნიერებაში*

სინონიმია ენათმეცნიერების ერთ-ერთი მეტ-ნაკლებად შესწავლილი სფეროა როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკის თვალსაზრისით. უდავოა, რომ ამ ფენომენის შესწავლას არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. სინონიმია ენის გამომსახველობითი საშუალებებით გამდიდრების ერთ-ერთი წყაროა. ამდენად, იგი განსაკუთრებით საინტერესოა მეტყველების კულტურის ამოცანათა გადაჭრის, მხატვრული ლიტერატურისა თუ ორატორული გამოსვლების ენისა და სტილის შესწავლის და სტილისტიკის პრობლემების ანალიზისათვის. სინონიმიის ცოდნა საშუალებას იძლევა ავხსნათ ენის განვითარების მიმართულებები, მისი სხვადასხვა ასპექტის ცვლის გზები და საშუალებები. ამასთან იგი ხელმისაწვდომს ხდის ენის გამომხატველობითი საშუალებების უმდიდრეს მარაგს, გვაძლევს მათი სისტემურად წარმოდგენის შესაძლებლობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც მშობლიური, ისე უცხო ენის შესასწავლად.

ენაში სინონიმიის ცნება ლექსიკოლოგიიდან მოდის, სადაც ეს მოვლენა დაწვრილებითაა შესწავლილი. მოგვიანებით კი გახშირდა ამ ტერმინის გამოყენება ფონეტიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში, თუმცა გამოკვლევათა დიდი ნაწილი მაინც ლექსიკურ ერთეულთა სინონიმიაზეა კონცენტრირებული და სხვა ტიპის სინონიმიის კვლევები მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა იმ ცნებათა სისტემასა და ამოსავალ კატეგორიებს, რომლებიც ლექსიკური სინონიმების შესწავლის შედეგად ჩამოყალიბდა. ეს ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ ზოგ შემთხვევაში ტერმინი „სინონიმია“ მხოლოდ ლექსიკური სინონიმიის მნიშვნელობით იხმარება. ამ თვალსაზრისით შესაძლოა განვიხილოთ რამდენიმე დეფინიცია. მაგალითად, დ. კრისტალის განმარტებით, სინონიმია არის ლექსიკურ ერთეულთა შორის არსებული მნიშვნელობის

იგივეობის მიმართება (Crystal 1988: 378). ზოგიერთი განსაზღვრება უფრო მრავლისმომცველია, რადგან არ არის ფოკუსირებული მხოლოდ ლექსიკურ ერთეულებზე. მაგალითად, პალმერი განსაზღვრავს სინონიმიას, როგორც „მნიშვნელობის იგივეობას“ (Palmer 1981: 88). თუმცა იქვე შემოთავაზებული მაგალითები (მაგ. *gala* და *festivity*), ცხადყოფს, რომ ავტორი სწორედ ლექსიკურ სინონიმიას გულისხმობს. ლექსემათა მნიშვნელობების იგივეობა უდევს საფუძვლად ჯ. ლიჩის მცდელობას სინონიმია კომპონენტური ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს. იგი ამტკიცებს, რომ ორი ერთეულის სინონიმურობა დასტურდება, თუ ორივე მათგანს ერთნაირი კომპონენტური დეფინიცია აქვს (Leech 1974: 97). მაგალითისთვის იგი ერთმანეთს ადარებს ორ ლექსიკურ ერთეულს:

*adult* : +ADULT +HUMAN

*grown-up*: +ADULT +HUMAN

შეიძლება გამოვყოთ სინონიმიის ცნების განსაზღვრებათა მეორე ჯგუფი, რომელთა ავტორები ცდილობენ გასცდნენ ლექსიკური სემანტიკის ფარგლებს. ნოვიკოვის განარტებით სინონიმია ენობრივ ერთეულებს შორის სემანტიკური ურთიერთობის ტიპია, რომელიც გულისხმობს მათ მნიშვნელობათა ნაწილობრივ ან სრულ თანხვედრას. იგი ახასიათებს ენის ლექსიკურ, ფრაზეოლოგიურ, გრამატიკულ, დერივაციულ სისტემებს (Новиков 1990: 446). ო. ახმანოვას განმარტებით კი სინონიმია არის სიტყვების, მორფემების, კონსტრუქციების, ფრაზეოლოგიური ერთეულებისა და ა.შ ძირითადი მნიშვნელობების თანხვედრა (ჩვეულებრივ განსხვავებული შეფერილობისა და სტილისტური მახასიათებლების შენარჩუნებით) (Ахманова 1966: 407). ორივე ამ დეფინიციაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ შესაძლებელია სინონიმიაზე საუბარი ენობრივი სისტემის სხვადასხვა დონეებზე. როზენტალი და ტელენკოვაც ანალოგიურ განსაზღვრებას აძლევენ სინონიმიის ცნებას და გამოყოფენ სინონიმიის შემდეგ სახეებს (Розенталь, Теленкова 1985: 278-280):

1. სიტყვათწარმოებითი (ანუ აფიქსალური) სინონიმია, რომელიც მოიცავს
   ა) პრეფიქსების სინონიმიას - იგულისხმება საერთო რეალური ან გრამატიკული მნიშვნელობის არსებობა, მაგ. Взреветь – зареветь (მოქმედების დაწყების საერთო მნიშვნელობასთან ერთად პირველ მათგანს აქვს დამატებითი ეფექტი – მოქმედების ინტენსიურობა);

ბ) სუფიქსთა სინონიმიას – ასეთია, მაგალითად, მოქმედების პროცესის გამომხატველი სუფიქსები (Нарезание – нарезка), სინონიმური სუფიქსების მქონე ზედსართავი სახელები (апельсиновый – апельсинный) და ზმნები (жулить – жульничать), კუთვნილებითი მნიშვნელობის მქონე ზედსართავების დაბოლოებები (отцов – слесарев – Пушкинский);

2. დაბოლოებათა სინონიმია – დაბოლოებათა საერთო გრამატიკული მნიშვნელობა, მაგალითად ბრუნვის ნიშნის საერთო მნიშვნელობა (коня – западни) ან ზმნის პირისა და რიცხვის ნიშნები (тянем - раним);
3. ლექსიკური სინონიმია – მყარდება იმ სიტყვებს შორის, რომლებიც გამოხატავენ ერთიდაიგივე მნიშვნელობას, მაგრამ განსხვავდება ერთმანეთისგან მნიშვნელობის შეფერილობით ან სტილისტური დატვირთვით. ჩვეულებრივ ეს სიტყვები ერთიდაიგივე მეტყველების ნაწილს წარმოადგენს. ითვლება, რომ ლექსიკური სინონიმია განსაკუთრებით წარმომადგენლობითი და ფუნქციონალურად მრავალფეროვანია;
4. გრამატიკული სინონიმია – მეტყველების ნაწილთა კატეგორიების სინონიმია, მაგალითად, არსებითი სახელის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი (ударил мороз - ударили морозы), ზმნის დროის (завтра уедем - завтра уезжаем), კილოს (Ты пойди к нему – Ты бы пошёл к нему), გვარის (Плотники строят дом – дом строится плотниками) და პირის (Говорю тебе русским языком - Говорят тебе русским языком) ფორმები;
5. წინდებულთა სინონიმია – მაგალითად, შემდეგი მიმართების გამომხატველი წინდებულებისა: სივრცითი (у / около/ возле/ близ дома), მიზეზის (ввиду/ вследствие /в силу / по причине этих событий), მიზნის (идти за водой/ по воду) და ა.შ.;
6. კავშირების სინონიმია – მაგალითად, მაერთებელი (увлекается прозой, а не поэзией /но не поэзией), მაქვემდებარებელი (как только/ едва/ лишь только/ едва лишь вошёл) და ა. შ.
7. ფრაზეოლოგიური სინონიმია – ფრაზეოლოგიური ერთეულების საერთო მნიშვნელობა, მაგალითად Держать ухо востро / глядеть в оба / навострить уши;

8. სინტაქსური სინონიმები (რომელთაც უფრო დეტალურად ქვემოთ შევეხებით).

უდავოა, რომ ყველა ამ დონეზე შეიძლება საუბარი მნიშვნელობის იგივეობაზე, თუმცა ზოგიერთი ქვეჯგუფის გამოყოფის კრიტერიუმები შეიძლება სადავო იყოს. მაგალითისთვის, ეჭვქვეშ შეიძლება დადგეს როზენტალისა და ტელენკოვას განსაზღვრება გრამატიკული სინონიმიისა, რადგანაც ისინი ამ ტერმინს ვიწრო მნიშვნელობით, მხოლოდ მორფოლოგიურ კატეგორიებთან მიმართებაში იყენებენ. ეს მიდგომა განსხვავდება, მაგალითად, პეშკოვსკის (Пешковский 1930) მოსაზრებისგან, რომელიც მორფოლოგიურ და სინტაქსურ სინონიმებს გრამატიკული სინონიმების ქვეჯგუფებად მიიჩნევს.

### *2.1.2. მნიშვნელობის ცნება და სინონიმია*

სინონიმიის პრობლემა, პირველყოვლისა, ენობრივი ნიშნის ფორმისა და მნიშვნელობის, ზოგადად ენაში ფორმისა და მნიშვნელობის ურთიერთობის პრობლემაა. ზოგადად სინონიმია წარმოადგენს ობიექტური სამყაროს მახასიათებლების ენობრივ ასახვას. სინონიმიის ლინგვისტური ბუნება განისაზღვრება ენობრივ ერთეულთა სემანტიკური სიახლოვის სხვადასხვა ხარისხით და შეიძლება აიხსნას ნიშნისა და მნიშვნელობის ასიმეტრიით, მათ შორის არსებული არამდგრადი წონასწორობით. ეს მოვლენა განპირობებულია იმ მიმართებით, რაც ენობრივი ნიშნის ორ პლანს – შინაარსის პლანსა და გამოხატულების პლანს შორის მყარდება. პირველად ეს მოვლენა ჩამოაყალიბა კარცევსკიმ როგორც "ენობრივი ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმი" (იხ. Адмони 1979: 6). ენის შინაარსის პლანი, რაც „აღსანიშნთა" ერთობლიობას წარმოადგენს (გამყრელიძე 2003: 32), ბუნებრივია არ არის პირდაპირ შესაბამისობაში ობიექტურ რეალობასთან. გარესამყაროს მოვლენები ყოველი ენის შინაარსის პლანში თავისებურადაა დაჯგუფებული. არაპირდაპირია მიმართება შინაარსის პლანსა და გამოხატულების პლანს შორისაც, რომელიც „აღმნიშვნელთა" ერთობლიობას წარმოადგენს. დამოკიდებულება მათ შორის ასიმეტრიულია ანუ შინაარსის ერთიდაიგივე ელემენტი სხვადასხვა ენობრივი ერთეულით შეიძლება იყოს გამოხატული და პირიქით, ერთი ენობრივი ერთეული შინაარსის რამდენიმე ელემენტს შეიძლება გამოხატავდეს. ტრანსფორმაციულ-გენერატიული თეორიის ტერმინებით რომ ვთქვათ, ერთსა და იმავე ზედაპირულ სტრუქტურას სხვადასხვა სიღრმისეული სტრუქტურა შეიძლება შეესაბამებოდეს და პირიქით.

ფორმალურ-შინაარსობრივი ასიმეტრია ენაში მოძრავ მდგომარეობაშია და მისი ცვლილების წყაროდ გვევლინება. გამოხატულების პლანი და შინაარსის პლანი გამუდმებით და მჭიდროდ ურთიერთქმედებს და მათი ასიმეტრია სხვა არაფერია, თუ არა ამ ურთიერთქმედების მანიფესტაცია.

სწორედ ენობრივი ასიმეტრიის კატეგორიას მიეკუთვნება სინონიმია ისე, როგორც პოლისემია და ომონიმია. სინონიმია – ფორმალურ-შინაარსობრივი ასიმეტრიის თვალსაზრისით – წარმოადგენს შინაარსის ერთი ელემენტის შესაბამისობას გამოხატვის რამდენიმე ელემენტთან. პოლისემია უპირისპირდება სინონიმიას და წარმოგვიდგება, როგორც გამოხატვის ერთი ელემენტის შესაბამისობა კატეგორიალური შინაარსის ორ ან მეტ ელემენტთან. ამგვარი ასიმეტრია შეიმჩნევა არა მხოლოდ ლექსიკური ერთეულების ფორმასა და შინაარსს შორის, არამედ სინტაქსური ერთეულების შემთხვევაშიც. რადგანაც ყველა სინტაქსურ მოდელს თუ მორფემას და ა. შ. ლექსიკური ერთეულის მსგავსად, აქვს ფორმა და მნიშვნელობა, უდავოა, რომ აქაც შესაძლებელია ვისაუბროთ როგორც ორგანზომილებიანობაზე, ისე ფორმალურ-შინაარსობრივ ასიმეტრიაზე.

სინონიმიის კვლევისადმი რამდენიმე განსხვავებულ მიდგომას გამოყოფენ. პირველი მათგანი ეყრდნობა შინაარსობრივ იგივეობას ან მსგავსებას; მეორე ძირითადად აგებულია ლოგიკურ ექვივალენტურობაზე – სინონიმთა სრულ ან ნაწილობრივ ურთიერთჩანაცვლებადობაზე ტექსტში; მესამე მიდგომა მათ შეფასებით სტილისტურ მახასიათებლებზეა ორიენტირებული. არსებობს მეოთხე ინტერპრეტაციაც, რომელიც დენოტაციური მნიშვნელობის იგივეობას ეყრდნობა.

ამ უკანასკნელი მიდგომის მომხრენი სინონიმებს განსაზღვრავენ, როგორც „საერთო საგნობრივი მიმართების, ანუ ერთი და იმავე დენოტატის მქონე ლექსემებს, ერთი და იმავე ფაქტის სხვადასხვა სახელწოდებას“ (გამყრელიძე 2003: 365). ამ მოსაზრებას ეთანხმება გ. ნებიერიძეც, როცა განიხილავს სინონიმიის დამოკიდებულებას რეფერენციალურ და დიფერენციალურ მნიშვნელობასთან. იგი მიიჩნევს, რომ რეფერენციალური მნიშვნელობით სინონიმები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან, მაგრამ მათ სხვადასხვა დიფერენციალური მნიშვნელობა აქვთ ანუ გამოხატავენ სხვადასხვა ცნებას, ერთი და იგივე რეფერენტს[1] სხვადასხვა თვალსაზრისით ახასიათებენ (ნებიერიძე

[1] აქ *რეფერენციალური* მნიშვნელობა *დენოტაციური* მნიშვნელობის სინონიმურადაა გამოყენებული, თუმცა თანამედროვე ენათმეცნიერებაში *რეფერენტს* უწოდებენ იმ კონკრეტულ

1991: 219). ამის დამადასტურებლად ავტორი განიხილავს ორ სიტყვას „ტუჩი“ და „ბაგე“. თუმცა ეს ორი ლექსემა ქართულში სინონიმებადაა მიჩნეული, რადგანაც მათ იგივე რეფერენტი შეესატყვისება, მაგრამ მათი სემანტიკურ სტრუქტურა განსხვავებულია. „ტუჩი“ აღნიშნავს რეფერენტს როგორც მხოლოდ ფიზიოლოგიურ ორგანოს, ხოლო სიტყვაში „ბაგე“ ამავე ორგანოს კომუნიკაციის სემანტიკური კომპონენტია აქცენტირებული. ამით აიხსნება, რომ დასაშვებია „ქოთნის ტუჩი“, მაგრამ არა „ქოთნის ბაგე“, „ტუჩ-კბილი“, მაგრამ „ბაგისმიერი“. მაშასადამე, სინონიმთა შორის შეიძლება არსებობდეს განსხვავება დიფერენციალური ანუ კონცეპტუალური მნიშვნელობის დონეზე და არა მხოლოდ სტილისტური თვალსაზრისით.

განსხვავებულია ლ. ნოვიკოვის თვალსაზრისი, რომელიც მიიჩნევს, რომ დენოტაციის იგივეობა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა სინონიმიისთვის. წარმოადგენს რა სემანტიკურ, ენობრივ კატეგორიას, სინონიმია უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული უნდა იყოს შიდაენობრივ, სიგნიფიკატურ მნიშვნელობასთან. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ორი ერთეული სინონიმური არა მხოლოდ ერთ რომელიმე კონკრეტულ ტექსტში იყოს, არამედ მრავალ სხვადასხვა ტექსტში ანუ მთლიანად ენაში. ნოვიკოვი ამოსავალ კრიტერიუმად მიიჩნევს სიგნიფიკატის იგივეობას ან მსგავსებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ერთეულთა ურთიერთჩანაცვლების უნარს და მათი სტილისტური შეფერილობის ტექსტში გამოყენების შესაძლებლობას (Новиков 1982: 223). მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ზემომოყვანილი მიდგომები ურთიერთგამომრიცხავი კი არაა, არამედ ავსებს და აზუსტებს ერთმანეთს.

### *2.1.3. სინონიმიის ტიპები და ფუნქციები*

სინონიმიის ვიწრო გაგება სინონიმებად მხოლოდ იმ ერთეულებს აღიარებს, რომელთა მნიშვნელობები სრულად ემთხვევა ერთმანეთს. სინონიმია ფართო გაგებით მოიცავს ერთეულებს, რომელთა მნიშვნელობებს შორის ნაწილობრივი თანხვედრა მაინც არსებობს. ნოვიკოვი მიიჩნევს, რომ პირველი მათგანი ღირებულია გამონათქვამის ადექვატური პერეფრაზირებისთვის, ხოლო მეორე – აღსანიშნი ობიექტის შინაარსის დაზუსტებისა და მისი სხვადასხვა მხარის წინ წამოწევისათვის (Новиков 1990: 446). ა. კრუზი ამტკიცებს, რომ თუ

---

რეალიას, რომელსაც გულისხმობს მოლაპარაკე, ხოლო *დენოტატი* აღნიშნავს ვირტუალურ რეფერენტს, ობიექტთა მთელ კლასს (გამყრელიძე, 2003: 341).

სინონიმია განისაზღვრება, როგორც მნიშვნელობის იგივეობა, მაშინ ეს მიმართება სრულიად ინტერესს მოკლებული ხდება. პოტენციურ ინტერესს ლინგვისტისთვის წარმოადგენს მხოლოდ სინონიმიის ინტერპრეტაცია, როგორც სიტყვებისა, რომელთა სემანტიკური მსგავსებები უფრო თვალშისაცემია, ვიდრე განსხვავებები (Cruse 2000; 156). ამ შემთხვევაში მრავალი შეკითხვა ჩნდება და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: რა სახის განსხვავებები ვერ აქრობს მნიშვნელობათა იგივეობის ინტუიციურ შეგრძნებას?

სინონიმიის შემთხვევაში შეიძლება ექვივალენტურობას ჰქონდეს ადგილი ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობების მთელ მოცულობას შორის (მაგ. „ენათმეცნიერება“ -„ლინგვისტიკა“), მათ ზოგიერთ მნიშვნელობას (მაგ. road – way, maintain - insist) ან მნიშვნელობათა თანმხვედრ სემებს შორის (მაგ. შუკა-შარა, path - trail). ფუნქციური თვალსაზრისით სინონიმია განისაზღვრება, როგორც ენობრივ ერთეულთა უნარი, მნიშვნელობების იგივეობის ან მსგავსებიდან გამომდინარე ჩაანაცვლონ ერთმანეთი ყველა ან ზოგიერთ კონტექსტში ისე, რომ არ შეიცვალოს საერთო შინაარსი. სინონიმურობის ხარისხი მით უფრო მაღალია, რაც მეტი აქვთ ლექსიკურ ერთეულებს იმგვარი საერთო პოზიციები, რომლებშიც მათი განმასხვავებელი სემების ნეიტრალიზაცია ხდება. სწორედ ამ საფუძველზე გამოყოფენ სრულ (აბსოლუტურ) და ნაწილობრივ (რელატიურ) სინონიმიას.

კრუზი განმარტავს აბსოლუტურ სინონიმიას, როგორც მნიშვნელობის სრულ იდენტურობას და იქვე სვამს მნიშვნელობის დეფინიციის საკითხს. იგი ირჩევს კონტექსტუალურ მიდგომას და განმარტავს, რომ მნიშვნელობა არის ყველაფერი, რაც გავლენას ახდენს ლექსიკურ ერთეულთა „ბუნებრივობაზე“ [normality] გრამატიკულად გამართული წინადადებით შექმნილ კონტექსტში (Cruse 2000: 157). აქედან გამომდინარე აბსოლუტურ სინონიმებად შეიძლება ჩაითვალოს ყველა ერთეული, რომლებიც „თანაბრად ბუნებრივია“ ყველა კონტექსტში ანუ X და Y ლექსიკური ერთეულები მხოლოდ მაშინ ჩაითვლება აბსოლუტურ სინონიმებად, თუ ნებისმიერ კონტექსტში, სადაც X ბუნებრივია, Y-ც სრულიად ნორმალურია და სადაც Y ანომალიურია, X-ც ანომალიურია. კრუზი ამგვარ მოთხოვნას ძალიან მკაცრად მიიჩნევს და პრინციპში, ეჭვქვეშ აყენებს

ამგვარი სინონიმური წყვილების არსებობას. ამას ადასტურებს მის მიერ განხილული მაგალითებიც[2]:

*brave: courageous*

Little Billy was so *brave* at the dentist's this morning. (+)

Little Billy was so *courageous* at the dentist's this morning. (-)

*calm: placid*

She was quite *calm* just a few minutes ago. (+)

She was quite *placid* just a few minutes ago. (-)

*big: large*

He's a *big* baby, isn't he? (+)

He's a *large* baby, isn't he? (-)

ხშირად ინგლისურ ენაში აბსოლუტურ სინონიმებად მიიჩნევა ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა, მაგალითად, sofa: settee, pullover: sweater. ეს გასაგებიცაა, რადგან განმასხვავებელი კონტექსტების პოვნა მათთვის საკმაოდ რთულია. თუმცა, ამ ერთეულებისთვისაც კი ცდისპირთა საკმაოდ დიდი რაოდენობა პოულობს კონტექსტებს, რომლებიც მათ შორის განსხვავებებს ავლენს. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აბსოლუტური სინონიმების რაოდენობა უაღრესად შეზღუდულია და ისინი არ წარმოადგენს ბუნებრივი ენების ლექსიკონის მნიშვნელოვან მახასიათებელს. კრუზის აზრით, მათი ღირებულება ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ აბსოლუტური სინონიმები წარმოადგენს ორიენტირს, ათვლის წერტილს სინონიმიის წარმოსახვით შკალაზე (ibid: 157). აქვე დგება ორი საინტერესო საკითხი. ჯერ ერთი, ორ სინონიმს შორის მხოლოდ ერთი განმასხვავებელი კონტექსტის არსებობა საეჭვო მოვლენაა, რადგან თუ არ არსებობს ასეთი კონტექსტების ერთი კლასი მაინც, ჩნდება ეჭვი არის თუ არა ეს სემანტიკური მოვლენა. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ მნიშვნელობის ერთიდაიგივე კომპონენტი უნდა განაპირობებდეს ყველა კონტექსტის იგივეობას. თუმცა ამ საკითხების დაწვრილებით განხილვა სცდება ჩვენი კვლევის სფეროს.

ლინგვისტთა უმრავლესობისგან განსხვავებით ლაიონზი ერთმანეთისგან გამიჯნავს სრულ და აბსოლუტურ სინონიმებს. მისი განმარტებით ლექსემები

[2] „+“ აღნიშნავს უფრო ბუნებრივს და „–“ - ნაკლებ ბუნებრივს

შეიძლება სრულ სინონიმებად ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მათ იგივე დესკრიპციული, ექსპრესიული და სოციალური მნიშვნელობა აქვთ. აბსოლუტური სინონიმია სრულ სინონიმიასთან ერთად სინონიმთა იდენტურ დისტრიბუციასაც გულისხმობს (Lyons 1981: 148). იგი მიიჩნევს, რომ სრული სინონიმია იშვიათია, ხოლო აბსოლუტური სინონიმიის შემთხვევები პრაქტიკულად არ არსებობს. ლინგვისტთა დიდი ნაწილი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ აბსოლუტური სინონიმია ენაში უაღრესად იშვიათი მოვლენაა, რადგანაც ამგვარი ენობრივი ერთეულები (დუბლეტები) ხანგრძლივად არ შენარჩუნდება. როგორც ულმანი (Ullmann 1967: 108) აცხადებს, ენები ვერ მისცემენ საკუთარ თავს ამგვარი ფუფუნების უფლებას. ჩვეულებრივ, სინონიმები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

პალმერი გამოყოფს სინონიმთა განმასხვავებელ შემდეგ ნიშნებს:

1. დიალექტური კუთვნილება, მაგ. sidewalk (ამერიკული ინგლისური) და pavement (ბრიტანული ინგლისური). თუმცა ავტორი მიიჩნევს, რომ ამ ტიპის სინონიმია ყოველგვარ ინტერესს მოკლებულია სემანტიკური თვალსაზრისით;
2. სტილური განსხვავება, მაგ. a nasty smell, an obnoxious effluvium (მაღალფარდოვანი) და an ‘orrible stink (კოლოქვიალური);
3. ემოციურ-შეფასებითი ელფერი, მაგალითად, politician და statesman, თუმცა პალმერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ემოციური შეფერილობის კოგნიტური მნიშვნელობისგან გამიჯვნა საკმაოდ რთულია და გარკვეულ ბუნდოვანებამდე მივყავართ.
4. კოლოკაციური მახასიათებლები ანუ ლექსიკურ-სემანტიკური შეთავსებადობა, მაგალითად, rancid butter, მაგრამ addled eggs (Palmer 1981: 89-91).

ჩვეულებრივ, სინონიმთა კიდევ ერთ ჯგუფს გამოყოფენ. ეს არის კონტექსტური სინონიმები ანუ ერთეულები, რომლებიც მხოლოდ ერთ კონტექსტში გვევლინება სინონიმურად. მაგალითად, I’ll go to the shop and *buy/ get* some bread. ამ შემთხვევაში კონტექსტის მიერ მოწოდებული დამატებითი ინფორმაცია იწვევს *get* ზმნის მნიშვნელობის დავიწროვებას და იგი მისი ჰიპონიმის *buy* სინონიმური ხდება (Palmer 1981: 93). კონტექსტური სინონიმები ხშირად კორეფერენტული სახელებია (გამყრელიძე 2003: 368). მაგალითად,

*მეფე* და *არწივი* ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილში“. თუმცა ამ შემთხვევებს ვერ გავიხილავთ როგორც ენობრივ სინონიმებს, რადგან თავად ენობრივი ერთეულის მნიშვნელობა კონტექსტის გავლენით არ იცვლება. მაგალითად, ის ფაქტი, რომ ჩვენს თვალწინ მდებარე წიგნი შეიძლება მოვიხსენიოთ როგორც უბრალოდ „*წიგნი*“ ან „*წითელი წიგნი*“, არ ნიშნავს, რომ მათ ერთიდაიგივე მნიშვნელობა აქვთ.

მაშასადამე, სინონიმებად ვერ მივიჩნევთ მხოლოდ აბსოლუტურ სინონიმებს ანუ „იმ ერთეულებს, რომლებიც ურთიერთშენაცვლებადია ყველა კონტექსტში და ერთმანეთს ემთხვევა მნიშვნელობის მთელი მოცულობით“ (გამყრელიძე 2003: 368). სინონიმიის ცნების უფრო ფართო ინტერპრეტაციას წარმოადგენს პროპოზიციული სინონიმია[3]. პროპოზიციული სინონიმები ორ ლექსიკურ ერთეულს შეიძლება ეწოდოს იმ შემთხვევაში, თუ მათი ურთიერთჩანაცვლება ნებისმიერ გამონათქვამში არ იწვევს ამ გამონათქვამის ჭეშმარიტების პირობების შეცვლას (Новиков 1982, Cruse 2000). სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა ორი წინადადება განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ თითოეული მათგანი შეიცავს პროპოზიციული სინონიმური წყვილიდან ერთ-ერთს, მაშინ ეს წინადადებები ორმხრივად იმპლიკაციურია. *John bought a violin* იმპლიცირებულია წინადადებით *John bought a fiddle* და თავადაც ახდენს მის იმპლიცირებას. ასევე ორმხრივ იმპლიკიციას აქვს ადგილი *She is going to play a violin concerto* და *She is going to play a fiddle concerto* შემთხვევაში. ამ უკანასკნელში *fiddle*-ის გამოყენება გაცილებით ნაკლებ ბუნებრივია, ვიდრე წინა მაგალითში, თუმცა ჭეშმარიტების პირობები შენარჩუნდება, რაც იმას ადასტურებს, რომ *fiddle* და *violin* არაა აბსოლუტური სინონიმები. პროპოზიციულ სინონიმებს შორის განსხვავებები ეხება არაპროპოზიციული მნიშვნელობის სხვადასხვა ასპექტს, როგორიცაა მაგალითად:

ა) ექსპრესიული მნიშვნელობის განსხვავება

ბ) განსხვავებები სტილისტურ დონეზე (ფორმალურობის თვალსაზრისით)

გ) განსხვავებები დისკურსის სავარაუდო არეალში

ხშირ შემთხვევაში ამ ფაქტორთაგან რამდენიმე ერთდროულად მოქმედებს. თუ კვლავ მივუბრუნდებით ზემოთგანხილულ მაგალითს, *violin* და *fiddle*-ს შორის განსხვავება ძირითადად დამოკიდებულია მოუბარზე. მუსიკის სამყაროსგან

[3] პროპოზიციის ცნებას ჩვენ უფრო დეტალურად შემდეგ პარაგრაფში შევეხებით.

დაშორებული ადამიანისთვის *fiddle* უფრო კოლოქვიალურია და შეიძლება იუმორისტული შეფერილობის მქონეც. პროფესიონალი მევიოლინისთვის კი *fiddle* ნეიტრალური ტერმინია, ყოველგვარი იუმორისტული და კოლოქვიალური შეფერილობის გარეშე და *violin* გამოიყენება მხოლოდ გარეშე პირებთან ურთიერთობისას.

პროპოზიციული სინონიმები განსაკუთრებით ხშირია ისეთ სფეროებში, რომლებიც განსაკუთრებით დამუხტულია ემოციური თვალსაზრისით, მაგალითად ეს ეხება ტაბუს - სფეროს, სადაც ძალიან მცირე განსხვავებებია ევფემიზმი - დისფემიზმის შკალაზე განლაგებულ ტერმინებს შორის.

ორი ერთეულის სინონიმურობის მხოლოდ გამონათქვამის ჭეშმარიტება/ მცდარობის კრიტერიუმით განსაზღვრას სადავოდ მიიჩნევს ლიჩი (Leech 1974). ამ მიდგომის მიხედვით X და Y სინონიმურად ჩაითვლება თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები

ა) თუ X ჭეშმარიტია, Y ჭეშმარიტია და პირიქით

ბ) თუ X მცდარია, მაშინ Y მცდარია და პირიქით.

ამ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება ფაქტობრივი და კონცეპტუალური სინონიმიის გამიჯვნა. მაგალითისთვის ლიჩი განიხილავს ორ წინადადებას:

Charlotte lives in Paris.

Charlotte lives in the capital of France.

ამ გამონათქვამთა სინონიმურობას განაპირობებს არა ერთეულთა ენობრივი მნიშვნელობის იგივეობა, არამედ ექსტრალინგვისტური ცოდნა (ibid: 86).

კრუზი ცალკე განიხილავს ნაწილობრივი სინონიმიის ცნებას [near-synonymy]. თუ ზღვარი პროპოზიციულ სინონიმიას და ნაწილობრივ სინონიმიას შორის მეტანაკლებად ნათელია (თუმცა კონკრეტული მაგალითების დონეზე ზოგ შემთხვევაში მათი გამიჯვნა შეიძლება რთული აღმოჩნდეს), ნაწილობრივ სინონიმიას და სინონიმიის არარსებობის შემთხვევებს შორის პრინციპული განსხვავების დადგენა უფრო რთული საკითხია (Cruse 2000). გაურკვეველია, რა პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს ამგვარი გამიჯვნა. ერთის მხრივ, ენის ყველა მომხმარებელს საკუთარი ინტუიცია საშუალებას აძლევს ადვილად განასხვავოს სინონიმური წყვილები არასინონიმურისგან. ამიტომაცაა, რომ სინონიმითა ლექსიკონებში მოცემული ვარიანტები იშვიათად იწვევს რაიმე ეჭვს ან გაუგებრობას, თუნდაც ისინი არ წარმოადგენდეს პროპოზიციულ, ან მით უფრო,

აბსოლუტურ სინონიმებს. ამავეს ადასტურებს ლიჩის მიერ აღწერილი ექსპერიმენტი, რომელშიც ინფორმანტების 90%-მა იგივე მნიშვნელობის მქონედ ჩათვალა ეს ორი წინადადება (Leech 1974: 93):

He cast a stone at the policeman.

He chucked a stone at the cop.

აშკარაა, რომ ინფორმანტების ყურადღება ფოკუსირებული იყო მათ კონცეპტუალურ მნიშვნელობაზე და ამის შედეგად მოხდა ამ წინადადებებს შორის არსებული სერიოზული სტილისტური განსხვავებების იგნორირება.

მეორეს მხრივ, არაა საკმარისი იმის განცხადება, რომ ლექსიკურ ერთეულებს შორის არსებობს ერთგვარი სემანტიკური დისტანცია და სიტყვები, რომელთა მნიშვნელობებიც შედარებით ახლოსაა ერთმანეთთან, შეიძლება სინონიმებად ჩაითვალოს. ზოგადად, სემანტიკურ სიახლოვესა და სინონიმიას შორის არ არსებობს პირდაპირი ურთიერთმიმართება. მაგალითად, სიტყვები „სპანიელი“ და „პუდელი“ ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან სემანტიკურად, მაგრამ სულაც არ წარმოადგენს სინონიმებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგადად, ლექსიკური ერთეულის ფუნქცია პირველყოვლისა არის იმავე იერარქიული დონის სხვა ერთეულებთან დაპირისპირება. მაგალითად, *dog* აღნიშნავს not cat/mouse ანუ იგი ხაზს უსვამს კონტრასტს. სინონიმების შემთხვევაში კი ხდება არა კონტრასტის, არამედ მსგავსების ხაზგასმა. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, აქ მსგავსებები უფრო თვალშისაცემია, ვიდრე განსხვავებები.

იმის დადგენა, რა ტიპის განსხვავების შემთხვევაშია შესაძლებელი სინონიმურობის შენარჩუნება, საკმაოდ რთულია. კრუზის განმარტებით, ეს განსხვავება უნდა იყოს ან „მცირე“, ან „ფონური“ ან ორივე ერთად (Cruse 2000: 159). „მცირე“ განსხვავებებად იგი მიიჩნევს

ა) მოსაზღვრე პოზიციებს „ხარისხობრიობის“ შკალაზე: *fog:mist, laugh:chuckle, hot:scorching, big:huge, disaster:catastrophe, pull:heave, weep:sob* და ა.შ.

ბ) ზმნათა ზოგი ტიპის ადვერბიალურ დაკონკრეტებას: *amble:stroll, chuckle:giggle, drink:quaff* და ა.შ.

გ) ასპექტური განსხვავებებს: *calm:placid* (მდგომარეობა/განწყობა)

დ) პროტოტიპული ცენტრის განსხვავებებს: *brave* (პროტოტიპის თვალსაზრისით ფიზიკური): *courageous* (პროტოტიპულად დაკავშირებული მორალურ და გონებრივ ფაქტორებთან).

მნიშვნელოვანი, მაგრამ ფონური განსხვავების მაგალითად კრუზი განიხილავს pretty (იგულისხმება მდედრობითი სქესი): handsome (იგულისხმება მამრობითი) წყვილს. ორივე ერთეულის პროპოზიციული მნიშვნელობა შეიძლება ითარგმნოს, როგორც „good-looking“. როცა სქესში განსხვავება წინა პლანზეა წამოწეული, ეს ერთეულები არაა სინონიმური (მაგ. man: woman).

სინონიმიის ძირითად ფუნქციად მიიჩნევა ჩანაცვლება და დაზუსტება (Новиков 1990: 446). *ჩანაცვლება* ჩვეულებრივ გვხვდება ტექსტის ერთმანეთის მომდევნო ნაწილებში და გულისხმობს სემანტიკურად ადექვატური ერთეულების მიერ ერთმანეთის შეცვლას, რაც მიზნად ისახავს ერთიდაიგივე სიტყვების გამეორებით გამოწვეული ერთფეროვნების და მონოტონურობის თავიდან აცილებას. *დაზუსტება* გულისხმობს ობიექტური რეალობის მოვლენების და საგნების სხვადასხვა თვისებისა და მახასიათებლის წარმოჩენას. ამ ფუნქციის რეალიზება ხშირად ხდება ერთი წინადადების ფარგლებში, ნაწილობრივ ეკვივალენტური სიტყვების ახლო, კონტაქტური განლაგების პირობებში. ამ შემთხვევაში ეს სიტყვები ერთმანეთის მნიშვნელობის დაზუსტების ფუნქციას ასრულებს. ამის საჭიროება კი განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ აღსანიშნის მრავალმხრივი ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია იგი ერთი სიტყვით „მოვიცვათ“, ამოვწუროთ. ამიტომაც საჭირო ხდება რამდენიმე სინონიმის გამოყენება, რათა მათი განმასხვავებელი სემების საშუალებით წარმოჩინდეს აღსანიშნის ახალი მხარეები. შესაძლებელია საჭირო გახდეს აღნიშნული ნიშნის, თვისების, მოქმედების და ა. შ. გამოვლინების ხარისხის დაზუსტება. აქ მოსალოდნელია ორი ტიპის კონტექსტის არსებობა. ერთის მხრივ, შესაძლებელია არსებობდეს გამანეიტრალებელი კონტექსტი, სადაც სინონიმთა შორის განსხვავება არ გვევლინება არსებითად გამონათქვამის საერთო შინაარსის თვალსაზრისით. მაგ. *ადამიანს ჭირი და ვარამი ალაპარაკებს* (ი. ჭავჭავაძე). დიფერენციალური კონტექსტის შემთხვევაში კი პირიქით, სინონიმთა შორის განსხვავება ექცევა ყურადღების ცენტრში. მაგალითად, *სიცილი ხარხარად გადაიქცა* (მ. ჯავახიშვილი). თუ პირველ შემთხვევაში განმასხვავებელი სემები იკრიბება, როგორც აღსანიშნის დამატებითი მახასიათებლები, მეორე შემთხვევაში ისინი ერთმანეთს უპირისპირდება მნიშვნელობის დაზუსტების მიზნით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სინონიმიასთან მიმართებაში ჩვეულებრივ დგება რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი:

- რა იგულისხმება მნიშვნელობის იგივეობაში?
- შესაძლებელია, თუ არა ორი ერთეულის მნიშვნელობები აბსოლუტურად იდენტური იყოს?
- რა სახის განსხვავების შემთხვევაში შეიძლება შენარჩუნდეს სინონიმურობა ორ ერთეულს შორის?

როგორც ზემოთ მოყვანილი მიმოხილვიდან ჩანს, ამ და სხვა შეკითხვებზე პასუხის გაცემას მკვლევარები ძირითადად ლექსიკური სინონიმიის მასალაზე დაყრდნობით ცდილობდნენ. თუმცა ფართო გაგებით ზოგჯერ სინონიმებად მიიჩნევა ლექსემები და ფიგურალური გამოთქმებიც, მაგალითად: *იაფად – ჩალის ფასად*, ინგ. *die – kick the bucket.* თანამედროვე ლინგვისტიკაში გაჩნდა კიდევ უფრო თამამი გამოკვლევები, რომლებიც სხვადასხვა ენობრივი დონის ერთეულთა სინონიმიას ეხება. მაგალითად, ლონგრენი საუბრობს სინონიმიაზე ზმნასა და წინდებულს (მაგ. *in – contain, around-surround*), კავშირსა და არსებით სახელს (მაგ. *because – reason, in order to-aim*) შორის (Lonngren 2001).

1. There are errors in the book.
   The book contains errors.
2. I was silent because I did not know.'
   The reason for my silence was that I did not know.'

ლონგრენი ამტკიცებს, რომ ენობრივი ერთეულები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება სემანტიკური და სინტაქსური დატვირთვით. თუ ერთის მხრივ ბრუნვის ნიშანს შეიძლება ჰქონდეს გამოკვეთილი სემანტიკური ფუნქცია (მაგ. მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი (instrumental case) რუსულში – ом), მეორეს მხრივ სრულმნიშვნელოვანი სიტყვები, როგორიცაა მაგალითად ზმნა, შეიძლება სრულიად დაცლილი იყოს სემანტიკური შინაარსისგან (მაგ. ინგ. exert ფრაზაში exert influence). სწორედ ეს უდევს საფუძვლად ფენომენს, რომელსაც ავტორი აღნიშნავს ტერმინით დონეთშორისი სინონიმია [cross-level synonymy]. ამის მაგალითად იგი განიხილავს მნიშვნელობის იდენტურობას სიტყვებსა და მორფემებს შორის. მაგალითად, სინონიმია ბრუნვის ნიშანსა და კავშირს შორის:

Он воет волком. Он воет как волк.

იგივე ბრუნვის ნიშანი შეიძლება იყოს ზმნის „использовать“ სინონიმური, მაგალითად წინადადებაში Иван режет хлеб ножом (ibid: 3).

მაშასადამე, სინონიმიის ცნება არ განეკუთვნება მხოლოდ ლექსიკურ ან თუნდაც სხვა რომელიმე ენობრივ დონეს. ამ ფენომენის კვლევა გაცილებით უფრო ფართო მიდგომას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა გამოკვლევები სინტაქსური სინონიმიის მიმართულებითაც, რომელთაც ჩვენ შემდეგ პარაგრაფში მიმოვიხილავთ.

### 2.2. სინტაქსური სინონიმიის პრობლემა ენათმეცნიერებაში

მიუხედავად იმისა, რომ სინტაქსური სინონიმია გაცილებით ნაკლებადაა შესწავლილი ენთმეცნიერებაში, ვიდრე ლექსიკური სინონიმია, მე-20 საუკუნეში ამ ფენომენის კვლევას საკმაოდ ბევრი სერიოზული გამოკვლევა მიეძღვნა. შედეგად, ტერმინმა „სინტაქსური სინონიმია“ დიდი გავრცელება ჰპოვა ლინგვისტურ ლიტერატურაში, მაგრამ მისი ინტერპრეტაციები უაღრესად არაერთგვაროვანია.

#### *2.2.1. სინტაქსური სინონიმიის ცნების ევოლუცია*

ჯერ კიდევ ჰენრი სუიტი 1891 წელს გამოქვეყნებულ გრამატიკაში ამახვილებდა ყურადღებას დამოკიდებული წინადადებებისა და მიმღეობითი კონსტრუქციების ექვივალენტურობაზე და აღნიშნავდა, რომ ისინი ერთიდაიგივე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ (Sweet 1955). ავტორს შემდეგი მაგალითი მოჰყავს:

Seeing a crowd, I stopped.

When I saw a crowd, I stopped.

Because I saw a crowd, I stopped.

პეშკოვსკიმ პირველმა შემოიტანა ტერმინი „გრამატიკული სინონიმები“, რომლებშიც იგი გულისხმობდა სიტყვებსა და სიტყვათშეხამებებს, რომლებიც ერთმანეთთან ახლოსაა გრამატიკული მნიშვნელობით. იგი ყოფს მათ მორფოლოგიურ და სინტაქსურ სინონიმებად, თუმცა არც ერთი მათგანის განსაზღვრებას არ გვათავაზობს. ის გამოჰყოფს სინტაქსური სინონიმების 32 რიგს (Пешковский 1930). თუმცა პეშკოვსკის ნაშრომში სინონიმურობის ზუსტად დადგენილი კრიტერიუმების არარსებობის შედეგია ის, რომ ამ 32 რიგში ავტორი სრულიად განსხვავებულ ენობრივ მოვლენებს აერთიანებს. ასე, მაგალითად, იგი სინტაქსურ სინონიმებად მიიჩნევს ზმნის დროისა და კილოს ფორმებს მარტივ წინადადებაში, წინდებულთა, კავშირებისა და ნაწილაკების სინონიმიას და სიტყვათწარმოების შემთხვევებსაც კი. ეს ადასტურებს, რომ

პეშკოვსკი სინტაქსურ სინონიმიას ძალიან ფართოდ განიხილავდა და მასში მარტო სინტაქსურს კი არ აერთიანებდა, არამედ სხვა ენობრივი დონის ერთეულებსაც, თუ ისინი მნიშვნელობით ახლოს იყო ერთმანეთთან.

ო. იესპერსენი ასევე ამახვილებს ყურადღებას გრამატიკულ სინონიმებზე (Jespersen 1933). მას არ უცდია განემარტა ამ ტერმინის შინაარსი და შეესწავლა გრამატიკული და კერძოდ სინტაქსური სინონიმიის არსებობის პირობები, თუმცა მის მიერ მოყვანილი მაგალითებიდან ზოგიერთი შეიძლება სწორედ სინტაქსურ სინონიმებად განვიხილოთ:

On entering the room he greeted everybody most kindly.

Entering the room he greeted everybody most kindly.

When he entered the room he greeted everybody most kindly.

სინტაქსური სინონიმია უშუალო კავშირშია ტრანსფორმაციის ცნებასთან, რომელსაც საფუძველი ზელიგ ჰარისმა ჩაუყარა. ჰარისი აღნიშნავდა, რომ ტრანსფორმებს თითქმის ერთიდაიგივე მნიშვნელობა აქვთ და ერთმანეთისგან მხოლოდ გარეგანი გრამატიკული სტატუსით (წინადადებაში მათ გარემომცველ ელემენტებთან სხვადასხვა გრამატიკული ურთიერთობით) განსხვავდება (Хэррис 1962: 674). მაგალითად, კონსტრუქცია The man was bitten by the dog ($N_2$ be Ven by $N_1$) აღწერს სიტუაციას, რომელიც მეტ-ნაკლებად იდენტურია სიტუაციისა The dog bit the man, ანუ პირველი ამ კონსტრუქციათაგან მეორეს ტრანსფორმია. მაშასადამე, „ტრანსფორმაცია არის ერთი წინადადების ისეთი გარდაქმნა მეორე წინადადებად, რომლის დროსაც ნაწარმოები წინადადება საწყისი წინადადების ეკვივალენტურია შინაარსობრივად და ლექსიკურ ერთეულთა შედგენილობით, მაშინ როდესაც ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან სინტაქსურ-გრამატიკული სტრუქტურით“ (კირვალიძე 2008: 61). ჰარისი გვთავაზობს ინგლისურ ენაში არსებული ტრანსფორმაციების ძირითადი ტიპების ჩამონათვალს, რაც მოიცავს

1. ვნებით კონსტრუქციებს

   *The children were drinking milk; Milk was being drunk by the children*

2. წარმდგენიან წინადადებებს (introducers)

   A boy came. There came a boy.

3. სიტყვათა ინვერსიულ წყობას

   He always dispised the public. The public he always dispised.

4. ცალკეული სიტყვების ტრანსფორმაციებს

   Give him this. Give this to him.

ამ ტრანსფორმაციების განხორციელებისას წინადადების აზრი უცვლელი რჩება. ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ ტრანსფორმებში ერთიდაიგივე მორფემებია წარმოდგენილი და ისინი მეტ-ნაკლებად იდენტურ სიტუაციებს აღნიშნავს. როცა ადგილი აქვს მნიშვნელობის ცვლილებას, ეს განპირობებულია წინადადების სტრუქტურაში ახალი მორფემების გამოჩენით, მაგალითად, კითხვით წინადადებაში. ზოგადად, ტრანსფორმაციული გრამატიკის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ მნიშვნელობის ცნება არ შეიძლებოდა განხილულიყო სტრუქტურული ლინგვისტიკის ან ტრანსფორმაციული გრამატიკის ფარგლებში. ამიტომაც, წინადადების ინვარიანტულობის საფუძვლის დადგენა და გამოკვლევა არ მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ ჰარისის თეორიაში ლაპარაკი არ არის წინადადების სემანტიკურ (ე.ი. შინაარსობრივ) ასპექტზე, ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენებით პრაქტიკულად შესაძლებელი ხდება წინადადების შინაარსობრივი ასპექტის წინა პლანზე წამოწევა, რადგანაც ტრანსფორმები ფაქტიურად ერთი და იგივე სემანტიკური ინვარიანტის სინტაქსურ ვარიანტებს წარმოადგენენ (კირვალიძე 2008). ამრიგად, პროპოზიციული ადვერბიალური კონსტრუქციის შემცველი წინადადება თანამედროვე ინგლისურ ენაში რთული წინადადების სინტაქსურ სინონიმად განიხილება, რადგანაც მათი აზრობრივი, პოლიპროპოზიციული სემანტიკური სტრუქტურა იმ ინვარიანტს წარმოადგენს, რომელიც უცვლელი რჩება მათი ენობრივი გაფორმების ვარიანტულობის დროს.

შემდგომში, დესკრიფციული ლინგვისტიკისა და ტრანსფორმაციული გრამატიკის მიმდევრებმა აუცილებლად ჩათვალეს ერთმანეთისგან გაემიჯნათ „რეფერენტული მნიშვნელობა“ [referential meaning] და „დიფერენციალური მნიშვნელობა“ [differential meaning]. მათი ყურადღების ცენტრში დიფერენციალური მნიშვნელობა მოექცა, ხოლო დენოტატსა და ენობრივ შეტყობინებას შორის მიმართება ფატობრივად ლინგვისტიკის ყურადღების მიღმა დარჩა.

სინტაქსური სინონიმიის მოვლენა უყურადღებოდ არც ჩომსკის ტრანსფორმაციულ-გენერატიულ თეორიაში დარჩენილა. ჩომსკი სინონიმურად მიიჩნევს სინტაქსურად ურთიერთდაკავშირებულ ზედაპირულ სტრუქტურებს, რომელთაც გრამატიკულ მიმართებათა საერთო სისტემა აქვთ, რომლის თითოეული წევრიც უშუალოდაა დაკავშირებული აბსტრაქტულ სიღრმისეულ წარმოდგენასთან, აქვს სხვა წევრების იდენტური შინაგანი სტრუქტურა და

მათთან ტრანსფორმაციულ ურთიერთობაში იმყოფება (Chomsky 1965). ამ ტიპის კონსტრუქციებია მაგალითად:

For us to please John is difficult.

It is difficult for us to please John.

To please John is difficult for us.

John is difficult to please.

ტრანსფორმაციულ-გენერატიული გრამატიკის განვითარების შემდგომ ეტაპზე უკვე გაჩნდა მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ტრანსფორმთა მახასიათებლები გარკვეულ როლს ასრულებს წინადადების სემანტიკურ ინტერპრეტაციაში. მაშასადამე, ტრანსფორმაცია ცვლის ამოსავალი სტრუქტურის მნიშვნელობას და გაუმართლებელია საუბარი იმაზე, რომ სემანტიკა მთლიანად სიღრმისეული სტრუქტურების დონეს განეკუთვნება (Chomsky 1972). ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ი. იელინიკის მოსაზრება, რომ ორი გამონათქვამის ერთნაირ მნიშვნელობაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ დავუშვებთ აბსოლუტური სინონიმიის არსებობას (Йелинек 1970). რამდენადაც აბსოლუტური სინონიმები ენაში არ არსებობს, ტრანსფორმაციას თან ახლავს მნიშვნელობის გარკვეული ცვლილებები.

ჩომსკის ხედვის საინტერესო ალტერნატივას გვთავაზობს ნ. ანდრეევი, რომელიც ამტკიცებს, რომ ექვივალენტობის პარალელურად აუცილებელია ყურადღების გამახვილება ტოლერანტულ კორელაციებზე (Андреев 1977). ექვივალენტობა გულისხმობს იმას, რომ თუ A ექვივალენტურია B-სი და B ექვივალენტურია C-სი, მაშინ A ექვივალენტურია C. მეორე ტიპის კორელაციის შემთხვევაში კი, თუ A ტოლერანტულია B-სი და B ტოლერანტულია C-სი, მაშინ A შეიძლება იყოს C-ს ტოლერანტული, მაგრამ ეს არაა სავალდებულო. ავტორი განიხილავს შემდეგ სინონიმურ ჯგუფს: дымка- марево – мгла – туман – пар. მართალია აქ მოყვანილ სიტყვათაგან თითოეული მისი მომდევნო სიტყვის სინონიმურია, მაგრამ რიგის კიდური წევრები ერთმანეთის სინონიმებად ვერ ჩაითვლება. ამ დებულებაზე დაყრდნობით ანდრეევი ასაბუთებს სინონიმიის შესწავლისას კონტექსტის გათვალისწინების აუცილებლობას (ibid: 268).

სინონიმიის ცნებას ეხება აგრეთვე გენერატიული გრამატიკის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი უ. ჩეიფი, რომელსაც ტერმინის „სიღრმისეული სტრუქტურა“ ნაცვლად შემოაქვს „სემანტიკური სტრუქტურის“ ცნება. იგი გენერატიულ პროცესებს განიხილავს, როგორც მოძრაობას

სემანტიკური სტრუქტურებიდან ფონეტიკური სტრუქტურებისაკენ. წინადადების მნიშვნელობასა და მის ჟღერადობას შორის არსებული შესატყვისობის ტიპების აღწერისას ჩეიფი გამოყოფს პოლისემიას, ომონიმიას და სინონიმიას, რომლებიც ფორმალური და შინაარსობრივი პლანის ერთეულებს შორის რაოდენობრივ განსხვავებებს ეფუძნება. იგი ადასტურებს, რომ ერთგვარი სინონიმია არსებობს, მაგრამ სრული სინონიმიის და სრული პერეფრაზირების შემთხვევები უაღრესად იშვიათია (Чейф 1975: 73).

სინტაქსურ სინონიმიაზე საუბრისას საჭიროა აგრეთვე მოვიხსენიოთ ჯ. კატცის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც სინონიმია (პერეფრაზირება) წინადადების ერთერთი უმნიშვნელოვანესი სემანტიკური მახასითებელია და წარმოადგენს „მნიშვნელობის იგივეობის მიმართებას“ [the relation of sameness in meaning] (Katz 1972: 5). ამ იგივეობაში იგი გულისხმობს წინადადებებს შორის ზოგიერთი (მაგრამ არა ყველა) საერთო ნიშნის არსებობას. იგი განასხვავებს სინონიმიას და სრულ სინონიმიას, რომელთაგან პირველი აღნიშნავს მიმართებას, როცა ორ ერთეულს ერთი საერთო ინტერპრეტაცია (ერთი საერთო წაკითხვა) აქვთ. სრულ სინონიმიაზე კი საუბარია, თუ ერთი ერთეულის ინტერპრეტაციათა მთელი კომპლექტი ემთხვევა მეორე ერთეულისას. კატცის თეორიაში პირველადაა გამოთქმული თვალსაზრისი, რომ არა მარტო ლექსიკური, არამედ წინადადების მნიშვნელობაც შეიძლება დაიშალოს კომპონენტებად, რომელთაც ავტორი „სემანტიკურ მარკერებს“ უწოდებს. ჯ. კატცისა და ჯ. ფოდორის დებულება იმის შესახებ, რომ წინადადების სტრუქტურის აღწერა შესაძლებელია ლინგვისტურ კონტექსტში მისი გარემოცვისგან დამოუკიდებლად (Katz and Fodor 1964), რა საკვირველია აბრკოლებდა სინონიმურ ერთეულთა ფუნქციონირებაზე კონტექსტის ზეგავლენის კვლევას. სადავოდ მიიჩნევა მათი მტკიცებაც, რომ სემანტიკური აღწერა ადექვატურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხსნის ინტერპრეტაციული ვარიატულობის დამოკიდებულებას ლინგვისტურ კონტექსტზე. ამ თვალსაზრისს ავტორები მიჰყავს სემანტიკური ანალიზისას სიტუაციური კონტექსტის გათვალისწინების აუცილებლობის უარყოფამდე.

შემდგომ წლებში ენათმეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოექცა ლინგვისტური და სიტუაციური კონტექსტის ვარირების ასპექტები, როგორც სინონიმურობის კრიტერიუმი. ამის საფუძველზე გაიმიჯნა კონტექსტისგან დამოუკიდებელი სინონიმიის და კონტექსტუალურად განპირობებული

სინონიმიის შემთხვევები, რომელთათვისაც საკმარის პირობას წარმოადგენს ილოკუციური აქტების ექვივალენტურობა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გვესახება რ. ჰარისის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სემანტიკური ანალიზისას გათვალისწინებულ უნდა იქნას როგორც ლინგვისტური ცოდნის [linguistic knowledge] შედეგად მიღებული ინფორმაცია, არამედ საერთო ცოდნის [common knowledge] შედეგიც (Harris 1973: 153).

ახალი პერსპექტივები გაუხსნა სინტაქსური სინონიმიის კვლევას სიტუაციური სინტაქსის განვითარებამ და მისმა ძირითადმა დებულებამ, წინადადების დენოტაციურმა ანუ რეფერენტულმა კონცეფციამ. ამ კონცეფციის მიხედვით წინადადება განიხილება, როგორც მოვლენისა თუ სიტუაციის მთლიანი სახელწოდება, როგორც ერთეული, რომელსაც ნომინაციური ფუნქცია აქვს (გამოხატავს ნომინაციის გარკვეულ ტიპს) (Арутюнова 1971: 63).

არსებობს ტერმინ „ნომინაციის“ ორგვარი განმარტება. ვიწრო გაგებით ეს არის საგნების აღნიშვნა ცალკეული სიტყვებისა და სიტყვათშეხამებების მეშვეობით. უფრო ხშირად ნომინაციის ცნება აღიქმება უფრო ფართოდ, როგორც აღნიშვნა ყველაფრისა, რასაც აღიქვამს და შეიცნობს ადამიანის ცნობიერება, ყოველივე არსებული და შესაძლებელი: საგნები, ადამიანები, ქმედებები, თვისებები, ურთიერთობები და მოვლენები (Гак 1977: 234). განასხვავებენ მარტივ და რთულ ნომინაციას. მარტივი ნომინაცია (სიტყვა ან სიტყვათშეთანხმება) უნდა გავიგოთ, როგორც იზოლირებული ნიშან-თვისებების ანუ სტატიკური დენოტატების ფიქსაცია. რთული ნომინაცია კი დასრულებული კომუნიკაციური ელემენტებით გამოხატული ნომინაციაა, განხორციელებული წინადადების მეშვეობით. შესაბამისად გამოჰყოფენ ისეთ ნომინაციურ ერთეულებს, როგორიცაა სიტყვა, სიტყვათშეთანხმება და წინადადება. ეს ერთეულები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ნომინაციის ხასიათით და სემანტიკური არსით.

ობიექტური რეალობა თავისი სტრუქტურით რთულია და მრავალწახნაგოვანი. მასში არსებული თითოეული საგანი თუ მოვლენა, ისევე, როგორც მათ შორის არსებული მიმართებები მრავალმხრივი და უაღრესად მრავალფეროვანია. რამდენადაც ყველა სიტუაციას ახასიათებს გარკვეული დიფერენციალური ნიშნები, ბუნებრივია, რომ ადამიანის შემეცნებაში არაერთგზის ასახვისას ეს მახასიათებლები განსხვავებული მნიშვნელობების ფორმას იძენს. შეუძლებელია სიტუაცია აისახოს ადექვატურად, რადგანაც იგი

დინამიურია და ადამიანს არ ძალუძს ერთჯერადად ამა თუ იმ რთული დენოტატის ყოველმხრივი და სრული შეცნობა. ერთიდაიგივე სიტუაცია შეიძლება აისახოს ერთის მხრივ, ახალი კომპონენტების დამატებით, ხოლო მეორეს მხრივ ადრე აღქმული კომპონენტების იმპლიციტურად წარმოდგენით. რასაკვირველია ეს განსხვავებები აისახება სინტაქსური სტრუქტურების აგებულებაზე. ამასთან დაკავშირებით განასხვავებენ რეალობის ასახვის პირდაპირ და ირიბ ხერხებს. თუ პირდაპირი ნომინაციისას ასახული სიტუაციის ელემენტები პირდაპირ და დისკრეტულად ფორმდება, ირიბი ნომინაციისას ადგილი აქვს მოვლენის სტრუქტურასა და შესაბამისი გამონათქვამის სინტაქსურ ორგანიზაციას შორის იზომორფიზმის რღვევას. ამისი ერთერთი გამოვლინებაა გამონათქვამის აგებისას იმპლიციტურობის წარმოშობა, როცა ასახული სიტუაციის ზოგიერთი ელემენტი ვერ ჰპოვებს ვერბალურ გაფორმებას. სწორედ ეს წარმოადგენს სინტაქსური სინონიმიის წარმოშობის საფუძველს. ამ კონცეფციის აღიარებას ლოგიკურად მივყავართ, მაგალითად, დამოკიდებული წინადადებისა და ზმნის უპირო ფორმების შემცველი კონსტრუქციების სინონიმურობის აღიარებამდე.

ლინგვისტურ ლიტერატურაში არაერთგზისაა აღნიშნული, რომ რთული დენოტატის მთავარი ნიშანი მასში პრედიკაციული მახასიათებლების არსებობაა (მაგ. Колшанский 1976: 25). თუ ჩვენ განვიხილავთ პრედიკაციულობას, როგორც ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას, რომელსაც პროპოზიციული მნიშვნელობა აქვს (ანუ გამოხატავს ფაქტს ან ხდომილებას), როგორც სემანტიკურ ნიშანს, რომელიც ახასიათებს არა მარტო წინადადებას, არამედ სიტყვათშეთანხმებებსაც, მივდივართ დასკვნამდე, რომ რეალური სინამდვილის სიტუაცია შეიძლება აღინიშნოს არა მარტო წინადადებით, არამედ ზმნის უპირო ფორმების შემცველი სიტყვათშეთანხმებითაც, სადაც პრედიკაცია იმპლიციტურად ვლინდება. მაგალითად, ირტენიევა წინადადებისა და სიტყვათშეთანხმების კორელაციის განხილვისას აღნიშნავს, რომ წინადადებაში ზმნის არასრული ფორმის შემცველი სიტყვათშეთანხმებები აღნიშნავენ იგივე დენოტატს, რეალობის იგივე სიტუაციას, რასაც წინადადება (Иртеньева 1974). სწორედ ის გარემოება, რომ მეორადი პრედიკაციის სტრუქტურებით წარმოდგენილი ზმნური სიტყვათშეთანხმებები, ისევე როგორც წინადადებები ასახავს რთულ დენოტატს, იძლევა საშუალებას ობიექტური რეალობის ერთიდაიგივე სიტუაციასთან დაკავშირებული სიგნიფიკატის ობიექტივაციისთვის

გამოვიყენოთ სინტაქსური სტრუქტურები, რომლებიც ერთმანეთის სინონიმურია.

### *2.2.2. სინტაქსური სინონიმიის კვლევის მიმართულებები*

სინტაქსური სინონიმიის საკითხებთან თანკვეთაშია სინტაქსური ვარიანტის ცნების შესწავლა დიქოტომიის ინვარიანტი-ვარიანტი თვალსაზრისით. თუმცა თავად ინვარიანტის ცნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან მოდის, ლინგვისტიკაში მან რამდენიმე განსხვავებული ინტერპრეტაცია შეიძინა. ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ ინტერპრეტაციათა დეტალური განხილვა, მაგრამ ზოგიერთ მათგანი საკმაოდ მნიშვნელოვანია სინტაქსური სინონიმიის ცნების გაგებისთვის.

ლინგვისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ფორმალური ცვლილებებისას ინვარიანტად უნდა ჩაითვალოს აზრობრივი ერთეული, რომელიც შინაარსის პლანშია წარმოდგენილი. მაგალითად, შენდელსი სინტაქსურ ვარიანტებად მიიჩნევს მოდელის შიდა ცვლილებებს, რომლებიც მას სხვა მოდელად არ გადააქცევს (Шендельс 1962). ვარიატულობის მიზეზების კვლევისას ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ ახალი სტრუქტურებიცა და იგივე სტრუქტურის ვარიანტებიც ერთიდაიმავე გრამატიკული საშუალებებით იქმნება. იმ პირობების დადგენის მიზნით, რომლებიც ერთ შემთხვევაში მოდელის ვარიანტების, ხოლო მეორე შემთხვევაში ახალი მოდელების წარმოშობას იწვევს, შენდელსს შემოაქვს მოდელის არსებითი და არაარსებითი ნიშნის ცნება. არსებითი ნიშნების შეცვლა იწვევს ახალი მოდელის წარმოქმნას, ხოლო არაარსებითი ნიშნებისა კი – იმავე სტრუქტურის ვარიანტებისა. მოდელის ვარიანტებს შორის შეიძლება გამოიყოს დომინანტი სტრუქტურა, რომელიც ყველაზე ნათლად გადმოსცემს მოდელის არსებით ნიშნებს და ხშირი გამოყენებითაც გამოირჩევა. სხვა ვარიანტები შეიძლება დამატებით ვარიანტებად ჩაითვალოს. თუმცა შესაძლებელია თანაბარუფლებიანი ვარიანტების არსებობაც.

სწორედ არსებითი და არაარსებითი ნიშნების ცნებას ეფუძნება ზაიცევაც სინტაქსური ერთეულების ვარიატულობის განხილვისას. მაგალითად, ცვლილებები სიტყვათა რიგში, კომპონენტთა რაოდენობაში, დამხმარე სიტყვების ვარიაციები, ზოგიერთი კომპონენტის ფორმის შეცვლა და ა.შ. არაარსებითი ნიშნების რიცხვში განიხილება (Зайцева 1964).

აბრამოვი მიიჩნევს, რომ სინტაქსში ინვარიანტულად შეიძლება ჩაითვალოს სემანტიკური და სტრუქტურული მოდელები, სემანტიკური

მიმართებები და სინტაქსური მნიშვნელობები, ხოლო ვარიანტებად – მათი გამომხატველი სინტაქსური ერთეულები (Абрамов 1988).

მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა სინტაქსური ვარიატულობის არსის გააზრებაში, კონცეფციათა უმრავლესობას აერთიანებს ის ფაქტი, რომ ინვარიანტისა და ვარიანტის დიქოტომიის პრობლემა განიხილება როგორც ურთიერთმიმართება ენობრივი ერთეულის ორ პლანს, შინაარსისა და გამოხატულების პლანებს შორის. ამ თვალსაზრისით, გადაკვეთა სინტაქსურ ერთეულთა ვარიატულობის კვლევასა და სინტაქსური სინონიმიის პრობლემატიკას შორის ბუნებრივია, თუმცა შიგაპოვა მიიჩნევს რომ აქ ადგილი აქვს იმავე რეალიის გამოხატვის სხვადასხვა საშუალების აღრევას (Шигапова 1999).

თანამედროვე დასავლურ ენათმეცნიერებაში სინტაქსური სინონიმიის კვლევა ხშირად წარმოებს ხელოვნური ენების მაგალითზე, რადგანაც ბუნებრივი ენებისგან განსხვავებით ამ ენების სინტაქსი შედარებითი სიმარტივით გამოირჩევა, რაც ამ სახის კვლევებს ზოდაგენათმეცნიერული კვლევისთვის ხელსაყრელ საწყის ეტაპად აქცევს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კ. კლემენტის სტატია, რომელიც ძირითადად განსხვავებული სინტაქსური სტრუქტურის მქონე წინადადებებს შორის შესაძლო სინონიმიის საკითხებს ეძღვნება. ავტორი სინონიმიას განსაზღვრავს, როგორც ინტენსიონალის, კოგნიტური სიგნიფიკაციის იგივეობას და არა უბრალოდ ექსტენსიონალურ ან თუნდაც ლოგიკურ ეკვივალენტობას (Klement 2005: 1). იგი არ ეთანხმება წინადადების მნიშვნელობის შესახებ არსებულ თეორიებში გაბატონებულ მოსაზრებას, რომ სინონიმურ წინადადებებს საერთო სტრუქტურა უნდა ჰქონდეს, რადგან მაშინ აუხსნელი რჩება მიმართება წინადადებათა ზოგიერთ წყვილს შორის, რომლებიც ინტუიტიურად სინონიმურია. მაგალითად,

1. Jenniffer loves Ben.
   Ben is loved by Jennifer.
2. Socrates is mortal.
   Mortality is instantiated by Socrates.

ამ ნაკლოვანების შესავსებად და იმ მიზნით, რომ ჩამოაყალიბოს სინონიმიის განსაზღვრება, რომელიც არ შემოიფარგლებოდა სინონიმური წინადადებების სინტაქსური ფორმით და, ამასთან, არ დაიყვანს სინონიმიას მხოლოდ ლოგიკურ ეკვივალენტობამდე, კლემენტს შემოაქვს პერიფრაზირების [rewording] ცნება. იგი

ამტკიცებს, რომ სინონიმურად შეიძლება ჩაითვალოს ორი წინადადება, თუ ერთი მათგანი შეიძლება მიღებულ იქნეს მეორისგან ერთი სინონიმის მეორეთი ჩანაცვლების საფუძველზე ან პერიფრაზირებით. კლემენტი იქვე ხაზს უსვამს პერიფრაზირების განმარტების აუცილებლობას და ცდილობს იმის დაკონკრეტებას, რა ტიპის გრამატიკული ცვლილებები შეიძლება გავაერთიანოთ ამ კატეგორიაში (ibid: 3). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მცდელობა ხორციელდება მხოლოდ ერთი კონკრეტული ხელოვნური ენის მაგალითზე და დასკვნებიც, შესაბამისად, შეზღუდული ღირებულებისაა ჩვენი მიზნებისათვის.

სინტაქსური სინონიმიის კვლევის ერთ-ერთი საინტერესო მიმართულებაა დიაქრონიული კვლევა. მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ ა. დომოტორის გამოკვლევა, რომელიც ერთმანეთისგან გამიჯნავს სტრუქტურულ (სინტაქსურ) სინონიმებს და ფორმალურ ვარიანტებს. სინონიმებად აქ ისეთი კონსტრუქციები მიიჩნევა, რომელთაც საერთო დენოტაციის მიუხედავად განსხვავებული სტრუქტურა და, აქედან გამომდინარე, ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ. მეორეს მხრივ, ფორმალური ვარიანტები, მიუხედავად ფორმალური სხვადასხვაობისა, არავითარ სემანტიკურ განსხვავებას არ ამჟღავნებენ (Domotor 2003). ავტორი ერთმანეთს ადარებს ბიბლიის ექვს პარალელურ თარგმანს უნგრულ ენაზე, რომლებიც შესრულებულია 1416-1626 წლებში და ცდილობს წარმოაჩინოს ფორმალურ ვარიანტებსა და სტრუქტურულ სინონიმებს შორის მიმართების ისტორიული ასპექტები. იგი ასკვნის, რომ ფორმალურ ვარიანტთა დიდი უმრავლესობა ენის ისტორიული განვითარების პროცესში რეინტერპრეტაციას განიცდის, რის შედეგადაც მათი მნიშვნელობები ერთმანეთს შორდება. მაშასადამე, მათი არსებობა სინონიმური კონსტრუქციების ჩამოყალიბების ისტორიულ წინაპირობას წარმოადგენს. სინტაქსური სინონიმების თანაარსებობა ზოგ შემთხვევაში მათს მნიშვნელობებში სერიოზული ცვლილებით სრულდება, ზოგჯერ კი ისინი ინარჩუნებენ თავიანთი ადგილს ენობრივ სისტემაში.

დიაქრონიული თვალსაზრისით იკვლევს სინტაქსურ სინონიმიას კ. გუგანიც სტატიაში, რომლის საფოკუსო მასალასაც წარმოადგენს სინონიმია მიმღეობით კონსტრუქციებსა და რთული (თანწყობილი თუ ქვეწყობილი) წინადადების კომპონენტებს შორის (Gugan 2002). ბიბლიის თარგმანების ანალიზის საფუძველზე იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ შესამჩნევია ტენდენცია მიმღეობითი კონსტრუქციების თანდათანობითი ჩანაცვლებისა მათი სინონიმური

დამოკიდებული წინადადებით ან თანწყობილი წინადადების ნაწილით. ზოგიერთ იმ კონტექსტში, ჩვეულებრივ გარემოების ფუნქციით, სადაც მიმღეობითი კონსტრუქცია იხმარებოდა, თანამედროვე უნგრულში მათი გამოყენება იშვიათია და ძლიერადაა სტილისტური თვალსაზრისით მარკირებული. მაშასადამე, განხორციელდა არა სრული ჩანაცვლება, არამედ პროპორციების, ველის გადანაწილება. ავტორი ამტკიცებს, რომ მსგავსი დიაქრონიული ცვლილებები დადასტურებულია სხვა ენებშიც, მაგალითად, ფინურში, ძველ ფრანგულში.

უდავოდ საინტერესოა ამგვარი ისტორიული ცვლილების გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა. ზოგ შემთხვევაში სინონიმურ წყვილიდან ერთის მეორეთი ჩანაცვლება განპირობებული უნდა იყოს ენობრივი კონტაქტით და ნასესხობით. ასეა, მაგალითად, ფინურ ენაში (ibid). უაღრესად მნიშვნელოვანია ჰარისის და კემპბელის მოსაზრება ამ მოვლენასთან დაკავშირებით. ისინი განმარტავენ, რომ ამგვარი ცვლილებები (როგორც სინტაქსური, ისე ფონეტიკური და მორფოლოგიური) ჩვეულებრივ განპირობებულია კონფლიქტით, რომელიც მოუბრის მოკლე, ეკონომიური გამონათქვამებისაკენ სწრაფვას და მსმენელის მხრიდან სიჭარბისა და ვრცელი გამონათქვამების მოთხოვნილებას შორის არსებობს (Harris and Campbell 1995: 54).

სოციოლინგვისტური ფაქტორებია წამოწეული წინა პლანზე იმავე ფენომენის ჰერმანისეულ ინტერპრეტაციაში. იგი მიიჩნევს, რომ ენის განვითარების ისტორიის ზოგიერთ ეტაპზე ხდება კომუნიკაციის პირობების გაუარესება „ხმაურის“ დონის ზრდის გამო. „ხმაური“ აქ შეიძლება ნიშნავდეს უცხო ენოვანი მოსახლეობის მასობრივ შემოდინებასა და ასიმილაციას, საზოგადოების მკვეთრ დაყოფას, მაგალითად, განათლების დონის მიხედვით, დიალექტთა შერევის პირველ ეტაპს და ა. შ. ამგვარი ხმაურის ზრდა მოითხოვს კოდში სიჭარბის ხარისხის ზრდის საჭიროებას, რაც თავისთვად გულისხმობს სიჭარბეს ენობრივ სტრუქტურებში (იხ. Gugan 2002). რამდენადაც ანალიზური სინტაქსური სტრუქტურები სიჭარბის უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება, ვიდრე იმავე ფუნქციის მქონე სინთეზური სტრუქტურები, ეს თეორია წარმოადგენს სინტაქსურ სინონიმთა შორის მიმდინარე ზემოაღწერილი პროცესების შესაძლო ინტერპრეტაციას.

სინტაქსური სინონიმიის მოვლენა არ დარჩენილა სოციოლინგვისტთა ყურადღების მიღმაც. ამ თვალსაზრისით მკვლევართა ყურადღება ფოკუსირებულია სინტაქსურ ვარიაციაზე, რაც ენის სხვადასხვა დიალექტს

შორის არსებობს, თუმცა ეს მოვლენა ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე დიალექტური ვარირების სხვა ასპექტები. დ. ადგერი და გ. ტრაუსდეილი ამტკიცებენ, რომ მორფოსინტაქსური ვარირება სოციალური ჯგუფების და სოციალური კლასების სტრატიფიკაციას გაცილებით უფრო მკვეთრად ახდენს, ვიდრე ფონოლოგიური და ფონეტიკური, რომლის შესწავლასაც ტრადიციულად ძალიან დიდი ადგილი უჭირავს სოციოლინგვისტიკურ კვლევებში (Adger and Trousdale 2007). გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ცვლადთა უმრავლესობა მორფოსინტაქსურია და მოიცავს ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა ზმნის დრო, მოდალობა და უარყოფა, თუმცა ზოგი მათგანი სინტაქსურიცაა, მაგალითად სიტყვათა წყობა ირიბ შეკითხვებში [embedded questions]. ზოგი მკვლევრის თვალსაზრისით, სინტაქსური ვარიანტი ალოფონებისა და ალომორფების მსგავსია იმ გაგებით, რომ ყველა მათგანს გარკვეული აბსტრაქტული ერთეული უდევს საფუძვლად (მაგ., Adger 2006). თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც – ფონოლოგიურისა და მორფოლოგიურისგან განსხვავებით, სინტაქსური ვარიანტები არ არის განპირობებული მხოლოდ ლინგვისტური კონტექსტით და არც თავისუფალი ვარირების მდგომარეობაში იმყოფება ერთმანეთთან. მათ შორის არჩევანი უმრავლეს შემთხვევაში განპირობებულია წინამავალი დისკურსით, მოუბრის და აუდიტორიის მახასიათებლებით და სხვა ფსიქოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ფაქტორებით. აქ კვლავ დგება სინტაქსური ვარიანტების განსაზღვრის საკითხი. ს. იაკობსონი (Jacobson 1980: 23-24) ამტკიცებს, რომ სინტაქსური ვარიანტები უნდა იყოს

1. დესკრიფციულად სინონიმური
2. ერთსა და იმავე სემანტიკურ ველში
3. ფუნქციურად შესადარი/თავსებადი
4. სტრუქტურულად შესადარი/თავსებადი

ამ კრიტერიუმებში შეჯერებულია სინტაქსური და დისკურსული ფაქტორები, მაგრამ სერიოზული შეკითხვები ჩნდება, როცა საკითხი სხვადასხვა კონსტრუქციის ვარიანტებად განხილვას შეეხება. მაგალითად, შეიძლება თუ არა ერთმანეთის ვარიანტებად განვიხილოთ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები? ამ შეკითხვას კვლავ მივყავართ კონსტრუქციათა მნიშვნელობის იგივეობისა და, აქედან გამომდინარე, „მნიშვნელობის“ დეფინიციის პრობლემამდე, რომელსაც ზემოთ შევეხეთ და უფრო დაწვრილებით შემდეგ პარაგრაფში დავუბრუნდებით.

თუმცა, ჩვეულებრივ, ორ დიალექტს შორის არსებული სინტაქსური ვარიაცია განიხილება, როგორც ერთი სიღრმისეული სტრუქტურის განსხვავებული ზედაპირულ გამოვლენებები, ეს მოსაზრება მაინც სადავოდ მიიჩნევა. ჯ. ჰარისი თვლის, რომ სინტაქსური ვარიანტები, რომელიც დიალექტის შიდა განსხვავებებზეა დაფუძნებული თავისი არსით შეიძლება განსხვავდებოდეს ორ სხვადასხვა დიალექტს შორის არსებული ვარიაციისგან (Harris 1984). დიალექტთაშორისი და შიდადიალექტური ვარიაცია დამოკიდებულია იმაზე, აქვთ თუ არა ამ დიალექტებს განსხვავებული გრამატიკული ქვესისტემები. მაშასადმე, დიალექტთაშორისი სინტაქსური ვარიაცია შეიძლება სერიოზული სიღრმისეული განსხვავებების ანარეკლს წარმოადგენდეს.

ამგვარად, სინტაქსური სინონიმიის კვლევას უკვე საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ზემოთ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვაც საკმარისია იმის დასტურად, რომ პრაქტიკულად ყველა ლინგვისტურ თეორიასა და მიმართულებაში ამ ენობრივი მოვლენის კვლევას გარკვეული ყურადღება დაეთმო და შესაბამისად თავად ცნებამ სერიოზული ევოლუცია განიცადა. ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზეც სინტაქსური სინონიმიის კვლევა სხვადასხვა ჭრილში და სხვადასხვა მიზნით მიმდინარეობს და ყველა ამ საინტერესო გამოკვლევის ანალიზი შეუძლებელი იქნებოდა ერთი ნაშრომის ფარგლებში. მიუხედავად ამგვარი ინტერესისა, კვლავ სადავო რჩება ყველაზე არსებითი, სინტაქსური სინონიმიის რაობის განსაზღვრისა და აქედან გამომდინარე, სინონიმურობის კრიტერიუმების დადგენის საკითხი.

## 2.3. სინტაქსური კონსტრუქციების სინონიმურობის კრიტერიუმები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სინონიმიის შესწავლა გრამატიკაში გაცილებით უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე ლექსიკაში და ბუნებრივია, სინტაქსური სინონიმიის რაობის შესწავლისა და სინტაქსურ კონსტრუქციათა სინონიმურობის კრიტერიუმების დადგენისას მკვლევარები მნიშვნელოვანწილად ეფუძნებოდნენ ზოგად ენათმეცნიერული პრობლემების კვლევის და განსაკუთრებით, ლექსიკური სინონიმიის ანალიზის პროცესში მოპოვებულ მონაცემებს. ისე, როგორც ლექსიკური სინონიმების, სინტაქსური სინონიმების იდენტიფიკაციაც ჩვეულებრივ ეფუძნება სამ ძირითად კრიტერიუმს:

1. მნიშვნელობის იგივეობა ან მსგავსება
2. ფორმალური ნიშნები/მახასიათებლები
3. სინონიმურ კონსტრუქციათა ფუნქცია ანუ ურთიერთჩანაცვლების უნარი

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხებს ჩვენ წინა პარაგრაფშიც შევეხეთ, შევეცდებით, განვიხილოთ თითოეული მათგანი უფრო დეტალურად.

### *2.3.1. სინტაქსური სინონიმები მნიშვნელობის მიხედვით*

2.3.1.1. გრამატიკული მნიშვნელობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სინტაქსურ სინონიმთა თავდაპირველი დეფინიცია მთლიანად გრამატიკული მნიშვნელობის იდენტურობას ეფუძნებოდა (Пешковский 1930). კოვტუნოვას აზრით, სინტაქსური სინონიმები, ეს არის კონსტრუქციები, რომელთაც ახასიათებთ სრული გრამატიკული პარალელიზმი და განსხვავდებიან მხოლოდ იმ ელემენტებით, რომლებიც ამ კონკრეტული გრამატიკული მნიშვნელობის გამომხატველებად გვევლინებიან (Ковтунова 1955: 69). მაგალითად, იგი უარყოფს სინონიმიის შესაძლებლობას დამოკიდებულ წინადადებასა და მიმღეობიან ან ინფინიტივურ კონსტრუქციებს შორის, რადგანაც ისინი ვერ აკმაყოფილებს გრამატიკული პარალელიზმის მოთხოვნას. ამ თვალსაზრისს არ ეთანხმება შენდელსი, რომელიც მიიჩნევს, რომ გრამატიკული სინონიმები უნდა იყოს განსხვავებული გრამატიკული კონსტრუქციები, რომელთა მნიშვნელობებიც ახლოსაა ერთმანეთთან და გრამატიკული მნიშვნელობის სრული იდენტურობის მოთხოვნა არ იქნებოდა

გამართლებული (Шендельс 1959: 69-71). თავად გრამატიკული მნიშვნელობის ცნება უდავოდ იმსახურებს უფრო დეტალურ განხილვას.

გრამატიკული მნიშვნელობა განიხილება როგორც დამატებითი, მეორადი ლექსიკურ მნიშვნელობასთან შედარებით და ითვლება, რომ იგი გამოხატავს სხვადასხვა ტიპის მიმართებებს, მაგალითად, სიტყვებს შორის წინადადებაში, მოქმედი პირის მიმართ, აღნიშნული ფაქტის მიმართებას რეალობასთან და ა. შ. (Розенталь, Теленкова 1985). ადმონი მიიჩნევს, რომ გრამატიკული ფორმების სემანტიკა არ უნდა განვიხილოთ, როგორც განცალკევებული მნიშვნელობების ჩამონათვალი, არამედ ეს ცალკეული მნიშვნელობები ერთმანეთთან დაკავშირებულია და ქმნის რთულ კონტინიუმს ანუ ველს (Адмони 1979: 3).

შენდელსი გრამატიკულ სინონიმიაზე საუბრისას დეტალურად განიხილავს გრამატიკულ მნიშვნელობის ცნებას და გამოყოფს გრამატიკულ დენოტაციას და კონოტაციას. იგი თვლის, რომ გრამატიკულ ფაქტებს სულ მცირე ორი მხარე აქვთ: ისინი „აღნიშნავენ“ რაიმეს და „გამოხატავენ“ ამ რაიმეს სხვადასხვა ხერხით, ზოგჯერ ემოციურად, აფექტურად, ხოლო ზოგჯერ ნეიტრალურად. ამის აღსანიშნავად შენდელსი ოპტიმალურად მიიჩნევს ტერმინებს დენოტაცია და კონოტაცია (Шендельс 1970). იგი გამოყოფს გრამატიკული ფორმების დენოტაციის სამ ტიპს. ორი მათგანი მეტ-ნაკლებად უკავშირდება ექსტრალინგვისტურ სინამდვილეს, ხოლო მესამეს ნულოვანი დენოტატი აქვს, ანუ არ არის კავშირში არაენობრივ რეალობასთან.

პირველი ტიპი აღნიშნავს ობიექტურად, ჩვენს მიღმა არსებულ საგანთა (რეალიათა) ურთიერთმიმართებას (ადამიანის ცნობიერების პრიზმაში გარდატეხილს), მაგალითად, რეალურად არსებულ მხოლობითობას და მრავლობითობას. მეორე ტიპი აღნიშნავს მოსაუბრის დამოკიდებულებას პირველი სახის მნიშვნელობასთან; იგი აჩვენებს, როგორ ტრანსფორმირდება რეალობაში არსებული მიმართებები ადამიანის ცნობიერებაში, როგორ რეაგირებს იგი სინამდვილეზე ან ზემოქმედებს მასზე. აქ იგულისხმება მოდალობა, კილო, განსაზღვრულობა და განუსაზღვრელობა არსებითი სახელის სისტემაში. მესამე ტიპი არ უკავშირდება ექსტრალინგვისტურ რეალობას. ეს შიდაენობრივი დენოტაციაა, რომელიც გამოხატავს ენობრივ ერთეულთა ურთიერთქმედებას, მაგალითად, ზედსართავ სახელთა სქესი და რიცხვი. დენოტაციური შინაარსი იშლება სემებად. ფორმის მნიშვნელობის შეცვლისას იცვლება დენოტაციაც. დენოტაციურ დონეზე ფორმების შეპირისპირებისას ჩვენ

ვახდენთ მათი დაახლოებისა და დაშორების კონსტატაციას. სწორედ ფორმათა დენოტაციური შინაარსის თანხვედრას მიიჩნევს შედელსი მათი სინონიმურობის საფუძვლად.

დენოტაციური შინაარსი ადგენს, *რას* აღნიშნავს მოცემული ფორმები, მაგრამ არა იმას, *როგორ* აღნიშნავს ისინი ერთი და იმავე ურთიერთობას. გრამატიკული ფორმა გარდა თავისი სემებისა ატარებს კიდევ დამატებით ინფორმაციას, ფლობს განსაკუთრებული სახის ექსპრესიას, აქვს უნარი აღძრას გრძნობები, გამოიწვიოს წარმოდგენები, ასოციაციები. დენოტატიურ დონეზე ეს განსხვავებები შეიძლება არც იყოს გასათვალისწინებელი, მაგრამ თუ კვლევა ამ დონეზე შეჩერდა ყურადღების მიღმა დარჩება ენის შინაარსობრივ მხარის უზარმაზარი ექსპრესიულ-ემოციური ასპექტი, რის გარეშეც არც ერთი ცოცხალი ენა არ არსებობს და რის გარეშეც გაურკვეველი დარჩებოდა სინონიმთა განმასხვავებელი ნიშნები. ამგვარი დამატებითი მნიშვნელობები განსაკუთრებით ნათლად ვლინდება სხვადასხვა ფორმის ერთიდაიგივე დენოტაციური მნიშვნელობის შემთხვევაში. ამ მნიშვნელობებს კონოტაციური შეიძლება ეწოდოს და მათი შესწავლა ანალიზის სხვა დონეს მოითხოვს.

ტერმინი „კონოტაციური“ გარკვეული თვალსაზრისით ჯამურია, რადგანაც იგი მოიცავს მთელ ინფორმაციას, რასაც ფორმა დენოტაციური მნიშვნელობის მიღმა შეიცავს. კონოტაცია წარმოადგენს სხვადასხვა სახის სუბიექტურ შრეებს – გარკვეულ მნიშვნელობათა ექსპრესიულობას და ინტენსიფიკაციას, გრამატიკულ ხატოვანებას (მეტაფორულობას), ემოციურ ეფექტს და ა.შ. ეტიმოლოგიიდან გამომდინარე ინგლისური სიტყვა connotation აღნიშნავს „თანამნიშვნელობას“ და შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მნიშვნელობის ძირითად აღმნიშვნელ კომპონენტთან მიმართებაში, არამედ დამატებითი ასოციატური და ემოციური კომპონენტების მიმართ. შენდელსი მიიჩნევს, რომ კონოტაციური დონე გრამატიკისა და სტილისტიკის მიჯნაზეა და რომ მაშინაც კი, როცა ყურადღების ცენტრში კონოტაციაა, ის არ უნდა მოწყდეს დენოტაციურ მნიშვნელობას (Шендельс 1970). კონოტაცია გრამატიკაში ყოველთვის მეორადია დენოტაციასთან შედარებით. ეს განპირობებულია იმ პრინციპული განსხვავებით, რაც სიტყვისა და ფორმის კონოტაციას შორის არსებობს. კონოტაციური მნიშვნელობა სიტყვის, როგორც ლექსიკონის ცალკეული ერთეულის, როგორც ლექსიკური სისტემის წევრის მახასიათებელია. სიტყვას აქვს „სტილისტური შარავანდედი“; მისი არა მარტო გაგებაა

შესაძლებელი, არამედ განცდაც, კონტექსტის გარეშეც კი. სიტყვები „ბედური“, „ჯაგლაგი“ თავადვე ატარებენ გარკვეულ ემოციურ-შეფასებით მუხტს, რომელიც განაპირობებს მათ გამოყენებას მეტყველებაში, მაგრამ რა თქმა უნდა არ გამორიცხავს იმას, რომ ნებისმიერმა სიტყვამ კონტექსტში შეიძინოს შეფასებითი ხასიათი (შენც ხარ რა დონჟუანი?!).

სიტყვისგან განსხვავებით, ფორმა პარადიგმატულ პლანში მხოლოდ დენოტაციას გადმოსცემს (აქ არ არის საუბარი სიტყვების მთელ ლექსიკო-გრამატიკულ კლასებზე, როგორიცაა მაგალითად შორისდებულები). არ არსებობს ისეთი ოპოზიცია, რომლის წევრებიც ერთმანეთისგან თავიანთი ემოციურ-შეფასებითი ხასიათით განსხვავდებოდნენ. კონოტაცია ჩნდება კონტექსტში, მეტყველებაში. მეტყველების მიღმა შეუძლებელია ერთ ფორმას მიეცეს სუბიექტურის, ემოციურის, სტილისტურად შეფერილის კვალიფიკაცია, ხოლო მეორეს ობიექტურისა და ნეიტრალურისა. ამიტომაც მიუღებელია მორფოლოგიური ფორმების სუბიექტურ-ფსიქოლოგიური განსაზღვრება, როგორც ფორმის იმანენტური ნიშნისა, მაგალითად დატივის დახასიათება, როგორც ინტიმური ბრუნვის, პირადი დაინტერესების გამომხატველი ფორმისა და ა.შ.

გრამატიკული კონოტაცია არ გადმოიცემა განსაკუთრებული სემებით, მაგრამ გარკვეულ პირობებში ხდება „სემათა გათამაშება“, მათი გადანაწილება. ერთნი პირველ პლანზე წამოიწევენ, ხოლო სხვები კი ითრგუნებიან, ადგილი აქვს მათ შეჯახებას. უმრავლეს შემთხვევაში კონოტაცია წარმოიშობა ფორმის ძირითად პარადიგმატულ მნიშვნელობასა და მისი სინტაგმატური ტრანსპოზციის შედეგად შეძენილ მნიშვნელობას შორის არსებული კონტრასტის შედეგად. ამასთან ადგილი აქვს სემათა შეჯახებას, რის შედეგადაც ძირითადი მნიშვნელობის სემები ითრგუნება, მაგრამ ლატენტურად კვლავ არსებობს ფორმის ნებისმიერი გამოყენებისას. ამას ეფუძნება მეტაფორიზაცია ლექსიკაშიც და გრამატიკაშიც. ამ თვალსაზრისის დასადასტურებლად შეიძლება განვიხილოთ I პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა. მის პარადიგმულ მნიშვნელობაში არავითარი ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობა არ არის. იგი შედგება სემებისაგან: „მრავლობითობა“ და „მოსაუბრის ჩართულობა“. როცა ეს ფორმა გამოიყენება II პირში, კონტრასტი პარადიგმატულ და სინტაგმატურ მნიშვნელობებს შორის ქმნის თბილი და კეთილგანწყობილი ტონის ეფექტს, რომლითაც უფროსები მიმართავენ ბავშვებს ან ექიმი პაციენტს.

კონოტაცია იქმნება აგრეთვე გრამატიკული ფორმების სხვადასხვაგვარი შეთანხმების შედეგად. ასე მაგალითად, დროის გამომხატველი ფორმები შეიძლება შეუთანხმდეს ერთმანეთს როგორც კონტრასტის პრინციპით, ასევე ერთგვაროვნების პრინციპის საფუძველზე. ერთიდაიგივე ზმნის ორი ერთნაირი დროის ფორმის შეთანხმება აღნიშნავს არა განმეორებით მოქმედებას, არამედ მოქმედების ხანგრძლივობის ინტენიფიკაციას, რასაც ზოგჯერ მოუთმენლობის, მოლოდინის ელფერი ემატება. კიდევ უფრო ძლიერი ეფექტი აქვს სხვადასხვა ფორმების შეთანხმებას, მაგალითად, როცა ერთმანეთს ეთანხმება აქტივი და პასივი. თავისი მრავალმნიშვნელოვნების წყალობით და ტრანსპოზიციის შედეგად ფორმას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობა.

მაშასადამე, შენდელსის ინტერპრეტაციით გრამატიკული სინონიმიის ძირითად კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალოს გრამატიკული დენოტაციის იგივეობა, ხოლო განსხვავებული გრამატიკული კონოტაცია საშუალებას იძლევა გაკეთდეს არჩევანი სინონიმებს შორის მათი სტილისტური (მაგალითად, პასივი სამეცნიერო პროზაში), დიალექტური (მაგ. არჩევანი პასივსა და სტატივს შორის), სოციალურ-სიტუაციური (მაგ. სამეტყველო შტამპები, ფიცის დადება, ამკრძალველი ნიშნები) მახასიათებლებიდან გამომდინარე და ესთეტიკური ფაქტორებით (რიტმის მოთხოვნები, ფორმის ჟღერადობა, განმეორებებისა და ერთფეროვნების თავიდან აცილებისკენ სწრაფვა ან პირიქით, სიმეტრიის შექმნის სურვილი) (Шендельс 1970).

სინტაქსური სინონიმიის შემთხვევაში კი, რომელიც გრამატიკული სინონიმიის ერთერთი შემადგენელი ნაწილია, ყურადღება უნდა გამახვილდეს სინტაქსური მნიშვნელობის მსგავსებაზე ან იგივეობაზე (Власова 1981). მაგალითად, დამოკიდებული წინადადებების და ზმნის უპირო ფორების შემცველი კონსტრუქციების სინონიმურობას განაპირობებს სემანტიკურ-სინტაქსური მიმართებების იდენტურობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი ერთნაირ მიმართებას ამყარებენ შესაბამისად მთავარ წინადადებასა და წინადადების მთავარ ნაწილთან. სწორედ სინონიმური კონსტრუქციების მიერ ერთიდაიგივე სინტაქსური მნიშვნელობის გამოხატვის საშუალებების გამოვლენა წარმოაჩენს სპეციფიკას, რაც მათ სხვა ენობრივი დონის სინონიმური ერთეულებისაგან განასხვავებს.

2.3.1.2. სინტაქსური სინონიმიის სემანტიკური ასპექტები

თანამედროვე ლინგვისტიკაში დავას არ იწვევს ის აზრი, რომ სინონიმური კონსტრუქციების საერთო მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობის იგივეობით. აქ საუბარია მნიშვნელობის უფრო ფართო გაგებაზე, რომლის დადგენაც თავისთავად საკმაოდ პრობლემატურია. ფროლოვა ამტკიცებს, რომ იგივეობა ან არსებითი მსგავსება გრამატიკული ფორმებით ან კონსტრუქციებით გადმოცემული ინფორმაციისა შეიძლება მივიჩნიოთ აუცილებელ და საკმარის პირობად მათ გრამატიკულ სინონიმებად ჩასათვლელად (Фролова 1971: 29). აქ ყურადღების ცენტრში დენოტაციური მნიშვნელობა ექცევა. ანალოგიურ საფუძველზეა აგებული სუხოტინის დეფინიცია, რომლის მიხედვითაც სინონიმურად შეიძლება ჩაითვალოს კონსტრუქციები, რომლებიც გამოხატავს რეალური სინამდვილის მოვლენათა ერთგვაროვან მიმართებებს და კავშირებს (Сухотин 1960: 56). დენოტაციური მნიშვნელობის იგივეობაა სინონიმურობის მთავარი კრიტერიუმი ბარხუდაროვის მიხედვითაც. იგი დეტალურად განიხილავს სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურების თეორიას. წინადადების სიღრმისეულ სტრუქტურას იგი უწოდებს წინადადებაში გამოხატულ მნიშვნელობითი მიმართებების სისტემას, ხოლო ზედაპირულ სტრუქტურას განმარტავს, როგორც ენობრივი კომუნიკაციის პროცესში რეალურად გამოყენებულ ფორმას. ამდენად, სინტაქსური სინონიმები მისეული ინტერპრეტაციით ისეთი კონსტრუქციებია, რომელთაც განსხვავებული ზედაპირული სტრუქტურა და იგივე სიღრმისეული სტრუქტურა აქვთ (Бархударов 1973). მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი:

Студенты сдали экзамен

То, что студенты сдали экзамен…

Сдача экзамена студентами…

Сдав экзамен, студенты…

(Студенты), которые сдали экзамен…

(Студенты) сдавшие экзамен…

ყველა ზემოჩამოთვლილ კონსტრუქციას, ბარხუდაროვის აზრით, საერთო სიღრმისეული სტრუქტურა აქვს (студенты+მრ.რ.)+{(сдать+პირიანი ფორმა+წარს.დრო)+ экзамен}. ავტორი მიიჩნევს, რომ სიღრმისეული სტრუქტურის იგივეობა ეფუძნება უპირველეს ყოვლისა დენოტაციური მნიშვნელობის იგივეობას (ibid: 54-55).

აქ ძალიან მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ, რა იგულისხმება სინტაქსური კონსტრუქციების დენოტაციურ მნიშვნელობაში. თუ სიტყვა ასახელებს რაიმე საგნის ან მოვლენის ზოგად თვისებებს (ახდენს მათ ნომინირებას), ხოლო თავისუფალი სიტყვათშეხამება – ცნებისათვის რაიმე დიფერენციალური ნიშან-თვისების კუთვნილებას, ე. ი. მიანიშნებს მარტივ დენოტატზე, წინადადებაში ნომინირებულია საგანთა და მოვლენათა ურთიერთქმედება, ე. ი. აღნიშნულია რთული დენოტატი, რასაც სიტუაცია ან ხდომილება შეიძლება ვუწოდოთ.

გაკისეული ინტერპრეტაციით, სიტუაცია არის გამონათქვამის რეფერენტი, იმ ელემენტთა ერთობლიობა, რომლებიც არსებობს მეტყველი სუბიექტის ცნობიერებაში და ობიექტურ რეალობაში „წარმოთქმის“ მომენტში და გარკვეულწილად განაპირობებს ენობრივ ელემენტთა არჩევანს თავად გამონათქვამის ფორმირებისას (Гак 1977: 258). ამდენად, რეალური სიტუაცია, რომელსაც წინადადება აღნიშნავს, გვევლინება ამ წინადადების რეფერენტად. ენათმეცნიერები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია ერთი და იმავე სიტუაციის მრავალჯერადად ასახვა, მისი აღწერა სხვადასხვა საშუალებით. ზემოთ, სიტუაციური სინტაქსის განვითარებასა და მის ძირითად დებულებაზე, წინადადების დენოტაციურ ანუ რეფერენტულ კონცეფციაზე საუბრისას, ჩვენ უკვე შევეხეთ ამ საკითხებს. აღინიშნა, რომ ობიექტურ რეალობაში არსებული თითოეული საგანი თუ მოვლენა, განსაკუთრებით კი მათ შორის არსებული მიმართებები თავისი სტრუქტურით რთულია და მრავალმხრივი. ყველა სიტუაციასიისთვის დამახასიათებელი დიფერენციალური ნიშნები განაპირობებს, რომ ადამიანის შემეცნებაში ასახვისას ეს მახასიათებლები განსხვავებული მნიშვნელობების ფორმას იძენს. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, ყოველთვის სინონიმურია თუ არა ის წინადადებები, რომლებიც ერთი და იმავე სიტუაციას აღწერს?

ვლასოვა ამტკიცებს, რომ დენოტაციის იდენტურობა არასაკმარისი პირობაა ორი სინტაქსური კონსტრუქციის სინონიმურად გამოცხადებისთვის (Власова 1981). მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა რთული დენოტატის ნომინაციის ფორმად გვევლინება რთული წინადადება:

As it was late, we didn’t go home.

Although it was late, we didn’t go home.

თუმცა აქ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების რეფერენტებად იგივე სიტუაციები გვევლინება (it was late, we didn’t go home), ამ წინადადებების

სემანტიკა მაინც განსხვავებულია. ერთგან მიზეზ-შედეგობრივ კავშირს აქვს ადგილი, მეორეგან კონტრასტია გამოხატული. მაშასადამე, აუცილებელია სინონიმურობის კრიტერიუმები საერთო რეფერენტის გარდა მოიცავდეს აღწერილ მოვლენათა შორის გამოხატულ მიმართებათა იგივეობას. ოსოვსკაია აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონცეპტუალური იგივეობა წინადადებებს ან მათ შემადგენელ კომპონენტებს შორის არსებითი კრიტერიუმია სინტაქსური სინონიმიის გამოვლენისთვის. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეიძლება კონკრეტული ექსტრალინგვისტური მოვლენები ფუნქციონირებდეს, როგორც დროის, მიზეზის, პირობის და ა.შ ინდიკატორი სხვა მოვლენებისა და სიტუაციებისთვის (Оссовская 1977). მაშასადამე, სინტაქსურ კონსტრუქციებს შორის სინონიმიის გამოვლენისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ მიმართებებზე, რაც არსებობს ამ კონტრუქციის შემცველი უფრო მსხვილი სინტაქსური ერთეულის შემადგენლობაში და, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ობიექტურ სამყაროში მოვლენათა შორის არსებული კავშირების ანარეკლს.

ის რთული მიმართებები, რაც ექსტრალინგვისტურ ფენომენთა შორის არსებობს, ვლასოვას აზრით, აისახება რთულ სიგნიფიკატში და შემდეგ, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სინტაქსურ კონსტრუქციაში (Власова 1981). თავისი შემეცნებითი საქმიანობის შედეგების ობიექტივაციისათვის ადამიანი მეტყველებაში იყენებს სხვადასხვა სინტაქსურ კონსტრუქციას, რომლებიც სხვადასხვა სიგნიფიკატს ასახავს. ობიექტური რეალობის ერთი და იგივე სიტუაციასთან ე. ი. იგივე რთულ დენოტატთან დაკავშირებული სიგნიფიკატის ობიექტივაციაც შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციის გამოყენებით. ვლასოვა მიიჩნევს, რომ ერთიდაიგივე რთულ სიგნიფიკატთან დაკავშირებული კონსტრუქციები ერთი მოდელის ვარიანტებია. ვარიანტთა რიგის არსებობის ობიექტურ წინაპირობად ის ფაქტი გვევლინება, რომ სიტუაცია (რთული დენოტატი) ყოველთვის შინაარსობრივად უფრო მდიდარია, ვიდრე შესაბამისი რთული სიგნიფიკატი. ამიტომაც ადამიანის ცნობიერებას არა აქვს უნარი, ერთჯერადად ყოველმხრივ ასახოს, აღიქვას რომელიმე მოცემული რთული დენოტატის ყველა თვისება, ნიშანი და მიმართება. ერთიდაიგივე სიტუაციის ხელახალი ასახვისას ადამიანის ცნობიერებაში აღიქმება ამ სიტუაციის დამატებითი ელემენტები. ეს განაპირობებს კონკრეტული მოდელისა და მისი ვარიანტების ჩამოყალიბებას, რომლებიც ერთმანეთთან ზოგადისა და კონკრეტულის მიმართებაში იმყოფება.

ერთი და იმავე მოდელის ვარიანტები ჩნდება სიტუაციის მიმდინარეობის დინამიკური ხასიათის შედეგად. სწორედ ეს დინამიურობაა მისი ასახვისას წარმოშობილი განსხვავებების მიზეზი. ამ განსხვავებების წყარო კი იმაში მდგომარეობს, რომ ერთ შემთხვევაში ნომინატორი სიტუაციის უკვე ცნობილ მახასიათებლებთან ერთად გამოყოფს ახლებს, მეორე შემთხვევაში კი, ამახვილებს რა ყურადღებას ახალ სპეციფიურ ნიშნებზე, ნომინატორი აღარ ეხება უკვე აღნიშნულს, რადგან ისინი მოცემულ სიტუაციაში არარელევანტურად გვევლინება. სწორედ ეს ქმნის მოდელის ვარიანტულობის წინაპირობას.

თანხვედრა ამ თვალსაზრისთან აშკარაა ქისის მტკიცებაში, რომ ოპოზიცია სინტაქსურ სინონიმებს შორის სხვა არაფერია, თუ არა განსხვავება რეფერენტის წარმოჩენაში, მეორადი სემანტიკური განსხვავება, პრეზენტაციული ოპოზიცია (Kiss 1993: 115).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სინტაქსურ სინონიმთა მნიშვნელობის იგივეობა ეფუძნება მათი რთული სიგნიფიკატის იგივეობას, რაც ვლასოვას ინტერპრეტაციით წარმოადგენს ერთმანეთთან გარკვეული, ტიპოლოგიურად განსაზღვრული მიმართებების მქონე თვისებათა ჯგუფს. რთულ სიგნიფიკატში აისახება რეალური სამყაროს საგნებისა და მოვლენათა მხოლოდ არსებითი მახასიათებლები და მათ შორის არსებული მიმართებები. მაშასადამე, რთული სიგნიფიკატი არის რთული სტრუქტურირებული ცნება ან ცნებათა ჯგუფი, რომლებიც ერთგვარ ერთობას ქმნიან და მონოტიპური ურთიერთდაკავშირებული მოვლენების (სიტუაციების) ასახვის შედეგად გვევლინება (Власова 1981: 30).

რთული სიგნიფიკატი ენაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ წინადადების მოდელით, რომელიც აღნიშნავს ამ თვისებებს (არსებით მახასიათებლებს) და მათ შორის მიმართებებს და წარმოადგენს მეტყველებაში, კონკრეტულ სინტაქსურ კონსტრუქციებში მათი რეალიზაციის საფუძველს. წინადადების ეს მოდელი ფუნქციონირებს, როგორც რთული ნიშანი, რომელიც კომუნიკანტთა გონებაში აღვიძებს წარმოდგენას სიტუაციის (რეალურის თუ წარმოსახვითის) შესახებ. მაშასადამე, სინტაქსურ სინონიმებს აერთიანებს სწორედ ეს ცნებითი კომპლექსი ანუ რთული სიგნიფიკატი. ვლასოვა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სიგნიფიკატი ცნებითი კატეგორიაა და არა ენობრივი. ამიტომაც სინტაქსური სინონიმიის საფუძვლად და სინონიმურობის მთავარ კრიტერიუმად სიგნიფიკატური მნიშვნელობის შემოთავაზება არ იქნებოდა გამართლებული,

რადგანაც ეს საკითხის ლოგიკური და არა ლინგვისტური ინტერპრეტაციაა (ibid: 30). მიუხედავად ამ პრობლემის იდენტიფიკაციისა, ავტორი ვერ გვთავაზობს სინტაქსური კონსტრუქციების სინონიმურობის ამ კრიტერიუმის, მათი საერთო მნიშვნელობის ფორმალიზაციის საშუალებას.

სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, სინტაქსურ სემანტიკაში შემოტანილ იქნა პროპოზიციის ცნება. ენათმეცნიერებაში პროპოზიციის ცნებას ორი მიმართულებით განიხილავენ: გარე სამყაროსთან მიმართებაში და საკუთრივ ლინგვისტურ კონტექსტში. პირველი კრიტერიუმის მიხედვით, პროპოზიცია წარმოადგენს ექსტრალინგვისტური ხდომილების ან სიტუაციის იკონისტურ ასახვას ადამიანის ცნობიერებაში. ხოლო თუ პროპოზიციას განვიხილავთ ლინგვისტურ კონტექსტში, მაშინ იგი უნდა გავიგოთ, როგორც რეფერენტული სიტუაციის ამსახველი აბსტრაჰირებული, აზრობრივი სტრუქტურა, რომელიც სემანტიკურ კონსტანტას ანუ ინვარიანტს წარმოადგენს, რამდენადაც იგი დამოუკიდებელია როგორც მოდალური, შეფასებითი და ემოციური ასპექტებისაგან, ასევე წინადადების თვით ისეთი ტრანსფორმაციული გარდაქმნისაგან, როგორსაც წარმოადგენს ნომინალიზაცია.

პროპოზიციის სტრუქტურულ-სემანტიკური ორგანიზაციის საფუძვლად თანამედროვე ანგლისტიკაში განიხილავენ სიმბოლური ლოგიკის პრედიკატულ-არგუმენტულ მიდგომას, რომლის თანახმადაც პროპოზიცია შედგება პრედიკატული ბირთვისა და მისი არგუმენტებისგან. თითოეული არგუმენტი ხასიათდება მისი აზრობრივი, სემანტიკური როლით პრედიკატთან მიმართებაში ანუ მისი "სიღრმისეული ბრუნვის" მიხედვით, ხოლო პრედიკატის მნიშვნელობა კი განისაზღვრება მისი სემური შედგენილობითა და ვალენტობით, რაც გულისხმობს მის უნარს, მიიერთოს გარკვეული არგუმენტები (Fillmore 1968).

ჩვენი აზრით, სინტაქსური სინონიმიის კვლევის მიზნებიდან გამომდინარე სინტაქსური კონსტრუქციის მნიშვნელობის განსაზღვრისას შესაძლებელია დავეყრდნოთ სწორედ სემანტიკური სტრუქტურის ცნებას. სინტაქსური კონსტრქუციის სემანტიკური სტრუქტურა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ექსტრალინგვისტური რეალობის მოვლენათა ამსახველი კონცეპტუალური კატეგორიების მანიფესტაცია ენობრივ დონეზე. ეს თვალსაზრისი ეფუძნება ასევე ჩეიფის მიერ შემოთავაზებულ ცნებებს სემანტიკური და პოსტსემანტიკური სტრუქტურისა. იგი მიიჩნევს, რომ სინონიმია წარმოიქმნება „ფაკულტატური პოსტსემანტიკური და ფონოლოგიური პროცესების გამოყენების ან

არგამოყენების შედეგად“ (Чейф 1975: 73). ინგლისურ ენაში სემანტიკური სტრუქტურის დონეზე გვაქვს აგენსი, პაციენსი, ბენეფიციანტი და ა.შ. პოსტსემანტიკურ დონეზე ისინი გვევლინება სუბიექტის, პირდაპირი ან ირიბი ობიექტის ფუნქციით, რაც სემანტიკურ ერთეულთა გრამატიკალიზაციის პროცესს წარმოადგენს.

სინტაქსური კონსტრუქციის მნიშვნელობაზე საუბრისას, იმ შემთხვევაში თუ საქმე წინადადებას ეხება, უთუოდ უნდა იქნას გათვალისწინებული მისი მოდალობა ანუ კატეგორია, რომელიც „გამოხატავს გამონათქვამის სხვადასხვა მიმართებას სინამდვილისადმი და მოლაპარაკის (იშვიათად - მსმენელის) დამოკიდებულებას შეტყობინებასთან“ (გამყრელიძე 2003: 247). ლინგვისტურ ლიტერატურაში მოდალობას (ლათ. modus) ზოგადად განიხილავენ როგორც უნივერსალურ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას, რომელიც გამოხატავს როგორც გამონათქვამის მიმართებას სინამდვილისადმი, ასევე მასში მოცემული შეტყობინების სხვადასხვა ტიპის სუბიექტურ კვალიფიკაციას (Лингвистический энциклопедический словарь 1990). შესაბამისად, განასხვავებენ მოდალობის ობიექტურ და სუბიექტურ სახეებს. ობიექტური მოდალობა ნებისმიერი წინადადების აუცილებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს, რადგანაც, ტემპორალობის კატეგორიასთან ერთად, იგი მის პრედიკატულობას ქმნის, გამოხატავს რა გამონათქვამის დამოკიდულებას ობიექტურ სინამდვილესთან მიმართებაში მისი რეალურობა/არარეალურობისა და ა.შ. პლანში. ობიექტური მოდალობა ზმნის კილოს კატეგორიის საშუალებით რეალიზდება წინადადების გრამატიკულ პარადიგმაში.

სუბიექტური მოდალობა კი ადრესანტის დამოკიდებულებას გამოხატავს გამონათქვამში ასახული ექსტრალინგვისტური რეფერენტული სიტუაციის მიმართ, რის გამოც იგი პრაგმატიკულ კატეგორიად მოიაზრება კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში. მის კონცეპტუალურ საფუძველს შეფასების ცნება წარმოადგენს ამ სიტყვის ფართო გაგებით, რადგანაც იგი გულისხმობს არა მარტო შეტყობინების რაციონალურ-ლოგიკურ კვალიფიკაციას, არამედ მეტყველი სუბიექტის ემოციურობასაც, რაც გამოხატულებას ჰპოვებს გამონათქვამის სტილისტურ, სემანტიკურ და სინტაქსურ სტრუქტურაციაში (კირვალიძე 2005).

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სინტაქსური კონსტრუქციებისთვის მნიშვნელობის იგივეობა ან მსგავსება გულისხმობს

საერთო პრედიკატულ-არგუმენტულ პროპოზიციულ კონფიგურაციას და ფუნქციურ დანიშნულებას, თუმცა არა საერთო სუბიექტურ მოდალობას.

### *2.3.2. სინონიმურ კონსტრუქციათა სტრუქტურული მახასიათებლები*

სინტაქსური სინონიმიის შესწავლისას ლინგვისტები დიდ ყურადღებას უთმობენ მათი სტრუქტურული თავისებურებების განხილვას. ვ. იარცევა ამტკიცებს, რომ გრამატიკასთან დაკავშირებულ ნებისმიერ კვლევაში გრამატიკული ფორმის საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ამიტომაც იგი კრიტიკულად აფასებს სინტაქსური სინონიმიის პრობლემის გადაჭრის ყველა მცდელობას, სადაც მათი გრამატიკული ფორმა არ ფიგურირებს, როგორც სინონიმურობის ერთ-ერთი კრიტერიუმი. ავტორი მიიჩნევს, რომ, იმისათვის, რომ სინონიმების კვლევა ლინგვისტიკის ფარგლებში დარჩეს, აუცილებელია გამოიყოს არა ზოგადად ცნება, არამედ „გრამატიკული თვალსაზრისით შეზღუდული შინაარსი, რომელიც გამოხატვის კონკრეტულ ფორმასთანაა დაკავშირებული (Ярцева 1957: 26). ამდენად, იგი თვლის, რომ მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობის მსგავსება და სტრუქტურული სიახლოვე იძლევა სინონიმთა იდენტიფიკაციის საფუძველს.

ანალოგიურ თვალსაზრისს გამოხატავს გვოზდევი, როცა განიხილავს რუსულ ენაში სინონიმურად მიჩნეულ კონსტრუქციებს, რომელთაგან ერთში ზედსართავი სახელი გვევლინება განსაზღვრებად, ხოლო მეორეში არსებითი ასრულებს ანალოგიურ ფუნქციას. მაგალითად, *городские улицы* და *улицы города* ან *жестяное ведро* და *ведро из жести*. თუმცა, ერთი შეხედვით, მათი მნიშვნელობები ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, ორი არსებითის შემთხვევაში კონსტრუქცია იწვევს წარმოდგენას ორ საგანზე, რაც არ ხდება ზედსართავიანი კონსტრუქციის შემთხვევაში. პირველი წყვილიდან მხოლოდ *улицы города* აღძრავს ქალაქის ხატს, ხოლო მეორე წყვილის შემთხვევაში *жесть* გვესახება, როოგორც დამოუკიდებელი მასალა, რისგანაც სხვადასხვა ნივთის დამზადებაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ ამ სიტყვათშეთანხმებათა სტრუქტურული განსხვავება აირეკლება მნიშვნელობაზეც (Гвоздев 1952: 97).

ბევრი ლინგვისტი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ სინტაქსურ სინონიმებს უნდა ახასიათებდეს სტრუქტურული სიახლოვე (იხ. მაგ., Арынов 1964, Ковтунова 1955). ეს კი უმეტეს შემთხვევაში გულისხმობს სტრუქტურულ პარალელიზმს.

სტრუქტურული მსგავსების ამგვარი მკაცრი კრიტერიუმი ეჭვქვეშ აყენებს, მაგალითად, დამოკიდებულ წინადადებისა და ზმნის უპირო ფორმების შემცველი კონსტრუქციების სინონიმურობის შესაძლებლობას. იარცევა აღიარებს, რომ მათ შორის სინონიმურობის დადგენის გარკვეული საფუძველი არსებობს, მაგრამ ამასთან სიფრთხილისკენ მოუწოდებს მკვლევარებს, რადგან ერთ შემთხვევაში საუბარია მარტივ, ხოლო მეორე შემთხვევაში რთულ წინადადებაზე (Ярцева 1957). იგი თვლის, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ კონსტრუქციათა ადგილი მთლიანად წინადადების სტრუქტურაში, არამედ თვით კონსტრუქციათა შიდა კავშირებიც. მსგავსება ზმნის უპირო ფორმების შემცველი გამონათქვამებისა და დამოკიდებული წინადადებების მნიშვნელობებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მათგანი შეიცავს პრედიკატიულ მიმართებებს და მათ მსგავსი ფუნქციები ეკისრებათ მთლიან სინტაქსურ კომპლექსში. რა თქმა უნდა, ეს მსგავსება არაა სრული. მიმართება ქვემდებარესა და შემასმენელს შორის დამოკიდებულ წინადადებაში განსხვავდება ზმნის უპირო ფორმით გამოხატული პრედიკაციისგან. ამასთან, დამოკიდებული წინადადება ყოველთვის უფრო დამოუკიდებელია მთავარი წინადადების იმ წევრისგან, რომელსაც იგი განსაზღვრავს. ეს განსხვავებები ერწყმის განსახილველ კონსტრუქციათა სტრუქტურულ თავისებურებებს – მიმღეობიანი ან ინფინიტივიანი კონსტრუქციები დამოკიდებულ წინადადებასთან შედარებით ნაკლებად ექვემდებარება წინადადების დამოკიდებული და ერთგვარი წევრების ხარჯზე გავრცობას. ამ არგუმენტებს იარცევა იყენებს იმის დასადასტურებლად, რომ სრული გრამატიკული სინონიმია განსახილველ კონსტრუქციებს შორის არ არსებობს. ამგვარი სინონიმიის არსებობას იგი ადასტურებს მხოლოდ ინფინიტივისა და გერუნდივის, გერუნდივისა და მიმღეობის, ან მიმღეობისა და ინფინიტივის შემცველ კონსტრუქციებს შორის. მაგალითად,

I’m accustomed to do it this way.

I’m accustomed to doing it this way.

After finishing my work I went to bed.

Having finished my work I went to bed.

ამ თვალსაზრისის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს გოლდბერგის „სინონიმიის არარსებობის პრინციპი“ [Principle of No Synonymy], სადაც ავტორი ამტკიცებს,

რომ, თუ ორი კონსტრუქცია სინტაქსურად განსხვავდება, ისინი სემანტიკურად და პრაგმატიკულადაც განსხვავებულია (Goldberg 1995: 67).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც. ზოგი ავტორი ერთეულთა შორის სტრუქტურულ განსხვავებას მათი სინონიმურობის მნიშვნელოვან კრიტერიუმად მიიჩნევს (იხ. Шендельс 1962). თუმცა ამ შემთხვევაში ამ სტრუქტურული განხვავების როლი არ არის ბოლომდე ახსნილი.

ეს ორი თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი სინონიმიის განსხვავებული აღქმიდან გამომდინარეობს. თუ, გოლდბერგის აზრით, სინონიმია არ არსებობს იქ, სადაც გარკვეული სემანტიკური და პრაგმატიკული განსხვავებები ვლინდება, სხვა ლინგვისტები (მაგალითად, Власова 1981) მიიჩნევენ, რომ ამგვარი განსხვავებების გარეშე საქმე უბრალო დუბლეტებთან გვაქვს და არა სინონიმებთან. მაშასადამე, მაშინაც კი თუ ვეთანხმებით თვალსაზრისს, რომ სტრუქტურული განსხვავება უთუოდ აირეკლება მნიშვნელობაზე, ეს არგუმენტი არ გამორიცხავს ორი სინტაქსური კონსტრუქციის სინონიმურობის შესაძლებლობას, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ სინონიმიას არ აღვიქვამთ მისი ვიწრო გაგებით ანუ როგორც მხოლოდ აბსოლუტურ სინონიმიას. ამ შემთხვევაში კი შესაძლებელი ხდება საუბარი სტრუქტურული თვალსაზრისით განსხვავებულ, ზოგჯერ მკვეთრად განსხვავებულ კონსტრუქციათა შორის სინონიმური მიმართების არსებობაზე.

მაშასადამე, სინონიმური სინტაქსური ერთეულების სტრუქტურის თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს იმავე სტრუქტურისა და სხვადასხვა სტრუქტურის წარმონაქმნები. მაგალითად, მაქსიმოვი განიხილავს სინტაქსურ სინონიმიას რთული წინადადების დონეზე და განასხვავებს მონოტიპურ და მრავალტიპურ სინონიმებს (Максимов 1966). ამასთან, იგი ახდენს სინონიმთა სტრატიფიკაციას სტრუქტურულ პლანში, სადაც იგი გამოყოფს ერთი დონის სინონიმურ კონსტრუქციებს:

ა) სინონიმია მორფოლოგიურ დონეზე

ბ) სინონიმია სიტყვათშეთანხმების დონეზე

გ) სინონიმია მარტივი წინადადების დონეზე

დ) სინონიმია რთული წინადადების დონეზე

ე) სინონიმია სინტაგმატური დაყოფის დონეზე

ერთის მხრივ, განკერძოებული გამოთქმებისა და დამოკიდებული წინადადების სინონიმიას და, მეორეს მხრივ, წინდებულიანი ბრუნვის შემცველი კონსტრუქციებისა და დამოკიდებული წინადადების სინონიმიას ავტორი მიაკუთვნებს სხვადასხვა დონის სინონიმურ კონსტრუქციებს.

კიდევ უფრო რადიკალურ მოსაზრებას ასახავს შენდელსის მიერ შემოთავაზებული დიქოტომია ასპექტთაშორისი (ინტერასპექტურ) და შიდაასპექტური (ინტრაასპექტურ) სინონიმებისა. ასპექტთაშორის სინონიმებად იგი მიიჩნევს მოცემული მნიშვნელობის გადმოცემის ყველა საშუალებას, რაც ენაში არსებობს, მიუხედავად იმისა, ისინი გრამატიკულია, თუ არა. ამოსავალ წერტილად ამ შემთხვევაში გვევლინება სინამდვილის ფაქტი, ის აზრი, რომელიც შინაარსშია განხორციელებული. შიდაასპექტურ სინონიმებად გვევლინება მხოლოდ ერთგვარი სიდიდეები (Шендельс 1962). შიდაასპექტური სინონიმები თავის მხრივ იყოფა სისტემურ და კონტექსტუალურ სინონიმებად.

სისტემურად, შენდელსის აზრით, გვევლინება ერთგვარი გრამატიკული ფორმები (სტრუქტურები), რომლებიც თავისი ძირითადი გრამატიკული მნიშვნელობით ერთმანეთს ემთხვევა და განსხვავდება დამატებითი გრამატიკული მნიშვნელობებით და მნიშვნელობათა მოცულობით. გრამატიკული ფორმები (სტრუქტურები), რომელთა თითოეული გრამატიკული მნიშვნელობა ერთმანეთს უახლოვდება კონტექსტის ზეგავლენით, ქმნიან კონტექსტუალური სინონიმების ჯგუფს.

როცა საუბარია სინტაქსურ სინონიმიაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ, თანამედროვე ენათმეცნიერებაში გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, სინტაქსი ორდონიანი სისტემაა, ანუ იგი გულისხმობს ენობრივი მოვლენების კვლევას ერთის მხრივ სიტყვათშეთანხმების და მეორეს მხრივ წინადადების დონეზე. მკვლევართა დიდი ნაწილი (მაგ. Сухотин 1960; Власова 1981) აღიარებს, რომ სინტაქსურ სინონიმთა კვლევის საზღვრების დადგენა მხოლოდ სიტყვათშეთანხმების ან მხოლოდ წინადადების დონეზე უაღრესად ხელოვნური და პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით ამ კატეგორიების ელემენტები მუდმივ ურთიერთქმედებაში იმყოფება. მაშასადამე, როცა სინტაქსურ სინონიმთა სტრუქტურულ სიახლოვეზე ვისაუბრებთ, ამაში იგულისხმება, რომ მოცემული კონსტრუქციები ენის ერთსა და იმავე სფეროს, კონკრეტულად კი სინტაქსს მიეკუთვნება.

### *2.3.3. სინონიმურ კონსტრუქციათა ურთიერთჩანაცვლების უნარი*

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ასევე დიდი ადგილი დაეთმო სინტაქსური სინონიმების ურთიერთჩანაცლებადობის საკითხის განხილვას. რიგი ავტორებისა მიიჩნევს, რომ ურთიერთჩანაცვლებადობა მნიშვნელოვანი და, ზოგი თვალსაზრისით, მთავარი მაჩვენებელია სინონიმიისა (იხ. მაგ., Жилин 1974). თუმცა საყოველთაოდაა აღიარებული, რომ თუნდაც არსებობდეს ყველა სტრუქტურული პირობა, რათა დასაშვები გახდეს ერთი კონსტრუქციის მეორეთი ჩანაცვლება, ამ კონსტრუქციებს შორის ყოველთვისაა გარკვეული სტილისტური განსხვავებები.

იარცევა ამტკიცებს, რომ სინონიმურ კონსტრუქციათაგან ერთ-ერთის არჩევა განპირობებულია შინაარსობრივი შეფერილობის დიფერენციაციით, რაც თავისთავად შეუძლებელს ხდის ერთი ფორმის მეორეთი ჩანაცვლებას, თუმცა ეს არ აყენებს ეჭვქვეშ ამ ფორმათა სინონიმურობას. იგი მიიჩნევს, რომ გაუმართლებელია ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება. ის ფაქტორი, შესაძლებელია თუ არა მოცემულ კონტექსტში ერთი კონსტრუქციის მეორით ჩანაცვლება, არ შეიძლება განმსაზღვრელი გახდეს სინონიმთა იდენტიფიკაციისთვის არც გრამატიკული და არც ლექსიკური სინონიმიის კვლევისას. მკვლევარი თვლის, რომ მორფოლოგიური ფორმებისა თუ სინტაქსური კონსტრუქციების სინონიმურობა ვლინდება მოცემული ენის გრამატიკაში არსებული მიმართებებიდან გამომდინარე. ამა თუ იმ ფორმის გამოყენების სტილისტური ვარიანტები კი წარმოიქმნება კონკრეტულ კონტექსტში. აქედან გამომდინარე, იგი ურთიერთჩანაცვლებადობას სტილისტიკისთვის ღირებულ, მაგრამ გრამატიკისთვის მეორეხარისხოვან საკითხად მიიჩნევს (Ярцева 1957: 31).

ამ არგუმენტების გათვალისწინებით შეიძლება დავეთანხმოთ ვლასოვას, რომ უმჯობესია განვიხილოთ ურთიერთჩანაცვლებადობა არა როგორც სინტაქსური კონსტრუქციების სინონიმურობის აუცილებელი პირობა, არამედ როგორც მისი შესაძლებელი შედეგი (Власова 1981: 128). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მთავარ ამოცანას შემდეგ თავში წარმოადგენს იმ პრაგმატიკული და ფსიქოლინგვისტური ასპექტების კვლევა, რაც სინტაქსურ სინონიმებს შორის არჩევანს განაპირობებს და, მაშასადამე, პრაქტიკულად არაღირებულად აქცევს მათ ურთიერთჩანაცვლებადობას.

მაშასადამე, აშკარაა, რომ სინონიმიის, როგორც ენობრივი ფენომენის შესწავლა ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ლექსიკური სინონიმიით. სინტაქსურ სინონიმიის კვლევის თვალსაზრისითაც, იქნება ეს სინონიმიის, ტრანსფორმაციის, ექვივალენტობის, სინტაქსური ვარიატულობის თუ სხვა სახელით, უკვე საკმაოდ ბევრია გაკეთებული. სხვათა შორის, ამ კუთხით აღსანიშნავია რუსული ენათმეცნიერების დიდი წვლილი და ამ უაღრესად საინტერესო გამოკვლევათა გარკვეული რაოდენობა ჩვენ ზემოთ უკვე მიმოვიხილეთ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ რჩება საკითხები, რომლებიც, ჩვენი აზრით, სერიოზულ ყურადღებას, დეტალურ ემპირიულ შესწავლასა და სიღრმისეულ ანალიზს საჭიროებს. უპირველესი ამ პრობლემათაგან არის სინტაქსურ სინონიმთა იდენტიფიკაციის კრიტერიუმების დადგენა, რადგან ნათლად ჩამოყალიბებული კრიტერიუმების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საფოკუსო მასალის გამიჯვნა სხვა, მსგავსი ენობრივი მოვლენებისაგან.

ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ ლიტერატურაში შემოთავაზებული დეფინიციები ხშირ შემთხვევაში არ იძლევა სინონიმურ სინტაქსურ კონსტრუქციათა იდენტიფიკაციის საშუალებას. მნიშვნელობის იგივეობის უნივერსალურად აღიარებული კრიტერიუმი შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენ მიმოვიხილეთ გამოკვლევები, სადაც სინტაქსურ კონსტრუქციათა მნიშვნელობა მოიაზრება, როგორც მათი გრამატიკული მნიშვნელობა, დენოტატიური მნიშვნელობა, სიღრმისეული სტრუქტურა, სიგნიფიკატური მნიშვნელობა ან ამ მნიშვნელობათა სხვადასხვა სახის კონგლომერატი.

ზემოაღნიშნული მსჯელობის და თეორიული განზოგადებების საფუძველზე გთავაზობთ სინტაქსური სინონიმიის ჩვენს მიერ შემუშავებულ განმარტებას, რომლის თანახმადაც სინტაქსურ სინონიმებად მივიჩნევთ სინტაქსური დონის ისეთ ერთეულებს, რომლებსაც საერთო პრედიკატულ-არგუმენტული პროპოზიციული კონფიგურაცია და ფუნქციური დანიშნულება, მაგრამ განსხვავებული სუბიექტური მოდალობა და გრამატიკული სტრუქტურა აქვთ, რის გამოც ისინი ერთი სემანტიკური ინვარიანტის სინტაქსურ ვარიანტებად მოიაზრება. ამ დეფინიციის საფუძველზე შესაძლებელია სინონიმური სინტაქსური კონსტრუქციების იდენტიფიკაცია და ანალიზი.

ყველა ამ კრიტერიუმს ჩვენ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით შემდეგ თავში და შევეცდებით, სინტაქსური სინონიმიის შემოთავაზებული

კრიტერიუმების ვალიდურობა დავადასტუროთ ემპირიული მონაცემების საფუძველზე.

# თავი III
# სინტაქსური სინონიმია, როგორც საკომუნიკაციო სტრატეგიის გამოვლინება ტექსტში

## 3.1. სინონიმურ სინტაქსურ კონსტრუქციათა განზომილებები

წინა თავში ჩვენ შევეცადეთ სინტაქსური სინონიმიის შესწავლის მიზნით განხორციელებული კვლევების მიმოხილვის საფუძველზე დაგვედგინა სინტაქსურ კონსტრუქციათა სინონიმურობის კრიტერიუმები. ამ სფეროში არსებული გამოკვლევების კრიტიკული ანალიზის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ სინტაქსური კონსტრუქციებისთვის მნიშვნელობის იგივეობა ან მსგავსება გულისხმობს საერთო პრედიკატულ-არგუმენტულ პროპოზიციულ კონფიგურაციას და ფუნქციური დანიშნულებას. მაშასადამე, სინტაქსურ სინონიმებად მივიჩნევთ ისეთ კონსტრუქციებს, რომლებიც სინტაქსურ დონეს განეკუთვნება (ანუ წარმოადგენს სიტყვათშეხამებებს ან წინადადებებს), აქვთ ერთი და იგივე ფუნქციური დანიშნულება (მაგ., კითხვითი ან მტკიცებითი) და იგივე სემანტიკური სტრუქტურა (ანუ საერთო პრედიკაცია და არგუმენტთა თემატური როლები). ამ დეფინიციის საფუძველზე შესაძლებელია სინონიმური სინტაქსური კონსტრუქციების იდენტიფიკაცია და ანალიზი, თუმცა, პირველ-ყოვლისა, აუცილებელია უფრო დაწვრილებით შევეხოთ არგუმენტთა თემატური როლების საკითხს და განვსაზღვროთ იმ როლების ჩამონათვალი, რომელთაც შემდგომი განხილვისას დავეყრდნობით.

### *3.1.1. სემანტიკური როლები*

სემანტიკური როლი, რაც ხშირად მოიხსენიება როგორც თემატური როლი, (ზოგჯერ კი „ფუნქციური როლი“, „მონაწილეთა როლი“ და ა.შ.) აღნიშნავს პრედიკატით გამოხატულ მოვლენაში მონაწილეთა მიმართებას თავად აღნიშნულ მოვლენასთან. სხვადასხვა ტიპის ენათა ანალიზი ადასტურებს, რომ ერთი და იგივე როლები ყველა მათგანში გვხვდება. ლინგვისტურ თეორიაში ამ საკითხის კვლევას ჯერ კიდევ ჯ. გრუბერის (Gruber 1976) ნაშრომმა ჩაუყარა საფუძველი. შემდგომ პერიოდში ჩ. ფილმორის (Fillmore 1968, 1977), რ. ჯეკენდოფის (Jackendoff 1972, 1976) ფუძემდებლური გამოკვლევების გავლენით თემატური როლების კვლევა სემანტიკური თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად იქცა.

სემანტიკური როლების თეორიის მთავარი მიზანია, შეიქმნას როლების იმგვარი სისტემა, რომელიც რელევანტური იქნება ნებისმიერი ზმნის ნებისმიერი არგუმენტისათვის. იგი ძირითადად გამოიყენება ანგლისტიკაში, რითაც ხდება ბრუნვის მორფოლოგიური კატეგორიის სიმწირის კომპენსირება. როგორც აღვნიშნეთ, ერთერთი პირველი ამგვარი ტაქსონომია შემოთავაზებულ იქნა ფილმორის მიერ. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი მოკლედ მიმოხილვა. ეს ჩამონათვალი (Fillmore 1968: 24-25) მოიცავს შემდეგ როლებს:

1. აგენტივი [agentive], ჩვეულებრივ სულიერი არსება, რომელიც აღიქმება, როგორ ზმნით გამოხატული მოქმედების ინიციატორი, მაგალითად: **Mary** kicked the cat;
2. ინსტრუმენტალური [instrumental], უსულო საგნისა ან ძალის როლი, რომელიც ზმნით გამოხატული მოქმედების გამომწვევად გვევლინება, მაგალითად:

   John used **the hammer** to beak the window.

   **The hammer** broke the window.;
3. დატივი [dative], სულიერი არსება, რომელიც განიცდის ზმნით გამოხატული მოქმედების ან მდგომარეობის ზეგავლენას, მაგალითად: **Mary** heard the nightingale.

   The nightingale enchanted **Mary**.
4. ფაქტიტივი/კაუზალური [factitive], საგანი ან არსება, რომელიც წარმოადგენს ზმნით გამოხატული მოქმედების შედეგს ან მოიაზრება, როგორც ზმნის მნიშვნელობის ნაწილი, მაგალითად:

   John cooked **a delicious meal**.
5. ლოკატივი [locative], როლი, რომელიც აღნიშნავს ზმნით გამოხატული მოქმედების ან მდგომარეობის მდებარეობას ან სივრცით ორიენტაციას, მაგალითად:

   Mary vaulted **the wall**.

   John put his finger **on the button**.
6. ობიექტური [objective] სემანტიკურად ყველაზე ნეიტრალური როლია. ამ როლში გვევლინება საგნები, რომლებიც განიცდიან ზმნით გამოხატულ მოქმედებას ან მდგომარეობას, მაგალითად:

   Mary opened **the door**.

   **The door** opened.

მიუხედავად მოჩვენებითი სიმარტივისა, სემანტიკური როლების ეს ჩამონათვალი ბევრ სადავო მომენტს მოიცავს, რომლებიც ხაზგასმულია შემდგომი პერიოდის გამოკვლევებში. განვიხილოთ რამდენიმე განსაკუთრებით წინააღმდეგობრივი მოსაზრება.

- თუ გავითვალისწინებთ, რომ აგენტივი (აგენსი) ტრადიციულ განსაზღვრებებში განიხილება, როგორც სულიერი არსება, რომელიც წინასწარგანზრახვით ახორციელებს ან იწვევს მოქმედებას, გაურკვეველი რჩება ზოგიერთი ისეთი არგუმენტის როლი, რომლებიც ერთი შეხედვით ძალიან ჰგავს აგენსს. მაგალითად,

**The wind** rattled the windows.

აქ სუბიექტი გამოხატულია უსულო არსებითი სახელით, მაშასადამე ფილმორი მას მიაკუთვნებდა ინსტრუმენტალურ როლს, თუმცა კრუზი (Cruse 2000) ამ გადაწყვეტილებას არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. იგი საუბრობს ახალ როლზე, ძალაზე [force], რომელიც შეიძლება გამოეყოს აგენსს.

- ზოგ შემთხვევაში არგუმენტი შეიძლება იწვევდეს ზმნით გამოხატულ მოქმედებას საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. შეიძლება კი ამ შემთხვევაში ვისაუბროთ მის აგენტურობაზე? მაგალითად:

**John** accidentally knocked the vase on to the floor.

მეორეს მხრივ, შესაძლებელია, მოქმედებას იწვევდეს რომელიმე არგუმენტის ნება, მაგრამ იგი თავად არ იყოს ფიზიკურად ჩართული ამ მოქმედების განხორციელებაში. მაგალითად:

**The sergeant-major** marched the recruits round the parade ground.

ამ შემთხვევაშიც სუბიექტის როლი განსხვავდება ტიპიური აგენსისაგან და ამდენად ეჭვქვეშ დგება მისი აგენტურობა. ამასთან, საკამათო ხდება არგუმენტის *the recruits* როლის საკითხიც. ყველა ამგვარ შემთხვევაში შესაძლებელია საუბარი ახლი როლის გამოყოფაზე (Cruse 2000).

- ინსტრუმენტალური როლი ტრადიციულად გულისხმობს უსულო ობიექტს. თუმცა კვლავ არსებობს შუალედური შემთხვევები, როცა არგუმენტის როლი ძალიან ჰგავს ინსტრუმენტალურს, მაგრამ წარმოადგენს სულიერ არსებას. მაგალითად, *sniffer dogs* შემდეგ წინადადებაში:

The police used **sniffer dogs** to locate the drugs.

- დატივიც, რომელიც უფრო ხშირად მოიხსენიება, როგორც ექსპერიენსერი, შეიძლება გარკვეული ბუნდოვანების წყარო გახდეს. მაგალითად, განვიხილოთ ორი წინადადება:

Mary threw **John** out of the window.

Mary threw **John's trousers** out of the window.

თუ პირველ მათგანში John აკმაყოფილებს დატივის აღწერილობას, John's trousers მეორე წინადადებაში, ჩვეულებრივ ამ როლში არ განიხილება. აქ გადამწყვეტი კრიტერიუმის როლს ასრულებს ის, რომ დატივი/ექპერიენსერი აუცილებლად სულიერი არსებაა. მეორეს მხრივ აშკარაა, რომ ამ ორ წინადადებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეიმჩნევა. ამასთან, მათი მაერთებელი კავშირით შეერთება (სტილისტური ეფექტის გარეშე) სრულებით მისაღებია. მაგალითად,

Mary threw **John and his trousers** out of the window.

ეს კი ხშირად იგივე როლის არსებობის ტესტად გამოიყენება.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვამ აჩვენა, სემანტიკურ როლთა ფილმორისეული კლასიფიკაცია ვერ ჩაითვლება სრულყოფილად. თუმცა სემანტიკური როლების თეორიის მთავარი მიზანი უნივერსალურობის მიღწევაა, მკვლევართა მოსაზრებები მკვეთრად განსხვავდება იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლები უნდა გამოიყოს, ან რამდენი როლის გამოყოფაა შესაძლებელი. როგორც კროფტი აღნიშნავს, სემანტიკური როლების თეორიათა დიდი ნაწილი ეფუძნება ვარაუდს, რომ არსებობს ამგვარი როლების სასრული და საკმაოდ მცირე რაოდენობა (Croft 1991: 156), თუმცა კონსენსუსი მათ რაოდენობასთან და რაობასთან დაკავშირებით ჯერ არა არის მიღწეული. ერთის მხრივ, ანდერსონი გვთავაზობს მხოლოდ სამი სემანტიკური როლისაგან შემდგარ ჩამონათვალს – წყარო, ლოკაცია და მიზანი, ხოლო ყველა სხვა ერთეული ამ სამი ძირითადი როლისგანაა ნაწარმოები (Anderson 1971). მეორეს მხრივ, მაგალითად, პოლარდი და საგი ყველა ზმნას მიაწერენ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სემანტიკურ როლებს, რომლებიც ყველა სხვა ზმნისთვის დამახასიათებელი სემანტიკური როლებისაგან განსხვავდება (Pollard and Sag 1994). მაგალითად, ზმნა *love* თავისი არგუმენტებისაგან მოითხოვს ორ სემანტიკურ როლს *lover* და *lovee*. ამ შემთხვევაში განუზომლად იზრდება სემანტიკური როლების რიცხვი და ამასთან იკარგება განზოგადებული სემანტიკური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა, რაც აკნინებს ამ ცნების ლინგვისტურ ღირებულებას.

სემანტიკური როლების არსებულ ტაქსონომიებს უკავშირდება აგრეთვე კიდევ ერთი პრობლემა, რასაც დაუთი (Dowty 1991: 553) უწოდებს „როლთა ფრაგმენტაციას“. ეს პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად „ვიწრო“ მნიშვნელობისთვის შეიძლება ამა თუ იმ როლის გამოყოფა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგენტის როლის მაგალითის განხილვა. ამ როლში ჯეკენდოფი გამოყოფს აგენტს და მოქმედს [Actor] (Jackendoff 1983), ვან ვალინი გამიჯნავს აგენტს და ზემოქმედს [effector] (Van Valin 1990), კრუზი საუბრობს ნებელობით [volitive], ზემოქმედებით [effective], ინიციატორულ [initiative] და აგენტურ [agentive] როლებზე (Cruse 1973), ლაკოფი კი თოთხმეტ სხვადასხვა ელემენტს განიხილავს (Lakoff 1977). არანაკლებ პრობლემურია თემის როლიც, რომელშიც დაუთი სამ ტიპს გამოყოფს: მზარდ [Incremental], არამზარდ [Non-incremental] და ჰოლისტურ [Holistic] თემებს (Dowty 1991).

უდავოა, რომ არსებობს გარკვეული სირთულეები სემანტიკურ როლებს შორის საზღვრების დადგენისას, მაგრამ ამ პრობლემის გადაწყვეტა არ შეადგენს ჩვენი ნაშრომის მიზანს. შემდგომ დისკუსიაში ჩვენ ვეყრდნობით ერთ-ერთ ტაქსონომიას, რადგან მასში შემავალი სემანტიკური როლების არსებობას ლინგვისტთა დიდი ნაწილი აღიარებს. ეს ჩამონათვალი ძირითადად ეფუძნება აარტსის (Aarts 2001: 94-95) მიერ ჩამოყალიბებულ ტაქსონომიას და მოიცავს შემდეგ როლებს:

1. აგენსი – პრედიკატით გამოხატული მოქმედების ჩამდენი, აქტიური მონაწილე ან გამომწვევი. ამ როლთან დაკავშირებული ზოგიერთი სირთულე ჩვენ ზემოთ უკვე მიმოვიხილეთ.
2. პაციენსი – პრედიკატით გამოხატული მოქმედების განმცდელი ან პასიური მონაწილე. ზოგ ჩამონათვალში ერთმანეთისგან გამოყოფენ პაციენსსა და თემას. კრუზის (Cruse 2000) აზრით, ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რამდენად ცვლის პროცესი ან მოქმედება მოცემულ ერთეულს. უცვლელი უსულო არსებითი ჩვეულებრივ მოიხსენება, როგორ თემა, ხოლო ის, რაც თავად განიცდის ცვლილებას პრედიკატით გამოხატული მოქმედების შედეგად, პაციენსია. მაგალითად, წინადადებაში *John put on his hat*. – *hat* – თემაა, მაგრამ *Mary minced meat* – *meat* პაციენსია. ხშირ შემთხვევაში ეს გამიჯვნა ბუნდოვანია და, ამდენად, ჩვენი მიზნებისთვის დასაშვებად მიგვაჩნია დავეთანხმოთ იმ

ლინგვისტებს, ვინც ამ ორი როლის გაერთიანებას უჭერს მხარს (მაგალითად, Radford 1997: 326)

3. ექსპერიენსერი – ცოცხალი არსება, რომელიც განიცდის, აღიქვამს პრედიკატით გამოხატულ მოქმედებას ან მოვლენას. მაგალითად, *John* წინადადებაში *John heard the noise.*
4. მიზანი – ადგილი ან ერთეული, რომლის მიმართულებითც ხორციელდება მოძრაობა. მაგალითად, *onto the sofa* მიზანია წინადადებაში *Frank threw himself onto the sofa.*
5. ბენეფიციარი – პრედიკატით აღნიშნული მოქმედების ან მოვლენის შედეგად სარგებლობის მიმღები, მაგალითად, *Mary* წინადადებაში *John got Mary a present*.
6. წყარო – ადგილი ან ერთეული, რომელიც მოძრაობის საწყის წერტილს წარმოადგენს. მაგალითად, წინადადებაში *Greg comes from Wales, „from Wales“* მკვეთრად გამოხატული წყაროა.
7. ინსტრუმენტი – საშუალება, რომლითაც ხორციელდება პრედიკატით აღნიშნული მოქმედება ან მოვლენა. ასეთია მაგალითად, *knife* წინადადებაში *John cut the meat with a knife*.
8. ლოკატივი – პრედიკატით გამოხატული მოქმედების ან მოვლენის განხორციელების კონკრეტული ადგილი, მაგალითად, *This tribe inhabits a remote island in the Pacific.*

როგორც აღვნიშნეთ, ეს ტაქსონომია არ არის ერთადერთი და არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ იგი ყველაზე ოპტიმალურად ასახავს არგუმენტთა მიმართებას პრედიკატით გამოხატულ მოქმედებასთან. სემანტიკურ როლებთან დაკავშირებული წინააღმდეგობების გადაწყვეტის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო გვეჩვენება დაუთის მიერ შემოთავაზებული მიდგომა, რომელიც ორი ძირითადი პროტოტიპული როლის, პროტოაგენსის და პროტოპაციენსის შემოტანას ეფუძნება (Dowty 1991). ავტორის აზრით თითოეულს ამ ორი როლისაგან იმპლიკაციათა გარკვეული ჩამონათვალი აქვს.

აგენსის პროტო-როლი გულისხმობს შემდეგ თვისებებს;

ა) მოვლენასა თუ მდგომარეობაში ნებელობითი ჩართულობა (volitional involvement);

ბ) აღქმისა და შეგრძნების უნარი;

გ) მეორე მონაწილეში რამე ქმედების ან მდგომარეობის ცვლილების გამოწვევის უნარი;

დ) მოძრაობა (მეორე მონაწილის პოზიციასთან მიმართებაში);

ე) ზმნით გამოხატული მოვლენისაგან დამოუკიდებელი არსებობა.

პაციენსის პროტო-როლი გულისხმობს შემდეგ მახასიათებლებს:

ა) განიცდის მდგომარეობის ცვლილებას;

ბ) ახასიათებს მზარდი თემატურობა (incremental theme);

გ) განიცდის მეორე მონაწილის კაუზატიურ გავლენას;

დ) სტაბილურია/უძრავია მეორე მონაწილის მოძრაობასთან მიმართებაში;

ე) არ ახასიათებს ზმნით გამოხატული მოვლენისგან დამოუკიდებელი არსებობა. (ibid: 572)

ზმნის არგუმენტებს მეტად ან ნაკლებად ახასიათებთ „აგენტურობა“ ან „პაციენტურობა“ იმის მიხედვით, თუ პროტო-აგენსის ან პროტო-პაციენსის რამდენ თვისებას ავლენენ. ჩვეულებრივ, პროტო-აგენსის თვისებათა ყველაზე მეტი ოდენობის მატარებელი არგუმენტი სუბიექტად გვევლინება, ხოლო მეორე არგუმენტი – ობიექტად. იმ შემთხვევაში, თუ ორივე არგუმენტი პროტო-აგენსის იმპლიკაციების თანაბარ რაოდენობას ახორციელებს, ნებისმიერი მათგანი შეიძლება გახდეს სუბიექტი. ეს თეორია ხსნის განსხვავებას ექსპერიენსერ-სუბიექტსა (მაგ., ზმნებთან *like, admire, detest, fear, despise, enjoy, hate, honor, love, esteem*) და ექსპერიენსერ-ობიექტს (მაგ., ზმნებთან *please, scare, frighten, amuse, bore, astonish, surprise, terrify, thrill*) შორის. ამ ზმნათა ორ არგუმენტს, ექსპერიენსერსა და სტიმულს პროტო-აგენსის მახასიათებელთა თანაბარი რაოდენობა აქვთ. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ზოგი ზმნა სუბიექტად ექსპერიენსერს მოითხოვს, ზოგი კი სტიმულს, რამაც გამოიწვია ესა თუ ის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ამითვე აიხსნება ვარიაცია დიაქრონიული თვლასაზრისითაც. მაგალითად, ზმნების *like* და *think* სუბიექტი ინგლისური ენის ისტორიის ადრეულ ეტაპზე სტიმული იყო და არა ექსპერიენსერი.

მიუხედავად გარკვეული კრიტიკული მოსაზრებებისა (მაგალითად, პროტო-როლების იმპლიკაციათა დადგენასთან დაკავშირებით), დაუთის ამ თვალსაზრისის უდავო დამსახურებაა ის, რომ თემატური როლები განიხილება არა როგორც დისკრეტული კატეგორიები, არამედ როგორც პროტოტიპული

კონცეპტები. ამდენად იგი შესაძლებელს ხდის როლთა გამიჯვნის იმ პრობლემების გადაწყვეტას, რაზეც უკვე უკვე ვისაუბრეთ ზემოთ.

აქვე უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს. ეს არის განსხვავება მონაწილეთა ანუ თემატურ როლებსა და გარემოებით როლებს (circumstential roles) შორის (Cruse 2000). პირველი მათგანი მჭიდრო კავშირშია ზმნასთან, იგი წინადადების შინაგანი სტრუქტურის უშუალო შემადგენელია, ხოლო მეორე ერთგვარ დამატებით როლს ასრულებს; იგი არ დევს ზმნის შინაგან სტრუქტურაში. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს ორი წინადადება:

John put his bicycle in the garage.

John repaired his bicycle in the garage.

პირველში *in the garage* თემატურ როლში გვევლინება, ხოლო მეორეში იგი გარემოებით როლს ასრულებს, რადგან მისი არსებობა წინადადების კონსტრუქციაში არაა აუცილებელი, მისი გამოტოვება არ არღვევს წინადადების გრამატიკულობას.

### *3.1.2. სინტაქსურ სინონიმთა კლასიფიკაცია*

სემანტიკური როლების და მათს იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული სირთულეების ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ ჩვენ შევეცდებით გამოვყოთ სინტაქსური კონსტრუქციები, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს ინტუიტიური მსგავსება. სწორედ სემანტიკური სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევეცდებით დავამტკიცოთ მათ შორის სინონიმური მიმართების არსებობა.

*I. აქტიური და პასიური კონსტრუქციები*

მოქმედებითი და ვნებითი გვარის კონსტრუქციები შეიძლება ჩაითვალოს სინონიმებად, თუ შენარჩუნდება პრედიკატის ყველა არგუმენტი. მაგალითად,

"Who was it that invented religion, and sin and all that? And why?"

John laughed. "It was invented by Adam" he said, "for various little transcendental reasons which you will probably find it difficult to appreciate…" (Huxley "*Hubert and Minnie*")

შევადაროთ ერთმანეთს შემდეგი კონსტრუქციები:

(1) ა. It was invented by Adam...

ბ. *Adam invented it...* [4]

ორივე შემთხვევაში *Adam* წარმოადგენს აგენსს, თუმცა (1ა) წინადადებაში იგი წინდებულიანი დამატების როლს ასრულებს და (1ბ)-ში სუბიექტისა. ასევე ორივეგან *it* პაციენსია, თუმცა მისი ფუნქცია იცვლება, (1ა) წინადადებაში იგი ქვემდებარეა, (1ბ)-ში პირდაპირი დამატება.

ჩვენი რწმენით, სინონიმებად შეიძლება ჩაითვალოს ასევე, მოქმედებითი გვარის წინადადება განუსაზღვრელი ნაცვალსახელით (they, you, one) გამოხატული სუბიექტით და მისი შესატყვისი ვნებითი გვარის წინადადება წინდებულიანი დამატების გარეშე. მაგალითად,

(2) "They tell me there's a man called Freud, an Austrian I believe-" (Maugham "*Jane*")

They tell me შეიძლება ჩაითვალოს *I'm told* კონსტრუქციის სინონიმურად, მიუხედავად იმისა, რომ აქ დაკარგულია ერთ-ერთი არგუმენტი. თუმცა *they* ამ წინადადებაში სუბიექტის ფუნქციას ასრულებს, იგი არავითარი სემანტიკური ინფორმაციის მატარებელი არ არის, სემანტიკურად ცარიელია და, ამდენად, მისი დაკარგვა არ ცვლის წინადადების მნიშვნელობას იმ დოზით, რომ სინონიმურობის მოთხოვნები დაიღვეს. ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე შემდეგ მაგალითებში:

(3) ა. One never does anything if one does not try. (Lawrence "*The Lovely Lady*")

ბ. *Nothing is ever done…* შეიძლება ჩაითვალოს ამ მაგალითში გამოყენებული კონსტრუქციის სინონიმურად. ანალოგიურად, სინონიმურია შემდეგი ორი წინადადებაც:

(4) ა. If you wake a man up, he can't go to sleep again because he is told to.

ბ. *If a man is woken, he can't go to sleep again because he is told to/ because you tell him to.* (Lawrence "*You touched Me*")

ამავე დროს, ჩვენი აზრით, არ შეიძლება წინადადების დონეზე სინტაქსურ სინონიმიაზე საუბრისას მოქმედებითი გვარის სინონიმად ჩაითვალოს შესაბამისი ვნებითი კონსტრუქცია, თუ აგენსი დაკარგულია, თუნდაც იგი სავსებითი აშკარად იყოს გამოვლენილი უშუალო ენობრივ კონტექსტში. მაგალითად, განვიხილოთ შემდეგი მონაკვეთი:

(5) "I tried to tell them, and my father gave me my first thrashing for telling lies. When afterwards I tried to tell my aunt, she punished me again for my wicked persistance.

[4] დახრილი შრიფტი მაგალითებში გამოიყენება ჩვენს მიერ შემოთავაზებული სინონიმური სინტაქსური კონსტრუქციის აღსანიშნავად.

Then, as I said, everyone was forbidden to listen to me, to hear a word about it. Even my fairy-tale books were taken away from me for a time ... Eh? Yes, they did that! My father belonged to the old school ... And my story was driven back upon myself. (Wells "The Door in the Wall")

ამ მონაკვეთში სრულიად ნათელია, რომ სწორედ *მამა* იგულისხმება როგორც აგენტი ვნებითი გვარის ზმნების *was forbidden, were taken, was driven back* მიღმა. თუმცა ეს დასკვნა არ გამომდინარეობს ერთი წინადადების მნიშვნელობის ანალიზიდან და, მაშასადამე, ანალიზი სცდება სინტაქსის ფარგლებს, რომლის მაქსიმალურ ერთეულსაც წინადადება წარმოადგენს. ამდენად, ჩვენ ამ ტიპის კონსტრუქციებს არ შევეხებით.

*II. ექსპლეტური it და there შემცველი კონსტრუქციები*

სინტაქსურ სინონიმებად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე *it* და *there*-ს საშუალებით წარდგენილი კონსტრუქციების შემცველი წინადადებები და შესაბამისი წინადადებები ამ კონსტრუქციების გარეშე. მაგალითისთვის განვიხილოთ

(6) ა. *There is a good film on tonight.*

ბ. *A good film is on tonight.*

(6ა) მაგალითში *there* ასრულებს სუბიექტის ფუნქციას, ხოლო *a good film* შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია. (6ბ) მაგალითში გვხვდება მხოლოდ ეს უკანასკნელი და იგი სუბიექტად გველინება. სემანტიკური თვალსაზრისით ნაცვალსახელის *there* არარსებობა (6ბ) მაგალითში არ იწვევს როლების სხვაგვარ გადანაწილებას, რადგან მას არ ენიჭება რაიმე სემანტიკური როლი. განსხვავებით ადგილის ზმნიზედისაგან (ლოკატივისგან) *there* (მაგალითად, წინადადებაში I put your book there), იგი არ აღნიშნავს არგუმენტს. აარტსი მას მოიხსენიებს როგორც „ეგზისტენციალურ there" (Aarts 2001: 96), რადგან იგი გამოიყენება პროპოზიციებში არსებობის შესახებ. ამ ტიპის ნაცვალსახელებს მოიხსენიებენ როგორც ექსპლეტურ სიტყვებს ანუ სიტყვებს, რომლებიც წინადადებაში სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, გამოიყენება სინტაქსური პოზიციის შესავსებად, მაგრამ არ ახდენს გავლენას მნიშვნელობაზე (Dictionary of the English Language 2009). ანალოგიური დასკვნის საფუძველს იძლევა შემდეგი წინადადებების შედარება:

(7) ა. It's a tough situation.

ბ. *The situation is tough.*

კვლავ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (7ა) იკავებს სუბიექტის ადგილს (7ბ), მაგრამ ეს ვერ ცვლის სემანტიკურ სტრუქტურას *it* ნაცვალსახელის ექსპლეტურობის გამო (განუსაზღვრელი არტიკლის განსაზღვრულით შეცვლის მიზეზებს ჩვენ ქვემოთ შევეხებით, როცა განვიხილავთ თემა-რემატულ მიმართებებს წინადადებაში).

ზოგადად *to be* ზმნის და სხვა სტატიკური ზმნების შემთხვევაში სადავოდ რჩება თემატური როლების განაწილების საკითხი. მაგალითად, დაუთი ეჭვქვეშ აყენებს ნებისმიერი სტატიკური პრედიკატის მიერ თემის როლის მინიჭების შესაძლებლობას (Dowty 1991: 548). ლ. მ. ჰეგემანი და ჯ. გუერონი მიიჩნევენ, რომ მაერთი ზმნა (link verb, copula) „სემანტიკურად სუსტია“ (semantically light), რაც ვლინდება არგუმენტული სტრუქტურის არქონაში (Haegeman, Gueron 1999: 323). ისინი თვლიან, რომ მაგალითად, წინადადებაში *John is often sad* სუბიექტი თემატურ როლს იღებს არა ზმნის, არამედ ზედსართავით გამოხატული სახელადი ნაწილისგან. ამ თვალსაზრისს კატეგორიულად არ ეთანხმება ფ. ვან ინდი, რომელიც მიიჩნევს, რომ სემანტიკური ანალიზისას მაერთი ზმნების უგულვებელყოფა ართულებს ნომინალური პრედიკატივების ინტერპრეტაციას და ეყრდნობა ამ ზმნების პრედიკაციულ და იდენტიფიკატორულ ფუნქციებს შორის არსებით განსხვავებას, რომელიც ემპირიული გამოკვლევებით არ დასტურდება (Van Eynde 2008). ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ჩვენი პოზიციის გამოხატვა გაუმართლებლად მიგვაჩნია სერიოზული არგუმენტაციის გარეშე, ხოლო ამგვარი მასალის მოძიება ჩვენი საკვლევი თემისგან გადახვევას გამოიწვევს. ამდენად, ჩვენ საკმარისად მიგვაჩნია მტკიცება, რომ სემანტიკური მნიშვნელობისგან დაცლილი და მხოლოდ სინტაქსური პოზიციის შევსებისთვის გამიზნული ერთეული ვერ გამოიწვევდა წინადადების სემანტიკური სტრუქტურის ცვლილებას. შემთხვევითი როდია, რომ წინადადების ეს წევრი ქართულენოვან წყაროებში მოიხსენიება როგორც ფორმალური ქვემდებარე ან არასრულმნიშვნელოვანი ქვემდებარე (ზამბახიძე, ზაბახიძე 2009). მაშასადამე, ზემომოყვანილი კონსტრუქციები სინონიმებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ინტროდუქციულ *there*-სთან შედარებით ინდექსალური *it* უფრო ფართო გამოყენებით გამოირჩევა, რადგან ამ ნაცვალსახელმა შეიძლება წარადგინოს წინადადების რამდენიმე სხვადასხვა წევრი კონსტრუქციაში it + ყოფნა ზმნა (be)

+ არსებითი სახელი + განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება. (8) მაგალითში იგი წარადგენს სუბიექტს

(8) ა. It's her damned virtue that caused the whole trouble.

ბ. Her damned virtue caused the whole trouble. (Maugham "*Virtue*")

*Her damned virtue*, რომელიც (8ა) მაგალითში შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია, (8ბ) მაგალითში სუბიექტად გვევლინება, თუმცა იგი ორივე წინადადებაში აგენსს წარმოადგენს (მაგრამ იგი არ ატარებს პროტოაგენსის ყველა მახასითებელს). *It* ნაცვალსახელის (და მასთან ერთად (8ა) მაგალითის მთავარი წინადადების გაქრობა) ვერ ცვლის წინადადების სემანტიკურ სტრუქტურას და ამდენად, ეს წინადადებები შეიძლება სინონიმებად ჩავთვალოთ.

განვიხილოთ სხვა მაგალითებიც:

(9) Of all men, it was he whom she would have chosen were she mistress of her destinies.

(10) It is to you that I must speak first.

(11) It is today that he is going.

(12) It is where the party is going to take place.

მაშასადამე, *it* ნაცვალსახელმა შეიძლება წარადგინოს პირდაპირი ან ირიბი დამატება, დროის, ადგილის და ა. შ. გარემოებები. ყველა ამ შემთხვევაში შეიძლება მოიძებნოს სინონიმური კონსტრუქცია, სადაც ყველა წევრის სემანტიკური როლები შენარჩუნდება:

(9ბ) *Of all men she would have chosen him ...*

(10ბ*) I must speak to you first.*

(11ბ) *He is going today.*

(12ბ) *The party is going to take place here.*

ამ ტიპის წინადადებები ცნობილია გამომყოფი კონსტრუქციის (cleft-construction) შემცველი წინადადების სახელით. მიგვაჩნია, რომ ამგვარი წინადადებები გამომყოფი კონსტრუქციითა და მის გარეშე სინონიმურად შეიძლება ჩაითვალოს. ექსპლეტური it ნაცვლასახელის შემცველ წინადადებებსა და მათ სინონიმურ კონსტრუქციებზე ჩვენ კვლავ გვექნება საუბარი ზმნის უპირო ფორმების შემცველი კონსტრუქციების განხილვისას.

*III. რთული წინადადება და მარტივი წინადადება ნომინალიზებული პროპოზიციული კონსტრუქციით ანუ მეორადი პრედიკაციით.*

შემდგომი მაგალითების განხილვამდე აუცილებელია შევეხოთ პრედიკაციის ცნებასაც და გავავლოთ ზღვარი პრედიკაციისა და პრედიკატულობის ცნებებს შორის. პრედიკაცია არის სუბიექტურ-პრედიკატული ურთიერთობების ამსახველი ლოგიკური კატეგორია, პრედიკატულობა კი გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც ასახავს მიმართებას გამონათქვამის შინაარსსა და ობიექტურ რეალობას შორის (Ахманова 1966: 346). პრედიკატულობა იქმნება ზმნის გრამატიკული კატეგორიების სინთეზური რეალიზების შედეგად, სადაც წამყვანი ადგილი უკავია დროისა და კილოს კატეგორიებს, რომელთა საშუალებითაც ხდება არამარტო წინადადებაში მოცემული რეფერენტული ხდომილების დროში დაკონკრეტება სამეტყველო აქტთან მიმართებაში, არამედ ხდება მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულების გამოხატვა ამ ხდომილების მიმართ. ეს გულისხმობს, რომ პრედიკატულობა არის დროისა და კილოს გრამატიკული კატეგორიების საშუალებით წინადადების შეპირისპირება რეალობასთან. აქ იგულისხმება მაგალითად, რამდენად რეალური ან არარეალურია ასახული მოვლენა, განიხილება იგი როგორც სასურველი თუ სავალდებულო, წარმოჩენილია როგორც ჭეშმარიტი ფაქტი, თუ კითხვა დაისმის მის შესახებ. სმირნიცკის აზრით, წინადადებას სწორედ პრედიკატულობა აქცევს წინადადებად (Смирницкий 1957: 102). სწორედ პრედიკატულობის საშუალებით ხდება სიტყვათშეთანხმების გადაქცევა წინადადებად. მაგალითად: წინადადებაში – “I saw him crossing the street.” – “him crossing” არის რთული დამატება გამოხატული მიმღეობიანი პროპოზიციული კონსტრუქციით, რომელსაც თავისი პრედიკატულ-არგუმენტული კონფიგურაცია აქვს. საკმარისია მიმღეობა ანუ ზმნის უპირო ფორმა გაფორმდეს ზმნის პირიანი ფორმის დროისა და კილოს გრამატიკული კატეგორიებით, რომ კონსტრუქცია მაშინვე გადაკეთდება წინადადებად: I saw that he was crossing the street.

კავშირი პრედიკატულობასა და წინადადებას შორის იმდენად მჭიდროა, რომ, ზოგი ლინგვისტის აზრით, წინადადების განსაზღვრა პრედიკატულობის მეშვეობით ფაქტობრივად ტავტოლოგიას წარმოადგენს, რადგან წინადადება იგივე პრედიკატულობაა და პირიქით. ბლოხი ხაზს უსვამს ლინგვისტთა ნეგატიურ დამოკიდებულებას პრედიკატულობის, როგორც წინადადების ფორმირების უმთავრესი ფაქტორის მიმართ. ამის მიზეზად იგი მიიჩნევს იმ ფაქტორს, რომ პრედიკატულობის ტრადიციული დეფინიციები არ მიჯნავს ერთმანეთისაგან წინადადების შინაარსის ორ უმთავრეს მხარეს, კერძოდ, მის

ნომინაციურ და პრედიკაციულ მხარეებს შორის. ამიტომაც, ის გვთავაზობს პრედიკატულობის რედაქტირებულ განსაზღვრებას, სადაც ეს მოვლენა განიხილება როგორც „წინადადების ნომინაციური შინაარსის მიმართება რეალობასთან“ (Blokh 1983: 243).

თუმცა ჩვეულებრივ წინადადებაში პრედიკაციის გამომხატველად სრულმნიშვნელოვანი ზმნით გამოხატული პრედიკატი მიიჩნევა, ხშირ შემთხვევაში საუბრობენ ასევე მეორად პრედიკაციაზე, რომელიც ზმნის უპირო ფორმებით შეიძლება იყოს გამოხატული. ზოგადად ზმნის მთავარი კატეგორიალური მნიშვნელობა არის დინამიურად წარმოჩენილი პროცესი. ამგვარი პროცესუალური მნიშვნელობა თან ახლავს ნებისმიერი სემანტიკის ზმნას თუნდაც იგი აღნიშნავდეს მდგომარეობას, არსებობის ფორმას, დამოკიდებულებას, შეფასებას და ა.შ., და არა მოქმედებას (ibid: 86). ანალოგიური პროცესუალური მნიშვნელობა ახასიათებს უპირო ზმნებსაც, რაც დასტურდება იმით, რომ უპირო ზმნებიც დაირთავს გარემოებებს და შეეწყობა პირდაპირ დამატებას. მაგალითად,

(13) ა. Mr. Brown received the visitor instantly, which was unusual.

ბ. *Mr. Brown's receiving the visitor instantly was unusual.*

წინადადებაში სრულმნიშვნელოვანი ზმნა პრედიკატის ფუნქციას ასრულებს და გამოხატავს პედიკატულობის პროცესუალურ მახასიათებლებს, როგორიცაა დრო, ასპექტი, გვარი და კილო. უპირო ზმნა თავისი გარდამავალი ბუნებიდან გამომდინარე განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებს (სინტაქსური ქვემდებარის, დამატების, გარემოების ან განსაზღვრებისა). თუმცა მისი არაპროცესუალური ფუნქციებიც კი ყოველთვის პროცესუალურ სემნატიკურ ნიშნებთან მჭიდრო კავშირში აქტუალიზდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნის უპირო ფორმას (როცა იგი არ წარმოადგენს ზმნის ანალიზური ფორმის შემადგენელ ნაწილს) აქვს უნარი შეასრულოს პოტენციურად პრედიკატული ფუნქცია და წარმოადგენს წინადადების მეორად პრედიკაციულ ცენტრს. თითოეულ შემთხვევაში იგი ამყარებს მიმართებას სუბიექტთან, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად.

(14) ა. Changing gear, the taxi turned the corner.

ბ. *The taxi changed gear and turned the corner*.

(15) ა. Roddy cared enough about his mother to want to make amends for Arabella.

ბ. *Roddy wanted to make amends to Arabella because he cared about his mother.*

მაშასადამე, ითვლება, რომ მეორად პრედიკაციას ინგლისურ ენაში გამოხატავს ზმნის უპირო ფორმების, კერძოდ, ინფინიტივის, გერუნდივისა და მიმღეობის შემცველი კონსტრუქციები. ამდენად, საუბარი სინონიმურ მიმართებაზე რთულ წინადადებასა და ზმნის უპირო ფორმებიანი კონსტრუქციების შემცველ მარტივ წინადადებებს შორის გამართლებულია, რადგან მათ მნიშვნელობებს შორის არსებობს შემდეგი მსგავსება:

1. ორივე პოლიპროპოზიციული სტრუქტურის მქონეა, რამდენადაც ორივე მათგანში ასახვას ჰპოვებს (ნომინირებულია) ორი ან მეტი ექსტრალინგვისტური სიტუაცია ან ხდომილება;
2. ორივეს შეუძლია გადმოსცეს დროითი, მიზეზ-შედეგობრივი, პირობითი და ა.შ. მიმართებები ობიექტური რეალობის მოვლენებს შორის;
3. ორივე შეიძლება ჩაითვალოს ერთი სემანტიკური ინვარიანტის სამეტყველო სინტაქსურ ვარიანტებად. მათგან, ზმნის უპირო ფორმიანი კონსტრუქციის შემცველი მარტივი წინადადება სინონიმური ოპოზიციის მარკირებულ წევრად განიხილება, მაშინ როდესაც რთული წინადადება არამარკირებულ წევრად მოიაზრება.

საინტერესოა, რომ ტერმინი *clause*, რომელიც ტრადიციულად დამოკიდებული ან რთული თანწყობილი წინადადების სტრუქტურაში შემავალი დამოუკიდებლი წინადადების აღმნიშვნელად გამოიყენებოდა, თანამედროვე ინგლისურ გრამატიკაში უპირო ზმნების შემცველი კონსტრუქციების მნიშვნელობითაც დამკვიდრდა. ეს ხაზს უსვამს ამ ორ სხვადასხვა სინტაქსურ კონსტრუქციას შორის შინაარსობრივ მსგავსებას. ინფინიტივიც, გერუნდივიც და მიმღეობაც წინადადებაში ბევრი სხვადასხვა ფუნქციით შეიძლება მოგვევლინოს და სხვადასხვა სინტაქსური კავშირები დაამყაროს წინადადების სხვა წევრებთან. ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით მხოლოდ იმ კონსტრუქციებზე, რომლებიც შეიძლება შესაბამისი დამოკიდებული ან რთული თანწყობილი წინადადების შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი წინადადების სინონიმად იქნეს განხილული. ქვემომოყვანილ ცხრილში ჩვენ შევეცადეთ შეგვეჯამებინა ზმნის სამივე უპირო ფორმის (აწმყო და წარსული მიმღეობის ცალ-ცალკე) ფუნქციები მარტივ წინადადებაში და იქვე პარალელი გაგვევლო ანალოგიური მნიშვნელობის გამომხატველი კონსტრუქციებსა თუ წინადადებებთან.

ზმნის უპირო ფორმების სინტაქსური სინონიმია

სქემა №5

| უპირო ზმნა | ფუნქცია | მაგალითი | სინონიმის მაგალითი | სინონიმური კონსტრუქცია |
|---|---|---|---|---|
| ინფინიტივი | ქვემდებარე (ინფინიტივი ან გავრცობილი ინფინიტივი) ზმნებთან to be, appear, seem<br><br>პერფექტულ ინფინიტივთან | *To save money now seems impossible.*<br><br>*To cut down any more trees would be a crime.*<br><br>*To have made the same mistake twice was unforgivable.* | It seems impossible to save money now.<br>მაგ. It would be a crime/mistake/pity to cut down any more trees.<br>It is better to have loved and lost than never to have loved at all. | ქვემდებარე კონსტრუქციაში **it+be+adj.+ inf.**<br>ზოგჯერ **it+be+noun+inf.** |
| | დამატება (ზმნებთან appear, guarantee, happen, pretend, promise, prove, seem, swear, threaten, undertake).<br><br>ან ზმნებთან<br>arrange, ask, claim, demand, determine, be determined, resolve) | *I promise to wait.*<br><br>*He demanded to speak to the manager.* | I promise that I will wait.<br><br>He demanded that he should speak to the manager. | **დამატებითი დამოკიდებული წინადადება**<br><br>**დამატებითი დამოკიდებული წინადადება** |
| | რთული დამატება (ობიექტური კონსტრუქცია) (ფიზიკური შეგრძნებების, გონებრივი აქტივობის, ნებართვის ა.შ. ზმნებთან) | *They heard him speak*<br>*I consider him to be the best candidate.* | They heard that he was speaking.<br>I consider that he is the best candidate. | **დამატებითი დამოკიდებული წინადადება** |
| | რთული ქვემდებარე<br><br>(განგრძობითი ინფინიტივი) | *Edith is said to resemble me*<br><br>*He is thought to be the best player.* | It is said that Edith resembles me.<br>It is thought that he is the best player. | **It+said/thought/etc+ დამატებითი დამოკიდებული წინადადება** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | He is thought to be hiding in the woods. | It is thought that he is hiding in the woods. | |
| | განსაზღვრება<br>სიტყვების the first, the second the last, the only და აღმატებითი ხარისხის ზოგი ზედსართავის შემდეგ. | *He is always the first to come and the last to leave.*<br>*She was the only one to survive the crash.* | He is always the first who comes and the last who leaves.<br>She was the only one who survived the crash. | **განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება** |
| | გარემოება | *I have closed the window not to catch cold.* | I have closed the window so that I wouldn't catch cold. | **გარემოებითი დამოკიდებული წინადადება** |
| | for-to ინფინიტივური კონსტრუქცია | *For him to take this decision was not easy.*<br>*I am waiting for you to say a word of approval.*<br>*I have closed the window for her not to catch cold.* | It wasn't easy for him to make this decision.<br>I'm waiting that you will say a word of approval.<br>I have closed the window so that I wouldn't catch cold. | **ქვემდებარე**<br><br>**დამატებითი დამოკიდებული წინ.**<br>**გარემოებითი დამ.წინ.** |
| გერუნ დივი | დამატება<br>(გერუნდიალური კონსტრუქცია<br>კუთვნილებითი ნაცვ./ობიექტ. პირის ნაცვ. + გერუნდივი<br>verb+pos. adj./pron obj + gerund)<br>excuse, forgive, pardon and prevent | *I do not remember my mother's/my mother complaining about it.*<br>*Do you mind my smoking?*<br>*He resented my being promoted before him.*<br><br>*You can't prevent his/him spending his own money.* | I do not remember that my mother complained about it.<br>Do you mind if I smoke?<br>He resented that I was promoted before him.<br><br>You can't prevent him from spending his own money. | **დამატებითი დამოკიდებული წინადადება** |
| | ქვემდებარე<br>(გერუნდიალური კონსტრუქცია | *Powell's being rude like that was disgusting.* | It was disgusting that Powell was(was being) rude like that. | **It +be+adj.+ ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კუთვნილებითი ნაცვ./ობიექტ. პირის ნაცვ. + გერუნდივი verb+pos. adj./pron obj + gerund) | | | |
| | ქვემდებარე (გერუნდივი ან მისი გავრცობილი )<br><br>ზმნებთან believe, consider, discover, expect, find, think, wonder. | *Editing this article is easy.*<br>*Smoking is bad for health.*<br>*Reading gives you knowledge.*<br><br>*He found parking (in this place) difficult.* | It is easy to edit this article.<br><br>He found that parking was difficult…<br>He found that it was difficult to park in this place. | **ქვემდებარე კონსტრუქციაში It +be+adj.+ inf.**<br><br>**დამატებითი დამოკიდებული წინადადება გერუნდივით ან it+be+adj.+inf წყობით.** |
| | განსაზღვრება | *I hadn't much hope of his plan working.* | I hadn't much hope that his plan would work. | **განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება** |
| | გარემოება | *After his coming back she locked the door.* | After he came (had come) back, she locked the door. | **გარემოებითი დამოკიდებული წინადადება** |
| აწმყო მიმღეობა | რთული ქვემდებარე (ვნებითი გვარის ზმნებთან) | *Suddenly the telephone was heard buzzing.* | Suddenly it was heard that the telephone was buzzing. | **It+pass.+დამატებითი დამ.ოკიდებული წინადადება** |
| | რთული დამატება v+obj.+participle | *Nobody noticed the scouts approaching the enemy trench.* | Nobody noticed that the scouts were approaching… | **დამატებითი დამოკიდებული წინადადება** |
| | გარემოება<br><br>(თანხვედრა დროში)<br><br>(უშუალოდ მოსდევს) | *Hearing his voice she ran to meet him.*<br>*He rode away whistling.*<br><br>*Opening the drawer he took out* | When she heard his voice she ran to meet him.<br>He whistled as he rode away.<br><br>He opened the drawer and took | **გარემოებითი დამოკიდებული წინადადება**<br><br>**დამოუკიდებული** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მეორე მოქმედება პირველის ნაწილია ან შედეგი | *a revolver.*<br>*I fell, striking my head against the door and cutting it.*<br><br>*Fearing that the police would recognize him he never went out in daylight.* | out a revolver.<br>I fell, struck my head against the door and cut it.<br><br>As he feared that the police would recognize him he never went out in daylight. | **წინადადება (რთულ თანწყობილ წინადადებაში)**<br><br>**გარემოებითი დამოკიდებული წინადადება as/since/because + subj.+ verb** |
| | განსაზღვრება | *They reached the road leading to the city.* | They reached the road which led to the city. | **განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება** |
| | აბსოლუტური მიმღეობითი კონსტრუქცია | *Weather permitting we shall start tomorrow.* | If the weather permits, we shall start tomorrow. | **გარემოებითი დამოკიდებული წინადადება** |
| წარსული მიმღეობა | განსაზღვრება (ზოგჯერ by წინდებულიანი) | *The room furnished rather simply was large enough.* | The room, which was furnished rather simply, was large enough. | **განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება** |
| | გარემოება | Written in pencil, the article was difficult to read.<br>*They will leave, unless stopped.*<br><br>*Aroused by the crash, he leapt to his feet.* | The article was difficult to read as it was written in pencil.<br>They will leave unless they are stopped.<br><br>He was aroused by the crash and he leapt to his feet. | **გარემოებითი დამოკიდებული წინადადება**<br><br>**დამოუკიდებელი წინადადება S.+ passive V** |

ცხრილში მოყვანილი ინფორმაციის შეჯამების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი პოლიპროპოზიციული სინონიმური კონსტრუქციები:

ა) <u>მარტივი წინადადებები ქვემდებარის არაინვერსიული და ინვერსიული პოზიციით</u>, როცა ამ უკანასკნელში ქვემდებარის ტრადიციული ადგილი ექსპლეტური *it*-ით არის შევსებული. ასეთ შემთხვევები ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ, მაგრამ დამატებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სუბიექტის როლს შეიძლება ასრულებდეს:

- ინფინიტივი (გავრცობილი ან გაუვრცობელი ფორმით, ან ე.წ. for-to ინფინიტივი) ზმნების *appear, be, seem* შემდეგ. ჩვეულებრივ ამ ტიპის წინადადებები შეიცავს ზედსართავს ანუ გვაქვს კონსტრუქცია ინფინიტივს+ V+ზედსართავი, რაც სინონიმურია კონსტრუქციისა ***it*** + V + ზედსართავი +ინფინიტივი. მაგალითად:

(16) ა. To compromise seems advisable.

ბ. *It seems advisable to compromise.*

- გერუნდივი (გავრცობილი ან გაუვრცობელი ფორმით) კონსტრუქციაში, რომელიც პრაქტიკულად იდენტურია ინფინიტივის შემთხვევაში აღწერილი კონსტრუქციისა. მაგალითად:

(17) ა. Arguing over trifles is foolish.

ბ. *It is foolish arguing over trifles.*

ამგვარ შემთხვევებში ექსპლეტური *it*–ის შემცველ კონსტრუქციაში ხშირად გვხვდება ინფინიტივი და არა გერუნდივი. განსხვავება გერუნდივისა და ინფინიტივის მნიშვნელობაში იმაში მდგომარეობს, რომ გერუნდივი უფრო ზოგად ფაქტებზე და მოვლენებზე საუბრისას გამოიყენება, ხოლო ინფინიტივი შეიძლება შეგვხვდეს როგორც ზოგადი, ასე კონკრეტული, თანამოსაუბრეთათვის ნაცნობი სიტუაციის აღწერისას. მაგალითად:

(18) ა. Refusing invitations is not always easy.

ბ. *It is not always easy to refuse invitations*. მაგრამ

გ. *It was impossible to refuse his invitation.*

(18ა) და (18ბ) სინონიმური და ურთიერთჩანაცვლებადია, რადგან ორივე ზოგადად აღწერს სიტუაციას, მაგრამ (18გ) მაგალითში აღწერილ სიტუაციაში გერუნდივის გამოყენება არ იქნებოდა გამართლებული.

ბ) <u>რთული წინადადება ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებით და მარტივი წინადადება</u>, იმ შემთხვევაში, როცა

- რთული წინადადების სტრუქტურა შემდეგია It+be+ზედს./არს. + დამოკიდებული წინადადება, ხოლო მარტივი წინადადების ქვემდებარე გამოხატულია გერუნდიალური ფრაზით ანუ შედგება არსებითი სახელის, კუთვნილებითი ან ობიექტურ ბრუნვაში მყოფი პირის ნაცვალსახელისა და გერუნდივისაგან (V+N/Poss.Adj./Pron.Obj). მაგალითად:

(19) ა. His coming here is really desirable.

ბ. *It is really desirable that he (should) come.*

- მარტივი წინადადების ქვემდებარე წარმოადგენს რთულ ინფინიტივურ კონსტრუქციას ანუ შედგება არსებითი სახელის ან ნაცვალსახელისა და ინფინიტივისაგან. ჩვეულებრივ რთული ინფინიტივური კონსტრუქციები ქვემდებარის ფუნქციით გვხვდება შეტყობინების, გონებრივი აქტივობის და შეგრძნებების აღმნიშვნელ ზმნებთან ვნებით გვარში. მაგალითად:

(20) ა. They are reported to arrive in two days.

ბ. *It is reported that they are arriving/will arrive in two days.*

- მარტივი წინადადების ქვემდებარე წარმოადგენს რთულ მიმღეობით კონსტრუქციას ანუ შედგება სახელის ან ნაცვალსახელისა და მიმღეობისაგან და გვხვდება ზემოაღნიშნულის იდენტურ კონსტრუქციებში. მაგალითად:

(21) ა. She was found sitting by the fire.

ბ. *It was found that she was sitting by the fire.*

ანალოგიური ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს წარსულის მიმღეობაც, მაგრამ იგი ვნებითი მნიშვნელობის მატარებელია და მისი სინონიმური დამოკიდებული წინადადებაც ვნებითია. მაგალითად:

(22) ა. The work was considered finished.

ბ. *It was considered that the work was finished.*

განსხვავება ინფინიტივისა და აწმყო მიმღეობის შემცველ პარალელურ კონსტრუქციებში მნიშვნელობის სიახლოვის მიუხედავად მაინც არსებობს. ინფინიტივით გამოხატული მოქმედება აღიქმება, როგორც ფაქტი და ამდენად დასრულებულობის შეფერილობა აქვს, ხოლო მიმღეობით გამოხატული კი – როგორც პროცესი. მაგალითად:

(23) ა. The plane was heard flying over the wood.

ბ. *The plane was heard to fly over the wood.*

<u>გ) დამატებითი დამოკიდებული წინადადება და დამატება</u>, როცა ეს უკანასკნელი გამოხატულია

- ინფინიტივით ან ინფინიტივის გავრცობილი ფორმით (infinitive phrase). ისეთ ზმნებთან, როგორიცაა appear, claim, guarantee, happen, occur (to sb.), pretend, promise, prove, seem, swear, threaten, turn out, undertake, ინფინიტივით გამოხატული დამატების სინონიმურად გვევლინება that + ობიექტური დამატებითი წინადადება. მაგალითად:

(24) ა. He pretended to cry (quietly).

ბ. *He pretended that he was crying (quietly)* .

ზმნების მეორე ჯგუფთან (agree, arrange, ask, claim, demand, determine, be determined, resolve) დამატების სინონიმურად *that* მაქვემდებარებელი კავშირის შემდეგ გვხდება should მოდალური ზმნის შემცველი ობიექტური დამოკიდებული წინადადება. ეს კონსტრუქცია განსაკუთრებით ხშირია ზმნებთან ვნებით გვარში. მაგალითად:

(25) ა. He resolved to finish his work by March.

ბ. *He resolved that he would finish his work by March.*

გ. *He resolved that his work should be finished by March.*

- კონსტრუქციით აკუზატივი+ინფინიტივი. ამ კონსტრუქციით გამოხატულ დამატებას ჩვეულებრივ რთულ დამატებას უწოდებენ და იგი შედგება არსებითი სახელის ან პირის ნაცვალსახელის (ობიექტურ ბრუნვაში) და ინფინიტივისაგან. იმ ზმნათა რიცხვი, რომლებთანაც ჩვეულებრივ გვხვდება რთული დამატება მკაცრადაა განსაზღვრული და ამ ჩამონათვალს ძირითადად მიეკუთვნება ფიზიკური შეგრძნებების, გონებრივი აქტივობის, ნებართვის, თხოვნის, ბრძანების გამომხატველი გარდამავალი ზმნები. ნაწილი ამ ზმნებისა, ძირითადად სურვილის, გრძნობის, განზრახვის აღმნიშვნელი ზმნები (მაგ., to desire, to hate, to like, to dislike, to love, to prefer, to want, to wish, would/should like), მოითხოვს ინფინიტივის ფორმას *to* ნაწილაკით. მაგალითად:

(26) ა. I hate her to use these words.

ბ. *I hate when she uses these words.*

ზოგიერთ ზმნასთან, კერძოდ, ფიზიკური შეგრძნებების ზმნებთან (*to see, here, feel, watch, notice* და ა.შ.) გამოიყენება ინიფინიტივი *to* ნაწილაკის გარეშე. მაგალითად:

(27) ა. I felt somebody touch my shoulder.

ბ. *I felt that somebody had touched/was touching my shoulder.*

- *for-to* ინფინიტივით ანუ კონსტრუქციით, რომელიც შედგება წინდებულის *for*, არსებითი სახელის ან პირის ნაცვალსახელის (ობიექტურ ბრუნვაში) და ინფინიტივისაგან. მაგალითად:

(28) ა. I arranged for him to accompany me.

ბ. *I arranged that he would accompany me.*

- გერუნდივით ან გერუნდივის გავრცობილი ფორმით ისეთ ზმნებთან, როგორიცაა admit, anticipate, consider, deny, fancy (imagine), imagine, mean (involve), mind, propose, remember, suggest, understand და ა.შ. მაგალითად:

(29) ა. I will finish it even if it means working all night.

ბ. *I will finish it even if it means that I work all night.*

- გერუნდიალური ფრაზით, რომელიც შედგება არსებითი სახელის, კუთვნილებითი ან ობიექტურ ბრუნვაში მყოფი პირის ნაცვალსახელისა და გერუნდივისაგან (V+N/Poss.Adj./Pron.Obj). ამ შემთხვევაში გერუნდივით გამოხატული მოქმედების სუბიექტად არსებითით ან ნაცვალსახელით გამოხატული პირი გვევლინება და არა წინადადების ქვემდებარე. მაგალითად:

(30) ა. Tom remembered coming late.

ბ. *Tom remembered that he had come late.* მაგრამ

(31) ა. Tom remembered my/Father's coming late.

ბ. *Tom remembered that I/Father had come late.*

- კონსტრუქციით აკუზატივი+მიმღეობა, რომლიც ისე, როგორც აკუზატივი+ ინფინიტივი, რთულ დამატებას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ობიექტური მიმღეობითი კონსტრუქცია შეიძლება არსებობდეს ობიექტური ინფინიტივური კონსტრუქციის პარალელურად და მათ შორის განსხვავება მხოლოდ პროცესის ასპეტუალურ მხარეშია. მაგალითად:

(32) ა. Look at a star in the East and you will find it rise upward.

ბ. *Look at a star in the East and you will find it rising upward.*

გ. *Look at a star in the East and you will find that it has risen/is rising upward.*

ინფინიტივისგან განსხვავებით, მიმღეობის გამოყენების შემთხვევაში მოქმედება არ აღიქმება დასრულებულად. იგი შეიძლება წარმოჩენილი იყოს მიმდინარეობის პროცესში.

დ) <u>განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება და განსაზღვრება</u>, როცა ეს უკანასკნელი გამოხატულია

- ინფინიტივით სიტყვების *the first, the second* და ა.შ. *the last, the only* და ზოგჯერ აღმატებითი ხარისხის ზედსართავი სახელების შემდეგ. მაგალითად:

(33) ა. The captain was the last man to leave the ship.

ბ. *The captain was the last man who left the ship*.

- გერუნდივით, როცა *of*+გერუნდივი მოსდევს საზღვრულს. ამგვარ წინადადებებში გერუნდივის სუბიექტი გამოხატულია არსებითი სახელით საერთო ბრუნვაში ან კუთვნილებითი ნაცვალსახელით. მაგალითად:

(34) ა. I don't know the reason of her/Maria leaving.

ბ. *I don't know the reason why she/Maria is leaving.*

- აწმყო ან წარსული მიმღეობით ან მათი გავრცობილი ფორმით. ხშირ შემთხვევაში ეს უკანასკნელი მოსდევს საზღვრულს. მაგალითად:

(35) ა. A man carrying a large parcel got out of the bus.

ბ. *A man who was carrying a large parcel got out of the bus.*

(36) ა. The difficulties encountered were nearly insurmountable.

ბ. *The difficulties that were encountered were nearly insurmountable.*

ე) <u>გარემოებითი დამოკიდებული წინადადება და გარემოება, როცა იგი გამოხატულია:</u>

- ინფინიტივით ან *for-to* ინფინიტივური კონსტრუქციით, რომელიც შეიძლება ასრულებდეს დროის (37), მიზეზის (38), შედეგის (39), პირობის (40), მიზნის (41), ვითარების (42) გარემოების ფუნქციას. მაგალითად:

(37) ა. Brian laughed to think of it.

ბ. *Brian laughed when he thought of it.*

(38) ა. She is very wise not to send for him.

ბ. *She is very wise because she isn't sending/ hasn't sent for him.*

(39) ა. His home was too far for anyone to come to meet him.

ბ. *His home was so far that no one woudl/could come to meet him.*

(40) ა. You'd never think so to look at her now.

ბ. *You'd never think so if you looked at her now.*

(41) ა. I had to bite my lips in order not to laugh.

ბ. *I had to bite my lips so that I wouldn't laugh.*

(42) ა. Morris, as if to reassure Sally, pointed to the trail of fumes...

ბ. *Morris pointed to the trail of fumes..., as if he wanted to reassure Sally.*

- გერუნდივით ან გერუნდივის გავრცობილი ფორმით. ამ შემთხვევაში უპირო ზმნა შეიძლება გამოხატავდეს დროის (43), მიზეზის (44), პირობის (45), მიზნის (46) და ვითარების (47) მნიშვნელობას მარტივი წინადადების ძირითად ნაწილთან მიმართებით. მაგალითად:

(43) ა. In asking her to see me I had been unable to be casual.

ბ. *While asking her to see me, I had been unable to be casual.*

(44) ა. The poor woman was annoyed with Morris for dumping his wife on her.

ბ. *The poor woman was annoyed with Morris because he had dumped his wife on her.*

(45) ა. I can't live without somebody loving me.

ბ. *I can't live unless somebody loves me.*

(46) ა. A lot has been done for improving their standard of life.

ბ. *A lot has been done so that their standard of life can be improved.*

(47) ა. Jimmy was taking a short holiday which he spent in going every night to the theatre...

ბ. *Jimmy was taking a short holiday which he spent as he went every night to the theatre...*

- აწმყო ან წარსული მიმდეობით და ისევე როგორც გერუნდივის შემთხვევაში, აქაც უპირო ზმნის შემცველმა ფრაზამ შეიძლება გადმოსცეს რამდენიმე განსხვავებული მიმართება: დროითი (48), მიზეზის (49), პირობის (50), ვითარების (51):

(48) ა. Having made her explanation, Laura wept a little.

ბ. *After she had made her explanation, Laura wept a little.*

(49) ა. She flushed a little, embarrassed by the passion in his tone.

ბ. *She flushed a little, because she was embarrassed by the passion in his tone.*

(50) ა. Putting together our criteria we can arrive at the following objective statement.

ბ. *If we put together our criteria, we can arrive at the following objective statement.*

(51) ა. She discussed books and people with him as if knowing more about them then he did.

ბ. *She discussed books and people with him as if she knew more about them then he did.*

- აბსოლუტური მიმღეობითი კონსტრუქციით, რომელიც შედგება არსებითი სახელისა (იშვიათად ნაცვალსახელის) და მიმღეობით (აწმყოს ან წარსულის) გამოხატული მოდიფიკატორისაგან და განსაზღვრავს არა წინადადების ერთ წევრს, არამედ მთელ წინადადებას. ამ შემთხვევაში კონსტრუქციის შემადგენლობაში შემავალი არსებითი წარმოადგენს სუბიექტს მიმღეობისთვის, მაგრამ არ გვევლინება წინადადების ქვემდებარედ. მაგალითად:

(52) ა. The sun having risen, we continued our way. (დროის გარემოება)

ბ. *When/after the sun rose/had risen, we continued our way.*

(53) ა. The rain having stopped, they went on with their work. (მიზეზის გარემოება)

ბ. *As the rain had stopped, they went on with their work.*

აბსოლუტური მიმღეობა შეიძლება გამოხატული იყოს აგრეთვე წარსულის მიმღეობით. მაგალითად:

(55) ა. The project completed, we could now join the others.

ბ. *As the project was completed, we could now join the others.*

გვხვდება აგრეთვე აბსოლუტური კონსტრუქციები, სადაც მოდიფიკატორის ფუნქციას მიმღეობის ნაცვლად ზედსართავი, ზმნიზედა ან წინდებულიანი ფრაზა ასრულებს. მაგალითად:

(56) ა. Breakfast over, he went to his counting house.

ბ. *When the breakfast was over, he went to his counting house.*

(57) ა. She stood, her face white.

ბ. *As she stood, her face was white.*

<u>დამოუკიდებელი წინადადება (მთავარი წინადადება ან რთული თანწყობილი წინადადების ნაწილი) და მარტივი წინადადება, რომელიც შეიცავს მიმღეობით გამოხატულ გარემოებას.</u> ამ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მიმღეობით და მთავარი ზმნით გამოხატული მოქმედებების თანადროულობას (58), უშუალო მიმდევრობას (59), ერთი მოქმედება მეორის ნაწილი ან შედეგია (60). მაგალითად,

(58) ა. He sat quitely in the corner thinking hard.

ბ. *As he sat quitely in the corner, he thought hard.*

(59) ა. Opening the drawer he took out a revolver.

ბ. *He opened the drawer and took out a revolver.*

(60) ა. He fired wounding the bandits.

ბ. *He fired and wounded the bandits.*

თანამედროვე ენათმეცნიერებაში მეორადი პრედიკაციის გამომხატველად განიხილება აგრეთვე ზედსართავი სახელი შემდეგი ტიპის შემთხვევებში:

| | |
|---|---|
| *The boy delivered the package wet* | დასასრული მდგომარეობა |
| *I started this project quite enthusiastic.* | საწყისი მდგომარეობა |
| *We kept quiet.* | შენარჩუნებული მდგომარეობა |
| *I only eat carrots raw.* | მდგომარეობა გამოყენების პროცესში |
| *I shouted myself hoarse.* | რეზულტატური მდგომარეობა |
| *They found my argument unconvincing.* | შეფასებითი მდგომარეობა |
| *I prefer coffee hot.* | რჩეული მდგომარეობა |

ამ ტიპის კონსტრუქციის უაღრესად საინტერესო მაგალითია შესიტყვება *with* წინდებულით, რომელიც შეიძლება ორ მეორად პრედიკატს შეიცავდეს. მაგალითად,

(61) ა. He came toward me with his uniform unbuttoned.

ბ. *He came towards me wearing his uniform which was unbuttoned.*

*IV. მარტივი წინადადებები სიტყვათა პირდაპირი და ინვერსიული წყობით*

აქ უპირველეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ ადგილის გარემოებათა შემცველი წინადადებები, სადაც გარემოება იკავებს წინადადებაში საწყის პოზიციას. ზოგ შემთხვევაში ეს იწვევს მნიშვნელობის ცვლილებას, მაგალითად,

(61) ა. George comes here.

ბ. Here comes George.

ეს ორი შემთხვევა ერთი შეხედვით აკმაყოფილებს სინონიმურობის ზემოთშემოთავაზებულ კრიტერიუმებს, ანუ ორივეგან პრედიკატს ახლავს აგენსი (George) და მიზანი (here). მიუხედავად ამისა მათ ვერ მივიჩნევთ სინონიმებად, რადგან მათი დენოტაცია სრულებით განსხვავებულია. (61ა) წინადადება

აღნიშნავს სიტუაციას, როცა ჯორჯი რეგულარულად, განმეორებითად მოდის ამ ადგილას, ხოლო (61ბ) შემთხვევაში ჯორჯი ეს-ესაა გამოჩნდა (is coming/has come). აქ საქმე გვაქვს *come* (ანალოგიური მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს *is* და *go* ზმნები) ზმნის აწმყო განუსაზღვრელი ფორმის კონკრეტულ მნიშვნელობასთან. ამდენად ამ ტიპის შემთხვევებს სინტაქსურ სინონიმებად ვერ მივიჩნევთ.

ზემოგანხილულისგან განსხვავებით სინტაქსური სინონიმების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ადგილის ზმნიზედების (მაგ. away, down, in, off, out, over, round, up) ან წინდებულიანი ფრაზების შემცველი წინადადებები ინვერსიული და არაინვერსიული წყობით. მაგალითად,

(62) ა. Along this cool avenue my girlfriend led me.

ბ. *My girlfriend led me along this cool avenue.*

ამ მაგალითში ქვემდებარისა და შემასმენლის მიმდევრობა უცვლელია. ამგვარი წყობა ძირითადად ახასიათებს წინადადებებს, სადაც ქვემდებარე ნაცვალსახელითაა გამოხატული. მაგალითად,

(63) ა. ... up these (steps) we went to a great avenue between the very old and shaky dark trees.

ბ. *... we went up these (steps) ...*

საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა ადგილის ზმნიზედის წინადადების დასწყისში გადატანას თან ახლავს ქვემდებარისა და შემასმენლის ადგილმონაცვლეობა, განსაკუთრებით, როცა ქვემდებარე არსებითი სახელითაა გამოხატული. მაგალითად,

(64) ა. And before me ran this long wide path, invitingly, with weedless beds on either side.

ბ. *This long wide path with weedless beds on either side ran before me invitingly.*

საინტერესოა, რომ წინდებულიანი ფრაზით გამოხატული ადგილის გარემოების შემთხვევაში შესაძლებელია ინვერსიული წყობის წინადადების სინონიმად მიმღეობითი კონსტრუქციის და *to be* შემცველი წინადადებაც მოგვევლინოს. მაგალითად,

(65) ა. On the perch beside him sat a blue parrot.

ბ. *Sitting on a perch beside him was a blue parrot.*

გ. *A blue parrot sat beside him on the perch.*

გარდა ადგილის გარემოებებისა, სხვა სახის ზმნიზედებმა და წინდებულიანმა ფრაზებმაც შეიძლება გამოიწვიოს წინდადების წყობის ინვერსია. ასეთია ძირითადად უარყოფითი და შეზღუდვითი მნიშვნელობის (restrictive) ზმნიზედები, როგორიცაა, მაგალითად hardly ever, hardly .... when, in no sircumstances, neither ... nor, never, no sooner, not only, not till, nowhere, on no account, only by, only in this way, only then/when, scarecely ever, scarecely ... when, seldom, so.

(66) ა. They not only rob you, they smash everything too.

ბ. *Not only do they rob you, they smash everything too.*

(67) ა. He bacame so suspicious, that he began to read everyone's mail.

ბ. *So suspicious did he become that...*

ინგლისურ ენაში გვხვდება აგრეთვე სხვა ტიპის ინვერსიის შემთხვევებიც, რომლებიც საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს სინტაქსური სინონიმიის თვალსაზრისით. ასეთია მაგალითად, ქვემდებარის ინვერსია, როცა:

ა) წინ მოდის შემასმენელი

(68) ა.... and walk to her house he did.

ბ.*...and he walked to her house.*

ბ) დამატება

(69) ა. Playmates I found there...

ბ. *I found playmates there*

გ) მიმდეობითი კონსტრუქცია

(70) ა. A mule was ambling down the street.

ბ. *Ambling down the street was a mule.*

დ) შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი

(71) ა. Beautiful those donkeys were.

ბ. *Those donkeys were beautiful.*

საინტერესოა აგრეთვე განსაზღვრების ინვერსიის შემთხვევები, როცა იგი გამოხატულია ერთი ან რამდენიმე ზედსართავით, მაგალითად

(72) ა. In some places there are odd yellow tulips, slender, spiky, and Chinese - looking.

ბ. *In some places there are odd slender, spiky, and Chinese - looking yellow tulips.*

ზოგ შემთხვევაში ინვერსიის მაგალითად განიხილება დამოუკიდებელი წინადადების მთავარის წინადადების წინ მოთავსებაც, რადგან არამარკირებულ მიმდევრობად ითვლება  მთავარი და შემდეგ დამოკიდებული წინადადებების განლაგება. მაგალითად,

(73) ა. I don’t care whether she changes or doesn’t change now,.

ბ. *Whether she changes or doesn’t change now, I don’t care.*

ჩვეულებრივ, ასეთი კონსტრუქციები სტილისტური სინონიმების მაგალითად განიხილება (იხილეთ მაგალითად, Пиотровский 1960). თუმცა უდავოა, რომ მათი განსხვავებული სტილისტური შეფერილობა არ გამორიცხავს მათი მნიშვნელობებს შორის ისეთი ხარისხის სიახლოვეს, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ისინი სინტაქსურ სინონიმებად მივიჩნიოთ. ყველა ზემოგანხილული მაგალითი შეიძლება ჩაითვალოს განსხვავებულ სინტაქსურ კონსტრუქციად, რადგან სიტყვათა რიგი წინადადებაში ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევა გრამატიკულად ღირებულად. სმირნიცკი თვლის, რომ სიტყვის ადგილის ცვლილება იწვევს მისი სინტაქსური ფუნქციის ცვლილებასაც (Смирницкий 1957). სიტყვათა რიგის მნიშვნელობა განსაკუთრებით აშკარაა ინგლისურ ენაში, სადაც იგი მკაცრად განსაზღვრულ წესებს ემორჩილება. თუმცა ე.წ. თავისუფალი რიგის მქონე ენებშიც, როგორიცაა მაგალითად რუსული, მისი ცვლილება მნიშვნელობის გარკვეულ ცვლილებასთანაა დაკავშირებული (Валгина 2000).

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ სინტაქსური კონსტრუქციების მარაგი, რომლებიც სინონიმური მნიშვნელობის გამოსახატავად შეიძლება იქნეს გამოყენებული ინგლისურ ენაში, საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. ეს შეიძლება სქემის სახით იქნეს წარმოდგენილი (იხ. სქემა №6). ერთი ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელი იქნებოდა ყველა სინონიმური კონსტრუქციის გამოვლენა და ანალიზი. ეს არც წარმოადგენს ჩვენს მიზანს. უფრო საინტერესოდ გვეჩვენება განსხვავებები ამ სინტაქსურ სინონიმთა კომუნიკაციურ ღირებულებაში და იმ მიზეზების გარკვევა, რაც ენობრივი სუბიექტის არჩევანს განაპირობების ყველა კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში.

## სინონიმური სინტაქსური კონსტრუქციები  სქემა №6



## 3.2. სინტაქსურ სინონიმთა გამოყენების ლინგვოპრაგმატიკული მოტივაცია

წინა პარაგრაფში ჩვენ გამოვყავით სინონიმურ სინტაქსურ კონსტრუქციათა წყვილები და ყურადღება გავამახვილეთ თითოეული მათგანის სინტაქსური სტრუქტურის თავისებურებებზე. ყველა წყვილის შემთხვევაში შეიძლება საუბარი საერთო პრედიკატულ-არგუმენტული პროპოზიციული კონფიგურაციაზე. ამასთან უდავოა, რომ ისინი არ წარმოადგენენ აბსოლუტურ სინონიმებს, ანუ არსებობს გარკვეული განსხვავება მათს მნიშვნელობებში. ეს განსხვავება შეიძლება იყოს როგორც სუფთად ენობრივი, ისე ფუნქციურიც. ახლა კი შევეცდებით, განვიხილოთ სინტაქსურ სინონიმთა შორის გაკეთებული არჩევანის ლინგვისტური და ლინგვო-პრაგმატიკული მოტივაცია.

### *3.2.1. გრამატიკული მოტივაცია*

ა) სინტაქსურ სინონიმთა შორის არჩევანი შეიძლება განაპირობოს წინადადებაში ქვემდებარის გამოხატვის ხასიათმა. ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ წინადადებებში გვხვდება ქვემდებარის გამოხატვის ორი ფორმა – ერთქვემდებარიანობა და მრავალქვემდებარიანობა. რთული ქვეწყობილი წინადადების სასარგებლოდ არჩევანი უფრო ხშირად კეთდება მრავალქვემდებარიანობის შემთხვევაში. მაგალითად,

(74) ა. On arriving to Dover Poirot's behaviour moved me to intense amusement. (Christie "*The Adventure of the Egyptian Tomb"*)

ამ შემთხვევაში (კონტექსტის გარეშე) მოსალოდნელია გარკვეული ბუნდოვანება გერუნდივის სუბიექტთან დაკავშირებით, რაც გამორიცხული იქნებოდა დამოკიდებული წინადადების შემთხვევაში:

(74) ბ. *When we/I/he arrived to Dover, Poirot's behaviour moved me to intense amusement.*

განვიხილოთ ასევე შემდეგი მაგალითი:

(75) ა. Before leaving for London she wrote a note to Charles.

დამატებითი კონტექსტის არარსებობის შემთხვევაში, მსმენელი ინფორმაციის გადამუშავებისას ერთქვემდებარიანობის სასარგებლოდ გააკეთებდა ანუ გაიგებდა ამ წინადადებას, როგორც

(75) ბ. *Before she left for London, she wrote a note to Charles.*

მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გერუნდივის სუბიექტი განსხვავდება წინადადების ქვემდებარისაგან, უფრო მოსალოდნელია გამოყენებულ იქნეს გარემოებითი

დამოკიდებული წინადადება (76ა) და არა რთული გერუნდიალური კონსტრუქციით გამოხატული დროის გარემოება (76ბ):

(76) ა. Before her parents left for London, she wrote a note to Charles.

ბ. *Before her parents' leaving for London she wrote a note to Charles.*

ბ) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება რთულ ქვეწყობილ და ზმნის უპირო ფორმების შეცველ მარტივ წინადადებებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ, თუ დამოკიდებულ წინადადებას დამოუკიდებელი მოდალური პლანი გააჩნია, ზმნის უპირო ფორმების მიერ გამოხატული მოდალობა მთლიანად დამოკიდებულია წინადადების მთავარი ნაწილის მიერ გადმოცემულ მოდალობაზე. მაგალითად, გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, სადაც პრედიკატულობის ყველა ნიშანთვისება ექსპლიციტურადაა გამოხატული, მოდალობის გამომხატველ ძირითად საშუალებად გვევლინება ზმნის კილოს ფორმები და მათი სინონიმური მოდალური ზმნები ინფინიტივის თანხლებით. მეორეული პრედიკაციის მქონე სიტყვათშეთანხმებებში, სადაც ზოგიერთი კატეგორიალური ნიშანთვისება იმპლიციტურადაა წარმოდგენილი, მოდალობა ძირითადად მოდალური სემანტიკის მქონე ლექსიკური ელემენტებით (მოდალური სიტყვებით) არის წარმოდგენილი. იგივე შეიძლება ითქვას რთული თანწყობილი წინადადების შემადგენელ დამოუკიდებელ წინადადებასა და ზმნის უპირო ფორმის შემცველი კონსტრუქციის შესახებ. მაგალითად,

(77) ა. ... she finished her task with perfectly impassive face, the young doctor watching her interestedly all the time. (Lawrence "*The Horse Dealer's Daughter*")

ამ წინადადებაში მიმღეობითი კონსტრუქცია შეიძლება ასრულებდეს სხვადასხვა ტიპის გარემოების ფუნქციას. მიმართება წინადადების შემასმენლით გამოხატულ მოქმედებასა და გარემოებას შორის ექსპლიციტურად იქნებოდა გამოხატული დამოკიდებული წინადადებით რთული ქვეწყობილი წინადადების შემთხვევაში:

(77) ბ. *... she finished her task with perfectly impassive face, because/although/while the young doctor was watching her...*

გ) რთული წინადადების შემთხვევაში მოუბრის არჩევანს განსაზღვრავს აგრეთვე მთავარი წინადადების შინაარსის გადმოცემის ხასიათი. თუ იგი ექსპლიციტურადაა წარმოდგენილი, სინონიმურ კონსტრუქციათაგან ნებისმიერი

შეიძლება იყოს გამოყენებული. მთავარი წინადადების შინაარსის იმპლიციტურობის შემთხვევაში კი უპირო ზმნის შემცველი კონსტრუქციის გამოყენება იშვიათია. მაგალითად,

(78) ა. I'll be over at the garden club if anything urgent turns up... (Waugh "*Vile Bodies*")

ამ შეთხვევაში პირობითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს პირობას სიტუაციისა, რომელიც მხოლოდ იპლიციტურადაა გამოხატული მთავარ წინადადებაში. ექსპლიციტურად ეს მნიშვნელობა შეიძლება ალბათ შემდეგნაირად გადმოიცეს

(78) ბ. *If anything urgent turns up, call me, I'll be at the garden club.*

ანალოგიური ტიპის მთავარ წინადადებასთან შეიძლება შეგვხვდეს დროის დამოკიდებული წინადადებაც:

(79) When he came to think of it, Magda was pretty wonderful.

ამგვარ შემთხვევებში არ არის მოსალოდნელი უპირო ზმნის ფორმების გამოყენება.

### *3.2.2 სტილისტური მოტივაცია*

ჩვეულებრივ ითვლება, რომ ფუნქციური სტილი წარმოადგენს ადამიანის აქტივობის ამა თუ იმ სფეროში გამოყენებული ენობრივი საშუალებების ისტორიულად ჩამოყალიბებულ სისტემას. ტრადიციულად გამოყოფენ 5 ძირითად ფუნქციურ სტილს:

1. სამეცნიერო სტილს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მეცნიერულ ცნებებზე ზუსტი წარმოდგენის შექმნა და ძირითადად გვხვდება წერილობით მონოლოგურ მეტყველებაში.
2. ოფიციალურ-საქმიან სტილს, რომელიც გამოიყენება ოფიციალურ მიმოწერაში, სახელისუფლებო დადგენილებებსა და აქტებში, საქმიან ურთიერთობებში და ა. შ. ეს სტილიც ძირითადად წერილობით მონოლოგურ მეტყველებაში გამოიყენება.
3. პუბლიცისტურ სტილს, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანებზე ზემოქმედებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით.
4. საყოფაცხოვრებო სამეტყველო სტილს, რომელიც უშუალო ურთიერთობისას და ჩვეულებრივ ნაკლებ ფორმალურ გარემოში გამოიყენება. ამ სტილის რეალიზაციის ყველაზე ბუნებრივი ფორმა დიალოგია.

5. მხატვრულ-ბელეტრისტულ სტილს, რომლის მთავარი მიზანია მკითხველის წარმოსახვასა და ემოციებზე ზემოქმედება. ეს სტილი ესთეტიკური ფუნქციის მატარებელია და ამასთან, ავტორის მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება აერთიანებდეს სხვა ფუნქციური სტილების მახასითებლებს. სწორედ მხატვრულ-ბელეტრისტული სტილის ამ კომპლექსურ ბუნებას დავეყრდნობით ქვემოთ, როცა შევეცდებით პერსონაჟთა შორის დიალოგის მაგალითზე რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციაში გამოყენებული სტრატეგიების და მეტყველი სუბიექტის ფსიქოლინგვისტური მოტივაციის ანალიზს.

გამოკვლევები აჩვენებს, რომ სინონიმურ სინტაქსურ კონსტრუქციათაგან არც ერთი არ არის დამახასითებელი მხოლოდ ერთი სტილისათვის და ნებისმიერი მათგანი ყველა სტილში შეიძლება შეგვხვდეს. აქ განსხვავებულია მხოლოდ მათი გამოყენების სიხშირე. ჩვენს მიერ მოძიებული ემპირიული მასალის ანალიზის და არსებულ გამოკვლევათა შედეგების შეჯამების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვა პირობების იგივეობის შეთხვევაში

- უკავშირო მიმღეობიანი კონსტრუქციები და by წინდებულიანი გერუნდიალური კონსტრუქციები ძირითადად დამახასიათებელია სამეცნიერო სტილისთვის (იხ. აგრეთვე Власова 1981), ხოლო დამოკიდებული წინადადებების გამოყენება ახასიათებს მხატვრულ-ბელეტრისტულ და საყოფაცხოვრებო სამეტყველო სტილს;
- აბსოლუტური კონსტრუქციები დამახასიათებელია ფორმალური წერილობითი სტილისათვის, ხოლო საუბარში ჩვეულებრივ გამოიყენება სინონიმური დამოკიდებული წინადადება. თუმცა არსებობს რადენიმე აბსოლუტური კონსტრუქცია, რომლებიც დამკვიდრებულია საყოფაცხოვრებო ყოველდღიურ სამეტყველო ენაში, მაგალითად, *weather permitting, barring bad weather, all things considered (*იხ. აგრეთვე Васильев 2007)
- ვნებითი კონსტრუქციებით სინონიმური მოქმედებითი წინადადებების ჩანაცვლება დაახასიათებელია სამეცნიერო სტილისათვის;
- ქვემდებარის ფუნქციით ზმნის უპირო ფორმების გამოყენება უფრო ხშირია ფორმალურ წერილობით სტილში, ვიდრე კოლოკვიალურ სამეტყველო სტილში. მაგალითად,

  To save money now seems impossible. წინადადების ნაცვლად

*It seems impossible to save money*.

- განსაკუთრებით უჩვეულოა რთული ქვემდებარის ანუ ქვემდებარული ინფინიტივური ან გერუნდიალური კონსტრუქციების გამოყენება საყოფაცხოვრებო სამეტყველო სტილში. ისინი ჩანაცვლებულია სინონიმური დამოკიდებული წინადადებით. მაგალითად,
  It was disgusting that Powell was being rude like that. და არა
  *Powell's being rude like that was disgusting.*

### *3.3.3. ფუნქციური მოტივაცია*

ჯერ კიდევ პრაღის ლინგვისტიკური სკოლიდან იღებს სათავეს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ წინადადებას ახასითებს კომუნიკაციური დინამიზმი, რაც ვლინდება ძველი, ნაცნობი ინფორმაციიდან თანდათანობით ახალი ინფორმაციისკენ გადასვლაში (თუმცა მსგავსი პოზიცია გაცილებით უფრო ადრე, 1844 წელს გამოხატა ჰენრი უეილმა (Weil 1978). ჩეხი ლინგვისტი, ვ. მათეზიუსი საუბრობს წინადადების აქტუალურ დაყოფაზე ანუ მის დაყოფაზე წინადადებაში ჩადებული უშუალო შინაარსის მიხედვით და განასხვავებს მას წინადადების ფორმალური დაყოფისაგან. ფორმალური დაყოფა ახდენს წინადადების დანაწევრებას მასში შემავალ გრამატიკულ ელემენტებად, ხოლო აქტუალური დაყოფა კი წარმოადგენს წინადადების იმ საგნობრივ კონტქსტში ჩართვის მცდელობას, რომლის ბაზაზეც იგი წარმოიქმნა. თითოეული წინადადება მეტყველებაში რეალიზებულია შეტყობინების კონკრეტული ერთეულის ფორმით, რომელის სტრუქტურაც გამომდინარეობს მისი კომუნიკაციური ამოცანიდან. სწორედ წინადადების გრამატიკული სტრუქტურის მორგება საკომუნიკაციო ამოცანაზე ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციაში მისი ჩართვისას წარმოადგენს წინადადების აქტუალური დაყოფის საფუძველს (Mathesius 1975).

თუ ფორმალური დაყოფის თვალსაზრისით წინადადების მთავარი ელემენტებია, გრამატიკული სუბიექტი და გრამატიკული პრედიკატი, აქტუალური დაყოფის თვალსაზრისით მის მთავარ ელემენტებს წარმოადგენს გამონათქვამის ამოსავალი წერტილი ანუ ფუძე და გამონათქვამის ბირთვი. ამოსავალი წერტილი ანუ ფუძე არის ის, რაც ნაცნობია მოცემულ სიტუაციაში ან ყოველ შემთხვევაში ადვილად გასაგები მაინც. გამონათქვამის ბირთვი კი ისაა, რასაც მოუბარი გვამცნობს. სწორედ ამ ფენომენის აღსანიშნად დაამკვიდრა ვ.

მათეზიუსმა ტერმინები *თემა* და *რემა*, სადაც თემა აღნიშნავს, ამოსავალ წერტილს, იმას თუ რის შესახებაა წინადადება, ხოლო რემა იმას, რაც თემის თაობაზე ითქმება. მათეზიუსს მიაჩნდა, რომ ინგლისურში თემა ჩვეულებრივ ასოცირდება ქვემდებარესთან, რადგან ამ ენაში სიტყვათა წყობა მკაცრადაა განსაზღვრული და მიიჩნევდა, რომ წინადადებებში, სადაც მთელი წინადადება ახალია, არ არის წარმოდგენილი თემა (Gundel 1977). დღესდღეობით, წინადადების ფუნქციონალური დაყოფის ზოგიერთ თეორიაში თემა მოიხსენიება, როგორც თემა-ტოპიკი [topic], ხოლო რემა-როგორც კომენტარი [comment]. როცა თემა წინ უსწრება რემას, წინადადების ამგვარ წყობას უწოდებენ ობიექტურს, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში საქმე გვაქვს წინადადების სუბიექტურ წყობასთან.

წინადადების აქტუალური დაყოფის პრობლემები ამჟამად აქტიურად განიხილება ლინგვისტური პრაგმატიკის სხვადასხვა თეორიის ჩარჩოებში. მაგალითად, ერთ-ერთი თეორია, რომელიც კომუნიკაციური დინამიზმის თეორიის სახელითაა ცნობილი, მიიჩნევს, რომ არ არის გამართლებული წინადადების ბინარული დაყოფა თემად და რემად. ამ თეორიის მიმდევრები მხარს უჭერენ, თვალსაზრისს, რომ წინადადების ელემენტები უნდა განლაგდეს ერთგვარ შკალაზე მათში კომუნიკაციური დინამიზმის ხარისხის მიხედვით. ამ თვალსაზრისით შკალის დასაწყისში მოთავსდება თემა, რადგან მისი კომუნიკაციური დინამიზმის დონე მინიმალურია. წინადადების სხვა წევრები შესაბამისად განლაგდებიან ამ შკალაზე. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ კომუნიკაციური დინამიზმის დონე მატულობს წინადადების ბოლოსკენ. ზმნას მიეწერება კომუნიკაციური დინამიზმის საშუალო ხარისხი. ამდენად იგი მოიაზრება, როგორც გარდამავალი ეტაპი თემასა და რემას შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინადადების ამგვარი აღწერა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ წინადადებების მისამართით, სადაც თემას მოსდევა რემა, ხოლო ზმნა წინადადების ცენტრშია განლაგებული.

თემისა და რემის ცნებების დაზუსტების თვალსაზრისით შემდგომი წლების მანძილზე ძალიან ბევრი გაკეთდა, თუმცა ჩვენ ძირითადად შევეხებით ადრიან ჰელიდეის მიერ შემოტანილ კატეგორიებს, რომლებიც ღირებულად მიგვაჩნია შემდგომი განხილვისათვის. მან ერთმანეთისგან გამიჯნა, ერთის მხრივ, თემა და ძველი ინფორმაცია (given), ხოლო, მეორეს მხრივ, რემა და ახალი ინფორმაცია (new) (Halliday 1985), თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს

ტერმინები დღემდე ხშირად სინონიმურად იხმარება. ახალ და ძველ ინფორმაციას ჰელიდეი მიიჩნევს წინადადების ინფორმაციული სტრუქტურის ნაწილად და ასკვნის, რომ თემა არის ის, რასაც მე, მოუბარი ვირჩევ ჩემთვის ამოსავალ წერტილად. ძველი (ინფორმაცია) არის ის, რაც შენ, მსმენელმა, უკვე იცი ან რაც უკვე ხელმისაწვდომია შენთვის. თემა+რემა მოუბარზეა ორიენტირებული, ხოლო ძველი+ახალი –მსმენელზე (ibid: 278). რასაკვირველია, სემანტიკური კავშირი ინფორმაციულ სტრუქტურასა და თემა-რემატულ სტრუქტურას შორის არსებობს, რადგან მოუბარი ჩვეულებრივ თემას ძველი ინფორმაციიდან ირჩევს და ახალ ინფორმაციას გამონათქვამის რემატულ ნაწილს მიაკუთვნებს.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ჰელიდეის მიხედვით, ინგლისურ ენაში თემას ყოველთვის საწყისი პოზიცია უჭირავს წინადადებაში და მას მოსდევს რემა. მაშასადამე, თემა-რემატული სტრუქტურა წინადადების წყობაში ვლინდება (Halliday, Matthiessen 2004: 65). ჰელიდეი ასევე გვთავაზობს თემათა კლასიფიკაციას შინაარსობრივ (experiential), ინტერპრესონალურ (interpersonal) და ტექსტუალურ (textual) თემებად. იგი მიიჩნევს, რომ ეს ორი უკანასკნელი ფაკულტატურია, ხოლო შინაარსობრივი თემა აუცილებლად გვხვდება წინადადებაში და შეიძლება წარმოადგენდეს მონაწილეს, გარემოებას ან პროცესს. სამივე თემის არსებობის შემთხვევაში ისინი წინადადებაში შემდეგნაირად ლაგდება:

| | | | |
|---|---|---|---|
| <u>Well but then</u> | <u>surely Jean wouldn't</u> | <u>the best idea</u> | be to join in? |
| ტექსტუალური | ინტერპერსონალური | შინაარსობრივი | რემა |

(Halliday, Matthiessen 2004: 81)

სამივე ხაზგასმული ელემენტი თემის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ პირველი (ტექსტუალური თემა) ამყარებს ლოგიკურ კავშირს ტექსტის წინა მონაკვეთთან; მეორე (ინტერპერსონალური თემა) გამოხატავს მოუბრის დამოკიდებულებას წინადადებაში გამოხატული შეტყობინების მიმართ; ხოლო ბოლო ადგილს იკავებს შინაარსობრივი თემა, რომელიც გამოყოფს შეტყობინების ამოსავალ წერტილს.

აუცილებლად მიგვაჩნია აქვე შევეხოთ მარკირებული და არა-მარკირებული თემის საკითხს. ფუნქციურ გრამატიკაში ის სიტყვა ან ფრაზა, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს სუბიექტსაც და თემასაც მიიჩნევა

არამარკირებულ თემად (იგულისხმება თხრობითი წინადადებები), ხოლო ყველა დანარჩენი მარკირებულ თემად. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეიძლება საუბარი მარკირებულობის ხარისხზე, ანუ თემა შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად მარკირებული.

წინადადების კომუნიკაციური ორგანიზაციისადმი მუდივად მზარდი ინტერესი მელჩუკის მიხედვით განპირობებულია 5 მნიშვნელოვანი ლინგვისტური ფენომენით:

1. სიტყვათა რიგით წინადადებებში
2. განსაკუთრებული სინტაქსური კონსტრუქციებით რომლებიც წარმოშობილია ისეთი ოპერაციებით, როგორიცაა დისლოკაცია, გამომყოფი კონსტრუქციების გამოყენება და ა.შ.
3. პრონომინალიზაცია
4. წინადადების პროსოდიკა
5. ზოგადად ტექსტის ორგანიზაცია (კოჰეზია, რიტორიკული საშუალებები, წინადადებათა მიმდევრობა) (Mel'chuk 2001: 16)

საინტერესოა, რომ მელჩუკი საუბრობს წინადადების სემანტიკურ, სინტაქსურ და კომუნიკაციურ სტრუქტურაზე (თანამედროვე ლიტერატურაში კომუნიკაციურის სინონიმურად გამოიყენება კიდევ ორი ტერმინი პრაგმატიკული და ინფორმაციული) და თითოეულში გამოყოფს ორ ძირითად ნაწილს-სუბიექტს და პრედიკატს. ერთის მხრივ გვაქვს სემანტიკური პრედიკატი და სემანტიკური სუბიექტი (აგენსი), მეორეს მხრივ სინტაქსური პრედიკატი და სინტაქსური სუბიექტი. კომუნიკაციური სტრუქტურის თვალსაზრისით კი იგი გამოყოფს კომუნიკაციური პრედიკატს ანუ რემას (კომენტარს) და კომუნიკაციურ სუბიექტს ანუ თემას (ანუ ტოპიკს) (ibid: 17-18).

წინადადების ინფორმაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხების ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ შესაძლებელია დავუბრუნდეთ ჩვენს მიერ გამოყოფილი სინონიმური სინტაქსური კონსტრუქციების განხილვას, რომელიც შემდეგი დასკვნების საფუძველს იძლევა:

1. არჩევანი აქტიურ და პასიურ კონსტრუქციებს შორის დამოკიდებულია ენობრივი სუბიექტის სურვილზე, აგენსსა და პაციენსს (ან მიზანს) შორის რომელს მიანიჭოს თემის როლი, ანუ ჩათვალოს ამოსავალ წერტილად, და, შესაბამისად, რომელი მათგანი მიიჩნიოს მსმენელისათვის ახალ ინფორმაციად. დავუბრუნდეთ თავის დასაწყისში განხილულ მაგალითებს:

(1) ა. It was invented by Adam...

ბ. *Adam invented it...*

განსხვავება (1ა) და (1ბ) წინადებებს შორის იმაშია, რომ (1ა)–ში რელიგია (it) არის თემა და მსმენელის ყურადღების ფოკუსირება ხდება წინდებულიან დამატებაზე (Adam), როგორც ახალ ინფორმაციაზე. რა თქმა უნდა მსგავსი შედეგის მიღწევა შესაძლებელი იქნება ინტონაციის გამოყენებითაც თუ *Adam invented it* წარმოითქმებოდა მახვილით სიტყვაზე *Adam*. ზოგადად, ინტონაცია მიიჩნევა ახალი და ძველი ინფორმაციის გამიჯვნის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად, მაგრამ მისი გამოყენება შემოიფარგლება ზეპირმეტყველებით.

ინგლისურ ენაში შესაძლებელია შემდეგი ტიპის წინადადების არსებობაც:

*Religion Adam invented for various ... reasons.*

ამ შემთხვევაში ხდება ობიექტის თემატიზაცია ინვერსიის საშუალებით. (ინვერსიას, როგორც თემატიზაციის ერთერთ ხერხს ქვემოთ შევეხებით.) განსხვავება ამ წინადადებასა და ვნებით კონსტრუქციას შორის იმაში მდგომარეობს, რომ აქ გვაქვს მარკირებული თემა, ანუ თემა, რომელიც არ წარმოადგენს ქვემდებარეს. ამგვარი თემატიზირებული ობიექტი მარკირების მაღალი ხარისხით გამოირჩევა და ჩვეულებრივ კონტრასტული მნიშვნელობის მატარებელია, თუმცა სამივე ზემოგანხილული კონსტრუქცია ერთმანეთის სინონიმურად უნდა ჩაითვალოს.

ანალოგიურად აიხსნება განსხვავება 3ა და 3ბ წინადადებებს შორის. წინადადებაში One never does anything, *one* თემაა და წინადადების დანარჩენი ნაწილი რემა, ფოკუსით სიტყვაზე *anything*. 3ბ წინადადებაში კი ეს უკანასკნელი (ფორმით *nothing*) თემა ხდება, ხოლო მსმენელისთვის ახალი ინფორმაცია უკვე შემასმენელშია ფოკუსირებული.

2. წინადადების ინფორმაციული სტრუქტურა შეიძლება იყოს მეტყველი სუბიექტის არჩევანის მოტივაცია აგრეთვე ნაცვალსახელებით *it* და *there* წარდგენილი კონსტრუქციების შემცველი წინადადებების შემთხვევაში. 6ა წინადადებაში *there* წარმოადგენს თემას, ხოლო 6ბ-ში *a good film* იძენს ამ ფუნქციას. შესაბამისად განსხვავებულია რემა ამ ორ შემთხვევაში და ამიტომაცაა, რომ ამ ტიპის კონსტრუქციები ტექსტში ახალი მონაწილის ან ფაქტორების შემოსაყვანად გამოიყენება. შეიძლება ითქვას, რომ ექსპლეტური ერთეულების ძირითადი ფუნქცია ამ კონსტრუქციებში სწორედ

მონაწილის/არგუმენტისთვის (ჩვენს შემთხვევაში *a good film*) ძველი ინფორმაციის ნაცვლად ახალის სტატუსის მინიჭებაა (იხ. აგრეთვე Lock 1996: 238).

3. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ ექსპლეტური ***it*** ნაცვალსახელის გამოყენებაზე. წინადადების თემა-რემატული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მას აქვს უნარი წინადადების სხვადასხვა წევრი (ქვემდებარე, პირდაპირი ან ირიბი დამატება, დროის, ადგილის და ა. შ. გარემოებები) წარმოაჩინოს, როგორც ახალი ინფორმაცია. ამას ადასტურებს 3.1.2 II პუნქტში (გვ. 110) განხილული ყველა მაგალითი. თემა-რემატული სტრუქტურის ცვლილების კიდევ ერთი არგუმენტი ამ შემთხვევაში არის არტიკლის მონაცვლეობა. 7 მაგალითში ექსპლეტური ***it***–ით წარდგენის შემთხვევაში გვაქვს განუსაზღვრელი არტიკლი, რომელიც ზოგადად რემატულობის მარკერად მიიჩნევა. 7ბ წინადადებაში მოსალოდნელია *the* განსაზღვრული არტიკლის გამოყენება, რათა ხაზი გაესვას არსებითის თემატურობას.

4. ზოგ შემთხვევაში სინონიმურ კონსტრუქციათაგან ერთ-ერთის არჩევანი შეიძლება განაპირობოს მოუბრის მხრიდან თემის შენარჩუნებისკენ სწრაფვამ. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

80. The president arrived at the airport.

(ა) *Journalists immediately surrounded him.*

(ბ) He was immediately surrounded by journalists.

აქ არჩევანი უდავოდ შეჩერდებოდა მეორე ვარიანტზე, რადგან პასიური კონსტრუქციის გამოყენება საშუალებას იძლევა იგივე რეფერენტი შენარჩუნდეს ქვემდებარის პოზიციაში. შედეგად შენარჩუნდება დისკურსის ლოკალური თემა (Макаров 2003: 142).

5. ძირითადად ინფორმაციული სტრუქტურით განსხვავდება ერთმანეთისაგან აგრეთვე მარტივი წინადადებები ქვემდებარის არაინვერსიული და ინვერსიული პოზიციით, სადაც ქვემდებარე გამოხატულია ინფინიტივით ან გერუნდივით (იხ. 3.1.2. IIIა პუნქტი, გვ. 120). იგივე შეიძლება ითქვას არჩევანზე ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების შემცველ რთული წინადადებასა და გერუნდიალური ფრაზით, რთული ინფინიტივური ან მიმღეობითი კონსტრუქციით გამოხატული ქვემდებარის შემცველ მარტივ წინადადებას შორის. ამ ტიპის მაგალითები განხილულია 3.1.2. IIIბ პუნქტში (გვ.121) და ჩვენ მათ აღარ მივუბრუნდებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ ყველა ამ შემთხვევაში ***it*** ნაცვალსახელის მთავარი ფუნქცია სწორედ თემის ადგილის შევსება, ზმნის

უპირო ფორმის ან მისი შემცველი კონსტრუქციის რემად გადატანა და შესაბამისად მასზე ყურადღების აქცენტირებაა.

6. როგორც ზემოთ აღინიშნა, ინგლისურ ენაში სიტყვათა რიგი წინადადების ინფორმაციული სტრუქტურის გამოვლენის მძლავრი იარაღია. ამდენად წინადადების ინვერსიული წყობა უაღრესად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია წინადადებაში (გამონათქვამში) გადმოცემული ინფორმაციის მსმენელამდე მოუბრისთვის სასურველი სტრუქტურით მიტანისათვის. 3.1.2. IV პუნქტში (გვ. 127) ჩვენ ვაჩვენეთ, რომ წინადადებაში საწყისი პოზიცია შეიძლება დაიკავოს პრაქტიკულად წინადადების ყველა წევრმა (გარემოებამ, დამატებამ, შემასმენელმა). ინვერსიის ყველა ეს შემთხვევა ცვლის წინადადების ინფორმაციულ სტრუქტურას (რემის შემადგენელი ნაწილი იქცევა თემად). ამასთან ყველა ამ წინადადებაში საქმე გვაქვს მარკირებულ თემასთან, ხდება წინადადების სხვადასხვა წევრის თემატიზაცია ანუ გადაადგილება მათი არამარკირებული პოზიციიდან წინადადების დასაწყისში. ამგვარი შემთხვევები ინგლისურ ენაში არც ისე ხშირია, განსაკუთრებით წერილობით ენაში და ეს განპირობებულია ან კონტრასტული შეფერილობის (66) ან ძლიერი ემფატიკური დატვირთვის (69) მიცემის სურვილით, მაგალითად:

66. Not only do they rob you, they smash everything too.

69. Playmates I found there... (Wells "*The Door in the Wall"*)

კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტორს, რომ წინადადების კომუნიკაციური (ინფორმაციული) სტრუქტურის გამოვლენაში ზეპირმეტყველებისას უდიდეს როლს ასრულებს ინტონაცია. იგი უნივერსალური საშუალებაა აქტუალური დაყოფის გამოხატვისა ნებისმიერ კონტექსტში. ლაპარაკის დროს ხდება ინფორმაციის, სათქმელის დაყოფა ე.წ. ტონურ ჯგუფებად, ხოლო თითოეული ამგვარი ჯგუფის შიგნით გამოიყოფა აქცენტირებული მარცვალი, რომლსაც ტონური მარცვლის ან ზოგჯერ ლოგიკური აქცენტის სახელით მოიხსენიებენ. სწორედ ეს მახვილი აღნიშნავს ფოკუსს ანუ ახალს მოცემულ წინადადებაში და იგი შეიძლება არა მხოლოდ რემაზე, არამედ თემაზეც მოდიოდეს. მაგალითად, განვიხილოთ შემდეგი წინადადება

*We promised to go to lunch with Lawrence.*

იმის მიხედვით, თუ რომელ სიტყვაში იქნება ტონური მარცვალი (we, promised, lunch, Lawrence), შეიძლება განვსაზღვროთ, რომელია ახალი ინფორმაცია ანუ რაზე მოვითხოვთ მსმენელისაგან ყურადღების გამახვილებას. სამწუხაროდ, ჩვენ იძულებული ვიყავით, რომ ყურადღების მიღმა დაგვეტოვებინა ინტონაციის ფაქტორი, რადგან მხოლოდ წერილობით ტექსტებს ვეყრდნობით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრულ ტექსტებში, რომლებიც ჩვენ შევისწავლეთ არის ამ ტიპის ინფორმაციის განსხვავებული შრიფტით მოწოდების შემთხვევები.

აქ არ განვიხილავთ არც ელიფსურ წინადადებებს, რაც უაღრესად დამახასიათებელია დიალოგური მეტყველებისთვის. განვიხილოთ მაგალითი:

Where did you see her last time? London.

ამ შემთხვევაში ადგილი აქვს პასუხის თემატურ რედუქციას, რაც მეტყველებისას რემის იდენტიფიცირებას ემსახურება. აქ რემა იზოლირებულად გვევლინება. ერთი სიტყვა (*London*) გადმოსცემს იგივე ახალ ინფორმაციას, რასაც წინადადება *I saw her in London*. თუმცა ამ ტიპის მაგალითებს ჩვენ ვერ მივიჩნევთ სინტაქსურ სინონიმებად, რადგანაც ამ ტიპის ანალიზი სცდება წინადადების ფარგლებს. ამასთან ელიპსური და სრული წინადადებების მნიშვნელობათა იგივეობაზე საუბარი არ იქნებოდა გამართლებული ამ წინადადებათა განსხვავებული სემანტიკური სტრუქტურებიდან გამომდინარე.

### 3.3 კომუნიკანტთა არჩევანის ფსიქოლინგვისტური მოტივაცია

დისერტაციის პირველ თავში, საკომუნიკაციო სტრატეგიების არსის განსაზღვრისას (1.3.3.) ჩვენ დეტალურად განვიხილეთ მათი დეფინიციები და იდენტიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები. სხვადასხვა ენათმეცნიერის თვალსაზრისის ანალიზის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ენის სტრატეგიული და არასტრატეგიული გამოყენების გამიჯვნა პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩვენ ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენება ჩვეულებრივი ენობრივი პროცესების გაგრძელებას წარმოადგენს. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკომუნიკაციო სტრატეგია არის საშუალება, იარაღი იმისა, რომ ენობრივმა სუბიექტმა (დედა ენაზე თუ უცხოურზე) მოახერხოს თავისი შეტყობინების მაქსიმალურად ეფექტურად ორგანიზება და მიწოდება კონკრეტული მსმენელისათვის. უცხოურ ენაზე მეტყველების შემთხვევაში ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს მეტ პრობლემასთან, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ადგილი აქვს სერიოზულ ძალისხმევას ენობრივი სუბიექტის მხრიდან მაქსიმალურად ეფექტური კომუნიკაციის მიღწევის მიზნით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრადიციულად საკომუნიკაციო სტრატეგიების კვლევა ლექსიკის სფეროში ხდება.

ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ სინტაქსურ სინონიმებს, მიუხედავად მათი მნიშვნელობების სიახლოვისა, აქვთ გარკვეული განმასხვავებელი მახასიათებლები. მათი განსხვავებული გრამატიკული, სტილისტური თუ ფუნქციური შეფერილობა ხდება საფუძველი მეტყველებაში სინონიმური წყვილიდან ერთერთის არჩევისა. არჩევანი კეთდება იმ სინონიმის სასარგებლოდ, რომელიც უკეთ ახორციელებს ენობრივი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციას კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში. მაშასადამე, სინტაქსურ სინონიმთა შორის არჩევანის განხორციელება სტრატეგიული, მიზანმიმართული ქმედებაა, რაც საფუძველს გვაძლევს სინტაქსური სინონიმია საკომუნკაციო სტრატეგიის მაგალითად განვიხილოთ. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიზანმიმართულობა ყოველთვის არ გულისხმობს გააზრებულობას, ცნობიერ დონეზე კონტროლს. ამ საკითხებს უკვე შევეხეთ საკომუნიკაციო სტრატეგიების იდენტიფიკაციის კრიტერიუმებზე საუბრისას (1.3.3.). მაშასადმე არჩევანის მოტივაციაზე საუბრისას ჩვენ ვიჭრებით ფსიქოლინგვისტიკის სფეროში, რამედნადაც საქმე გვაქვს ტექსტის ქმნადობისა და აღქმის საკითხებთან ანუ ენის დამუშავებასთან/ სამეტყველო ქმედებასთან (language processing).

საკომუნიკაციო სტრატეგიების კვლევის მიზნით განხორციელებულმა ფსიქოლინგვისტურმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ დავალების ტიპი სერიოზულ გავლენას ახდენს სტრატეგიის შერჩევაზე (Poulisse 1997). დავალების ტიპი განსაზღვრავს აგრეთვე შერჩეული სტრატეგიის განხორციელების ფორმებსაც, კერძოდ მის სინტაქსურ სტრუქტურას, მასში ჩართული ინფორმაციის ოდენობას და შეტყობინების კოდირებისთვის გამოყენებულ საშუალებას (მეტყველება, ჟესტიკულაცია). უფრო მკაცრად კონტროლირებად დავალებებში ინფორმანტს მოეთხოვებოდა თანამოსაუბრის გარეშე დაესახელებინა ნაკლებად ნაცნობი რეალური საგნები ან აბსტრაქტული ფორმები. ზუსტი სიტყვის არცოდნის შემთხვევაში ცდისპირები უფრო მეტად იყენებდნენ ე.წ. ანალიტიკურ ანუ დესკრიფციულ სტრატეგიებს ანუ დეტალურად აღწერდნენ შეთავაზებულ საგანს თუ ფორმას. შედარებით ბუნებრივ ენობრივ ქმედებასთან მიახლოვებულ დავალებებში, როგორიცაა მაგალითად დედა ენაზე მოსმენელი მოთხრობის უცხო (ინგლისურ) ენაზე გადმოცემა ან ინგლისურენოვან პირთან არაფორმალურ სიტუაციაში საუბარი, სურათი განსხვავებული იყო. ცდისპირები იყენებდნენ გაცილებით უფრო მოკლე, ნაკლებად დეტალურ სტრატეგიებს, უფრო ხშირი იყო გლობალური სტრატეგიების გამოყენების შემთხვევები. ნათელია, რომ ამ განსხვებათა ძირითადი ნაწილი განპირობებულია ენობრივი აქტივობის პროცესში თანამოსაუბრის არსებობა/არარსებობით. უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება ნ. პულისის მიერ შემოთავაზებული ჰიპოთეზა ამ განსხვავებათა ახსნისათვის. იგი ეყრდნობა პ. გრაისის ლინგვისტურ კონცეფციას, რომელიც ცნობილია კომუნიკაციური თანამშრომლობის პრინციპის სახელწოდებით (Grice 1975). ამ თეორიის თანახმად, სამეტყველო ურთიერთობის პროცესში პარტნიორები უნდა ხელმძღვანელობდნენ თანამშრომლობის ანუ კოოპერაციის პრინციპით, რომლის არსიც მდგომარეობს ნორმალურ პირობებში კომუნიკანტთა შორის ურთიერთგაგების დამყარებაში. გრაისის მიერ შემუშავებული თანამშრომლობის პრინციპი მიზნად არ ისახავს საუბრის ლინგვოპრაგმატიკულ დახასიათებას, მაგრამ იგი გვთავაზობს კომუნიკანტთა სამეტყველო ქცევის ნორმების დამარეგულირებელ პოსტულატებს, რომელთა ერთობლიობაც უზრუნველყოფს ურთიერთობის წარმატებით განხორციელებას. ეს პოსტულატები ქცევის ოთხი ძირითადი კატეგორიის ანუ მაქსიმის (maxims) სახით არის წარმოდგენილი:

1. თვისებრიობის მაქსიმა (The maxim of Quality) – შეეცადე, შენი წვლილი კომუნიკაციაში იყოს ჭეშმარიტი ანუ
   ა) ნუ იტყვი იმას, რაც იცი, რომ მცდარია;
   ბ) ნუ იტყვი იმას, რისთვისაც არა გაქვს სათანადო მტკიცებულება.
2. რაოდენობრიობის მაქსიმა (The maxim of Quantity)
   ა) გახადე შენი შეტყობინება იმდენად ინფორმაციული, რამდენადაც საჭიროა მოცემული საკომუნიკაციო სიტუაციის კონკრეტული მიზნებისათვის;
   ბ) შეეცადე, შენი შეტყობინება არ იყოს უფრო ინფორმატიული ვიდრე საჭიროა.
3. შესაბამისობის მაქსიმა (The maxim of Relevance) – გახადე შენი შეტყობინება რელევანტური, სიტუაციის შესაბამისი.
4. მანერის/ქცევის მაქსიმა (The maxim of Manner) - იყავი გასაგები, რაც გულისხმობს
   ა) მოერიდე გაუგებრობას
   ბ) მოერიდე ბუნდოვანებას
   გ) იყავი ლაკონური
   დ) იყავი თანმიმდევრული/მოწესრიგებული

(Levinson 1983: 101-102)

ამ მაქსიმების ძალა იმდენად დიდია, რომ მაშინაც კი, როცა ერთი შეხედვით ისინი ირღვევა, მსმენელი ვარაუდობს, რომ სიღრმისეულ დონეზე თანამშრომლობის პრინციპი მაინც დაცულია. ეს აშკარა ხდება, თუ განვიხილავთ ს. ლევინსონისეულ მაგალითს:

*A: Where's Bill?*

*B: There is a yellow VW outside Sue's house.*

თუმცა ზედაპირული ანალიზისას გრაისის მაქსიმები აშკარად დარღვეულია, ამ დიალოგის შედეგად მსმენელი კავშირს ამყარებს ბილსა და ყვითელ ფოლკსვაგენს შორის (ანუ ვარაუდობს, რომ დაცულია შესაბამისობის მაქსიმა) და ინფორმაციულობის მაქსიმაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ბილი სიუსთანაა.

ჩვენი ანალიზისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შევჩერდეთ რაოდენობრიობისა და ქცევის /მანერის მაქსიმებზე (სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება აგრეთვე ტერმინები *გასაგებობის პრინციპი* (Principle of Clarity) და *ეკონომიურობის პრინციპი* (Principle of Economy). (იხ. მაგ. Leech 1983). ეს ორი

პრინციპი მოუბრისგან მოითხოვს, ერთის მხრივ, ჩამოაყალიბოს სათქმელი ნათლად, გასაგებად, მაგრამ ამასთან არ თქვას იმაზე მეტი, რაც აბსოლუტურად აუცილებელია მოცემულ სიტუაციაში. ზოგადად პრაგმატიკასა და კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში ამ პრინციპების გამოყენება საკმაოდ დეტალურადაა შესწავლილი. რამდენადაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენება დამახასიათებელია ზოგადად ენობრივი (და არა მხოლოდ პრობლემური) კომუნიკაციისათვის, ბუნებრივია, რომ სტრატეგიის შერჩევისას ეს მაქსიმები გარკვეულ როლს ასრულებს. იმისათვის, რომ ენობრივმა სუბიექტმა შეძლოს ორივე მაქსიმის დაცვა, მან უნდა იპოვოს ერთგვარი შუალედი, ერთის მხრივ, სათანადო ინფორმაციულობასა და, მეორეს მხრივ, ამ ინფორმაციულობის მისაღწევად გაწეულ დანახარჯს/ძალისხმევას შორის. ჩვენ არსებითად მიგვაჩნია იმის ხაზგასმა, რომ დანახარჯში იგულისხმება არა მხოლოდ მოუბრის მხრიდან გამონათქვამის ჩამოსაყალიბებლად გაწეული ძალისხმევა, არამედ ის მცდელობაც, რაც მსმენელმა უნდა ჩადოს გამონათქვამის ინტერპრეტაციაში.

რამდენიმე უაღრესად საინტერესო გამოკვლევა ადასტურებს, რომ გრაისის მაქსიმები მოქმედებს რეფერენტულ კომუნიკაციაში. ამ გამოკვლევებში ინფორმანტებს სთხოვდნენ დაესახელებინათ საგანი, რომელიც წარმოდგენილი იყო მის მეტად ან ნაკლებად მსგავს საგნებთან ერთად. ცდებმა აჩვენა, რომ რეფერენტული გამონათქვამის სიგრძე დამოკიდებული იყო გარემოზე, ლინგვისტურ კონტექსტზე და მსმენელის არსებობაზე. მაგალითად, რ. ბრაუნი ასკვნის, რომ, როცა რეფერენტთა ჯგუფის ელემენტები ძალიან ჰგავანან ერთმანეთს, მოუბარი იყენებს უფრო გრძელ ფორმებს, რათა განასხვავოს ისინი ერთმანეთისგან (Brown 1965: 265). მაშასადამე, როცა დავალება ინფორმანტებისგან მოითხოვდა უფრო ინფორმაციულ გამონათქვამს, ისინი მზად იყვნენ დამატებითი ძალისხმევისათვის. დ. ოლსონი ადასტურებს ამ შედეგს და დამატებით ასკვნის, რომ მოუბარი უბრალოდ იძლევა ინფორმაციას, რაც საჭიროა მის მიერ ნანახი ალტერნატიული ვარიანტების ერთმანეთისგან გასასხვავებლად – იგი არ ცდილობს წარმოიდგინოს ყველა შესაძლო ალტერნატივა, რომელთაგანაც სამიზნე რეფერენტის გამოყოფა არის შესაძლებელი ნებისმიერ კონტექსტში (Olson 1970: 266). მაშასადამე დაცულია ორივე ზემოგანხილული მაქსიმა.

გამონათქვამის სიგრძეზე გავლენას ახდენს აგრეთვე ლინგვისტური კონტექსტი. კრაუსის და უაინჰაიმერის ექსპერიმენტში ინფორმანტებს სთხოვეს დაესახელებინათ საგნების ან სურათების ჯგუფი, ისე რომ ეკრანის უკან მჯდომ მსემენლს სხვაგვარად დალაგებული იგივე სურათებით შესძლებოდა მათი ამოცნობა. შედეგებმა აჩვენა, რომ იგივე საგნის ან სურათის ხელახალი მოხსენიებისას მოუბარი სულ უფრო და უფრო მოკლე ფორმებს იყენებდა რეფერენციის განსახორციელებლად (Kraus, Weinheimer 1964). ჰ. კლარკისა და დ. უილკს-გიბსის მიერ განხორციელებულმა ანალოგიური ექსპერიმენტმა დაადასტურა ეს დასკვნა (Clark, Wilkes-Gibbs 1986). მათი თვალსაზრისით, ეს მონაცემები ადასტურებს კომუნიკაციის თანამშრომლობით თეორიას, რომლის მიხედვითაც მოუბარი და მსმენელი თანამშრომლობენ ერთობლივი ძალისხმევის მინიმუმადე დაყვანის მიზნით.

მესამე ფაქტორი, რაც უდავოდ ახდენს გავლენას რეფერენტული გამონათქვამის სიგრძეზე, არის მსმენელის რეაგირება (feedback). კრაუსის და უაინჰაიმერის ექსპერიმენტში ერთიდაიგივე დავალების შერულებისას ინფორმანტთა ნაწილს ეძლეოდა რეაგირება ექსპერიმენტატორის მხრიდან, ნაწილს კი ამის საშუალება არ ჰქონდა (Kraus, Weinheimer 1966). შედეგებმა აჩვენა, რომ უფრო გრძელი რეფერენტული ფრაზები გამოიყენებოდა რეაგირების არ არსებობის ან შეზღუდვის შემთხვევაში. მრავალი სხვადასხვა ექსპერიმენტი ამტკიცებს, რომ დიალოგის მდგომარეობაში რეფერენტული გამონათქვამი უფრო მოკლეა, ვიდრე მონოლოგის შემთხვევაში (მაგ., Kraus, Weinheimer 1967, Bongaerts and Poulisse 1989). ამ მოვლენის ახსნა იმით შეიძლება, რომ თანამოსაუბრის გარეშე  მოუბარი ვერ ახერხებს იმის დადგენას, საკმარისად ინფორმატიულია თუ არა მისი გამონათქვამი. ამიტომაც, მას უხდება მისი აზრით კომუნიკაციის ეფექტურობისთვის საჭირო ინფორმაციის მაქსიმალურად  მოწოდება. პირიქით, როცა მსმენელი არსებობს და მზადაა თანამშრომლობისთვის, მას შეუძლია მიანიშნოს, რომ მიწოდებული ინფორმაცია საკმარისია და ამით მოუბრის დანახარჯის დაზოგვა უზრუნველყოს.

ზემოგანხილული შედეგები საერთოა მშობლიურ ენაზე და უცხო ენაზე კომუნიკაციისთვის. უცხოურ ენაზე მეტყველებაში გამოყენებული საკომუნიკაციო სტრატეგიების (კერძოდ კი საკომპენსაციო სტრატეგიების) კვლევისას ექსპერიმენტის არსი ჩვეულებრივ მდგომარეობს ინფორმანტთათვის ისეთი რეფერენტის შეთავაზებაში, რომლის სახელიც მან არ იცის ანუ რეფერენციის

ყველაზე ზუსტი და ეკონომიური საშუალება მისთვის ხელმიუწვდომელია. მიუხედავად ამისა, ინფორმანტები ცდილობენ გამოიყენონ მათ ხელთ არსებულთაგან ყველაზე ინფორმაციული და ეფექტური ხერხი ანუ მიაღწიონ საკომუნიკაციო მიზანს მინიმალური დანახარჯით. როცა მცირე ძალისხმევით მიზნის მიღწევა შეუძლებელია, მოუბარს უხდება გააკეთოს არჩევანი ორიდან ერთის, ან რაოდენობრიობის ან ქცევის მაქსიმის, სასარგებლოდ. პულისი ამტკიცებს, რომ ეს გადაწყვეტილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვნად აღიქვამს მოუბარი თავის კომუნიკაციურ ინტენციას (Poulisse 1997: 54) და რა რესურსებია მისთვის ხელმისაწვდომი. თუ მიზნის მიღწევა მას არც თუ ისე მნიშვნელოვნად ესახება, ან არასაკმარისი საშუალებები აქვს ხელთ, შეიძლება მოხდეს საკომუნიკაციო მიზნის გადახედვა და უფრო „დაბალი დონის“ მიზნით ჩანაცვლება. პულისის ამ დასკვნას საფუძვლად დაედო ე.წ. ნეიმეგენის პროექტის მონაცემები, რაც ჰოლანდიელი ინფორმანტების ინგლისურ ენაზე კომუნიკაციისას არის მოპოვებული. კვლევამ აჩვენა, რომ უცხოურ ენაზე მეტყველებისას ლექსიკური პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში, მოუბარი პირველ რიგში ცდილობდა მშობლიურ ენაზე შესატყვისი სიტყვით მის ჩანაცვლებას. ეს უდავოდ ყველაზე ეკონომიური გზა იქნებოდა პრობლემის მოგვარებისა. წარუმატებლობის შემთხვევაში იგი თანდათანობით ზრდიდა მიწოდებული ინფორმაციის რაოდენობას ყოველი ახალი მცდელობისას. ამასთან ყოველ ეტაპს თან სდევდა თანამოსაუბრესთან იმის შემოწმების მცდელობა, მიღწეულ იქნა თუ არა მიზანი.

მაშასადამე, დიალოგური მეტყველებისას მსმენელი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს იმას, თუ როგორ აყალიბებს მოუბარი სათქმელს. ერთი შეხედვით მსმენელის მხრიდან დახმარება შეკითხვის, შესაძლო ვარიანტების შეთავაზების ფორმით, ეწინააღმდეგება რაოდენობრიობის მაქსიმას, რამდენადაც ამგვარად იზრდება მისი ძალისხმევა ანუ არაა ეკონომიური. თუმცა აქ კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ფაქტორს, რომელსაც ზემოთ უკვე შევეხეთ. მნიშვნელოვანი ცალკე რომელიმე კომუნიკანტის ძალისხმევა კი არ არის, არამედ მათი ერთობლივი დანახარჯი, რისი მინიმიზაციაც თანამშრომლობით მიიღწევა.

საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ მაინც მიმოვიხილოთ თეორია, რომელიც კომუნიკაციის კოლაბორაციული თეორიის [collaborative theory] სახელითაა ცნობილი (Wilkes-Gibbs 1997) განსხვავებით გრაისის თანამშრომლობის პრინციპისაგან [co-operative principle]. ამ თეორიის მთავარი პოსტულატი იმაში

მდგომარეობს, რომ ენობრივი კომუნიკაციის პროცესში ადამიანები ცდილობენ ორივე მხარისთვის გასაგები ხერხებით მოიძებნოს რაღაც საერთო, იქნება ეს საერთო ცოდნა, შეხედულებები თუ ვარაუდი. ამისთვის არ არის საკმარისი „სწორი“ წინადადებების „სწორად შერჩეულ“ მომენტში წარმოთქმა. კომუნიკანტებს უნდა შეექმნათ საერთო შეხედულება იმაზე, როგორ უნდა აღიქვას მოცემული სამეტყველო აქტი თითოეულმა მათგანმა. კომუნიკაციის პროცესში მონაწილე მხარეები მოქმედებენ გაზიარებული პასუხისმგებლობის პრინციპის [principle of mutual responsibility] შესაბამისად ანუ ცდილობენ საკომუნიკაციო მიზანი განხორციელდეს ორივე მხარისთვის მისაღები ხარისხით. ამგვარი მიზანი ყოველთვის როდი გულისხმობს სრულყოფილ ურთიერთგაგებას. აქ საუბარია მხოლოდ მიმდინარე სიტუაციისთვის შესაფერისი დოზით ურთიერთგაგებაზე (ibid: 245). ზოგი მიზანი საკმაოდ მაღალ კრიტერიუმს უსახავს კომუნიკანტებს, ზოგ შემთხვევაში ეს კრიტერიუმი შედარებით დაბალია. შესაძლებელია ისიც, რომ კომუნიკაციის პროცესის მონაწილეთა თავდაპირველი მიზნები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიზნის და მისი მნიშვნელობის აღქმა კომუნიკანტთა მხრიდან გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მათ მიერ გამოვლენილი ძალისხმევის ხარისხზე ანუ მათი კოლაბორაციის ხასიათსა და მასშტაბზე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ პარაგრაფში განხილული თეორიები და პრინციპები უშუალო კავშირშია სინტაქსურ სინონიმთა შორის არჩევანის ფსიქოლინგვისტური მოტივაციის განსაზღვრასთან. ჩვენს მიერ შესწავლილმა ემპირიულმა მასალამ აჩვენა, რომ არაფორმალურ კომუნიკაციაში რთული წინადადებების გამოყენება გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე მათი სინონიმური მარტივი წინადადებებისა ზმნის უპირო ფორმების შემცველი კონსტრუქციებით. ჩვენ შევისწავლეთ მხოლოდ ის შემთხვევები, სადაც არსებობდა სინონიმური კონსტრუქციით ჩანაცვლების შესაძლებლობა. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ შესწავლილი მაგალითების 81%-ზე მეტში გამოყენებულია რთული თანწყობილი ან რთული ქვეწყობილი წინადადება. მხოლოდ შემთხვევათა 18,7%-ში კეთდება არჩევანი უპირო ზმნის შემცველი კონსტრუქციის სასარგებლოდ. მაგალითად,

How can I ask for love, if I don’t feel any love in myself? (Lawrence “The Lovely Lady”)

და არა *How can I ask for love not/ without feeling any love in myself*?

თუნდაც ეს განსხვავება ავხსნათ სტილისტური მოტივებით, მაინც რჩება შეკითხვა: რატომ ანიჭებს მოუბარი უპირატესობას უფრო გრძელ და შესაბამისად, უფრო რთულად საწარმოებელ ფორმას? ზემოგანხილული კვლევების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მოუბარი მეტ ძალისხმევას ხარჯავს ანუ ერთი შეხედვით არ იცავს რაოდენობრიობის მაქსიმას. ჩვენი აზრით, ამ მოვლენის ახსნა რამდენიმე ძირითადი მიზეზით შეიძლება.

1. ჩვენ განვიხილეთ შემთხვევები (3.2.1. პუნქტში), როცა უპირო ზმნების შემცველ კონსტრუქციებში ზოგიერთი კატეგორიალური ნიშანთვისება იმპლიციტურადაა წარმოდგენილი, როცა მთავარი და დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეები განსხვავდება ერთმანეთისგან ან მთავარი წინადადების ხასიათი ექსპლიციტურადაა გადმოცემული. ყველა ეს შემთხვევა შეიძლება გახდეს ბუნდოვანების მიზეზი მსმენელის მხრიდან გამონათქვამის დამუშავების დროს. ამდენად, მოუბრის მიერ გამონათქვამის ფორმირებაში ჩადებული ზედმეტი ძალისხმევა ემსახურება მსმენელისთვის აღქმის პროცესში გაწეული დანახარჯის შემცირებას გაზიარებული პასუხისმგებლობის პრინციპის თანახმად (იხ. მაგალითები 74-79).

2. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამოკიდებული ან რთული თანწყობილი წინადადების შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი წინადადების პროდუცირება უფრო ნაკლებად ეკონომიურია მოუბრისთვის, ვიდრე უპირო ზმნის შემცველი კონსტრუქციის. სწორედ მის მიერ გამოყენებული ძალისხმევა ჩვენი აზრით წარმოადგენს მსმენელისთვის ინდიკატორს იმისა, რომ გამოყენებული კონსტრუქცია მეტი ღირებულების მატარებელია. ეს ეთანხმება ზემოთ განხილული კვლევების დასკვნას, რომ კომუნიკანტთა მიერ გაწეული ძალისხმევა იზრდება იმის მიხედვით, რამდენად ღირებულად აღიქვამენ ისინი კომუნიკაციის მიზანს. მაგალითისთვის განვიხილოთ შემდეგი მონაკვეთი.

> Then presently came a somber dark woman, with a grave, pale face and dreamy eyes, a somber woman, wearing a soft long robe of pale purple, who carried a book, and beckoned and took me aside with her into a gallery above a hall …. . (H. Wells “The Door in the Wall”)

ჩვენი აზრით საინტერესოა, რომ მოუბარი თავიდან უპირო ფორმას იყენებს (wearing a soft long robe). შემდეგ იგი უცნობი ქალის აღწერას დამოკიდებული წინადადებით (who carried a book) განაგრძობს. ეს განპირობებული

უნდა იყოს იმ ფაქტორით, რომ მეორე კონსტრუქციაში გადმოცემული ინფორმაცია უფრო არსებითია და მნიშვნელობით აღემატება მხოლოდ პერსონაჟის აღწერის ფუნქციას. როგორც შემდგომი თხრობა ადასტურებს, წიგნი, რომელიც ქალს უჭირავს, მართლაც მნიშვნელოვანია სიუჟეტის განვითარებისთვის. ანალოგიური მაგალითები პერსონაჟთა დიალოგებში მრავლადაა.

3. თუ გავიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც დამოკიდებული (ან დამოუკიდებელი) წინადადებები გადმოცემული ინფორმაციის აქცენტირების მიზნით გამოიყენება, მაშინ სავარაუდოა, რომ მათი სინონიმური უპირო ზმნის შემცველი კონსტრუქციები პირიქით, ნაკლები კომუნიკაციური წონის მატარებელი უნდა იყოს. განვიხილოთ მაგალითი

So it wasn't I who made you feel weak and disabled, wanting that very silly Claudia ... Wanting her and not wanting her, you got *yourself* into that perplexity, my dear. (Lawrence "The Lovely Lady")

პირველ წინადადებაში გამომყოფი კონსტრუქციის (cleft) გამოყენებით (it wasn't I) მოუბარი გამოყოფს რემას და დამატებით ემფატიკურ შეფერილობას აძლევს წინადადებას. ამ ფონზე მიმღეობითი კონსტრუქცია თითქოს დამატებით არაარსებით ინფორმაციას აწვდის თანამოსაუბრეს. ასევე მეორე წინადადებაში ინტონაცია (რასაც მწერალი განსხვავებული შრიფტით გადმოსცემს) იძლევა საშუალებას ფოკუსის (yourself) იდენტიფიკაციისა. აქაც, ჩვენი აზრით, მოუბარი მიმღეობით კონსტრუქციას გამიზნულად იყენებს, რათა მსმენელს ამ ნაწილში გადმოცემული შინაარსის შედარებით ნაკლებ ღირებულებაზე მიანიშნოს. კოგნიტური ლინგვისტიკის ტერმინებს თუ დავესესხებით, მოუბარი სინონიმური სინტაქსური კონსტრუქციების მონაცვლეობით ახერხებს ფონის (ground) და ფიგურის (figure) გამოყოფას. თუმცა ეს ტერმინები ძირითადად მარტივი წინადადების მაგალითზე და მისი წევრების ურთიერთმიმართების აღსანიშნად გამოიყენება (იხ. Langacker 1991), ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისინი ჩვენი თვალსაზრისის დემონსტრირებისათვისაც ადეკვატურია.

ფიგურისა და ფონის გამოყოფის პრინციპი გულისხმობს, რომ ჩვენს მიერ მიღებული ინფორმაცია ორგანიზებულია მისი ცალკეული ნაწილების დომინანტურობის თვალსაზრისით. ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც უფრო თვალშისაცემი და გამოკვეთილია, ასრულებს ფიგურის ფუნქციას, ნაკლებად აქცენტირებული კი ფონისა. იგივე კოგნიტური ფენომენის აღსანიშნავად სხვა

ტერმინებსაც იყენებენ, მაგალითად, პროფილი და საფუძველი/ ბაზა (profile and base) ლანგაკერსა და ტეილორთან (Langacker 1991, Taylor 2002). ეს იმას გულისხმობს, რომ კონკრეტული კონსტრუქციის არჩევით ჩვენ გამოვყოფთ კონკრეტულ ხატს ანუ პროფილს, რომლის მიხედვითაც ვახდენთ მოცემული სიტუაციის სტრუქტურირებას.

სწორედ ერთი მოვლენის ხარჯზე მეორეზე ყურადღების კონცენტრირების მცდელობას უნდა წარმოადგენდეს ზემომოყვანილ მაგალითში მიმღეობითი კონსტრუქციის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი. ეს შესაბამისობაშია მოუბრის საერთო მიზანთანაც, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს შვილის ქორწინების ჩაშლასა და საბოლოოდ მისი სიკვდილში საკუთარი წვლილის უარყოფა. იგივე მოსაზრებას ადასტურებს შემდეგი მაგალითიც, რომელიც საკმაოდ ტიპიურია აღწერილობითი შინაარსის დისკურსისთვის:

He looked rather awful lying there in bed with a week's growth of grey beard on his chin. (Maugham "The Lotus Eater")

აქაც, ჩვენი აზრით, მოუბრის მთავარი სათქმელი არის კაცის საშინელი მდგომარეობა (He looked rather awful). ის ფაქტი, რომ იგი საწოლში წევს (lying there in bed), მხოლოდ სიტუაციის აღწერის ფუნქციას ასრულებს, ისე როგორც წინადადების მთელი დარჩენილი ნაწილი და ფონს ქმნის ძირითადი შეტყობინებისთვის. სწორედ ამას მიანიშნებს მოუბარი მსმენელს წინადადების მეორე ნაწილში მიმღეობითი კონსტრუქციის გამოყენებით დამოკიდებული წინადადების ნაცვლად.

4. თუ უპირო ზმნის შემცველი კონსტრუქციის გამოყენებას ჩვენ ინფორმაციის უკანა პლანზე გადაწევის ერთგვარ მცდელობად მივიჩნევთ, საპირისპირო პროცესად გვესახება შემდეგ მაგალითში წარმოჩენილი მოვლენა.

"You see, I'm afraid my life is as negative as yours is," she said. "And I'm beginning to mind bitterly. I'm thirty." (Lawrence "The Lovely Lady")

ამ კონტექსტიდან აშკარაა, რომ ბოლო ორ წინადადებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირია. აქ შესაძლებელია როგორც დამოკიდებული, ისე ზმნის უპირო ფორმის შემცველი კონსტრუქციის გამოყენება.

*I'm beginning to mind bitterly because I'm thirty.* ან

*Being thirty I'm beginning to mind bitterly.*

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოქმედების მიზეზის ცალკე წინადადებად გამოყოფის გადაწყვეტილება განპირობებულია ზემოაღწერილის საპირისპირო მოტივით, კერძოდ გამონათქვამისთვის დამატებითი წონის მინიჭების, მისი აქცენტრების სურვილით.

ანალოგიური მაგალითებიც საკმაოდ ხშირია, მაგალითად:

But don't call it love. It was physiology. (Maugham "*Virtue*")

ამგვარი მაგალითების ანალიზი სცდება ჩვენი თემის ფარგლებს, რადგანაც ჩვენი საკვლევი ობიექტი არის სინონიმია ერთი წინადადების დონეზე. თუმცა კავშირი ამ და წინა პუნქტებში აღწერილ პროცესებს შორის ჩვენი აზრით აშკარაა.

5. აქ საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ მოქმედებითი და ვნებითი კონსტრუქციების სინონიმურობის საკითხს და შევეცადოთ მის ფსიქოლინგვისტურ ჭრილში განხილვას. უკვე აღინიშნა, რომ არჩევანი აქტიურ და პასიურ კონსტრუქციებს შორის შეიძლება განაპირობოს წინადადების თემა-რემატულმა სტრუქტურამ. უდავოდ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მათ შორის განსხვავება მხოლოდ ამ ფაქტორით არ შემოიფარგლება. მ. სარაცენი, თავის უაღრესად საინტერესო სტატიაში, რომელიც განიხილავს კავშირს გარდამავლობასა და წინასწარგანზრახულობას შორის, ამტკიცებს, რომ აქტივისა და პასივის მონაცვლეობა საშუალებას აძლევს მეტყველ სუბიექტს კონკრეტული ფაქტების რეპრეზენტაცია მოახდინოს მისთვის სასურველი კუთხით (Saraceni 2008). მოქმედებითი გვარის გამოყენება წინასწარგანზრახული ქმედების ელფერს სძენს წინადადებაში გამოხატულ მოქმედებას და ძალიან ნათლად გადმოსცემს მიზეზ-შედეგობრივ მიმართებას წინადადებაში. სწორედ ეს განსხვავებს ერთმანეთისგან ავტორის აზრით ისეთ წინადადებებს, როგორიცაა

The police shot the demonstartors.

The demonstrators were shot by the police.

მეორე წინადადებაში აგენტის წინადადების ბოლოში გადატანა ასუსტებს კავშირს მოვლენასა და პოლიციის ქმედებას შორის.

ეს თვალსაზრისი უშუალო კავშირშია დაუთის (Dowty 1991) მიერ შემოთავაზებულ პროტოაგენსის მახასითებლებთან, რომლებსაც ჩვენ ზემოთ შევეხეთ. ამ ჩამონათვალში მოვლენასა თუ მდგომარეობაში ნებელობითი ჩართულობა აგენსის როლის უმნიშვნელოვანესი თვისებაა. როგორც ჩანს, თავისი ტრადიციული სინტაქსური ფუნქციის, სუბიექტისაგან მოწყვეტილ

აგენსში ამ მახასითებლის გამოვლინება  შედარებით სუსტდება. და პირიქით, სუბიექტის ფუნქციით წარმოდგენილი პაციენსი იძენს აგენსის ზოგიერთ მახასიათებელს.

ამ დაკვირვებას ადასტურებს ჩვენს მიერ მოძიებული მასალაც. განვიხილოთ მაგალითი:

I'm haunted. I'm haunted by something – that rather takes the light out of things, that fills me with longing. (H.Wells "*The Door in the Wall*")

You aren't bound by anyone. You come and go as you please. Something always turns up for you. You're free. (M. Spark "*The Portobello Road*")

ორივე ამ შემთხვევაში მოუბარი იყენებს ვნებითს, რადგან არ მიაჩნია მნიშვნელოვნად აგენსის ნებელობა, მის აქტიური ჩართულობა მოქმედების განხორციელებაში.

6. ფსიქოლინგვისტური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჰელიდეის მიერ გამოყოფილი განსხვავება ერთის მხრივ, ძველ და ახალ ინფორმაციას და მეორეს მხრივ, თემასა და რემას ანუ ფოკუსს (ქვემოთ ჩვენ ვამჯობინებთ ტერმინის „ფოკუსი" გამოყენებას, რომელიც ასევე ფართოდაა გავრცელებული ამ მნიშვნელობით) შორის. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გამიჯვნა ძველსა და ახალს (ინფორმაციას) შორის ხდება იმის საფუძველზე, რა არის მსმენელისთვის უკვე ნაცნობი ან ადვილად მისახვედრი და, რა ახალ ინფორმაციას აწვდის მას მოუბარი.  ამ თვალსაზრისით ძველი და ახალი მსმემენლზეა ორიენტირებული. რაც შეეხება თემას და ფოკუსს, ეს დაყოფა უკვე მოუბარზეა ორიენტირებული, რადგან თავად მოუბარი წყვეტს, რას აირჩევს იგი შეტყობინებისთვის ამოსავალ წერტილად და რა ინფორმაციაზე ითხოვს მსმენლისგან ყურადღების გამახვილებას. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ წინადადებაში ძველის და ახალის გამოყოფა უფრო ობიექტურ საფუძველზე ხდება, რამდენადაც ეს შეიძლება განსაზღვროს ტექსტუალურმა კონტექსტმა (იხ. მაგ. (80)), დისკურსის საერთო თემამ.  აქ მოუბრის გადაწყვეტილებას განსაზღვრავს მისი წარმოდგენა იმაზე, რა ინფორმაცია აქვს უკვე მიღებული მსმენელს წინა დისკურსის ან სიტუაციური კონტექსტიდან გამომდინარე. ამდენად, თუმცა ჩვენ ინფორმაციულ თუ აქტუალურ დაყოფას ვახორციელებთ წინადადების დონეზე, ეს წინადადება მაინც აღიქმება როგორც დისკურსის ნაწილი (იხ. Mel'cuk 2001). რაც შეეხება თემასა და ფოკუსს, აქ გადაწყვეტილება თავად მოუბრის პრიორიტეტებს ეფუძნება და მთლიანად

დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აირჩევს იგი თავისი შეტყობინების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად. ეს აქცენტირებული ნაწილი შეიძლება გამოიყოს როგორც ახალ, ისე ძველ ინფორმაციაში. სწორედ ამ მიზნით გამოიყენება ხშირ შემთხვევაში წინადადების ინვერსიული წყობა (იხ. მაგალითები 68-70). მაგალითად:

> A great name, wealth, social distinction, worldly success: those were the things that mattered to her. (Maugham "*A Casual Affair*")

ამ შემთხვევაში ინფორმაცია, რომელიც წინადადების დასაწყისშია განთავსებული, წარმოადგენს წინადადების ფოკუსს. ეს არის ის, რასაც მელჩუკი ფოკუსირებულ რემას უწოდებს (Mel'cuk 2001). ამგვარი რემა ხშირად გამოხატავს კონსტრასტს და განსაკუთრებული წონის მატარებელია წინადადებაში.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სინონიმურ სინტაქსურ კონსტრუქციებს შორის არჩევანს განსაზღვრავს მოუბრის სურვილი მაქსიმალურად სრულად და ეკონომიური გზით მიაწოდოს მსმენელს ინფორმაცია. ჩვეულებრივ მოუბარი მზადაა ზედმეტ დანახარჯებზე, რათა ინფორმაციის გადამუშავების პროცესი გაუმარტივოს მსმენელს. მეორე მიზეზი, რაც ზოგჯერ ეკონომიურობის პრინციპის საწინააღმდეგოდ იწვევს მსმენელის ძალისხმევის ზრდას (ერთი შეხედვით ზედმეტ, არააუცილებელ დანახარჯს) არის მსმენელის სურვილი, დამატებითი მნიშვნელობა შესძინოს ამა თუ იმ ინფორმაციას, გამოკვეთოს იგი ინფორმაციის სხვა დანარჩენი ნაწილის ფონზე. ამგვარ შემთხვევაში შეიძლება დაირღვეს რაოდენობრიობის მაქსიმა, როგორც მოუბრის, ისე მსმენელის თვალსაზრისით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სინტაქსურ დონეზე შესაძლებელია ვისაუბროთ ადრესატზე ორიენტირებულ და ინფორმაციაზე ორიენტირებულ საკომუნიკაციო სტრატეგიებზე. მიმღებზე ორიენტირებულ სტრატეგიებში ჩვენ ვგულისხმობთ ყველა იმ ხერხს, რასაც ადრესანტი იყენებს ადრესატისთვის კოგნიტური დატვირთვის შესამცირებლად. აქ მოიაზრება, მაგალითად, დამოკიდებული წინადადების გამოყენება ზმნის უპირო ფორმის შემცველი კონსტრუქციის ნაცვლად. აქვე შეიძლება გავაერთიანოთ თემატური სტრუქტურით განპირობებული წინადადების წყობა, რადგან ისიც მიზნად ისახავს მსმენელისათვის ინფორმაციის ნაცნობიდან ახლისკენ პროგრესიის შესაბამისად მიწოდებას. ამდენად ეს ხერხიც მიმართულია მსმენელის

კოგნიტური ტვირთის და ენის გადამუშავების პროცესში მისი დანახარჯების შემცირებისკენ.

ინფორმაციაზე ორიენტირებულ სტრატეგიებში ჩვენ ვგულისხმობთ ადრესანტის მიერ გამონათქვამის იმგვარ ორგანიზებას, რაც მიზნად ისახავს ინფორმაციის ამა თუ იმ ნაწილის აქცენტირებას ან პირიქით, მისთვის ფონის ფუნქციის მინიჭებას. მაშასადამე, აქ საუბარია თავად ინფორმაციის რესტრუქტურირებაზე მოუბრის საკომუნიკაციო ინტენციიდან გამომდინარე. ამ მიზნისთვის შესაძლებელია საჭირო გახდეს თანამშრომლობის პრინციპების დარღვევაც. ინფორმაციაზე ორიენტირებულ სტრატეგიებად შეიძლება განვიხილოთ წინადადებაში სიტყვათა ინვერსიული წყობა, რომელიც ფოკუსის გამოკვეთას ისახავს მიზნად. აქვე შეიძლება გავაერთიანოთ ზმნის უპირო ფორმის შემცველი კონსტრუქციის გამოყენება ინფორმაციის ფონურად ქცევის მიზნით და პირიქით, დამოკიდებული წინადადების გამოყენება (ან ზოგჯერ ცალკე წინადადების გამოყოფა) შინაარსის რამე მონაკვეთის ფიგურად წარმოჩენისთვის. ზემოგანხილული სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება გამოისახოს:

საკომუნიკაციო სტრატეგიების ფსიქოლინგვისტური მოდელი

სქემა №7



მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ არჩევანს ამა თუ იმ სტრატეგიის, და შესაბამისად ამა თუ იმ სინტაქსური კონსტრუქციის, სასარგებლოდ ადრესანტი ახორციელებს საკომუნიკაციო სიტუაციის გაანალიზების შედეგად თავისი საკომუნიკაციო მიზანდასახულობიდან გამომდინარე. იგი ახდენს მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების, ჩვენს შემთხვევაში სინტაქსური კონსტრუქციების შეფასებას თავის ინტენციასთან შესაბამისობაში და ირჩევს კონსტრუქციას, რომელიც ოპტიმალურად ახდენს ინფორმაციის სტრუქტურირებას და მაქსიმალურად ეფექტურად აწვდის ამ ინფორმაციას მსმენელს. ამგვარად, შეიძლება მიმართება კომუნიკანტთა საკომუნიკაციო კომპეტენციასა და სინტაქსურ სინონიმიას შორის განხილული იქნეს, როგორც კომუნიკანტთა ენობრივი შემოქმედების მაგალითი, რამდენადაც არჩევანი, თუნდაც მინიმალურად, არის შემოქმედებითი აქტი.

# დასკვნები

საკომუნიკაციო კომპეტენციის და სინტაქსური სინონიმიის ფენომენის ლინგვოსემიოტიკური კვლევა ანტროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ჭრილში შესაძლებლობას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ შემდეგი თეორიული განზოგადებანი:

1. სტრატეგიული კომპეტენციის კვლევაში დომინანტური პრობლემურობაზე ორიენტირებული თვალსაზრისისგან განსხვავებით, ჩვენ მივიჩნევთ, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიები გვხვდება როგორც კომუნიკაციაში არასაკმარისი ლინგვისტური კომპეტენციით გამოწვეული პრობლემების შემთხვევაში, ისე, მათ გარეშეც. საკომუნიკაციო სტრატეგიებს განვიხილავთ როგორც ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს მეტყველ სუბიექტს, მოახდინოს გამონათქვამის იმგვარი სტრუქტურირება, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას ადრესატისთვის რაც შეიძლება ეფექტურად. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ შეუძლებელია ენის სტრატეგიული და არასტრატეგიული გამოყენების გამიჯვნა.

2. ასევე გაუმართლებლად მიგვაჩნია სტრატეგიული კომპეტენციის კვლევა მხოლოდ რეფერენციის თვალსაზრისით და საკომუნიკაციო სტრატეგიების შესწავლის დაყვანა მხოლოდ ლექსიკური სტრატეგიების ანალიზზე. ენობრივი სუბიექტის საკომუნიკაციო კომპეტენციის და კონკრეტულად მისი სტრატეგიული კომპონენტის შესახებ სრული სურათის შესაქმნელად აუცილებელია კვლევა სინტაქსურ დონეზეც განხორციელდეს.

3. კვლევის შედეგების საფუძველზე გთავაზობთ სინტაქსური სინონიმიის ჩვენს მიერ შემუშავებულ შემდეგ დეფინიციას: სინტაქსურ სინონიმებად მივიჩნევთ სინტაქსური დონის ისეთ ერთეულებს, რომლებსაც საერთო პრედიკატულ-არგუმენტული პროპოზიციული კონფიგურაცია და ფუნქციური დანიშნულება, მაგრამ განსხვავებული სუბიექტური მოდალობა და გრამატიკული სტრუქტურა აქვთ, რის გამოც ისინი ერთი სემანტიკური ინვარიანტის სინტაქსურ ვარიანტებად მოიაზრება. ამ დეფინიციის საფუძველზე შესაძლებელია სინონიმური სინტაქსური კონსტრუქციების იდენტიფიკაცია და ანალიზი.

4. ემპირიული მასალის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს სინტაქსურ სინონიმებად განვიხილოთ შემდეგი კონსტრუქციები:

ა. აქტიური და პასიური კონსტრუქციები;

ბ. წინადადებები ფორმალური it და there შემცველი კონსტრუქციებით და მათ გარეშე;

გ. რთული წინადადება და მარტივი წინადადება ნომინალიზებული პროპოზიციული კონსტრუქციით ანუ მეორადი პრედიკაციით;

დ. მარტივი წინადადებები სიტყვათა პირდაპირი და ინვერსიული წყობით.

5. კვლევა გვიჩვენებს, რომ კომუნიკაციის პროცესში მეტყველი სუბიექტის არჩევანი სინტაქსურ სინონიმებს შორის შეიძლება განპირობებული იყოს როგორც საკუთრივ ლინგვისტური (გრამატიკული, სტილისტური და ფუნქციური მოტივაციით), ისე პრაგმატიკულ და ფსიქოლინგვისტურ ფაქტორთა ერთობლიობით.

6. გრამატიკული თვალსაზრისით სინტაქსურ სინონიმებს შორის არჩევანი შეიძლება განსაზღვროს წინადადების ერთქვემდებარიანობამ ან ორქვემდებარიანობამ, პრედიკატულობის ნიშან-თვისებათა ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად გამოხატვამ და მთავარი წინადადების ქვეტექსტურობამ.

7. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფუნქციური თვალსაზრისით კომუნიკანტთა არჩევანის მოტივაცია შეიძლება იყოს წინადადების ინფორმაციული სტრუქტურა. განსხვავება აქტიურ და პასიურ კონსტრუქციებს, ფორმალური *it* და *there* წარდგენილი კონსტრუქციების შემცველი წინადადებებს და მათ სინონიმურ კონსტრუქციებს შორის მდგომარეობს წინადადებათა თემა-რემატული სტრუქტურაში.

8. ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ძირითადად ინფორმაციული სტრუქტურით განსხვავდება ერთმანეთისგან წინადადებები წევრთა პირდაპირი და ინვერსიული წყობით. მათგან პირველი არამარკირებულია, რამდენადაც წინადადების ინფორმაციული და სინტაქსური სტრუქტურები ინგლისურში ერთმანეთს ემთხვევა, რის გამოც იგი, როგორც წესი, გამოიყენება მეტყველების ნეიტრალურ სტილში. ინვერტირებული წყობის წინადადება კი მარკირებულია მოუბარის სუბიექტური მოდალობით და მისი ინტენციის გამომხატველი საკომუნიკაციო სტრატეგიით, რომელიც მიზნად ისახავს ადრესატის ყურადღების ორიენტირებას ინფორმაციის მისთვის საინტერესო მონაკვეთზე, რის შესაბამისადაც ხდება ქვემდებარის რემატიზაცია, ანუ თემის პოზიციიდან რემაზე გადანაცვლება.

9. მხატვრული ტექსტების ანალიზმა აჩვენა, რომ არაფორმალურ კომუნიკაციაში რთული წინადადებების გამოყენება გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე მათი სინონიმური მარტივი წინადადებებისა ზმნის უპირო ფორმების შემცველი კონსტრუქციებით. ეს განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით:

ა) ადრესანტის მიერ გამონათქვამის ფორმირებაში ჩადებული ზედმეტი ძალისხმევა ემსახურება ადრესატისთვის აღქმის პროცესში გაწეული დანახარჯის შემცირებას გაზიარებული პასუხისმგებლობის პრინციპის თანახმად.

ბ) მეტყველი სუბიექტის მიერ გამოყენებული ძალისხმევა წარმოადგენს ადრესატისთვის იმის ინდიკატორს, რომ გამოყენებული კონსტრუქცია მეტი მნიშვნელობის, უფრო ზუსტად კი ადრესანტის სუბიექტური კოგნიციის მატარებელია. მაშასადამე, კომუნიკანტთა მიერ გაწეული ძალისხმევა იზრდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ღირებულად აღიქვამენ ისინი კომუნიკაციის მიზანს.

10. ემპირიული კვლევა ადასტურებს, რომ სინონიმური სინტაქსური კონსტრუქციების მონაცვლეობით მოუბარი ახერხებს ფონის და ფიგურის გამოყოფას. ინფორმაცია ორგანიზებულია მისი ცალკეული ნაწილის დომინანტობის თვალსაზრისით. მაშასადამე, ადგილი აქვს ერთი მოვლენის ხარჯზე მეორე მოვლენაზე მსმენელის ყურადღების კონცენტრირების მცდელობას.

11. ენობრივი მასალის კვლევის შედეგების განზოგადება საშუალებას გვაძლევს სინტაქსური სინონიმია განვიხილოთ, როგორც საკომუნიკაციო კომპეტენციის ნაწილი და საკომუნიკაციო სტრატეგიის მაგალითი, რამდენადაც იგი კომუნიკანტებს ენობრივ საშუალებებს შორის არჩევანს სთავაზობს. სინტაქსური სინონიმია, როგორც ერთ-ერთი საკომუნიკაციო სტრატეგია, საშუალებას აძლევს მეტყველ სუბიექტს, ოპტიმალურად განახორციელოს თავისი კომუნიკაციური ინტენცია.

12. სინტაქსურ დონეზე შესაძლებელია, ვისაუბროთ ადრესატზე ორიენტირებულ და ინფორმაციაზე ორიენტირებულ საკომუნიკაციო სტრატეგიებზე.

ა) ადრესატზე ორიენტირებულ სტრატეგიებში ვგულისხმობთ ყველა იმ ხერხს, რასაც მოუბარი იყენებს მსმენელისათვის კოგნიტური დატვირთვის შესამცირებლად, ანუ ინფორმაციის აღქმის გასაადვილებლად.

ბ) ინფორმაციაზე ორიენტირებული სტრატეგიები გულისხმობს თავად ინფორმაციის რესტრუქტურირებას მოუბარის საკომუნიკაციო ინტენციიდან გამომდინარე, რაც მიმართულია ინფორმაციის ამა თუ იმ ნაწილის აქცენტირების ან პირიქით, მისთვის ფონის ფუნქციის მინიჭებისაკენ.

13. მიმართებას ენობრივი სუბიექტის საკომუნიკაციო კომპეტენციასა და სინტაქსურ სინონიმიას შორის განვიხილავთ, როგორც კომუნიკანტთა ენობრივი შემოქმედების მაგალითს, რამდენადაც არჩევანი სინონიმურ სინტაქსურ კონსტრუქციებს შორის წარმოადგენს მიზანმიმართულ სტრატეგიულ ქმედებას, ხოლო არჩევანი ყოველთვის, თუნდაც მინიმალურად, არის შემოქმედებითი აქტი.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
2. ზამბახიძე ე., ზამბახიძე. მ. *ინგლისური ენის გრამატიკა.* თბილისი: ეგრისი, 2009.
3. კირვალიძე ნ. *გრამატიკის თანამედროვე თეორიები.* თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახემწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
4. - - - "ნომინალიზაცია, როგორც ავტორისეული მოდალობის სინტაქსურ-სტილისტური გამოხატულების საშუალება ინგლისურენოვან ნარატიულ ტექსტში". – "*ენა, თარგმანი, ლიტერატურა*", ტომი X. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა: "ენა და კულტურა". თბილისი, 2005, გვ. 101 – 114.
5. ლებანიძე გ. *კომუნიკაციური ლინგვისტიკა.* თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა "ენა და კულტურა", 2004.
6. - - - *კომუნიკაციური ლინგვისტიკა.* თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა "ენა და კულტურა", 1997.
7. ნებიერიძე გ. *ენათმეცნიერების შესავალი.* თბილისი: „განათლება", 1991.
8. Aarts B. *English Syntax and Argumentation*. 1997. Modern Linguistics Series. London: MacMillan Press, 2001.
9. Abdesslem, H. *Communication Strategies or Discourse Strategies in Foreign Language Performance?* International Review of Applied Linguistics (IRAL), XXXIV/1: 49-61, 1996.
10. Adger D. *Combinatorial variability*. Journal of Linguistics 42, 2006.
11. Adger D., Trousdale G. *Variation in English syntax: theoretical implications*. English Language and Linguistics, 11 (2), 2007.
12. Anderson J. M. *The Grammar of Case: Towards a Localistic Theory*. Cambridge: Cambridge University Press, 1971.
13. Bachman L. F. *Fundamental Considerations in Language Testing*. Oxford: Oxford University Press, 1990.
14. Bachman L. F., Palmer A.S. *Language Testing in Practice*. Oxford: Oxford University Press, 1996.
15. Bagaric V. and Djigunovic, J. M**. (**2007) "Defining Comminicative Competence"*Metodika* 8(1):94-103
16. Bhaskaran N. *Optic Glasses and Handwatches: Communication Strategies in ESL.* Paper presented at the TESOL 1988 Convention in Chicago, 1988.
17. Bialystok E. *Communication Strategies: A Psychological Analysis of Second- Language Use*. Oxford: Blackwell, 1990.
18. Blokh M. Y. *A Course in Theoretical English Grammar*. Москва: Высшая школа, 1983.
19. Bongaerts T., and Poulisse N. *Communication Strategies in L1 and L2: Same or Different?* Applied Linguistics 10(3), 1989.
20. Brown R. *Social Psychology*. New York: The Free Press, 1965.
21. Canale M. *From communicative competence to communicative language pedagogy.* in Richards J.C. and Schmidt R.W. (eds) Language and Communication. New-York: Longman Group Limited, 1983.
22. Canale M. and Swain M. *Theoretical Bases of Communicative Approaches to Second Language Teaching and Testing*. Applied Linguistics 1(1), 1980.

23. Chomsky N. *Aspects of the Theory of Syntax*. Cambridge, Massachusetts: The M.I.T. Press,1965.
24. - - - *Studies in semantics in generative grammar*. The Hague-Paris: Mouton Publishers, 1972.
25. Clark H., Wilkes-Gibbs D. *Referring as a collaborative process*. Cognition 22, 1986.
26. Corder S.P. *Strategies of Communication* in Faerch C. and Kasper G. (eds.) Strategies in Interlanguage communication. New-York: Longman Group Limited, 1983.
27. Croft W. *Syntactic Categories and Grammatical Relations*. Chicago: The University of Chicago Press, 1991.
28. Cruse A. *Meaning in Language: An Introduction to Semantics and Pragmatics*. Oxford: Oxford University Press, 2000.
29. Cruse, D. A. *Some Thoughts on Agentivity*. Journal of Linguistics 9, 1973.
30. Crystal, D. *Cambridge Encyclopedia of Language.* 1987. Cambridge: Cambridge University Press, 1988.
31. *Dictionary of the English Language*. Fourth Edition, The American Heritage: Houghton Mifflin Company, 2009. accessed 25 August 2009; available from http://dictionary.reference.com/browse/expletive
32. Domotor A. *Structural synonomy and formal variants: relative clauses and their parallels in six Early Hungarian translations of the Bible*. Acta Linguistica Hungarica 50 (3-4), 2003.
33. Dowty, D. R. Thematic Proto-Roles and Argument Selection. *Language* 67, 1991.
34. Edmonson W. *Spoken Discourse: A Model for Analysis*. London: Longman, 1981.
35. Ervin Tripp S. M. *Children's sociolinguistic competence and dialect diversity*. In Gordon, I. U. (Ed.), Early childhood education: The seventy-first yearbook of the National Society for the Study of Education. Chicago: University of Chicago Press, pp. 123-160, 1972.
36. Faerch C. and Kasper G. *Introduction* in Faerch C. and Kasper G. (eds.) Strategies in Interlanguage communication. New-York: Longman Group Limited, 1983a.
37. - - - *Plans and strategies for foreign language communication* in Faerch, C. and Kasper, G. (eds.) Strategies in Interlanguage communication. New-York: Longman Group Limited, 1983b.
38. - - - Strategies in Interlanguage communication. New-York: Longman Group Limited, 1983.
39. Fillmore C. J. *The Case for Case*. In Bach E. and Harms R.T. (eds.) Universals in Linguistic Theory. New York: Holt, Rinehart and Winston. 1968.
40. Fillmore C. J. *The Case for Case Reopened*. Syntax and Semantics 8: Grammatical Relations. New York: Academic Press, 1977.
41. Frawley W. and Lantolf J.P. *Second language discourse: A Vigotskyan perspective*. Applied Linguistics 611, 1985.
42. Glahn E. *Introspection as a method of elicitation in interlanguage studies*. Interlanguage Studies Bulletin Utrecht, 5, 1980.
43. Goldberg A. *Constructions: A Construction Grammar Approach to Argument Structure*. Chicago: University of Chicago Press, 1995.
44. Grice H. P. *Logic and conversation*. New York: Academic Press, 1975.
45. - - -. *Meaning* in Strawson (ed.) Philosophical Logic. Oxford: Oxford University Press, 1971.
46. Gruber J. S. *Lexical Structures in Syntax and Semantics*. 1965. Amsterdam: North Holland, 1976.
47. Gugan K. *Syntactic Synonymy: A Case Study*. Acta Linguistica Hungarica 49 (1), 2002.
48. Gundel J. K. *Role of topic and comment in linguistic theory.* Indiana University Linguistics Club, 1977

49. Habermas J. *Toward a Theory of Communicative Competence* in Dreitzel H.P. (ed.) Recent Sociology. New York: Macmillan, 1970.
50. Haegeman L., Gueron J. *English Grammar. A Generative Perspective*. Oxford: Blackwell Publishers, 1999.
51. Halliday M.A.K. *An Introduction to Functional Grammar*. London: Edward Arnold, 1985.
52. Halliday, M.A.K., Matthiessen, C.M.I.M. *An Introduction to Functional Grammar*, 3rd edn. London: Arnold, 2004.
53. Harris A. C., Campbell L. *Historical syntax in cross-linguistic perspective*. Cambridge: Cambridge University Press, 1995.
54. Harris J. *Syntactic variation and dialect divergence*. Journal of Linguistics 20, 1984.
55. Harris R. *Synonymy and linguistic analysis*. Oxford: Oxford University Press, 1973.
56. Hawkins R. *Learning Strategies* in Johnson, K., Johnson, H. (eds.) Encyclopedic Dictionary of Applied Linguistics. Oxford: Blackwell Publishers Ltd., 1998.
57. Hymes D.H. *Foundations in Sociolinguistics: an Ethnographic Approach*. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1974.
58. - - - *Models of the Interaction of Language and Social Life* in Gumperz J.J. and Hymes D. H. (eds.) Directions in Sociolinguistics: the Ethnography of Communication New York: Holt Rinehart and Winston In'c., 1972
59. - - - *On Communicative Competence* in Pride J.B. and Holmes J. (eds) Sociolinguistics Selected Readings. Harmondsworth: Penguin Education 1971
60. Jackendoff, R. S. *Semantic Interpretation in Generative Grammar*. Cambridge, MA: The MIT Press, 1972.
61. - - - 1983. *Semantics and cognition*. Cambridge, Mass.: MIT Press.
62. - - - 1976. *Toward an Explanatory Semantic Representation*. *Linguistic Inquiry* 7: 89-150.
63. Jacobson S. *Issues in the study of syntactic variation*. In S. Jacobson (ed.), Papers from the Scandinavian Symposium on Syntactic Variation, Stockholm, 18–19 May 1979. Stockholm: Almqvist & Wiksell, 1980.
64. Jespersen O. *Essentials of English Grammar.* London: Allen & Unwin, 1933.
65. Kasper G., Kellerman E. *Introduction: approaches to communication strategies* in Kasper, G., Kellerman, E. (eds.) Communication Strategies: Psycholinguistic and Sociolinguistic Perspective. 1997. New-York: Addison Wesley Longman Limited, 1999.
66. Katz J. Semantic Theory. New York: Harper & Row. 1972.
67. Katz J. J., Fodor J. A. *The Structure of Semantic Theory*. In Fodor J. A., Katz J. J. (eds.) The Structure of Language. Readings in the Philosophy of Language. New Jersey, 1964.
68. Keenan (Ochs) E. Conversational competence in children. Journal of Child Language, 1 (2): 163- 83, 1974.
69. Khanji R. *Two Perspectives in Analysing Communication Strategies.* International Review of Applied Linguistics (IRAL) XXXIV/2, 1996.
70. Kiss S. Structure of syntactic synonymy and the factors of its reorganization. In: Horváth K. Ladányi M. (eds) The relationship of state and history_synchrony and diachrony_in language, 115_9. ELTE BTK Általános és Alkalmazott Nyelvészeti Tanszék, Budapest, 1993.
71. Klaus G., Buhr M. (eds) (1976). *Philosophisches Worter-buch,* Leipzig: VEB Bibliographisches Institut.
72. Klement K.C. *Synonymy, Sentence Structure and Lambda Conversion*. 2005 accessed 25 August 2006; available from htttp://www-unix.oit.umass.edu/~klement/syn-conv.pdf.
73. Kraus R., Weinheimer S. *Changes in reference as a function of frequency of usage in social interaction: a preliminary study*. Psychonomic Science, 1, 1964.

74. - - - *Concurrent feedback, confirmation, and the encoding of referents in verbal communication*. Journal of Personality and Social Psychology, 4, 1966.
75. - - - *Effect of referent similarity and communication mode on verbal encoding*. Journal of Verbal Learning and Verbal Behaviour, 6, 1967.
76. Langacker R.W., *Concept, Image and Symbol*. Berlin/N.Y.: Mouton de Gruyter, 1991
77. Leech G. *Principles of Pragmatics*. London: Longman, 1983.
78. - - - *Semantics*. Harmondsworth: Penguin, 1974.
79. Levinson S. C. *Pragmatics*. Cambridge: Cambridge University Press, 1983.
80. Lock G. *Functional English Grammar. An introduction for second language teachers.* Cambridge: Cambridge University Press, 1996.
81. Lönngren, L. *Cross-level synonymy*. Nordlyd. Tromsø University working papers on language & linguistics 2001 (29) s. 83-90 UiT accessed 10 May, 2008, available from http://www.hum.uit.no/a/lonngren/synonym.pdf
82. Lyons, J. *Language, Meaning and Context*. London: Fontana, 1981.
83. - - - *On Competence and performance and related notions*. In: G. Brown, K. Malmkjaer and J. Williams (eds.) *Performance and Competence in Second Language Acquisition.* Cambridge: Cambridge University Press, 1996
84. - - - *Semantics*. Cambridge: Cambridge University Press, 1977.
85. Mathesius V. *A Functional Analysis of Present Day English on a General Linguistic Basis*. Edited by Vachek J. translated by Libuše Dušková. The Hague - Paris: Mouton, 1975.
86. Mel'cuk I. A. *Communicative organization in natural language: the semantic-communicative structure of sentence.,* Amsterdam: John Benjamins B.V., 2001.
87. Munby J. *Communicative Syllabus Design: A Sociolinguistic Model for Defining the content of Purpose-Specific Language Programmes*. Cambridge: Cambridge University Press, 1978
88. Olson D. *Language and Thought: Aspects of cognitive theory of semantics*. Psychological Review, 77, 1970.
89. Palmer F. R. *Semantics*. 2nd edition, Cambridge: Cambridge University Press, 1981.
90. Paribakht, T. *Strategic Competence and Language Proficiency*? Applied Linguistics 6(2), 1985.
91. Pollard, C., Sag, I. *Head-Driven Phrase Structure Grammar*. Stanford: Center for the Study of Language and Information, 1994.
92. Poulisse N. *Compensatory strategies and the principles of clarity and economy*. In Kasper, G., Kellerman, E. (eds.) Communication Strategies: Psycholinguistic and Sociolinguistic Perspectives. 1997. New-York: Addison Wesley Longman Limited, 1999.
93. Radford, A. *Syntactic Theory and the Structure of English: A Minimalist Approach*. Cambridge: Cambridge University Press, 1997.
94. Saraceni M. Meaningful form: transitivity and intentionality. *ELT J* 62:164-172, 2008.
95. de Saussure, F. *Course in general linguistics* (3rd ed.). (R. Harris, Trans.). Chicago: Open Court Publishing Company, 1986.
96. Savignon S.J. *Communicative Competence: An Experiment in Foreign Language Teaching*. Philadelphia: Center for Curriculum Development, 1972.
97. - - - *Communicative Competence: Theory and Classroom Practice*. Addison-Wesley Publishing Company, 1983.
98. Saville-Troike, M. (ed.) *Linguistics and Anthropology*. Georgetown University Round Table on Languages and Linguistics, 1977. Washington, D.C.: Georgetown University Press, 1977.
99. Schiffrin D. *Approaches to discourse*. Oxford: Cambridge, MA, 1994.
100. Shanon C., Weaver W. *The Mathematical Theory of Communication*. Urbana, 1949.

101. Sperber D., Wilson D. *Relevance: Communication and Cognition*. 2nd edition, Oxford: Cambridge, MA, 1995.
102. Stern H. H. *Fundamental Concepts of Language Teaching*. Oxford : Oxford University Press, 1986
103. Strawson P.F. *Intention and Convention in Speech Acts*. In Pragmatics: A Reader. Oxford: Oxford University Press, 1991.
104. Sweet H. A *New English Grammar. Logical and Historical*. Part 2, Oxford, 1955.
105. Tarone E. *Some thoughts on the notion of 'communication str*ategy' in Faerch, C. and Kasper, G. (eds.) Strategies in Interlanguage communication. New-York: Longman Group Limited, 1983.
106. Tarone, E. Cohen, A.D. and Dumas, G. *A closer look at some interlanguage terminology: a framework for communicative strategies* in Faerch, C. and Kasper, G. (eds.) Strategies in Interlanguage communication. New-York: Longman Group Limited, 1983.
107. Tarone E., Yule G. *Focus on the Language Learner.* Oxford: Oxford University Press, 1989.
108. Taylor J. R. *Cognitive Grammar*, Oxford: Oxford University Press, 2002.
109. Troike, R. *Receptive competence, productive competence and performance*. In James, E. (ed.). *Monogradph Series on Language and Linguistics.* 22, 63-9, 1969
110. Ullmann S. *The Principles of Semantics*. 1957. Oxford: Basil Blackwell, 1967.
111. Van Eynde F. *On the copula: from a Fregean to a Montagovian treatment*. 2008. accessed 15 September 2008; available from: http://www.sx.ac.uk/linguistics/research/resgroups/clgroup/Conferences/HPSG09/13-van-eynde.pdf
112. Van Valin R. D. *Semantic Parameters of Split Transitivity*. Language 66: 221-60, 1990.
113. Vandergrift L. *The Cinderella of Communication Strategies: Reception Strategies in Interactive Listening.* The Modern Language Journal 81(4), 1997.
114. Wagner J., Firth A. *Communication Strategies at Work.* In Kasper G., Kellerman, E. (eds.) Communication Strategies: Psycholinguistic and Sociolinguistic Perspectives. 1997. New-York: Addison Wesley Longman Limited, 1999.
115. Weil, H. *De l'ordre des mots dans les langues anciennes comparées aux langues modernes*, translated by C.W. Super. Amsterdam: Benjamins. (Original published in 1844.), 1978.
116. Widdowson, H.G. E*xploration in Applied Linguistics 2.* Oxford: Oxford University Press, 1984.
117. - - - *Learning Purpose and Language Use*. Oxford: Oxford University Press, 1983.
118. - - - *Teaching Language as Communication*. London: Oxford University Press, 1978
119. Wilkes-Gibbs, D. *Studying language use as collaboration*. In Kasper G., Kellerman, E. (eds.) Communication Strategies: Psycholinguistic and Sociolinguistic Perspectives. 1997. New-York: Addison Wesley Longman Limited, 1999.
120. Абрамов Б. А. *Варьирование в синтаксисе*. Проблермы вариативности в германских языках. Тез. докл. (Калининский гос. ун-т). Москва, 1988.
121. Адмони В. Г. *Структура грамматического значения и его статус в системе языка // Структура предложения и словосочетания в индоевропейских языках*. (Ленинград, 1979 განთავსებულია 20 ივლისიდან, 2008); მის.: http://iling.spb.ru/grammatikon/admoni_1979.pdf
122. Андреев Н. Д. *Хомский и хомскианство* –В книге: Философские основы зарубежных направлений в языкознании. Москва, 1977.
123. Арутюнова Н. Д. *О номинативном аспекте предложения*. «Вопросы языкознания» 6, 1971.

124. Арынов М. К. *К вопросу о синонимичности синтаксических структу.* В кн.: Искуство и инностранные языки. Алма-Ата, 1964.
125. Ахманова О. С. *Словарь лингвистических терминов*. Москва: «Советская знциклопедия», 1966.
126. Бархударов Л.С. *О поверхностной и глубинной структуре предложения*. «Вопросы языкознания» 3, 1973.
127. Белл Р. *Социолингвистика: Цели*, *Подходы и Проблемы*. Москва: "Международные отношения", 1980.
128. Валгина Н.С *Синтаксис современного русского языка: Учебник.* Москва: Агар, 2000
129. Васильев А. *Английский: правила произношения и чтения, грамматика, разговорный язык*. 2007. განთავსებულია 20 დეკემბრიდან, 2008; მის.: http://www.alleng.ru/mybook/3gram/0grammar.htm
130. Власова Ю. Н. *Синонимия синтаксических конструкций в современном английском языке*. Ростов: Издательство Ростовского университета,1981.
131. Гак В. Г. *К типологии лингвистических номинаций*. в кн.: Языковая номинация (Общие вопросы), 1977.
132. Гвоздев А.Н. *Очерки по стилистике русского языка*. Москва: 1952
133. Жилин И.М. *Синонимика в синтаксисе современного немецкого языка.* Краснодар, 1974.
134. Зайцева Л. П. *Синтаксическая вариантность и синтаксическая синонимия*. Уч. записки Башкирского университета. Серия филол. наук, 21 №9 (13), 1964.
135. Иртеньева Н. Ф. *К вопросу о классификации словосочетаний*. «Инностранные языки в школе» 3, 1974.
136. Йелинек И. *Языковой аспект трансформационных правил*. В кн.: Сборник переводов по вопросам трансформационной теории и практики, №16 Москва 1970.
137. Ковтунова И. И. *О синтаксической синонимике*. В кн.: Вопросы культуры речи. Москва, 1955
138. Колшанский Г. В. *Некоторые вопросы семантики языка в гносеологическом аспекте.* В кн.: Принципы и методы семантических исследований, Москва: Наука,1976.
139. *Лингвистический энциклопедический словарь*. Москва:«Советская энциклопедия», 1990
140. Макаров М. Л. *Основы теории дискурса*, Москва: ИТДГК «Гнозис» 2003.
141. Максимов Л.Ю. *О грамматической синонимии в русском языке*. Москва, 1966
142. Новиков Л. А. Синонимия. *Лингвистический энциклопедический словарь*. Москва:«Советская энциклопедия», 1990
143. - - - *Семантика русского языка*. Москва: «Высшая школа», 1982.
144. Оссовская М. И. *О парадигматических отношениях простого и сложноподчиненного предложения в современном английском языке.* в Аронова С.И. (ред.) Актуальные вопросы семантики и синтаксиса. Ленинград: ЛГПИ, 1977.
145. Пешковский А. М. Принципы и приемы стилистического анализа и оценки художественной прозы. Москва: Госиздат, 1930.
146. Пиотровский Р. Г. *Очерки по стилистике французского языка.* Ленинград: Государственное учебно-педагогическое издательство, 1960.
147. Розенталь Д. Э., Теленкова М. А. *Словарь-справочник лингвистических терминов.* Москва «Просвещение», 1985.
148. Смирницкий А. И. Синтаксис английского языка. Москва: Из-во литературы на иностранных языках, 1957.
149. Сухотин, В.П. Синтаксическая синонимика в современном русском литературном языке. М., 1960

150. Фролова Т. В. *Некоторые грамматические синонимы, употребляющиеся в английской разговорной речи.* В кн.: Синтаксические исследования по английскому языку. Уч. записки Московского пед. ин-та, т. 416, 1971.
151. Чейф У. Л. *Значение и структура языка* русск. пер Г.С. Щура. Москва «Прогресс», 1975.
152. Шенделъс Е.И. *Многозначность и синонимия в грамматике*, Москва: Высшая школа, 1970
153. - - - *Понятие грамматической синонимии*. Филологические науки №1, 1959.
154. - - - *Синтакические варианты*. Филологические науки №1, 1962.
155. Шигапова С. М. *К трактовке понятия синтаксического варианта в плане решения дихотомии «инвариант-вариант».* Вестник Амурского государственного университета, Вып 3, 1999. განთავსებულია 11 მაისი, 2007; მის.: http:*//www.62*.76.124.53/vestnik/4/v4_philolog_2.doc
156. Хэррис, 3. С. Совместная встречаемость и трансформация в языковой структуре. *Новое в лингвистике,* Выпуск 2, 1962.
157. Ярцева В. Н. *О грамматических синонимах.* В кн. Романо-германская филология, вып. 1, 1957.

## ციტირებული მხატვრული ლიტერატურა

Christie A. *The Adventure of the Egyptian Tomb*
Huxley A. *Hubert and Minnie*
Lawrence *The Horse Dealer's Daughter*
Lawrence D.H. *The Lovely Lady*
Lawrence D. H. *You touched Me*
Maugham W. S. *A Casual Affair*
Maugham W. S. *Jane*
Maugham W. S. *The Lotus Eater*
Maugham W. S. *Virtue*
Spark M. *The Portobello Road*
Waugh E. *Vile Bodies*
Wells H.G. *The Door in the Wall*.